საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
www.geworld.ge
№7 (194)
27 თებერვალი – 5 მარტი, 2013

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

16 უნდა გამოცხადდეს თუ არა «ნაცმოძრაობა» კანონგარეშე?!

4



# ამნისტია თუ გილიოტინა?



გოგი თოფაძე: ტერიტორიული მთლიანობის საკითხი ახლადარჩეული პრეზიდენტისთვის პრიორიტეტული უნდა იყოს 12



15 «გაცოფებულმა მერაბიშვილმა უხეო ფირცხალავას და არანორმატიული ლექსიკის დახმარებით აუხსნა, თუ რა მოუვიდოდა დედამისს ამ დანაშაულის არგახსნის შემთხვევაში!»

## ხვალ 19 აპრილია, ქვეზის სროლა ადვილია

3



„საზოგადოების დიდი ნაწილი არ ენდობა „ნაციონალურ მოძრაობას“, არ განიხილავს მას ლეგიტიმურ ოპოზიციურ პარტიად და თვლის, რომ მისი ხელმძღვანელები გადატრიალების მოწყობას გეგმავენ“

6

## «ნაციონალებს» ყველაფერი მზად აქვთ იმისთვის, რომ სამოქალაქო ომი დაიწყონ!»

«ამ დაკარგულ იარაღს არათუ არ ეძებენ, მასზე არც ლაპარაკობენ «ნაციონალები». ეს ფაქტიც საკმარისია იმისთვის, რომ მიხვდე, ვის ხელშია ეს იარაღი»

საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

პოლიტიკა

**თუ ახალი მთავრობა კვლავაც ეცდება, პრეზიდენტად საკუთარი გუნდის ისეთი წარმომადგენელი გაიყვანოს, რომელსაც ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებთან საერთო არაფერი ექნება, რუსეთთან ურთიერთობის მოგვარება და ჩვენი მთავარი მიზანი — საქართველოს მთლიანობის აღდგენა ისეთივე არარეალური გახდება, როგორც „ნაცმოძრაობის“ ხელისუფლების დროს.**

# პრეზიდენტი მხოლოდ სიმბოლო არ არის...

**1995 წელს, როდესაც საქართველოს პარლამენტმა კონსტიტუცია მიიღო, ირაკლი წერეთლისთვის უკითხავთ, 35 წელი გისრულდება და პრეზიდენტად კენჭს თუ იყრიო? მას უპასუხია, ახლა პრეზიდენტი რომ გავხდე და ორი ვადითაც ამირჩიონ, 45 წლისამ რაღა ვაკეთო — პენსიაზე გავიდეო?**




მას შემდეგ მეთვრამეტე წელი გადის და ორგზის ნაპრეზიდენტალი მიხეილ სააკაშვილიც გახდა 45 წლის, მაგრამ პენსიაზე გასვლა არც მას სურს. მართალია, მრავალგზის დაჭრილ-შეკერილი კონსტიტუციით, პრემიერ-მინისტრობის მოსურნე მიშას პრეზიდენტობა აღარ „ემუქრება“, მაგრამ „ქართული ოცნება“ ჯერაც არ არის მზად ერთიანი კანდიდატისთვის. ირაკლი ალასანიამ ზუგდიდში მაჟორიტარული არჩევნები ვერ მოიგო, რასაც ხელი არ შეუშლია მისი საპრეზიდენტო ამბიციებისთვის.

„ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერებმა ბევრი იქილიკეს იმაზე, რომ ბიძინა ივანიშვილმა იგი „პრეზიდენტობაზე ოცნებისთვის“ დასაჯა და ვიცე-პრემიერობა ჩამოართვა, თუმცა ამ შემთხვევაში, ალბათ, მთავარი მაინც ის იყო, რომ თუნდაც უფლებაშეზღუდული პრეზიდენტის ადგილზე „ქართულ ოცნებას“ ისეთი კანდიდატი სჭირდება, რომელიც ეროვნულ თანხმობას განასახიერებს, ალასანია კი ჯერჯერობით თავად კოალიციაში აღმოჩნდა უთანხმოების ფაქტორი.

ივანიშვილის მიერ დასახელებული ვახტანგ ხმალაძის კანდიდატურა ისევე შორს არის სასურველისგან, რომ მისი წამოწევა მხოლოდ ერთ რამეს ნიშნავს: პრეზიდენტი ის არ არის, რის გამოც დაპირისპირება ღირს. ყოველ შემთხვევაში, ივანიშვილმა სწორედ ამგვარი მინიშნება გააკეთა. და მაინც, როგორი ფუნქციებიც უნდა ჰქონდეს მომავალ პრეზიდენტს, იგი არც ისე უფერულია, როგორც გვიხატავენ. მას არბიტრის როლი აკისრია და თავისთავად ცხადია, რომ უავტორიტეტო, გამოუცდელი და შემთხვევითი პირი ამ ფუნქციას ვერ შეასრულებს.

**იმ ვითარებაში, როდესაც ყოფილი და ახალი მმართველი ძალები, პრაქტიკულად, არაფერს განსხვავებულს არ ამბობენ, სწორედ პრეზიდენტი იძენს იმ უმნიშვნელოვანეს როლს, რომელიც ერთადერთ განსხვავებულ საკითხს — რუსეთთან ურთიერთობის საკითხს წაადგება ან საბოლოოდ დაასამარებს.** მართლაც, „ქართული ოცნება“ ისევე დებს თავს ევროატლანტიკურ ინტეგრაციაზე, როგორც „ნაციონალური მოძრაობა“, თუმცა, მისგან განსხვავებით, მიაჩნია, რომ „საქართველომ უნდა შეძლოს ითამაშოს ხელშემწყობის და არა შემაფერხებლის როლი რუსეთის ფედერაციის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის დაახლოებისა და ინტერესების დაბალანსების შესაძლო პოლიტიკურ პროცესში... საქართველო და მთლიანად სამხრეთ კავკასია უნდა გახდეს არა სტრატეგიული ინტერესების კონფრონტაციის, არამედ ამ ინტერესთა მრავალმხრივად სასარგებლო ასპარეზობის სივრცე“.

**სწორედ ეს პუნქტი აღმოჩნდა ყველაზე მიუღებელი „ნაცმოძრაობისთვის“. მათ რუსეთთან ურთიერთობა ისეთ ჩიხში შეიყვანეს, რომ ელემენტარული დიალოგიც კი შეუძლებელი იყო, ხოლო სააკაშვილი ახლაც რუსეთთან კონფრონტაციული რიტორიკით ირთობს თავს. ამ ვითარებაში პრეზიდენტობის კანდიდატი სწორედ ის ფიგურა შეიძლება იყოს, რომელთანაც ურთიერთობის პრობლემა რუსეთს არ ექნება.** მიუხედავად იმისა, არის თუ არა პრეზიდენტი საგარეო პოლიტიკის სუბიექტი, დიალოგის ამ დონეზე აყვანა უდავოდ საუკეთესო ფონს შექმნის რუსეთთან მოლაპარაკებებში. დღევანდელი დონე (პრემიერის სპეციალური წარმომადგენელი ზურაბ აბაშიძე და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინი) მხოლოდ იმის დემონსტრირებას წარმოადგენს, რომ ეს საკითხი უპირველესი მნიშვნელობის არ არის.

**„ნაციონალური მოძრაობის“ კიდევ ერთი დიდი შეცდომა ის იყო, რომ დარწმუნებული იყვნენ, აფხაზები და ოსები ისე მოიქცეოდნენ, როგორც მოსკოვი უბრძანებდა. სხვადასხვა ფორმატში ისინი მუდამ ცდილობდნენ, მეგობარი დასავლეთის მხრიდან რუსეთზე ზეწოლა მოეხდინათ, მაგრამ დასავლეთს საკუთარი ინტერესები აქვს და, რუსეთს საქართველოს გამო რომ არ დაუპირისპირდება, ამის მოწმე არაერთხელ ვყოფილვართ.**

ამის გათვალისწინებით, მომავალ პრეზიდენტს აფხაზებთან და ოსებთან პირდაპირი დიალოგის შესაძლებლობა და, რაც მთავარია, მორალური უფლება უნდა ჰქონდეს. რა გასაკვირიც უნდა იყოს, აფხაზებისა და ოსებისთვის იმასაც აქვს მნიშვნელობა, იქნება თუ არა საქართველოს პრეზიდენტი რომელიმე წინანდელ რეჟიმთან კავშირში მყოფი პირი. ეს ფაქტორი უთუოდ უმნიშვნელოვანესია იმ პირობებში, როდესაც მიხეილ სააკაშვილი მათთვის უპირობო აგრესორია და აქ ტალიავინის კომისიის დასკვნის სხვადასხვა წაკითხვა მათ დამოკიდებულებას ვერ შეცვლის. შევარდნაძის სხვა თანამებრძოლები (აკი, მიშაც მისი გამოზრდილია), ასევე ნაკლებ სავარაუდოა, რომ მათ ნდობას გამოიწვევენ. „ქართული ოცნების“ მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი აფხაზებისა და ოსებისთვის კვლავაც „ენჯეოშნიკად“ რჩება და მის მიერ რეინტეგრაციის პრობლემის დაძლევის შიში აფხაზებს არა აქვთ, ქართველებს კი — იმედი.

**9-წლიანი „თინეიჯერული დიქტატურის“ შემდეგ საზოგადოებაში არის იმის მოთხოვნილებაც, რომ პრეზიდენტად ასაკოვანი, გამოცდილი და გონებადამჯდარი ადამიანი იხილოს. ამ ფაქტორს დიდი მნიშვნელობა აქვს აფხაზებთან და ოსებთან დიალოგშიც, რადგან, ძალადობრივად „ვესტერნიზებული“ ქართული პოლიტიკური ელიტისგან განსხვავებით, ისინი ასაკსა და ცხოვრებისეულ გამოცდილებას პატივს სცემენ და ანგარიშს უწევენ.**

თავსმოხვეული კოაბიტაციის რეჟიმში, როცა ორმა ურთიერთდაპირისპირებულმა ძალამ პოლიტიკური არენიდან ერთგვარად „გადარეცხა“ სხვა პარტიები, ალბათ, დიდი მნიშვნელობა ექნება იმასაც, რომ პრეზიდენტი, როგორც არბიტრი, არც ერთი ამ ბანაკის წარმომადგენელი არ იყოს; წინააღმდეგ შემთხვევაში, მის მიერ ამ ფუნქციის შესრულება შეუძლებელი გახდება. მეორე მხრივ, არ შეიძლება ქართული პოლიტიკური ტრადიციის უგულებელყოფაც — ამომრჩეველი ყოველთვის ქარიზმატულ ლიდერს ანიჭებდა უპირატესობას.

ასე იყო უახლოეს წარსულშიც, როცა გაერთიანებულმა ოპოზიციამ პრეზიდენტობის კანდიდატად არა დავით უსუფაშვილი, არამედ ლევან გაჩეჩილაძე აირჩია. თუმცა „გრეჩიხას“ ქარიზმამ ვერ გაჭრა და მასზე უფრო ქარიზმატული სააკაშვილი მეორედ გახდა პრეზიდენტი. მეორე მხრივ, იმავე სააკაშვილის წყალობით, ქარიზმა საქართველოში უკვე საფრთხის შემცველადაც აღიქმება და შესაძლოა, მოვიდა დრო, როცა ქარიზმატული ლიდერი აუცილებელი აღარ არის. პირიქით, იგი პოლიტიკური აქტივობისგან გამიჯნული უნდა იყოს, თუმცა პოლიტიკურ პროცესებსა და მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებს ზედმიწევნით უნდა ფლობდეს.

პრეზიდენტი, თუნდაც საპარლამენტო რესპუბლიკაში, არ არის მხოლოდ სიმბოლო, არც მაღალი სტუმრების მიმღები და გამცილებელი, ჩვენს შემთხვევაში კი, საქართველოსთვის უმთავრესი საკითხის — მისი გამთლიანების საქმეში სწორმა არჩევანმა შეიძლება ის შედეგი გამოიღოს, რომლის მიღწევასაც ყველა მანამდე არსებულმა ხელისუფლებამ უსასრულოდ დაგვაშორა. **თუ ახალი მთავრობა კვლავაც ეცდება, პრეზიდენტად საკუთარი გუნდის ისეთი წარმომადგენელი გაიყვანოს, რომელსაც ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებთან საერთო არაფერი ექნება, რუსეთთან ურთიერთობის მოგვარება და ჩვენი მთავარი მიზანი — საქართველოს მთლიანობის აღდგენა, ისეთივე არარეალური გახდება, როგორც „ნაცმოძრაობის“ ხელისუფლების დროს.**

**თამარ დავითულიანი**

# ულტიმატუმი თუ დიდსულოვნება?

**საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს „ბოლო წინადადება“ მისცა. მიმართვაში ნათქვამია, რომ სააკაშვილის პოლიტიკურ გუნდსა და საზოგადოებას შორის სულ უფრო მზარდი უფსკრულია, რომელიც სრული მარგინალიზაციისკენ მიაქანებს ამ გუნდის ღირებულ წევრებსაც.**

ივანიშვილს არ მიაჩნია სასურველად განვლილი 9 წლის სრული დისკრედიტაცია, „ამიტომ ვცდილობ, ყველაფერს და ყველას არ გადაესვას ხაზი, ყველაფერს და ყველას არ მოეცხოს ლაქა, მათ შორის, ქართველი ხალხის თავმოყვარეობას და ღირსებას; ამიტომ მინდა, რომ როგორმე ღირსეული გამოსავალი ვიპოვოთ, ზედმეტი დანაკარგების გარეშე გავუმკლავდეთ წარსულს და მთელი ენერგია მომავალს მოვახმაროთ“.

პრემიერ-მინისტრი ამით ხსნის დეკემბრის ბოლოს შეთავაზებულ საკონსტიტუციო ინიციატივას, რომელზე დათანხმებაც სააკაშვილისთვის ყველაზე მარტივი იყო. საპარლამენტო უმრავლესობამაც სწორედ ამიტომ გადაწყვიტა პრეზიდენტის პარლამენტში გამოსვლის გადავადება და კონსტიტუციის 2010 წლის მოდელის ნაწილობრივ ამოქმედების ფორმულა შესთავაზა. ივანიშვილი ამიტომ თანხმდებოდა ამნისტიის ისეთ ვარიანტსაც კი, რომლის ახსნა ძალიან გაუჭირდებოდა საზოგადოებისთვის.

**„მაგრამ თქვენ ყველაფერი გააკეთეთ იმისათვის, რომ ცივილიზებულ, სათანამშრომლო ვითარებაში არ გადასულიყო პროცესი. ამის მიზეზი მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს — თქვენს გუნდს თქვენ გარშემო მხოლოდ თქვენ მიერვე გაზვიადებული საფრთხის განცდით აკავებთ და აშანტაჟებთ. თქვენი ამოცანაა, თქვენი გუნდის ცალკეული წევრების დანაშაულზე მთელ გუნდს აალებინოთ პასუხისმგებლობა და ამით „შეადუღაბოთ“ თქვენი რიგები, მაგრამ ყველაფერს აქვს დასასრული. ჩვენ მიერ ინიცირებული კონსტიტუციური ცვლილება პარლამენტში მარტის ბოლომდე დადგება კენჭისყრაზე. ეს კენჭისყრა კი უკვე ნამდვილად იქნება წყალგამყოფი. გნებავთ, ულტიმატუმად მონათლეთ ჩემი სიტყვები და გნებავთ, პოლიტიკურ დიდსულოვნებად, მაგრამ სრულიად ცალსახად ვაცხადებ — ვინც ეთანხმება ამ ცვლილებას, იგი აგრძელებს ქვეყნისთვის სამსახურს, ეძლევა შეცდომების გამოსწორების და უკეთესი პოლიტიკური მომავლის შანსი; ვინც უარს ამბობს ამ ცვლილებაზე, იგი იღებს სრულ პოლიტიკურ პასუხისმგებლობას ყველაფერზე, რაც 9 წლის განმავლობაში ნებისმიერ თქვენს თანაგუნდელს ჩაუდენია და ამ ტვირთით აგრძელებს ცხოვრებას“.**

ივანიშვილი გამჭვირვალედ მიანიშნებს, რომ პოლიტიკური ზეწოლისგან განთავისუფლებული სასამართლო უდანაშაულოს თავისუფლების გარანტიას მისცემს, ხოლო დამნაშავეს — სასჯელის. იგი სააკაშვილს სთავაზობს, უახლოეს 2-3 დღეში მკაფიოდ და ცალსახად განაცხადოს, უარს ამბობს თუ არა კონსტიტუციურ დიქტატურაზე და უჭერს თუ არა მხარს პარლამენტის თანხმობის გარეშე მთავრობის შეცვლის აკრძალვას.

ყოფილი მმართველი გუნდის უტიფარი საქციელი რომ ქართულ საზოგადოებას აღიზიანებს, ეს ნათლად ჩანს. ძალაუფლებას ჩაფრენილი სააკაშვილისა და მისი გუნდის გამომწვევი ნაბიჯები კიდევ უფრო აღრმავებს იმ უფსკრულს, რომელზეც პრემიერ-მინისტრი წერს. მიმართვის გამოქვეყნებისთანავე „ნაციონალთა“ სახეებმა ისეთი კვალიფიკაცია მისცეს მას, როგორიცაა „ბოლშევიკური ენა“, „ხალხის მტრების ძიება“, „კრიზისის გაღრმავება“ და ა.შ.

სინამდვილეში ამომრჩეველი დაიღალა პოლიტიკური კინკლაობით და კიდევ უფრო მეტად — ყოფილი მმართველი პარტიის მისწრაფებით, რაც შეიძლება მეტი საძალაუფლებო ბერკეტი შეინარჩუნოს. სასამართლო, რომელიც აშკარად მართვადი და მიკერძოებულია, წვრილმან დანაშაულზე წლების განმავლობაში პატიმრობას უსჯიდა, ხოლო მილიონების ქურდებს და მძიმე დანაშაულში ეჭვმიტანილებს დღეს გირაოთი ათავისუფლებს.

ივანიშვილის მიმართვა სწორედ სამართლიანობის აღდგენას ეხება. სააკაშვილი, რომელიც 9 წელიწადი მთელ ერს ულტიმატუმით ელაპარაკებოდა, დღეს კოაბიტაციასა და დემოკრატიას მოითხოვს. **კრიზისს სწორედ ის იწვევს, რომ ძველი ხელისუფლება არაფრის დათმობას არ აპირებს, ეს კი ახალ მთავრობას წამგებიან მდგომარეობაში აყენებს. პრემიერის მიმართვა ერთგვარი გაფრთხილებაა „ნაცმოძრაობისთვის“ — თუ იგი ქცევის სტილს არ შეცვლის და კვლავაც ხელს შეუშლის ნორმალურ პოლიტიკურ პროცესს, სასჯელი ყოფილი მმართველი ძალის ყველა წარმომადგენელზე განაწილდება. ეს არ არის ანგარიშსწორება. ეს კანონის უზენაესობაა!**

**თამარ დავითულიანი**

**ყველაზე ცუდი, რაც სააკაშვილის მოწინააღმდეგეებმა შეიძლება „ნაციონალებს“ გაუკეთონ, მათი აქციის სრული იგნორირებაა, მიუხედავად იმისა, რომ აქციას გამომწვევად (და შესაძლოა, სპეციალურად, რათა გამწარებული ხალხი ეცეს) იქ მართავენ, სადაც 7 ნოემბრისა და 26 მაისის დარბევა მოაწყვეს.**



დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ხვალ 19 აპრილია, ქვების სროლა ადვილია

**19 აპრილს, 16 საათზე „ნაციონალური მოძრაობა“ რუსთაველის გამზირზე, პარლამენტის შენობასთან ხალხმრავალი მიტინგის გამართვას გეგმავს. ისინი შეიკრიბებიან სწორედ იქ, სადაც 2007 წლის 7 ნოემბერს და 2011 წლის 26 მაისს სააკაშვილის ზონდერები (ჩვენ, ალბათ, არ გვაქვს მორალური უფლება, მოვიხსენიოთ იმ სადისტური დარბევების მონაწილეები „პოლიციელებად“ და მითუმეტეს „ოფიცრებად“) ოპოზიციონერ მომიტინგეებს ცემით კლავდნენ. ბევრი ადამიანისთვის „ნაციონალების“ შეკრება ამ ადგილას გამოიყურება, როგორც ცინიზმით გაჟღენთილი ნონსენსი, ლამის როგორც ნეონაცისტების ყრილობა ბუხენვალდში, მაგრამ მიუხედავად იმისა, როგორ შევაფასებთ ამ ფაქტს, მათი უფლება, გამართონ ეს აქცია, გარანტირებულია კონსტიტუციის 25-ე მუხლით და მხოლოდ ისღა დაგვრჩენია, შევეცადოთ, დავადგინოთ, რისთვის იკრიბებიან ისინი.**



19 აპრილი უახლეს ისტორიაში ტრაგიკულ მოვლენებს უკავშირდება. ამ დღეს, 1995-ში ოკლაჰომა-სიტიში მოხდა ტერორისტული აქტი, რომლის შედეგად 168 ადამიანი დაიღუპა, ხოლო 680-ზე მეტი დაიჭრა. ტერაქტის ორგანიზატორმა ტიმოტი მაკვეიმ განაცხადა, რომ ეს, სხვა ყველაფერთან ერთად, იყო შურისძიება ასევე 19 აპრილის (1993 წლის) მოვლენებისთვის, როდესაც ფედერალური საგამოძიებო ბიუროს ძალებმა ტეხასში სცადეს, შტურმით აეღოთ შენობა, რომელშიც რელიგიური სექტის — „დავითის რტოს“ წევრები გამაგრდნენ და ამას 70-ზე მეტი ადამიანის, მათ შორის ბავშვების, სიცოცხლე ემსხვერპლა. შეიძლება ითქვას, რომ ბოლო დროს 19 აპრილი გადაიქცა მანიაკალური იდეისთვის უდანაშაულო ადამიანების მსხვერპლშეწირვის დღედ და იმედია, „ნაციონალები“ ამ ნეგატიურ დატვირთვას კიდევ უფრო არ დაამძიმებენ, მიუხედავად იმისა, რომ არაერთი კომენტატორი საპირისპირო, ალარმისტულ ვარაუდებს გამოთქვამს.

**მათი პროგნოზები 19 აპრილის მიტინგთან დაკავშირებით შეიძლება სამ კატეგორიად დაიყოს: ა) „ნაციონალებს“ უბრალოდ უნდათ, თავი შეგვახსენონ და, შესაძლოა, საპრეზიდენტო კანდიდატი დაასახელონ; ბ) „ნაციონალები“ გაგმავენ მასშტაბურ პროვოკაციას, რათა საკუთარი თავი დევნილ, წამებულ ოპოზიციურ ძალად წარმოაჩინონ; გ) „ნაციონალები“ ამ დროისთვის სახელმწიფო გადატრიალების მოწყობას აპირებენ და ამ მიტინგის გამართვა (და პროვოკაცია, რომელიც შეიძლება მას დაუკავშირდეს) მათი გეგმის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია.**

როგორია მიტინგის დეკლარირებული მიზანი? „დღევანდელი ხელისუფლების ბუნდოვანი და არამკაფიო პოზიცია საქართველოს მომავალზე, საგარეო ორიენტაციაზე გვაძლევს საფუძველს, რომ კიდევ ერთხელ შევიკრიბოთ და ვუთხრათ მთავრობას: ჩვენი მომავალი არის ევროპული გზა და ჩვენი მომავალი არ არის უკან — რუსეთთან დაბრუნება, — განაცხადა ვანო მერაბიშვილმა, — მინდა, მოვიწვიო საქართველოს ყველა პატრიოტი, მიუხედავად მათი პარტიული კუთვნილებისა, რათა დღევანდელ ხელისუფლებას დავანახოთ, რომ ჩვენი და ჩვენი შვილების მომავალი სულერთი არ არის“. რაც შეეხება „გზას“, საინტერესოა, რომ აშშ-ის ელჩმა საქართველოში — რიჩარდ ნორლანდმა, როდესაც 19 აპრილის მიტინგზე კომენტარი გააკეთა, „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა: „ჩვენ არ გვაქვს საფუძველი, ვივარაუდოთ, რომ საქართველომ ამ გზას გადაუხვია“. ცხადია, მიუხედავად ამ განცხადებისა და იმისა, რომ „ქართული ოცნების“ კურსი მკვეთრად პროდასავლურია (რაც მისი ამომრჩევლების ნაწილს არ მოსწონს), მერაბიშვილს აქვს სრული უფლება, დაინახოს „გადახვევა გზიდან“ და გააპროტესტოს ის; ზოგიერთი ადამიანი გზებს და მოსახვევებს კი არა, უცხოპლანეტელებს და ჭინკებს ხედავს და მათ მოქმედებას აქტიურად აპროტესტებს, მაგრამ მათ არავინ ერჩის, ვიდრე ქვების სროლას არ დაიწყებენ. ზოგადად, ფობიებზე და არა ფაქტებზე დაფუძნებული პროტესტი საინტერესო რამ არის და ძველ დროში მას, როგორც წესი, რუსთაველის გამზირის ნაცვლად, ასათიანის ქუჩაზე გამოხატავდნენ, თუმცა ის მშვენიერი ეპოქა დასრულდა. ახლა სხვა სიტუაციაა — ერთნი საკუთარ ფობიაზე დაყრდნობით მიტინგებს მართავენ, მეორენი კი, საკუთარი ფობიის გადამკიდე, მათ დარაჯობენ, რათა აზარტში შესულებმა რამე უბედურება არ დაატრიალონ.

მერაბიშვილის მიერ სიტყვა „პატრიოტების“ გამოყენება შეიძლება შემთხვევითი არ იყოს, რადგან „ნაცმოძრაობის“ რებრენდინგის ერთ-ერთი ვარიანტი, სხვა ყველაფერთან ერთად, ითვალისწინებს მის გადაკეთებას „ერთიან პატრიოტულ მოძრაობად“ (სახელწოდება შეიძლება ოდნავ სხვანაირი იყოს, თუმცა მასში სიტყვა „პატრიოტები“ უნდა ფიგურირებდეს). პრინციპული მნიშვნელობა ამას, ალბათ, არ აქვს — თუ უნდათ, შეუძლიათ საკუთარ პარტიას „ჩამა ჩა მაპინდუზი“ უწოდონ, როგორც ეს მათმა ტანზანიელმა კოლეგებმა გააკეთეს, ეს ორი სათაური მაინც ვერაფერს შეცვლის.

მთავარი პრობლემა სულ სხვაა: **საზოგადოების დიდი ნაწილი არ ენდობა „ნაციონალურ მოძრაობას“, არ განიხილავს მას ლეგიტიმურ ოპოზიციურ პარტიად და თვლის, რომ მისი ხელმძღვანელები გადატრიალების მოწყობას გეგმავენ, რომ მათ არანაირი ზნეობრივი წინაღობა არ აბრკოლებს და არ მოერიდებიან არაფერს, მათ შორის საკუთარი მომხრეების გაწირვას იმისთვის, რომ საწადელს მიაღწიონ.**

2002 წლის 11 (კიდევ კარგი არა 19) აპრილს, ვენესუელის დედაქალაქ კარაკასში ერთ-ერთი მსხვილი პროფკავშირის მოწოდებით და ოპოზიციის აქიური მონაწილეობით საპროტესტო აქცია იმართებოდა, რომლის ორგანიზატორებმა მოულოდნელად შეცვალეს მსვლელობის მარშრუტი და პრეზიდენტის სასახლისკენ გაემართნენ, რომლის სიახლოვეს მისი მომხრეები მიტინგს მართავდნენ. როდესაც კოლონა სასახლეს მიუახლოვდა, დღემდე დაუდგენელმა სნაიპერებმა მას ცეცხლი გაუხსნეს. ოპოზიციურმა ტელეარხებმა აჩვენეს კადრები, რომლებშიც ჩანდა, როგორ ისვრიან პისტოლეტებიდან პრეზიდენტის მომხრეები, ისინი კი, თავის მხრივ, ირწმუნებოდნენ, რომ საპასუხო ცეცხლი გახსნეს, როდესაც სნაიპერებმა მათ ესროლეს. საბოლოოდ, ვერავინ ვერაფერი გაიგო, მაგრამ ამ სროლის შედეგად 20 მომიტინგე დაიღუპა, ხოლო 100-მდე დაიჭრა. ოპოზიციამ ეს ინციდენტი და მოსახლეობის აღშფოთება საბაბად გამოიყენა და ძალოვანების ნაწილთან ერთად სახელმწიფო გადატრილება მოაწყო, რომელიც წარუმატებლად დასრულდა, თუმცა ამას ამ კონტექსტში მნიშვნელობა არ აქვს, ჩვენ, ამჯერად პროვოკაციის ტექნოლოგია გვაინტერესებს (ვისაც დეტალების გაცნობა და კადრების ნახვა სურს, შეუძლია მოძებნოს ინტერნეტში ირლანდიელი დოკუმენტალისტების ფილმი „რევოლუციას ტელევიზიით არ აჩვენებენ“ და სხვა მასალები, რომლებიც ამ მოვლენებს ეხება). იყო უამრავი სხვა შემთხვევა, როდესაც ანალოგიური პროვოკაციისთვის ე. წ. უცნობი სნაიპერები გამოიყენეს. სნაიპერული შაშხანა ამ შემთხვევაში შეუცვლელი აქსესუარი არაა, ვიღაცამ შეიძლება რამდენიმე ხელყუმბარა ისროლოს ან სხვა ლეტალური საშუალება აამოქმედოს.

**თუ მსგავსი რამ 19 აპრილს თბილისში მოხდება, „ნაციონალური მოძრაობა“, როგორც მინიმუმი, ზიგიერთი უცხოელის და, შესაძლოა, ქართველის თვალში, წამებული ოპოზიციური პარტიის მანტიას მოირგებს, რომელსაც „სისხლიანი რეჟიმი ქუჩაში ხვრეტს“, ხოლო, როგორც მაქსიმუმი, სააკაშვილს მიეცემა საბაბი იმისთვის, რომ გადააყენოს შინაგან საქმეთა მინისტრი ან მთავრობა სრული შემადგენლობით, თუ ამ დროისთვის დღესდღეობით კონსტიტუციაში ჩადებულ ამ უფლებას არ წაართმევენ.** ამგვარად, ამ შემთხვევაში ჩვენ განვიხილავთ ვარიანტებს „ბ“ და „გ“, რომლებიც ზემოთ ვახსენეთ.

რა გვიცავს მოვლენების ამ სცენარით განვითარებისგან? პოლიციის პროფესიონალიზმი? ზოგადეროვნული კეთილგონიერება? იქნებ მიხეილ სააკაშვილის ზნეობრივი პრინციპები, რომლებიც შესაძლებლობას არ მისცემენ, მსგავსი პროვოკაციის მოწყობის საიდუმლო ბრძანება გასცეს და თანამემამულეების სისხლი დაღვაროს? ბოლო წლების გამოცდილება ცხადყოფს, რომ ვერც ერთ ამ ფაქტორს 100%-იან გარანტიად ვერ განვიხილავთ.

იმ მოვლენებიდან, რომლებიც მსოფლიოში მსგავსი სცენარის მიხედვით განვითარდა, ჩვენთვის, ალბათ, განსაკუთრებით საყურადღებო სწორედ „ვენესუელური ვარიანტია“, რადგან ქუჩაში 19 აპრილს, დიდი ალბათობით, გამოვლენ არა მხოლოდ „ნაცმომიტინგეები“ და პოლიციელები, რომლებმაც მათი აქციის უსაფრთხოება უნდა უზრუნველყონ, არამედ სააკაშვილის მოწინააღმდეგეებიც, რათა პროტესტი გამოუცხადონ „ნაცმოძრაობას“ იმ ადგილას, სადაც მან წინა წლებში ამდენი უბედურება დაატრიალა. შეიძლება მოხდეს შეხლა-შემოხლა, როგორც 8 თებერვალს ეროვნულ ბიბლიოთეკასთან, ოღონდ გაცილებით დიდი მასშტაბით და შეიქმნება თითქმის იდეალური პირობები იმ ტიპის პროვოკაციისთვის, რომელიც კარაკასში მოაწყვეს.

**ძალიან ძნელია, სთხოვო თავშეკავება ადამიანებს, რომლებიც სააკაშვილის რეჟიმმა გააუბედურა, მაგრამ ეს, ალბათ, ის შემთხვევაა, როდესაც მათ საკუთარ ემოციებზე და უდავოდ სამართლიან პროტესტზე მაღლა ქვეყნის ინტერესები უნდა დააყენონ და გააკეთონ ყველაფერი იმისთვის, რომ პროვოკაციის შესაძლებლობა მინიმუმამდე დავიდეს.**

არის ერთი, ზომიერად ძველი ტელესერიალი, რომელიც ბრიტანული მითოლოგიის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟის, მერლინის, თავგადასავლებს ეძღვნება. მასში, კაცმა რომ თქვას, არაფერია განსაკუთრებული ფინალური სცენის გარდა; მთელი ფილმის განმავლობაში მერლინი ებრძვის ბოროტ ღვთაებას, ბოლოს დაამარცხებს მას და ზღვა ხალხთან ერთად მის უკანასკნელ თავშესაფარს მიადგება. „მიდი, ხმალი დამარტყი, მომკალი“, — ეუბნება ის, მერლინი კი პასუხობს: „არა. ჩვენ არ მოგკლავთ, ჩვენ დაგივიწყებთ...“, მერე ზურგს შეაქცევს და მეგობრებთან ერთად იქაურობას დატოვებს. იმ ბოროტი ღვთაებისთვის თავისი ჯადოსნური ხმალი რომ დაერტყა, ალბათ, არსებობას გაუხანგრძლივებდა, რადგან მის სიცოცხლეს და ძლიერებას სულ სხვა, არადამიანური ლოგიკა და კანონზომიერება კვებავდა, მაგრამ მერლინმა იპოვა ხერხი, რომლის გამოყენებით ის საბოლოოდ მოსპო. ალბათ, არის ამ ისტორიაში რაღაც, რაზეც, ქართული პოლიტიკის გადამკიდე, დაფიქრება ღირს.

19 აპრილს (სხვათა შორის, გაჩნდა ვერსია, რომ ამხელა მოსამზადებელი ვადის გამოცხადება სააკაშვილის ჯგუფს კალენდარულად უფრო ახლო მოვლენების შესანიღბად, ყურადღების გადასატანად დასჭირდა) ხელისუფლებამ, ალბათ, უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომები უნდა მიიღოს, რათა პროვოკაციის შესაძლებლობა გამორიცხოს. სხვა მხრივ, ამ თავყრილობას განსაკუთრებული ყურადღება, ალბათ, არ უნდა მივაქციოთ. ჩაატარონ მიტინგი, მიიღონ რეზოლუცია და, ვისაც აინტერესებს, მას აუცილებლად გაეცნობა. **ყველაზე ცუდი, რაც სააკაშვილის მოწინააღმდეგეებმა შეიძლება „ნაციონალებს“ გაუკეთონ, მათი აქციის სრული იგნორირებაა, მიუხედავად იმისა, რომ აქციას გამომწვევად (და შესაძლოა, სპეციალურად, რათა გამწარებული ხალხი ეცეს) იქ მართავენ, სადაც 7 ნოემბრისა და 26 მაისის დარბევა მოაწყვეს.**

**სააკაშვილის ჯგუფს არ აქვს პოლიტიკური და ძალისმიერი რესურსი სახელმწიფო გადატრიალებისთვის** (ვარიანტი „გ“), **მისი შესაძლებლობების მაქსიმუმი, ალბათ, მაინც წამებულის მანტიის მორგებით** („ბ“ ვარიანტით) **ამოიწურება.** სასურველია, შეიქმნას ყველა წინაპირობა იმისთვის, რომ სისხლიანი პროვოკაციის მოწყობა აზრადაც არავინ გაივლოს, მაგრამ თუ გაივლებს, ეს ვერ მოახერხოს. ამ შემთხვევაში „ნაციონალები“ 19 აპრილს რუსთაველზე მარტონი, საკუთარი წარსულის პირისპირ დარჩებიან.

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გამოძიება მიხეილ სააკაშვილთან ძალიან ახლოს მივიდა. გამორიცხული არაა, იგივე სხვა საქმეებთან დაკავშირებითაც მოხდეს. ბევრი რამ დამოკიდებული იქნება იმაზე, რას იტყვიან მოწმეები და ამ კონტექსტში, ალბათ, მიზანშეწონილია, დავუბრუნდეთ ჩაშლილ (თუ შეჩერებულ; სრული სიცხადე ამასთან დაკავშირებით არ არსებობს) მოლაპარაკებებს „ქართულ ოცნებასა" და „ნაციონალურ მოძრაობას" შორის; ხომ არ იჩქარა სააკაშვილის ჯგუფმა და ხომ არ დაამძიმა საკუთარი პერსპექტივა, როდესაც მმართველ პარტიას კომპრომისულ წინადადებებზე ხელი აუკრა?**



# ამნისტია თუ გილიოტინა?

**გასულ კვირას თბილისის მერს, გიგი უგულავას, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა ბრალდება წაუყენა. სააკაშვილის რეჟიმის თავკაცების გასამართლების შესაძლებლობა, რომელიც ადრე, ყველაფრის მიუხედავად, მაინც ბუნდოვან პერსპექტივასთან დაკავშირებულ აბსტრაქციად განიხილებოდა, სავსებით რეალური და ხელშესახები გახდა. ეს მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური ნიუანსია. შეიძლება ითქვას, რომ გადაილახა რუბიკონი და დაიწყო პროცესი, რომლის შეჩერება საკმაოდ რთული იქნება. რა გავლენას მოახდენს „უგულავას საქმე" ქართულ პოლიტიკასა და საზოგადოების განწყობაზე?**

## რა უნდოდა ფვენებში?

ბრალდება, რომელიც უგულავას წაუყენეს, ორ ეპიზოდს მოიცავს. ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური აცხადებს, რომ, ფაქტობრივად, გახსნილია „ტელეკომპანია „იმედის" ხელში ჩაგდების დანაშაულებრივი სქემა და უტყუარად დადასტურებულია, რომ მისი განხორციელების ერთ-ერთი მთავარი მონაწილე სწორედ გიორგი უგულავა იყო. კერძოდ, **2008 წლის მდგომარეობით, შპს „ტელეიმედის" საკონტროლო წილის მფლობელი ჯოზეფ კეი იყო, რომელსაც იმ დროისთვის ტელეკომპანიის ფუნქციონირებისთვის დახარჯული ჰქონდა 10 მლნ აშშ დოლარი. ხელისუფლების სახელით ჯოზეფ კეის თავდაცვის ყოფილი მინისტრი დავით კეზერაშვილი შეხვდა და პირდაპირი მუქარით დაიყოლია „ტელეიმედის" დათმობაზე, ერთადერთი პირობით, რომ მას გიორგი უგულავა აუნაზღაურებდა მის მიერ გაწეული 10 მლნ აშშ დოლარის ოდენობის ხარჯებს. გიორგი უგულავას მითითებით, ჯოზეფ კეიმ თავისი წილი გადასცა დავით კეზერაშვილის კონტროლს დაქვემდებარებულ, პანამაში რეგისტრირებულ კომპანია „ბორდექს ლიმიტედ"-ს, ხოლო თანხის გადახდა განხორციელდა შემდეგი გეგმით: გიორგი უგულავა მოელაპარაკა შპს „ახალი რიყის" მესაკუთრეებს, რომ მათ მიერ 2006 წელს 7 მილიონ აშშ დოლარად შეძენილ რიყის ტერიტორიას მერია ვითომდა 17 მილიონ აშშ დოლარად უკან გამოისყიდდა, საიდანაც 10 მილიონი აშშ დოლარი გათვალისწინებული იყო ჯოზეფ კეისთვის გადასაცემათ. ქალაქის მერიამ 2008 წლის 29 დეკემბერს თბილისის მთავრობის სახელით გამოსცა დადგენილება, რომლის საფუძველზეც თბილისის მერიის მიერ დაფუძნებული „ძველი ქალაქის რეაბილიტაციის და განვითარების ფონდიდან", რიყის ტერიტორიის უკან გამოსყიდვის მიზნით, შპს „ახალ რიყეს" გადაერიცხა 17 მილიონი აშშ დოლარი. ამის შემდეგ შპს „ახალი რიყეს" ხელმძღვანელობასა და ჯოზეფ კეის კომპანია „ლეიქბროუ ლიმიტედს"-ს შორის გაფორმდა ფიქტიური ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც შპს „ახალი რიყეს" საბანკო ანგარიშიდან ჯოზეფ კეის კომპანიას ჩაერიცხა 8 811 189 აშშ დოლარი, ანუ ტელეკომპანია „იმედი" მისაკუთრებული იქნა ბიუჯეტის კუთვნილი თანხების მითვისებისა და შემდგომი გათეთრების გზით".**

საინტერესოა, რომ ამ საქმეში მიხეილ სააკაშვილიც ფიგურირებს. ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა გაავრცელა ამონარიდი ჯოზეფ ქეის ჩვენებიდან, სადაც ის სააკაშვილზე შემდეგს ამბობს: „მან ტელეფონში მითხრა, რომ ტელევიზია უნდა დამეთმო: ჩათვალე, რომ მე მაძლევ „ტელეიმედს", გონივრულად თუ მოიქცევი, ჩვენი მეგობრობა ამის შემდგომაც გაგრძელდება. უბრალოდ, ტელევიზია უნდა მომცე მე და კეზერა, რასაც გეტყვის, დაუჯერე. ჩათვალე, ეგ რასაც გეუბნება, გეუბნები მე, და ტელეფონი გამითიშა".

რაც შეეხება **მეორე ეპიზოდს**, რომელსაც ერთმა ენამოსწრებულმა ადვოკატმა **„სათადარიგო"** უწოდა, საგამოძიებო სამსახურის ცნობით, საქმე ეხება **„საბიუჯეტო თანხების გამოყენებით პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" საქმიანობის თვალთმაქცურ დაფინანსებას**, რომლის ორგანიზატორი ასევე გიორგი უგულავა იყო. კერძოდ, მისი დავალებით 2009 წლის 31 დეკემბერს შპს „თბილსერვის ჯგუფ"-ში, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" აქტივისტებისთვის ფულის დარიგების მიზნით, სპეციალურად **შეიქმნა „საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება", სადაც ფიქტიურად გაფორმდა 764 აქტივისტი — ე.წ. პარტიული კოორდინატორი. უმეტესობას ამ სამსახურში არც ერთი დღე არ უმუშავნია და ეწეოდა პარტიულ საქმიანობას, თუმცა დედაქალაქის ბიუჯეტისთვის განკუთვნილი ასიგნებებიდან მათ ხელფასის სახით 4 130 728 ლარი დაერიცხათ".**

თუ რამდენად დამაჯერებელია მტკიცებულებები, რომელთაც ეს მძიმე ბრალდებები ეფუძნება, საბოლოოდ სასამართლო დაადგენს. ის, რომ მან არ დააკმაყოფილა პროკურატურის შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიებასთან დაკავშირებით, არ ნიშნავს, რომ განაჩენიც გამამართლებელი იქნება, როგორც არაერთმა მოქალაქემ ჩათვალა. ისე, თუ მთავარი პროკურორი არჩილ კბილაშვილი ამ პროცესის დროს ვერ ივარგებს, „ქართული ოცნების" ისედაც გაღიზიანებული მხარდამჭერები მას, სავარაუდოდ, ღიად დაუპირისპირდებიან. ჯერჯერობით კი, ალბათ, **მიზანშეწონილია დაფიქრება იმაზე, შეძლებს თუ არა „ნაცმოძრაობა", ეს საქმე ე. წ. პოლიტიკური დევნის კამპანიის ნაწილად წარმოაჩინოს და დასავლეთში გულშემატკივრები დარაზმოს.**

ეს, სავარაუდოდ, არც ისე იოლი იქნება, რადგან საუბარი ხელისუფლების მიერ დამოუკიდებელი ტელეკომპანიის ხელში ჩაგდებას შეეხება, თანაც იმ კომპანიის, რომელიც 2007 წლის 7 ნოემბერს სააკაშვილის პოლიციამ დაარბია და ეს კადრები მთელმა მსოფლიომ ნახა. ყველასათვის ცნობილია, რომ სააკაშვილის ხელისუფლებას „იმედი" ლატარეაში არ მოუგია და კომბინაცია, რომლის შემდეგ მას დაეპატრონა, როგორც მინიმუმი, ბუნდოვანი იყო; ამას ემატება ბრალდება ბიუჯეტში ხელის ფათურთან დაკავშირებით. ამის გათვალისწინებით, სააკაშვილის ძველი პარტნიორებისთვის დასავლეთში შედარებით რთული იქნება იმის მტკიცება, რომ ▶



## «ივანიშვილს ვურჩევ, ყველა დამნაშავე დაისაჯოს»

**პარტია „თავისუფალი საქართველოს" ლიდერს, კახა კუკავას, საქართველოს პრემიერ-მინისტრის ტაქტიკა „ნაციონალურ მოძრაობასთან" დაკავშირებით არ მოსწონს და მიიჩნევს, რომ ყოფილ სახელისუფლო პარტიასთან ლოიალური პოლიტიკა წამგებიანია.**

„მე რომ მეკითხებოდეს ხელისუფლება, ვურჩევდი, გატარდეს კანონით გათვალისწინებული რეპრესიები „ნაციონალური მოძრაობის" წინააღმდეგ — **ყველა დამნაშავე დაისაჯოს**, რომელი პარტიის წევრიც არ უნდა იყოს ის და არც ერთი უდანაშაულო არ დაისაჯოს. იმ ფორმებით ურთიერთობა, რომ ღია წერილით პრემიერმა მიხეილ სააკაშვილს მიმართა და მიხეილ სააკაშვილი დაალაიქებს ამ პოსტს თუ არა, ამას რომ ველოდოთ, ეს არასწორია", — განაცხადა კახა კუკავამ.



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# იმის მოთხოვნა (შენილბულად თუ პირდაპირ, მნიშვნელობა არ აქვს), რომ ამა თუ იმ პარტიის წევრებს ჰქონდეთ იმუნიტეტი დაკითხვისგან, კაცობრიობის ისტორიაში უპრეცედენტოა. ასეთი რამ აზრად გერმანელ ნაცისტებსაც კი არ მოსვლიათ.

◀ გამოძიებისა და სასამართლოს მოქმედების უკან პოლიტიკური მოტივები დგას. აღსანიშნავია, რომ გადამწყვეტ მომენტში იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი ვიზიტით შეერთებულ შტატებში იმყოფებოდა და, სავარაუდოდ, მზად იყო, დაინტერესებული პირებისთვის, ასე ვთქვათ, „რეალურ დროში“ დამატებითი განმარტებები მიეცა.

რა თქმა უნდა, შეიძლება ყველაფერი მოხდეს, მაგალითად, ჯოზეფ ქეიმ ჩვენება შეცვალოს ან საქმეში ახალი, უგულავასთვის პოზიტიური გარემოებები გამოიკვეთოს, მაგრამ ამ ეტაპზე „ნაციონალების“ პროპაგანდისთვის (შეიძლება პარადოქსულად გაიჟღეროს, მაგრამ ასეა) უფრო პერსპექტიულად ბაჩო ახალაიას და ზოგიერთი სხვა ყოფილი მაღალჩინოსნის საქმე გამოიყურება.

**გამოძიება მიხეილ სააკაშვილთან ძალიან ახლოს მივიდა. გამორიცხული არაა, იგივე სხვა საქმეებთან დაკავშირებითაც მოხდეს. ბევრი რამ დამოკიდებული იქნება იმაზე, რას იტყვიან მოწმეები და ამ კონტექსტში, ალბათ, მიზანშეწონილია, დავუბრუნდეთ ჩაშლილ (თუ შეჩერებულ; სრული სიცხადე ამასთან დაკავშირებით არ არსებობს) მოლაპარაკებებს „ქართულ ოცნებასა“ და „ნაციონალურ მოძრაობას“ შორის; ხომ არ იჩქარა სააკაშვილის ჯგუფმა და ხომ არ დაამძიმა საკუთარი პერსპექტივა, როდესაც მმართველ პარტიას კომპრომისულ წინადადებებზე ხელი აუკრა?**

## სავაჭრო დახლი – ეშაფოტზე

აშშ-ის ელჩი საქართველოში, რიჩარდ ნორლანდი, სავსებით მართალია, როდესაც ამბობს, რომ მხარეებმა სადავო საკითხების 90% შეათანხმეს, თუმცა, ალბათ, ისიც უნდა ითქვას, რომ დარჩენილ 10%-ს საკვანძო, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ხელშეუხებლობა, ერთგვარი იმუნიტეტი სამართლებრივი დევნისგან, „ნაციონალებისთვის“, სავარაუდოდ, მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პარლამენტის თავმჯდომარის ინფორმაციით, „ნაციონალებმა“ მოითხოვეს **„უპირობო და სრული ამნისტია ყველა საჯარო მოხელისთვის (პრეზიდენტიდან მუნიციპალიტეტის რიგით თანამშრომლამდე) 2012 წლის 1 ნოემბრამდე ჩადენილი ყველა დანაშაულისთვის, გარდა ძალადობრივი, კონსტიტუციური წყობილების წინააღმდეგ მიმართული და სხვა მსგავსი მძიმე დანაშაულებებისა“.** ის, რომ მათ სცადეს ამ საკითხის მიბმა პოლიტიკურ დიალოგზე საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით, თავისთავად სიმპტომატურია. ამის საპასუხოდ, ახალმა ხელისუფლებამ 17 თებერვალს „ნაციონალებს“ შესთავაზა უპირობო და სრული ამნისტია საშუალო და ქვედა რგოლის საჯარო მოხელეებისთვის 2012 წლის 1 ოქტომბრამდე ჩადენილი ყველა დანაშაულისთვის (გარდა ძალადობრივისა და ა. შ.), და ნაწილობრივი ამნისტია მაღალი რანგის თანამდებობის პირებისთვის, რომლის მიხედვითაც ისინი გათავისუფლდებოდნენ სისხლის სამართლებრივი სასჯელისგან დანაშაულის აღიარებისა და 5 წლამდე ვადით საჯარო სამსახურში ყოფნის აკრძალვის პირობით (პრეზიდენტი, პარლამენტის წევრები, მინისტრები და მათი მოადგილეები, სამინისტროების მსხვილი სტრუქტურების ხელმძღვანელები, გუბერნატორები, გამგებლები, მათი მოადგილეები, იუსტიციის საბჭოსა და სხვა მსგავსი ცენტრალური სტრუქტურების წევრები, საკრებულოების თანამდებობის პირები, მოსამართლეები, პროკურატურის მაღალი თანამდებობის პირები და ინტერესთა კონფლიქტის შესახებ კანონით განსაზღვრული სხვა თანამდებობის პირები). მაგრამ **„ნაციონალებმა“ მოითხოვეს სრული და უპირობო ამნისტია ყველასთვის, გარდა პრეზიდენტისა, მინისტრებისა და პარლამენტის წევრებისა, 2012 წლის 1 ოქტომბრამდე ჩადენილი ყველა დანაშაულისთვის** (გარდა ძალადობრივი და ა.შ.) და განაცხადეს, რომ ამ საკითხის გადაწყვეტაზე კონსტიტუციის შეცვლას არ დათანხმდებიან (ყველა დანარჩენ საკითხზე მხარეებმა კონსენსუსს მიაღწიეს).

ჩვენ ვხედავთ, რომ განხეთქილების ვაშლად იქცნენ მაღალი რანგის თანამდებობის პირები (მინისტრის მოადგილეები და სხვ.), სწორედ ეს ადამიანები წარმოადგენენ ხოლმე დამაკავშირებელ რგოლს დანაშაულებრივი ბრძანების გამცემსა და მის უშუალო შემსრულებელს შორის და, თეორიულად, შეიძლება იქცნენ მოწმეებად, რომლებიც თავიანთი ჩვენებებით ხელისუფლების უმაღლესი პირების ბრალეულობას დაადასტურებენ. მათთვის ნებისმიერი სახის იმუნიტეტის მინიჭება სააკაშვილის და მისი ახლო გარემოცვის ბრალეულობის დამტკიცებას მნიშვნელოვნად გაართულებს (ისევ და ისევ თეორიულად; ჩვენ უდანაშაულობის პრეზუმპციიდან უნდა ამოვიდეთ).

მიხეილ სააკაშვილი უარყოფს იმას რომ მოლაპარაკებებზე „ნაციონალები“ ხელშეუხებლობის გარანტიას ითხოვდნენ და ამბობს, რომ სიტყვა „ამნისტია“ მისთვის შეურაცხმყოფელია. **„ერთადერთი, რასაც ჩვენ ვამბობთ, არის ის, რომ შეწყდეს მასშტაბური პოლიტიკური დევნა ათი ათასობით ადამიანისა, რომელიც ამდენი წლის განმავლობაში უანგაროდ ემსახურებოდა ქართული სახელმწიფოს შექმნას“,** — განაცხადა სააკაშვილმა.



## იმის მოთხოვნა (შენილბულად თუ პირდაპირ, მნიშვნელობა არ აქვს), რომ ამა თუ იმ პარტიის წევრებს ჰქონდეთ იმუნიტეტი დაკითხვისგან, კაცობრიობის ისტორიაში უპრეცედენტოა

როგორც მოგვიანებით „ნაცმოძრაობის“ ლიდერების (მაგალითად, გიორგი ვაშაძის) თანმდევი კომენტარებიდან გაირკვა, **„დევნაში“ იგულისხმებოდა არა დაპატიმრება, გასამართლება და ა. შ. (ათი ათასობით ადამიანი არავის დაუპატიმრებია), არამედ დაკითხვაზე დაბარება (მაგალითად, „თბილსერვის ჯგუფის“ ამბებთან დაკავშირებით).**

ეს რაღაც ახალია სამართლის ისტორიაში; გაუგებარია, როდის აქეთ გახდა დემოკრატიულ (ან თუნდაც ნაწილობრივ დემოკრატიულ) სახელმწიფოში დაკითხვა დევნის ან რეპრესიების ნიშანი, ის ხომ ადამიანს დამნაშავის სტატუსს არ ანიჭებს. **იმის მოთხოვნა (შენილბულად თუ პირდაპირ, მნიშვნელობა არ აქვს), რომ ამა თუ იმ პარტიის წევრებს ჰქონდეთ იმუნიტეტი დაკითხვისგან, კაცობრიობის ისტორიაში უპრეცედენტოა. ასეთი რამ აზრად გერმანელ ნაცისტებსაც კი არ მოსვლიათ,** რომლებსაც საკუთარ პარტიაზე მზე და მთვარე ამოსდიოდათ. ცხადია, ჩვენ ვერ გამოვრიცხავთ, რომ რიგით „ნაციონალებს“ ეშინიათ დაკითხვების და ეს, სავარაუდოდ, იმ მეთოდებიდან მოდის, რომლებიც საგამოძიებო პრაქტიკაში სააკაშვილის რეჟიმმა დანერგა. ალბათ, სასურველია, არასამთავრობო ორგანიზაციებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ იმას, რომ ამ დაკითხვების დროს ყველა ნორმა და პროცედურა დაცული იქნას, რაც ხელს შეუწყობს შიშის განეიტრალებას და ამ რიგითი (ან „სერჟანტი“) „ნაციონალების“ ნაყოფიერ თანამშრომლობას გამოძიებასთან, რის სურვილსაც, არაოფიციალური ინფორმაციით, არაერთი მათგანი გამოხატავს.

მოლაპარაკების შეწყვეტის შემდეგ დავით უსუფაშვილმა განაცხადა, რომ უახლოეს დღეებში შემუშავდება კანონპროექტი, რომელიც ამნისტიას 17 თებერვალს გაჟღერებულ (იხ. ზემოთ) პრინციპებზე დააფუძნებს. მათი ზედაპირული ანალიზიც კი, 99% ალბათობით, მიგვიყვანს დასკვნამდე, რომ **პარლამენტის გადაწყვეტილება იქნება მაქსიმალურად ლმობიერი დაბალი და საშუალო რგოლის ჩინოვნიკების მიმართ** (ეს არ შეეხება მათ, ვინც ძალადობრივი დანაშაული ჩაიდინა), მაგრამ ამავე დროს ის შექმნის თითქმის იდეალურ პირობებს იმისთვის, რომ **უმაღლესი რანგის პირების წინააღმდეგ მაქსიმალური რაოდენობისა და ხარისხის მტკიცებულება შეგროვდეს. ამ კანონის მიღების შემდეგ სააკაშვილისა და მისი უახლოესი გარემოცვის მდგომარეობა შეიძლება მნიშვნელოვნად გართულდეს.**

## დროა, ჩამოვყალიბდეთ

„ნაცამნისტიის კანონის“ (პირობითად ასე ვუწოდოთ, ვიდრე ზუსტ სახელწოდებას შევიტყობთ) მიღება „ქართული ოცნების“ არაერთ ამომრჩეველს გააღიზიანებს, ვინაიდან ისინი პრინციპულად ეწინააღმდეგებიან მართლმსაჯულების რაიმე სახით შეზღუდვას, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ ახლო მომავალში რკალი სააკაშვილის რეჟიმის პირველი პირების გარშემო, სავარაუდოდ, კიდევ უფრო შევიწროვდება, ეს მათ ყურადღებას ნაწილობრივ მაინც ამ მიმართულებით გადაიტანს. მაგრამ ეს ადამიანები, მათი განწყობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, არ დამშვიდდებიან მანამ, სანამ მიხეილ სააკაშვილს და მის უახლოეს თანამეინახეებს განსასჯელთა სკამზე არ იხილავენ (მოხდება ეს თუ არა, სხვა საკითხია). მათი განწყობა ქმნის შესაბამის ფსიქოლოგიურ ფონს, რომელიც ქართულ პოლიტიკაში საკმაოდ მნიშვნელოვან, ანგარიშგასაწევ ფაქტორად იქცა.

საინტერესოა, როგორ შეაფასებენ ეს მოქალაქეები იმ პრინციპს, რომელსაც კანონპროექტი ითვალისწინებს — **„პატიება დანაშაულის აღიარების სანაცვლოდ“.** რამდენად მისაღები იქნება ის მათთვის? აპარტეიდის რეჟიმის დაცემის შემდეგ ეს მიდგომა ფართოდ გამოიყენებოდა სამხრეთ აფრიკაში და ახალმა ხელისუფლებამ აამოქმედა მთელი პროგრამა, რომელიც ემსახურებოდა იმას, რომ მოსახლეობის უმრავლესობამ ეს პრინციპი მისაღებად და, საბოლოო ჯამში, საუკეთესოდ ჩათვალოს. ივანიშვილის ხელისუფლებამაც, ალბათ, იგივე უნდა გააკეთოს, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, საზოგადოების მნიშვნელოვანმა ნაწილმა შეიძლება ელემენტარულად ვერ გაუგოს და სამართლიანობის აღდგენის ალტერნატიული გზების ძიება დაიწყოს. **სასურველია, ხელისუფლებამ ამ საკითხთან დაკავშირებით სიფრთხილე და წინდახედულობა გამოავლინოს. მნიშვნელოვანი დახმარების აღმოჩენა მისთვის ამ საკითხის მოგვარებაში, ალბათ, ეკლესიას შეუძლია.**

იურიდიული პრინციპი ერთია, ხოლო მიტევება სულ სხვა, ინდივიდუალური რამ. ზოგი უკვე დღეს თანახმაა, ქვეყნის ყოფილ მმართველებს ყველაფერი აპატიოს, ზოგი კი არავის არაფერს შეუნდობს იმ შემთხვევაშიც კი, თუ მიხეილ სააკაშვილი თავის პარტიულ აქტივთან ერთად ფეხშიშველი დაივლის ყველა ადგილს, სადაც კი მისმა რეჟიმმა ადამიანები დახოცა და აწამა, დაიჩოქებს და ერს პატიებას სთხოვს. ამ ფაქტორს თითქოსდა პოლიტიკური მნიშვნელობა არ აქვს, თუმცა სწორედ აზრთა მკვეთრი სხვაობა ამ საკითხთან მიმართებაში სააკაშვილის მოწინააღმდეგეებს შორის სამოქალაქო მშვიდობას, ეროვნულ თანხმობას და მათთან დაკავშირებულ ყველა სიკეთეს გვაშორებს. ალბათ, უნდა მოიძებნოს პრინციპი, რომელიც ნაწილობრივ მაინც ყველას დააკმაყოფილებს და ეროვნული კონსენსუსის საფუძველი გახდება.

## «პატიება დანაშაულის აღიარების სანაცვლოდ» — მნიშვნელოვანი დახმარების აღმოჩენა ხელისუფლებისთვის ამ საკითხის მოგვარებაში, ალბათ, ეკლესიას შეუძლია

**დიმიტრი მონიავა**



## «ახალაია მავალებდა, მეთქვა, რომ პატრიარქი და მეუფე იობი გადატრიალებას ამზადებდნენ»

**მედიაკავშირ „ობიექტივის“ პირდაპირ ეთერში ყოფილი პატიმრის, გოდერძი ჯოლოყავას, სკანდალური ინტერვიუ გავიდა, რომელიც ჟურნალისტმა ირმა ინაშვილმა ჩაიწერა. ჯოლოყავამ ინტერვიუ „ობიექტივს“ სამი კვირის წინ მისცა.** იმის გამო, რომ რესპონდენტი სკანდალურ ფაქტებზე საუბრობს, მოწმის დასაცავად მედიაკავშირში საჭირო ზომები მიიღეს. ყოფილი პატიმარი ციხეში არსებულ ძალადობაზე ყვება და კონკრეტულ ფაქტებს ასახელებს, თუ როგორ ავალებდა ბაჩო ახალაია პატიმრებს სხვა პატიმრებზე ზეწოლას აღიარებითი ჩვენებების მოსაპოვებლად და ზოგჯერ მათ მოკვლასაც კი.



ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„აზრი არ აქვს საიდუმლო გრიფის ახსნას ამ დოკუმენტებისთვის, რადგან, რაც მართლა საიდუმლო და სკანდალური იყო, ყველა ის დოკუმენტი „ნაციონალებმა“ არჩევნების წაგებისთანავე გაანადგურეს. ახლა გინდ ახადონ ეგ გრიფი და გინდ არა, ერთი ფასი აქვს.“



ზურაბ ხუბულაშვილი:

# «ნაციონალებს» ყველაფერი მზად აქვთ იმისთვის, რომ სამოქალაქო ომი დაიწყონ!

**ზურაბ ხუბულაშვილი, მიხეილ სააკაშვილის რეჟიმის კიდევ ერთი მსხვერპლი, ყოფილი პოლიტპატიმარია. იგი 2011 წლის 26 მაისის მოვლენების შემდეგ დააკავეს და შეთითხნილი ბრალდებით 1 წელი ციხე, 3 წელი კი პირობითი სასჯელი მიუსაჯეს. ყოფილი პოლიტპატიმარი ციხიდან გამოსვლისთანავე აქტიურად ჩაება პოლიტიკურ პროცესებში. დღეს იგი შემაშფოთებელ განცხადებას აკეთებს. ხუბულაშვილის მტკიცებით, „ნაციონალური მოძრაობა“ მარტში ან აპრილში ქვეყანაში არეულობას გეგმავს და სამოქალაქო ომსაც არ მოერიდება. ცხადია, ზურაბ ხუბულაშვილს ამ ვარაუდის გასამყარებლად კონკრეტული ფაქტები და არგუმენტები გააჩნია.**



გიორგი ფეიქრიშვილი



გიორგი გოზალიშვილი

**ლილუაშვილი იმდენად სჭირდებათ «ნაციონალებს», რომ 2 მაჟორიტარ დეპუტატში გაცვალეს**

**— ბატონო ზურაბ, რატომ ფიქრობთ, რომ „ნაციონალები“ შეძლებენ ქვეყანაში დესტაბილიზაციის გამოწვევას? ბევრს მიაჩნია, რომ მათ დაძახილზე მხოლოდ რამდენიმე — ჰა, ჰა, 10 ათასი კაცი შეიძლება გამოვიდეს ქუჩაში, ისიც — მათივე ოჯახის წევრები და ნათესავები.**

— ასე მარტივად არ არის საქმე, მათ საკმაოდ სოლიდური რესურსი გააჩნიათ საიმისოდ, რომ სერიოზული დესტაბილიზაცია გამოიწვიონ ქვეყანაში, სამოქალაქო დაპირისპირებამდე მიიყვანონ საქმე. მეტიც — „ნაციონალები“ სწორედ რომ მიზანმიმართულად, ნაბიჯ-ნაბიჯ, მეთოდურად ემზადებიან სამოქალაქო ომისთვის.

**— ქვეყანაში სიტუაციის ასარევად რა რესურსი გააჩნია სააკაშვილის გუნდს?**

— ყველანაირი რესურსი, რომელიც ამ ბინძურ მიზანს სჭირდება, ჯერჯერობით ისევ მათ ხელთაა. დავიწყოთ იმით, თუ რატომ გეგმავენ ამ ყველაფერს მარტში ან აპრილში. პოლიტიკურ მოტივებს თავი რომ დავანებოთ, ამ დროს **სოციალური ფონი მოსახლეობაში განსაკუთრებით მძიმდება, ბიძინა ივანიშვილის მთავრობას ჯერ არც ერთი მნიშვნელოვანი სოციალური პროექტი არ განუხორციელებია, რომლებიც მცირე შვებას მაინც მისცემდა ხალხს. თუ დააკვირდით, ბენზინი გაიაფდა, მაგრამ ისევ ძველებურად ძვირდება. იგივე ითქმის მედიკამენტებზეც — მათზე დროებით დაწეული ფასები ისევ მაღლა გარბის. მოკლედ, სოციალური ფონი ისეთი იქნება, უკეთესს ვერ ინატრებენ „ნაციონალები“.** ამას დავუმატოთ გაუარესებული კრიმინოგენური სიტუაცია. სააკაშვილმა არჩევნების წაგების შემდეგ ციხიდან ის კრიმინალები გამოუშვა, რომლებიც მისი გუნდის კონტროლქვეშ არიან, კუდ-ის და სოდ-ის ყოფილი თუ მოქმედი თანამშრომლები მწყემსავენ და ნებისმიერი სახის დანაშაულსა და პროვოკაციას შეუკვეთავენ მათ, ქვეყანაში კრიმინალი არნახულად იმატებს. თუ ამჩნევთ, „ნაციონალთა“ ტელევიზიები იმ დანაშაულების მათთვის ჩამოწერასაც ცდილობენ, რომელთაც წლების მანძილზე მთელი ქართველი ხალხი მათ ედავებოდა. ბაჩო ახალაიასა და სხვა კრიმინალების გათეთრების მცდელობებზე რომ არაფერი ვთქვათ, „სარბიელზე“ გურამ დონაძის და 2004 წელს ბუტა რობაქიძის მკვლელობის ფალსიფიცირებული ჩანაწერის გამოჩენაც ბევრ რამეზე მეტყველებს. უნამუსოდ იქცევიან: **ბუტა რობაქიძის ოჯახს ამ ჩანაწერით ეუბნებიან, რომ დანაშაულის გაყალბება და მანქანაში იარაღის ჩადება არა თუ არ მომხდარა, მეტიც, თქვენი შვილი კრიმინალებთან იმყოფებოდა, მათი აყვანის სპეცოპერაციას შეეწირაო.** არ გამოვრიცხავ, ბუტა რობაქიძეც კრიმინალად გამოაცხადონ, როგორც ეს თავიდან გააკეთეს, ესენი იმდენად უნამუსოები არიან. თქვენ როგორ ფიქრობთ, გურამ დონაძეს ხელშეუხებლობის გარანტია რომ არ ჰქონოდა, ის ინგლისიდან ჩამოვიდოდა დაკითხვაზე?

**— არ ჩამოვიდოდა და დაუსწრებლად შეუფარდებდნენ წინასწარ პატიმრობას და ინტერპოლის მეშვეობით დაიწყებოდა მისი ძებნა.**

— ინტერპოლით ვისაც ეძებენ, ისინი რა, უკვე დაიჭირეს და ჩამოიყვანეს? მას უმცირესი საფრთხეც არ დამუქრებია დაპატიმრებისა და ამით თავდაჯერებული ჩამოვიდა. ჩემი ვარაუდით, ის ჩანაწერიც მან ჩამოიტანა, რომლითაც ის და სხვა ყოფილი თუ მოქმედი მაღალჩინოსნები ბუტა რობაქიძის მკვლელობის საქმიდან გამოძრომას ცდილობდნენ. თუ ეგეთი მაგარი ვაჟკაცია გურამ დონაძე, როცა სანდრო გირგვლიანის საქმეზე უნდა დაეკითხა პროკურატურას, მაშინ რატომ არ ჩამოვიდა ინგლისიდან?

**— ვინ მისცა ხელშეუხებლობის გარანტიები გურამ დონაძეს?**

— იმედია, კარგად გახსოვთ, სად მუშაობდა დონაძე და რასაც წარმოადგენდა. ის ვანო მერაბიშვილის უახლოესი გარემოცვის წევრი იყო. მას ხელი მიუწვდებოდა უამრავ კომპრომატზე, რომლებიც, ცხადია, პროკურორებზეც ჰქონდათ სპეცსამსახურებს. ასეთივე კომპრომატები რომ უხვად გააჩნიათ მოსამართლეებზე, ეს ხომ სადავოც აღარ არის. **საქართველოში ერთი პროკურორიც კი არ არის დარჩენილი, რომელსაც ამ ხელისუფლების უკანონო დავალებები არ ჰქონდეს შესრულებული. თუ არჩილ კბილაშვილი ერთ ასეთ პროკურორს მაინც მაჩვენებს, საჯაროდ მოვუხდი ბოდიშს. აი, ამ „ნაციონალების“ ბინძურ საქმეებში ათასგზის გარეული პროკურორების, გამომძიებლებისა და მოსამართლეების იმედად ჩამოვიდა დონაძე საქართველოში, მივიდა პროკურატურაში და მალე გარეთ გამოუშვეს. არც იმას გამოვრიცხავ, რომ დონაძეს ეს კომპრომატები სრულად ჰქონდეს პირად არქივში.**

**— დონაძეს სასამართლომ შეუფარდა გირაო თავისუფლების სანაცვლოდ და არა პროკურატურამ.**

— სასამართლოს რომ ისევ „ნაციონალები“ აკონტროლებენ, ეს ვთქვი უკვე, მაგრამ მთავარი ის არის, ეს პროკურორები რამდენად ხარისხიანად გამოძიებული საქმეებით შედიან სასამართლოში თავისუფლების აღკვეთის მოთხოვნით. ეჭვი არ მეპარება, რომ პროკურორები ყველანაირად ცდილობენ, რომ რაც შეიძლება ნაკლები „ნაციონალი“ ჩაჯდეს ციხეში. **იცით თქვენ, რომ გამომძიებლები სამხილებსა და მტკიცებულებებს შეგნებულად ანადგურებენ იმ სისხლის სამართლის საქმეების წარმოებისას, რომლებიც „ნაციონალთა“ წონიანი ლიდერების წინააღმდეგ არის აღძრული?**

**— ეგ ძალზე სერიოზული ბრალდებაა.**

— მე მაქვს ასეთი ინფორმაცია, საკმაოდ სანდო წყაროსგან და ამას საზოგადოებას ვერ დავუმალავ. მეტსაც გეტყვით: ხალხიც და პოლიტიკოსებიც მოითხოვენ, რომ ხელისუფლებამ მიიღოს შესაბამისი კანონი ან სასამართლოს წესით განასაჯაროოს ის დოკუმენტები, რომელთაც სააკაშვილის ხელისუფლების სხვა და სხვა სტრუქტურებმა „გრიფით საიდუმლო“ დაადეს. ჩემი ინფორმაციით, **აზრი არ აქვს საიდუმლო გრიფის ახსნას ამ დოკუმენტებისთვის, რადგან, რაც მართლა საიდუმლო და სკანდალური იყო, ყველა ის დოკუმენტი „ნაციონალებმა“ არჩევნების წაგებისთანავე გაანადგურეს. ახლა გინდ ახადონ ეგ გრიფი და გინდ არა, ერთი ფასი აქვს.**

ამას წინათ **შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის, გელა ხვედელიძის, მისაღებში შემხვდა ვაჟა მაზმიშვილი, რომელიც კუდ-ში ე.წ. მე-5 სამმართველოს უფროსის მოადგილე იყო. ეს სამმართველო პოლიტიკური პარტიებისა და რელიგიის საქმეებს კურირებდა, ანუ ოპოზიციურ პარტიებსა და ეკლესიას ებრძოდა. როცა ეს კაცი დავინახე შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის, გელა ხვედელიძის, მისაღებში, გავოცდი — მე უკვე დაჭერილი მეგონა. აქ რას აკეთებ-მეთქი, ვკითხე. ისევ აქ ვმუშაობ, — მიპასუხა. თურმე, დაუჭერიათ კი არა, დაუწინაურებიათ მაზმიშვილი. ის სამმართველო ორად გაუყვიათ და ერთ-ერთის უფროსად მაზმიშვილი დაუნიშნავს გელა ხვედელიძეს.**

მაზმიშვილის ყოფილი უფროსისთვის, გია ჩიხრაძისთვის კი, მეორე სამმართველო ჩაუბარებია. ეს ის ჩიხრაძეა, რომელმაც მაია ნიკოლეიშვილი „დაამუშავა“ და ამის შედეგად 12 უდანაშაულო ადამიანი გამოამწყვდიეს ციხეში. ამ დავალების წარმატებით შესრულებისთვის მიიღო ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენი გია ჩიხრაძემ, რომელიც ვანო მერაბიშვილმა საკუთარი ხელით დაჰკიდა. ის 26 მაისის დარბევასა და ხალხის ცემაშიც აქტიურად მონაწილეობდა და ამისთვის კიდევ სხვა ჯილდო მისცა მერაბიშვილმა.

**უშიშროებაში ისევ მუშაობს ნიკა კალაძე, რომელიც სასულიერო პირების „დავერბოვკებაზე“ მუშაობდა კუდ-ში. ოთარ ორჯონიკიძემ, კონტრდაზვერვის ყოფილმა უფროსმა, რომელიც პოლიტპატიმრებს აწამებდა, დიდი ხანი არ არის, რაც დროებით 31-ე ქარხანას შეაფარა თავი, იქ „ოდეერად“ მუშაობს, ნაცვლად იმისა, რომ ციხეში იჯდეს.**

**— ბატონო ზურაბ, ჩვენ მთავარ თემას ავცდით — „ნაციონალების“ მიერ სამოქალაქო დაპირისპირების პროვოცირებას და შესაძლო სამოქალაქო ომზე ვსაუბრობდით.**

— არა, ამ თემას არ ავცდენივართ, სწორედ მის ირგვლივ ვტრიალებთ. ის დეტალები, როლებზეც მე ვსაუბრობ, სწორედ „ნაციონალთა“ შეთქმულების შემადგენელი ნაწილია. ახლა კიდევ ერთ ოდიოზურ პიროვნებაზე მინდა მოგახსენოთ, მის შესახებ თქვენს გაზეთში არა ერთხელ დაიწერა და ყველაფერი სრული სიმართლე იყო.

**— ვის გულისხმობთ?**

— კუდ-ის უფროსის ყოფილ მოადგილეს — ვაჟა ლილუაშვილს. ეს კაცი დაიჭირეს, 3 მუხლით იყო მასზე საქმე აღძრული, მაგრამ ძიების პროცესში 2 მუხლით ბრალდება მოეხსნა და მხოლოს 333-ე მუხლით-თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტება წაუყენეს ბრალად. არ გაინტერესებთ, რატომ მოხდა ასე?

**— ამის შესახებ მრავალი ვერსია მომისმენია და, რაც მითხარით, ეგ ჩვენს გაზეთშიც დაიბეჭდა. ახალს რას იტყვით?**

**— რის თქმასაც ყველა გაურბის და დღემდე არ თქმულა, იმას ვიტყვი: როცა ლილუაშვილი დაიჭირეს, მე იმავე დღიდან ვიცოდი, რომ მას აუცილებლად გამოუშვებდნენ, რადგან იგი გელა ხვედელიძის ძალიან ახლობელი ადამიანი და ყოფილი თანამშრომელია და, რაც მთავარია, ლილუაშვილის გარეთ ყოფნა ძალიან სჭირდებათ თავად „ნაციონალებს“. მას უზარმაზარი გავლენა აქვს ქვემო ქართლსა და კახეთში. სწორედ ამ ორ რეგიონს კურატორობდა კუდ-ში მუშაობისას. ჩემთვის მხოლოდ ის იყო უცნობი, როდის და რა ფორმით გამოუშვებდნენ ლილუაშვილს. ლილუაშვილი იმდენად სჭირდებათ „ნაციონალებს“, რომ 2 მაჟორიტარ დეპუტატში გაცვალეს.**

**— როგორ თუ გაცვალეს?**

— ჩვეულებრივად. **ლილუაშვილის ციხიდან გამოშვების სანაცვლოდ, „ნაციონალთა“ საპარლამენტო ფრაქცია დატოვა ორმა დეპუტატმა — გარდაბნისა და ლაგოდეხის მაჟორიტარებმა: გიორგი ფეიქრიშვილმა და გიორგი გოზალიშვილმა. ეს იყო პოლიტიკური გარიგება. წარმოიდგინეთ, კაცს რამხელა წონა უნდა ჰქონდეს და როგორ უნდა სჭირდებოდეს სააკაშვილის გუნდს, რომ საპარლამენტო ფრაქციიდან 2 დეპუტატი გაუშვეს ლილუაშვილის თავისუფლების სანაცვლოდ.** ამიტომაც იყო, 2 მუხლი ძიების პროცესში რომ მოუხსნეს და დაუტოვეს ის ერთადერთი მუხლი, რომელსაც, ყველამ იცოდა წინასწარ, რომ ამნისტია აუცილებლად შეეხებოდა. მე გარდაბანში ვიყავი და იქ გავიგე, რომ ლილუაშვილი ციხიდან გამოვიდა. იცით, იქაურებმა რა ▶

# „ეს ადამიანები ვანო მერაბიშვილის სადღეგრძელოს ფეხზე ადგომით სვამდნენ. მათ დაკარგეს მაღალი ხელფას-პრემიები, პრივილეგიები და როგორ ფიქრობთ, არ ენატრებათ ძველი და ნეტარი დრო?“

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ თქვეს? ამ კაცის ციხიდან გამოშვებით ჩვენთვის „ნაციონალები“ დაბრუნდნენ და ვინ იქნება პრემიერი და ვისი იქნება საპარლამენტო უმრავლესობა — „ქართული ოცნებისა“ თუ „ნაციონალებისა“, ჩვენთვის მნიშვნელობა არ აქვსო. ამას არა მარტო გარდაბნელები ამბობენ, ქვემო ქართლის მთელი მოსახლეობა გაიძახის. მაგის სახელს ჩურჩულით ახსენებს ხალხი, ისე ეშინიათ მისი. უამრავი ადამიანი და ოჯახი გააუბედურა, მაგისი აგენტურითაა სავსე მთელი ეს ამხელა რეგიონი. კახეთშიც ძალიან უფრთხიან და, შესაბამისად, აგენტურა იქაც მრავლად ჰყავს, უამრავ ადამიანზე აქვს კომპრომატები და ხალხის მართვაც ორივე რეგიონში შეუძლია. გარდა ამისა, კახეთში აქტიურად მუშაობს ყოფილი გუბერნატორის — გიორგი ღვინიაშვილისა და მისი მოადგილის — გიორგი სიბაშვილის აგენტურაც.

**— ერთი ლილუაშვილით მოაწყობენ სამოქალაქო დაპირისპირების პროვოცირებას?**

— ეგ ერთი ლილუაშვილი, თავისი აგენტურით, 2 რეგიონს აბუნტებს — კახეთსა და ქვემო ქართლს. სამცხე-ჯავახეთს, რეალურად, ისევ ვანო მერაბიშვილისა და ამირან მესხელის ხალხი აკონტროლებს. მათ ძალიან ღრმად აქვთ ფესვები გადგმული ამ რეგიონში. ნებისმიერ დროს შეუძლიათ თავიანთი აგენტურის მეშვეობით უმართავი პროცესების დაწყება. **ამას დაამატეთ სამეგრელო, სადაც მეგის ქარდავასა და თენგიზ გუნავას შეიარაღებული რაზმები ჰყავთ ტყეებში გადამალული და დიდძალი იარაღიც აქვთ. აგენტურის მთელი ქსელიც არ დაგავიწყდეთ. სამეგრელოში რომ „ნაციონალებს“ მყარი დასაყრდენი აქვთ, ეს არჩევნებმაც დაადასტურა — რეგიონების მიხედვით, პროცენტულად ყველაზე მეტი ხმა სამეგრელოში აიღეს და მაჟორიტარებიც „ქართულ ოცნებაზე“ მეტი გაიყვანეს. აქვე აჭარაც უნდა გავიხსენოთ...**

**— ძალიან მეეჭვება, რომ აჭარლები „ნაციონალებს“ მისტიროდნენ.**

— სამაგიეროდ, თავად „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები არიან უკმაყოფილონი, როგორც დანარჩენ საქართველოში. მურმან დუმბაძემ და აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ავთო ბერიძემ ნათესავი და ახლობელი არ დატოვეს დაუსაქმებელი. ის ხალხი კი, რომელიც სააკაშვილის რეჟიმს წლების მანძილზე ებრძოდა და საკუთარი და ოჯახის წევრების სიცოცხლე საფრთხეში ჩააგდო, მშრალზე დატოვეს. მე იმას არ ვამბობ, რომ, ვისაც ყველაზე დიდი დროშა ეჭირა მიტინგებზე, ის ყველაზე მაღალ პოსტზე დანიშნონ-მეთქი. იმ ადამიანებს შორის, რომლებმაც თავი გადადეს და სააკაშვილის რეჟიმს ღიად დაუპირისპირდნენ, ბევრი კვალიფიციური სპეციალისტია სხვადასხვა სფეროსი და უმუშევრები იმიტომ დარჩნენ, რომ სააკაშვილის რეჟიმს არ შეეპუენ.

უკვე 5 რეგიონი ჩამოვთვალე, რომლებშიც „ნაციონალებს“ შეუძლიათ სიტუაციის გამწვავება, ხალხის აბუნტება. მაქვს საფუძვლიანი ეჭვი, 1 ოქტომბრის შემდეგ სააკაშვილის მიერ შეწყალებული პატიმრების უმეტესობა სწორედ ამ 5 რეგიონიდანაა და მათ საჭირო დროს გამოიყენებენ. კარგი იქნება, თუ ირაკლი ღარიბაშვილი ამ საკითხით დაინტერესდება. ახლა სხვა ფაქტორებსაც მივხედოთ. ყველამ კარგად ვიცით, რომ „ქართულ ოცნებაში“ „ნაციონალებს“ თავიანთი ხალხი ჰყავდათ ჩანერგილი. ვერ ხედავთ, რა ამბავია „ქართული ოცნების“ რაიონული ორგანიზაციების თავმჯდომარეების არჩევისას? 6-7 კანდიდატია ზოგან. არადა, გამახსენეთ თუნდაც ერთი ფაქტი, რომ საქართველოში რომელიმე პარტიის რეგიონული ან რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარის პოსტზე დღემდე 2 კანდიდატურა მაინც ყოფილიყო. ახლა კი ლამის დაჭამონ ერთმანეთი. ნუ მეტყვით, რომ ეს დემოკრატიის ნიშანია.

**— აბა, რისი ნიშანია?**

— „ნაციონალთა“ მომხრეები ცდილობენ, რომ „ქართული ოცნების“ რაიონული ოფისები ხელში ჩაიგდონ. „ქართული ოცნების“ ყველა რაიონულ აქციაზე ჩანან ყოფილი „ნაცები“, კუდ-ისა და სოდ-ის ყოფილი თანამშრომლები, „ზონდერები“... ეს ადამიანები ვანო მერაბიშვილის სადღეგრძელოს ფეხზე ადგომით სვამდნენ. მათ დაკარგეს მაღალი ხელფას-პრემიები, პრივილეგიები და როგორ ფიქრობთ, არ ენატრებათ ძველი და ნეტარი დრო?

**უნდა დასრულდეს ამ კოაბიტაციაზე ლაპარაკი. გიორგი თარგამაძის თანაპარტიელი, ზაზა გაბუნია, გაოპოზიციონერდა და ახლა „ოცნების“ სახელით ლაპარაკობს. ეს იმათი შეურაცხყოფაა, ვინც ლამის თავი შეაკლა სააკაშვილის რეჟიმს. საერთოდ, უნდა შეჩერდეს სხვადასხვა პარტიებიდან და, უპირველესად, „ნაციონალებიდან“ ხალხის გადმობირება. ხალხმა ხმა იმიტომ კი არ მისცა „ქართულ ოცნებას“, რომ პარლამენტში თუ თბილისის საკრებულოში „ნაცები“ თავიანთკენ გადმოექაჩათ უმრავლესობის შექმნის საბაბით. ეგენი მაინც არ გამოსწორდებიან და კრიტიკულ მომენტში უღალატებენ „ქართულ ოცნებას“. ამისთვის არ უბრძოლია ქართველ ხალხს. ხომ ხედავენ, რომ არ უნდა ხალხს „ნაცებთან“ კოაბიტაცია და თუ ხალხის დაკვეთაზე ლაპარაკობენ, ამ თემას საერთოდ შეეშვან. არადა, ჩაატარონ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები, კოალიციაში შემავალმა პარტიებმა ცალ-ცალკე მიიღონ მონაწილეობა და გავიგებთ მაინც, რომელი პარტია რას წარმოადგენს და ხალხი ვის ენდობა. თუ მერეც ვერ მოიპოვა საკონსტიტუციო უმრავლესობა „ქართულმა ოცნებამ“, პარლამენტში იკოაბიტაციონ სხვადასხვა პარტიებთან, ოღონდ „ნაცებთან“ კოაბიტაციას დაანებონ თავი.**



**«2008 წლის აგვისტოს ომის დროს დიდძალი იარაღი დაიკარგა. ვიმეორებ, დაიკარგა და იმ იარაღს არ ვგულისხმობ, რომელიც რუსებმა ალაფის სახით გაიტანეს, ეს იარაღიც «ნაცების» ხელშია»**

**«ამ დაკარგულ იარაღს არათუ არ ეძებენ, მასზე არც ლაპარაკობენ «ნაციონალები». ეს ფაქტიც საკმარისია იმისთვის, რომ მიხვდე, ვის ხელშია ეს იარაღი»**

**— მოდით, „ნაციონალების“ მიერ სამოქალაქო დაპირისპირებისა და არეულობის შესაძლო მოწყობის თემას დავუბრუნდეთ....**

— სააკაშვილის ხროვას ემხრობა ისევ ციხე-კოლონიების თანამშრომელთა 80%. ეს ხალხი ხელშეუხებელი იყო, დღეს მათ მცირე ნაწილს ასამართლებენ მხოლოდ. 26 მაისს გლდანის ციხეში დაჭრილი არმატურა მიიტანეს, ციხის თანამშრომლებმა ზედ „სკოჩები“ გადააკრეს და მერე ეს ხალხი, ამ არმატურის ნაჭრებით დაგვერია რუსთაველზე. მათი ისევ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში გაჩერება იგივეა, ნაღმი რომ ატარო მუდმივად ჯიბით. თუ სიტუაცია აირია და ამ ადამიანებმა მიიღეს „ნაციონალებისგან“ ნიშანი, უმალ ჩაიგდებენ ყველა ციხეს ხელში და იქ როგორ რეჟიმსაც დაამყარებენ, ეს ყველას კარგად მოგვეხსენება.

დღემდე ყველა ამბობდა და ეს ფაქტია, რომ საქართველოში მთელი ბიზნესის 80%-ს „ნაციონალები“ ფლობენ და ამ ბიზნესს ძალადობით, სხვებისთვის ქონების წართმევით დაეუფლნენ. თბილისში, შესაძლოა, მეტსაც ფლობენ. თქვენ გსმენიათ, რომ „ნაციონალებს“ თუნდაც ერთი, მსხვილს თავი დავანებოთ, წვრილი ან საშუალო ბიზნეს-სტრუქტურა ან გაეყიდოთ, ან წართმეული ვინმესთვის დაებრუნებინოთ? მე ასეთ ფაქტს ვერ ვიხსენებ. რეგიონებში თუ რამე მუშაობს, ყველაფერი „ნაციონალებისაა“. ერთი პატარა მარკეტი არ არის რაიონებში, რომ ადგილობრივი გავლენიანი „ნაციონალისა“ არ იყოს ან მისი ნათესავისა.

კიდევ ერთ საფრთხესა თუ „ნაციონალურ“ ბერკეტზე მოგახსენებთ. ესენი სახელმწიფო სამსახურებში დასაქმებული მაღალჩინოსნები არიან, რომლებთანაც კოაბიტაციის რეჟიმში არიან ახალი ხელისუფლების წარმომადგენლები. ცხადია, რიგით თანამშრომლებს არ ვგულისხმობ. სახელწიფო უწყებებში უამრავი „ნაციონალი“ დატოვეს საკვანძო პოსტებზე, ისეთ თანამდებობებზე არიან, სერიოზული გადაწყვეტილებების მიღება რომ უწევთ. ამ ადამიანებს უამრავ დანაშაულში აქვთ მიღებული მონაწილეობა, მათ შორის ბევრია ისეთი, რომელთა წარსულში ჩადენილი დანაშაული, კომპრომატის სახით, მხოლოდ „ნაციონალთა“ გარკვეულმა ჯგუფმა იცის. ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ეს ჩინოვნიკები საჭირო დროს „ნაციონალთა“ მხარეს დადგებიან და, თუ შეუკვეთეს, საბოტაჟის მეშვეობით ნებისმიერი სახელმწიფო სტრუქტურის პარალიზებას შეძლებენ. ამ ხალხს, დანაშაულებრივი დაკვეთების შესრულების ფასად, ყოფილი ხელისუფლება სისტემატიურად პრემიებით ანებივრებდა. ახლა ვეღარც ამ პრემიებს იღებენ და ესეც ერთი არგუმენტია მათთვის, რომ საჭირო დროს ისევ შეჩვეული ჭირის გვერდით დადგნენ. მართალია, ქვედა რგოლებში დასაქმებულ ხალხს „ნაციონალთა“ მიმართ დიდი ვალდებულებები არ გააჩნიათ, მაგრამ, როცა საბოტაჟზე მიდგება საქმე, კაცმა არ იცის, მათი ნაწილი მაინც საით დადგება.

იგივე ითქმის ადგილობრივ თვითმმართველობებზე. მხოლოდ რამდენიმე რაიონის საკრებულოში ჰყავს უმრავლესობა „ქართულ ოცნებას“ და, შესაბამისად, თავისი დანიშნული გამგებელი. მაგრამ ბევრ რაიონში ძალზე მყიფეა მათი ეს უპირატესობა. **საგარეჯოსა და გურჯაანის საკრებულოების მაგალითს გაგახსენებთ, როცა „ნაციონალებმა“ 5-ნომრიანი წითელი მაისურები გადაიძრეს, „რესპუბლიკელთა“ მაისურები გადაიცვეს და თავი „ქართული ოცნების“ ფრაქციის წევრებად წარმოგვიდგინეს. მერე თავიანთი რიგებიდანვე აირჩიეს გამგებლები. ეს მედროვე ადამიანები, რომელთაც „ნაციონალთა“ მაისურები სახლში აქვთ სათუთად შენახული, თუ სიტუაცია აირია, მყისვე გადაიცვამენ „ნაციონალების“ მაისურებს და ისევ „ნაციონალთა“ რიგებში გადაინაცვლებენ.** ასეთი ხალხის ნდობა და მათზე დაყრდნობა არ შეიძლება, არადა, ამ ამბებს „ქართული ოცნების“ ზოგიერთი ლიდერი ისე გამოეხმაურა, თითქოს საკრებულოების არჩევნები მოიგეს. მაგალითად, გურჯაანის საკრებულოს „ქართული ოცნების“ ფრაქციაში ის ხალხია, რომლებიც მანანა ბერიკაშვილს ებრძოდნენ, ლომის წილი დაიდო მის დამარცხებაში და „ნაციონალთა“ მაჟორიტარი კანდიდატის გამარჯვებაში.

**იგივე ითქმის საპატრულო პოლიციაზეც. ვანო მერაბიშვილი მათ ანებივრებდა, სანაცვლოდ კი ბევრი უკანონობის ჩადენას ავალებდა. გახსოვთ, არჩევნებამდე პატრულის მანქანის დანახვაზე რომ იმალებოდა ხალხი? ახლა „ბულკებივით“ გახდნენ, მაგრამ დიდად არ უხარიათ ეს. საპატრულო პოლიციის თანამშრომელთა დიდი ნაწილი უკმაყოფილოა იმით, რომ ხალხს მათი აღარ ეშინია და, როგორც ჩვეულებრივ პოლიციელს, ისე მიმართავენ. ეს კომპლექსიანი, ხალხზე მოძალადე ადამიანებისთვისაა დამახასიათებელი, რომელთაც, თუ ტაბელური იარაღი არა აქვთ და სახელმწიფოსგან მინიჭებული ძალის გამოყენების ლეგიტიმური უფლება არ გააჩნიათ, არაფერს არ წარმოადგენენ. ამ კატეგორიის პატრულის თანამშრომლებიც, იცოდეთ, მისტირიან ვანო მერაბიშვილს და ეს ხალხიც „ნაციონალთა“ დასაყრდენია. არადა, ისინი უმრავლესობას წარმოადგენენ საპატრულო პოლიციაში.**

მთელმა ქვეყანამ გაიგო, რომ სააკაშვილის დროინდელ უშიშროებას, „ქართული ოცნების“ პოლიტიკურ და პარტიულ ლიდერებზე სერიოზული კომპრომატები გააჩნია. ეს ხალხი ზოგი ისევ უშიშროებაშია, ზოგი აღარ მუშაობს, მაგრამ ეს კომპრომატები მათ ხელშია. როდის და როგორ გამოიყენებენ ამ ფარულ ჩანაწერებს „ნაციონალები“, კარგად ვიცით. თუ არ გაახმაურეს, მით უარესი — ვერასდროს გავიგებთ, კომპრომეტირების შიშით, „ქართული ოცნების“ რომელი ლიდერი თანამშრომლობდა სააკაშვილის რეჟიმთან. ცხადია, ისინი დღემდე თანამშრომლობენ „ნაციონალებთან“.

რაც გითხარით, ვფიქრობ, სრულიად საკმარისია დასკვნის გამოსატანად — „ნაციონალებს“ ყველაფერი მზად აქვთ, რომ სამოქალაქო ომი დაიწყონ. მცირე რაოდენობის ხალხის გამოყვანა, სიტუაციის არევა და მართვა მათ ნამდვილად შეუძლიათ. შეეცდებიან, სახელმწიფო გადატრიალება მოაწყონ. უცხოელებს კი ლობისტების მეშვეობით დაარწმუნებენ, რომ ქვეყანა ინგრეოდა, ახალმა ხელისუფლებამ ვერ შეძლო კონფრონტაციის თავიდან აცილება და, პროცესი შეუქცევადი რომ არ გამხდარიყო, იძულებულნი გავხდით, ძალაუფლება ხელში აგვეღოო. აი, ამით იმართლებენ თავს და ქართველი ხალხის დიდი ნაწილი, სამწუხაროდ, კიდეც დაიჯერებს ამას. აპოკალიფსურ სურათს დახატავენ და სააკაშვილს მესიად გამოაცხადებენ ამათი ტელევიზიები.

**— დავუშვათ, გამართლდა თქვენი ყველაზე უარესი პროგნოზი და აურიეს სიტუაცია „ნაციონალებმა“, გამოიწვიეს სამოქალაქო დაპირისპირება. მერე რა ხდება?**

— თუ დასჭირდათ, სამოქალაქო ომს დაიწყებენ, იქამდე ერთი ნაბიჯიღა რჩება.

**— მეგის ქარდავას ტყეში გახიზნული რაზმებით?**

— მეგის ქარდავას რაზმებით და მერე სხვა რაზმებიც გამოჩნდებიან. „ნაციონალებს“ ჰყავთ ისეთი მხარდამჭერები, ყველაფერზე რომ წავლენ, ხელში იარაღს აიღებენ და თანამემამულესაც ხელის აუკანკალებლად ესვრიან.

**— მაგაში უკვე არაერთხელ დავრწმუნდი, მაგრამ სამოქალაქო ომს დიდი რაოდენობით იარაღი სჭირდება, იარაღს კი — დიდი ფული. „გაქაჩავს“ მიშა ამდენს?**

— ჯერ კიდევ არჩევნებამდე განაცხადა ირაკლი ალასანიამ, რომ სამეგრელოში 3 სამხედრო სატვირთო მანქანა იარაღი დაიკარგა. ეს სწორი ინფორმაცია იყო და ეს იარაღი დღეს „ნაციონალთა“ მხარდამჭერების ხელშია.

**— ღმერთმა დაგვიფაროს სამოქალაქო ომისგან, მაგრამ ასეთ ომს არც 3 მანქანა იარაღი ეყოფა.**

— იარაღის საყიდელი ფული აქვთ. ოღონდ დაიბრუნონ თავიანთი ძველი მდგომარეობა და დახარჯვას არ მოერიდებიან. გარდა ამისა, 2008 წლის აგვისტოს ომის დროს დიდძალი იარაღი დაიკარგა. ვიმეორებ, დაიკარგა და იმ იარაღს არ ვგულისხმობ, რომელიც რუსებმა ალაფის სახით გაიტანეს, ეს იარაღიც „ნაცების“ ხელშია.

**— რატომ გგონიათ, რომ ასეა?**

— ამ დაკარგულ იარაღს არათუ არ ეძებენ, მასზე არც ლაპარაკობენ „ნაციონალები“. ეს ფაქტიც საკმარისია იმისთვის, რომ მიხვდე, ვის ხელშია ის იარაღი.

ესაუბრა
**ლევან ჯავახიშვილი**

სამართალი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ოლეგ ფაცაცია და რამდენიმე ცნობილი ჯალათის ვინაობაც იმიტომ ვიცოდით, რომ ყველა ცემას ესწრებოდნენ. ფაცაცია თუ არა, „ხონსკი“ ან მუხაძე მაინც ესწრებოდნენ. ასევე ყველა ცემას ესწრებოდა ერთი ავადმყოფი (არ ვიცი, სხვა რა ვუწოდო), ცალთვალა ექიმი. ერთი ოფიცერი იყო, რომელიც, რომ არ ვეცემეთ, გვაფრთხილებდა ხოლმე, ბიჭებო, დღეს ფაცაციას ველოდებით და ჩუმად იყავითო.“**



მიხეილ გეფერიძე:

# ჩვენ რომ ვიყავით, იმ პირობებში ერთი საათი ჩასვან სააკაშვილი და კენედის მკვლელობასაც აღიარებს

**ნინო ბურჯანაძის მძღოლი, მიხეილ გეფერიძე, 26 მაისის საპროტესტო აქციაზე არ იმყოფებოდა, ამის მიუხედავად, მაინც დააპატიმრეს და პოლიციელებისთვის შეურაცხყოფის მიყენებისთვის ერთი წელი მიუსაჯეს. როგორც მიხეილ გეფერიძე აცხადებს, ეს პოლიციელები არასდროს უნახავს. დღეს ის ახალი ხელისუფლებისგან პოლიტპატიმრის სტატუსის მინიჭებას და სამართლიანობის აღდგენას ითხოვს. ამჯერად „საქართველო და მსოფლიოს“ ციხეში არსებულ ვითარებასა და დაპატიმრების მიზეზებზე მიხეილ გეფერიძე ესაუბრება.**

**— 26 მაისს აქციაზე თქვენ არ იმყოფებოდით, მაგრამ მაინც დაგაკავეს. რა გახდა თქვენი დაპატიმრების მიზეზი?**

— ჩემი დაპატიმრების მიზეზი, სავარაუდოდ, მხოლოდ ის იყო, რომ მე ნინო ბურჯანაძის მძღოლი ვიყავი. სურდათ, ქალბატონი ნინოს რომელიმე მძღოლისთვის პოლიციელის მკვლელობა დაებრალებინათ. საყურადღებოა, რომ მხოლოდ ხუთი დღის შემდეგ, 1 ივნისს დამაკავეს დაახლოებით დილის ათ საათზე. პოლიციელები კი ამბობდნენ, თითქოს 09:15 წუთზე დამაკავეს, რაც შეუძლებელი იყო, რადგან მაგ დროს ჯერ კიდევ სახლში ვიყავი. სახლიდან გამოვედი მეუღლესთან ერთად და დავინახე, რომ, ფაქტობრივად, ალყა ჰქონდა სახლს შემორტყმული. პარტიის ოფისში მივდიოდით, როცა ვეფხისა და მოყმის ძეგლთან დამაკავეს. არადა, საქმეში წერია, თითქოს დიღმის მასივში დამაპატიმრეს. კარგა ხანს მოგვყვებოდნენ, ვფიქრობ, სურდათ, მეუღლე რომ წავიდოდა, მერე დავეპატიმრებინე, რათა ჩემი დაკავების მოწმე არავინ ყოფილიყო, მაგრამ, რადგან მეუღლე აღარ მომშორდა, ჩემი დაკავება გადაწყვიტეს. ვინაიდან აშკარა იყო, რომ მომყვებოდნენ, სპეციალურად შევედი აფთიაქში, ბანკომატთანაც მივედი, რათა სათვალთვალო ვიდეოკამერებს დაეფიქსირებინა ყველაფერი, რომ მომავალში მეტი საშუალება მქონოდა საკუთარი თავის დასაცავად.

ტაქსი გააჩერეს, დამადეს იარაღი და წამიყვანეს. გზაში მეკითხებიან, რომელ მანქანაში იჯექი 26 მაისის აქცის ღამესო, მე ვუპასუხე, რომ საერთოდ არ ვიყავი აქციაზე-მეთქი. ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რომ ნამდვილად იყავიო. არადა, მე დავტოვე აქცია საღამოს 23:00-დან — 23:30-მდე და აღარ დავბრუნებულვარ, ამის მოწმეებიც მყავდა. გადაურეკეს ვიღაცას და მესმოდა, როგორ ეუბნებოდნენ, ეს პიროვნება საერთოდ არ ყოფილა აქციაზე და, მგონი, ტყუილად დავაკავეთო. დაიბნენ, არ იცოდნენ, როგორ მოქცეულიყვნენ და სად უნდა წავეყვანე. მანქანა გააჩერეს დიღომში, პოლიციის სამმართველოს ჩასახვევთან, ბენზინგასამართ სადგურთან; მეკითხებოდნენ, — სად და როდის წავედი აქციიდან.

**— გამოდის, ბენზინგასამართ სადგურზე ჩაგიტარეს დაკითხვა?**

— ისე გამასამართლეს ერთხელაც არ დავუკითხივარ, როდესაც მოსამართლეს მოვთხოვე ჩემი დაკითხვა, ასი ლარით დამაჯარიმა.

**— დაკავებისას დაირღვა თუ არა თქვენი უფლებები, მოგცეს თუ არა დარეკვის უფლება და დაკავების ოფიციალური მიზეზი თუ განგიმარტეს?**

— შეურაცხყოფა დაკავების მომენტში არ მოუყენებიათ, თუმცა ტელეფონით დარეკვის უფლება არ მომცეს. დაახლოებით საათ-ნახევარი დავყავით ბენზინგასამართ სადგურთან და მაინც ვერ გაარკვიეს, სად წავეყვანე: პოლიციის განყოფილებაში თუ სოდის ან კუდის სამმართველოში. ბოლო-ბოლო გაგვაგებინეთ, სად წავიყვანოთო, — ვიღაცებს ურეკავდნენ. შემდეგ წამიყვანეს დიღმის მასივის მეორე კვარტალში არსებულ პოლიციის განყოფილებაში. რამდენადაც მახსოვს, კრიმინალური პოლიციის უფროსს ჩააბარეს ჩემი თავი, რომლის ვინაობაც არ ვიცი, მაგრამ, რომ ვნახო, ვიცნობ. მან თავის უბნის რწმუნებულებს შეურაცხყოფა მიაყენა, აქამდე რატომ არ ვიცოდი, თუ ბურჯანაძის მძღოლი ჩვენს უბანში ცხოვრობდაო.

ცოტა ხანში მომიტანეს გამზადებული დაკითხვის ოქმი და მითხრეს, ხელი მომეწერა, თითქოს მე ორ პოლიციელს — ზურაბ ნარიმანიძესა და გულადი კვირიკაძეს შეურაცხყოფა მივაყენე. საყურადღებოა, რომ პირველ ოქმში მათი ვინაობაც არ ეწერა. ვუთხარი, ის მაინც გამაგებინეთ, ვის ცემას მაბრალებთ-მეთქი და ეგ შენი საქმე არ არის, მაგას ჩვენ მივხედავთო. უარი ვუთხარი, — ეს ადამიანები თვალით არასდროს მინახავს-მეთქი. რადგან მიხვდნენ, რომ 26 მაისის ამბავს ვეღარ დამაბრალებდნენ, ახალი ვერსია მოიფიქრეს. ვითომ 1 ივნისს, დილის ათის 15 წუთზე მივდიოდი მარტო დიღმის მასივში, ვიქნევდი ხელ-ფეხს და უმისამართოდ ვიგინებოდი. ხოლო, როცა პოლიციელები მოვიდნენ ჩემს დასაწყნარებლად, ისინი ვცემე.

როდესაც ოქმზე ხელის მოწერაზე უარი განვაცხადე, შემოვიდა ერთ-ერთი თანამშრომელი და მითხრა: გირჩევ, ხელი მოაწერო, ადმინისტრაციულ სასჯელს მოგისჯიან ერთ წელს, ხოლო, თუ არ მოაწერ, სისხლის სამართლის მუხლით გაგასამართლებენო.

საყურადღებოა, რომ ერთი და იმავე მუხლით, პოლიციელების ცემის ბრალდებით, ჩვენი პარტიის უამრავი მომხრე დააპატიმრეს. თითქოს მივდივართ ქუჩაში, უმისამართოდ ვიგინებით და ვცემთ პოლიციელებს. საინტერესოა ისიც, რომ ყველა პოლიციელს ერთი და იგივე ჯიბე აქვს დახეული 11 სმ-ით. 6 თვე არც ეს პოლიციელები და არც გამომძიებელი თვალით არ მინახავს. არადა, პროკურორი მიმტკიცებდა, მე და გამომძიებელი ერთად ვიყავით შენთანო. ერთი პოლიციელი იმასაც ამბობდა, თითქოს კორპუსის წინ ვცემე, მეორე კი — კორპუსის ბოლოშიო, — აცხადებდა. ზუსტი ადგილის დასახელებაც ვერ შეძლეს. ვკითხე, რატომ არ შემამოწმეს ან ალკოჰოლზე, ან ფსიქიკურად, ადეკვატური ადამიანი ხომ უმისამართოდ არ იგინება დილის ათ საათზე? ამას გარდა, ამტკიცებდნენ, ვითომ პოლიციის განყოფილებაში წამიყვანეს. ვუთხარი, სააკაშვილი სულ იმას იძახის, რომ გამჭვირვალე პოლიციის შენობებს აშენებს და ყველგან სათვალთვალო ვიდეოკამარებია დაყენებული, გადაღებული ფირი მაჩვენეთ-მეთქი, მაგრამ ჩემს ადვოკატს ვიდეოფირი არ მისცეს. მეტიც, „მაგთიმ“ და „ჯეოსელმა“ დარეკილი ზარების ამონაწერიც არ გადმოგვცა, საიდანაც ცხადი გახდებოდა, რომ საბურთალოზე დამაკავეს და არა დიღომში, რასაც პოლიციელები მიმტკიცებდნენ.

**— თუ აპირებთ დღეს ამ პოლიციელების წინააღმდეგ საჩივრის შეტანას პროკურატურაში?**

— რა თქმა უნდა, ვაპირებ. მოვითხოვ, დაკითხონ იმ დღის ცვლაში მომუშავე პოლიციელები. მომავალ კვირას შევიტან პროკურატურაში სარჩელს. 39-ჯერ წამიყვანეს სასამართლო პროცესზე და აქედან მხოლოდ 15 პროცესი ჩატარდა. მაინც მივყავდი, რადგან სურდათ, რაც შეიძლება მეტად გავეწამებინე. როცა გადაღებული ვიდეომასალა მოვთხოვე სასამართლოს, დაბლა, ე.წ. ფუქსებში ჩამიყვანეს და იქ მცემეს. **დღეს კუბლაშვილი სასამართლო რეფორმებსა და სამართლიანობაზე როგორ ლაპარაკობს?! ის არ იყო იმ სასამართლოს ხელმძღვანელი, რომელშიც ადამიანებს მტკიცებულებეის გარეშე ასამართლებდნენ?! სასამართლოს შენობაში დილის ათ საათზე რომ მიგვიყვანდნენ, ხშირად საღამოს 7 საათამდე ვიყავით. საპირფარეშოში გასვლის უფლებაც არ გვქონდა. რომ მოგვეთხოვა, ცემით მოგვკლავდნენ. ამიტომ სასამართლოში წასვლამდე ორი დღე ვშიმშილობდით, წყალსაც არ ვსვამდით ხოლმე.**

**— თქვენ ბოლოს მაინც მოაწერეთ ხელი აღიარებით ჩვენებას და ერთი წელი სასჯელიც მოიხადეთ, დღეს კი პოლიტპატიმრის სტატუსს ითხოვთ...**

— პოლიტპატიმრის სტატუსზე იმ შემთხვევაში ვიტყვი უარს, თუ ყველა დამნაშავე დაისჯება და ეს პოლიციელებიც, რომლებიც არ მიცემია, დანაშაულს აღიარებენ. თქვან, ვინ დაავალა მათ ცრუ ჩვენების მიცემა. მე მინდა ჩემი სახელის რეაბილიტაცია. მე სამართალს ვითხოვ.

დღეს თუ ვინმეს კითხვა გაუჩნდება, რატომ ვაღიარეთ ე.წ. დანაშაული, თავად უნდა მოათავსო მსგავს პირობებში და ვნახოთ რამდენი წუთი გაუძლებენ იმ სასტიკ წამებას. **ჩვენ რომ ვიყავით, იმ პირობებში, ერთი საათი ჩასვან სააკაშვილი და კენედის მკვლელობასაც აღიარებს.** თეთრაძემ დანაშაული რომ არ აღიარა, იმიტომ მოკლეს.

**— თქვენ შეესწარით მის მკვლელობას?**

— გლდანის ციხეში ჩვენი ფანჯრები პირდაპირ უყურებდა ადმინისტრაციის შენობას, რომელშიც დაბლა იყო ე. წ. კარანტინში ჩასასვლელი კიბეები. სწორედ მაშინ, როცა დაშალეს კარანტინი და შვებით ამოვისუნთქეთ, რომ იმ დღეს არავინ გარდაცვლილა და გადავრჩით-თქო, ვთქვით, ათ საათზე მოულოდნელად ხმაური ატყდა — კაცი იხვეწებოდა, ნუ მკლავთო. კარგი, მე, ვთქვათ და, ვცრუობ, მთელი ეს კორპუსი ხომ არ იტყვის ტყუილს? ჰკითხეთ, **ყველას ესმოდა, როგორ ყვიროდა თეთრაძე, — ოჯახის მამა ვარ და ნუ მკლავთო. ეს იყო უკიდურესი სისასტიკე. არ ვიცი, რის აღიარებას სთხოვდნენ, მაგრამ აღიარეო ეუბნებოდნენ. 1 საათი გაგრძელდა წამება. უცებ სიჩუმე ჩამოვარდა, მალე დავინახეთ, გარდაცვლილი, ნაწამები კაცი გამოიყვანეს. ტანისამოსი შემოხეული ჰქონდა. ჩვენი ფანჯრების წინ გაიარეს. სერგო თეთრაძის წამებიდან არ გასულა 5 წუთი და ამოვიდნენ ოლეგ ფაცაცია და „ქილერა“, რომლებიც იცინოდნენ.** ასეთი ამაზრზენი ცხოვრებაში არაფერი მინახავს.

ციხეში უამრავი უდანაშაულო ადამიანი იყო გამომწყვდეული. ვნახე 18-დან 24 წლამდე ასაკის ახალგაზრდა ბიჭები, რომლებიც მხოლოდ იმიტომ დააპატიმრეს, რომ თურმე შემთხვევით ქუჩის მეორე მხარეს ჩხუბი დაინახეს და პოლიციას არ შეატყობინეს. ისინი დანაშაულის დაფარვის მუხლით გაასამართლეს. ჩვენთან საკანში შემოიყვანეს კაცი, რომელსაც სასტიკი ცემის შედეგად დაახლოებით ათი დღის განმავლობაში ყურებიდან სისხლი სდიოდა. მისთვის არანაირი მკურნალობა არ ჩაუტარებიათ. არ ვიცი, რისთვის გახსნეს ციხეში აფთიაქი, თუ სიკვდილის ზღვარზე არ იყავი, არც წამლის ყიდვის უფლებას გაძლევდნენ და არც ექიმი მოჰყავდათ.

**— წამების რა ხერხებს მიმართავდნენ?**

**— ქართულ ციხეებში წამების ერთ-ერთი ყველაზე სასტიკი მეთოდი ჰქონდათ, გაშლილი ხელებით ყურებზე ისე გირტყამდნენ, რომ ათი წუთი გრძნობდი, არათუ ყური, თითქოს ტვინიც კი გტკიოდა. დღესაც ვმკურნალობ, ყურის ბარაბანი დამიზიანდა და სმენის პრობლემები შემექმნა.**

ჩემ მიმართ ფიზიკურ შეურაცხყოფაზე მხოლოდ ექვსი თვის შემდეგ გადავიდნენ. მანამდე ძლიერი ფსიქოლოგიური ზეწოლა მიმდინარეობდა. მაგალითად, ერთი გიჟი შემოიყვანეს ჩვენს საკანში. ფსიქიატრიული საავადმყოფოდან მოიყვანეს. წარმოიდგინეთ, როგორ დაიძინებ, როცა იცი, რომ გვერდით ფსიქიკურად გაუწონასწორებელი ადამიანია, რომელიც, არ იცი, რას მოიმოქმედებს. მეორეც შემოიყვანეს, ავადმყოფი იყო, ღამე საერთოდ ვერ იძინებდა და არც ჩვენ გვაძინებდა. უძილობისგან იმდენად გადაღლილები ვიყავით, გავითიშე და რკინაზე ჩამოვარტყი ყური. ამის შემდეგ ვიღაცამ როგორ უნდა მითხრას, როგორ აღიარეო? საინტერესოა, როდესაც აღიარებით ჩვენებაზე ხელი მომაწერინეს, საკანში ის ადამიანი აღარ დამხვედრია. **დიდი ხნის განმავლობაში უარს ვაცხადებდი, აღიარებაზე ხელი მომეწერა, მაგრამ მერე მითხრეს, ხვალ ან ზეგ მოვა შენთან პროკურატურის თანამშრომელი და ხელი უნდა მოაწერო აღიარებით ჩვენებაზე, თორემ 5 წელს მოგისჯიან, ზუსტად ორ თვეში შენივე საკნის ხალხი ხელს დაგადებს, რომ ბადრაგი სცემე, მოგემატება 7 წელი და ამ დროს გვერდზე კამერაში შენივე შვილს ჩავსვამთ, ნარკოტიკს ჩავუდებთო. 18 წლის ბიჭი მყავს და კარგად ვიცოდი, როგორც ექცეოდნენ ციხეში 18 წლის ბიჭებს. რომელი მამა არ „აღიარებდა“?**

მართალია, გლდანის ციხეში სისუფთავე იყო, მაგრამ სასტიკად გვექცეოდნენ, ხოლო ორთაჭალის ციხეში პირიქით, საშინელი სიბინძურე და ანტისანიტარია სუფევდა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, 145-კაციან ციხეში 280 კაცი ვიყავით. მორიგეობით ვწვებოდით. სულ სამი საპირპარეშო იყო. საათობით რიგები იდგა.

სრულიად უმიზეზოდ სცემდნენ და აწამებდნენ პატიმრებს. ერთადერთი გვიხაროდა, როდესაც ლადო ბედუკაძის ცვლა მუშაობდა. **ლადო ბედუკაძე რომ არ ყოფილიყო იმ ციხეში, დღეს ბევრი ჩვენგანი ცოცხალი აღარ იქნებოდა.** ის იყო პიროვნება, რომელსაც ციხის ადმინისტრაციის ფორმაც ვერ ჩააცვეს. სამხედრო ფორმით დადიოდა და ამბობდა, რომ მე სამხედრო პირი ვარ და არ ვარ ამათი ნაგავი სისტემის წარმომადგენელიო. ხმამაღლა ამბობდა ამას. არამარტო ლადო, მთელი მისი ცვლა ადამიანურად ექცეოდა პატიმრებს. იგივე „ბასტი“ და „ბუბუ“ რატომ უნდა იყვნენ დღეს ციხეში, არ მესმის.

**არ მჯერა, როდესაც ლადო ბედუკაძეს აბრალებენ, პატიმრებს აწამებდა და სცემდაო. წარმოუდგენელია, ისეთ ადამიანს ეცემე, რომ მერე გეცნო. ოლეგ ფაცაცია და რამდენიმე ცნობილი ჯალათის ვინაობაც იმიტომ ვიცოდით, რომ ყველა ცემას ესწრებოდნენ. ფაცაცია თუ არა, „ხონსკი“ ან მუხაძე მაინც ესწრებოდა. ასევე ყველა ცემას ესწრებოდა ერთი ავადმყოფი (არ ვიცი, სხვა რა ვუწოდო), ცალთვალა ექიმი.**

ერთი ოფიცერი იყო, რომელიც, რომ არ ვეცემეთ, გვაფრთხილებდა ხოლმე, ბიჭებო, დღეს ფაცაციას ველოდებით და ჩუმად იყავითო. სიჩუმეში, იცით, რას გულისხმობდნენ? ჩურჩულის გარდა ნორმალური საუბრის უფლებაც არ გვქონდა. ნარდი მაყიდინეს და მაშინვე წამართვეს, კამათლების ხმამ გააღიზიანათ.

**— ციხეში რას ითხოვდნენ თქვენგან?**

— ჯერ მეკითხებოდნენ, — სად იყო ბადრი ბიწაძე. როდესაც ვუპაუხე, რომ არ ვიცოდი, მერე მთხოვდნენ, მეთქვა, ვითომ 26 მაისს ანზორ ბიწაძე იჯდა მანქანის საჭესთან. როდესაც ვუთხარი, რომ ანზორი ფიზიკურად ვერ იჯდებოდა იმ ღამეს საჭესთან-თქო, მითხრეს, შენ თქვი და ეგ ჩვენ ვიცით, იჯდებოდა თუ არაო. თუ იტყვი, რომ 26 მაისს ანზორ ბიწაძე იჯდა მანქანის საჭესთან, მხოლოდ ორთვიან ადმინისტრაციულ პატიმრობას მოგისჯით და სახლში გაგიშვებთო, რაზეც, რა თქმა უნდა, უარი განვაცხადე.

მეკითხებოდნენ, რა მანქანა მყავდა. ჩემი ფინანსური მდგომარეობა აინტერესებდათ. ვისაც ძვირფასი მანქანა ჰყავდა, ართმევდნენ. ეს იყო მათი გამოძალვის მეთოდი, ყაჩაღები სხვას კი არაფერს აკეთებდნენ.

ჩვენ, ყველანი პოლიტპატიმრები ვართ, რადგან სრულიად უმიზეზოდ, ავადმყოფი სააკაშვილის გამო დაგვიჭირეს. რატომ დამაპატიმრეს, რა დავაშავე, დღემდე ვერ ვხვდები.

ესაუბრა შორენა ციცქარაშვილი

**თუკი გარკვეულ რაღაცეებზე უარის თქმით აღვიდგენთ ტერიტორიულ მთლიანობას, ასეც უნდა მოვიქცეთ. არ უნდა ავყვეთ სულელურ, აუხდენელ ოცნებებს. ნატოში გაწევრიანება ჩვენი უსაფრთხოებისთვის საბოლოო გარანტია არ არის.**



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# ნიკოლოზ მჟავანაძე: ამერიკას ხელს აძლევს «ნაციონალური მოძრაობის» რეანიმირება

**წინასაარჩევნოდ „ქართული ოცნების" ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დაპირება სამართლიანობის აღდგენა იყო. საზოგადოებამ დაიჯერა, რომ ყველა თანამდებობის პირი, რომლებიც დანაშაულში იყვნენ შემჩნეულნი, აუცილებლად დაისჯებოდა, მაგრამ სიტუაცია სხვანაირად წარიმართა — საგამოძიებო ორგანოების ჩინოვნიკები დღეს თავისუფლები არიან და ყოფილი ქვეშევრდომების ამნისტიას ითხოვენ. ამის თაობაზე „საქართველო და მსოფლიოს" „უფლებადამცველთა გაერთიანების" თავმჯდომარე ნოკოლოზ მჟავანაძე ესაუბრება.**

— „ქართულმა ოცნებამ" რეალურად ვერ გაიგო ქართველი ხალხის მესიჯი. ქართველი ხალხის მესიჯი ნიურნბერგის მსგავსი პროცესის ჩატარებაა, „ნაციონალური მოძრაობა" უნდა გასამართლდეს, როგორც რეჟიმი. ხელისუფლებაზე იმდენად დიდია დასავლეთის ზეგავლენა, რომ ამის გამო ბრკოლდებიან. პარასკევს გავრცელდა ჰილარი კლინტონის წერილი, რომელშიც იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კოაბიტაციის პროცესი ძალიან კარგად მიმდინარეობს. ხაინდრავამ, რომელიც აქამდე სხვანაირად მოქმედებდა, რატომ შეიცვალა აზრი, არ მესმის. საუბრობენ დაბალი თანამდებობის პირების პასუხისმგებლობიდან გათავისუფლებაზე. ხელისუფლებამ ამ ხალხს რომ აპატიოს, ეს იქნება ძალიან დიდი დანაშაული. ამნისტიაზე ლაპარაკი როგორ შეიძლება, როდესაც ჯერ არავინ გასამართლებულა. **რეჟიმის გასამართლება იმას არ ნიშნავს, რომ მხოლოდ ერთი ადამიანი გასამართლდეს.** რეჟიმი შექმნეს ადამიანებმა. ხალხი ჯერ ელოდება, მობეზრდებათ და სხვანაირად მოიქცევიან. აღსანიშნავია, რომ კონკრეტულ ბრალდებებზე ვერ ხდება სამართლიანი გადაწყვეტილებების მიღება. მაგალითად, გუნავას რაღაც სისულელე წაუყენეს. ეს ხდება იმის გამო, რომ პოლიციასა და პროკურატურაში კვლავაც ძველი კადრები რჩებიან. ქაჩიბაია, სააკაშვილის ხელისუფლების გუნდის წევრი, ერთ-ერთი პროპაგანდისტი იყო. ყველას კარგად გვახსოვს მისი საუბრები გახმაურებულ საქმეებზე, დღეს იგი ქალაქის პროკურატურაში დააწინაურეს. ასევე დაწინაურდნენ სხვა პროკურორებიც. კირკიტაძის მოადგილეც პროკურატურაში გადმოიყვანეს. **როგორც სააკაშვილის ქმედებებში არ იყო ლოგიკა, ისე ამ ხელისუფლების ლოგიკას ვერ ვხედავ კონკრეტულ საქმეებთან დაკავშირებით. ეს ხელისუფლება ისეთ ნაბიჯებს დგამს, როგორც ვატყობ, ძალიან ცუდად დაამთავრებს.**

**— თქვენ ახსენეთ დასავლეთის ზეწოლა. საზოგადოებას არ ახსოვს მათი ასეთი მწვავე რეაქცია, როდესაც სააკაშვილი ახორციელებდა მასობრივ დაჭერებს...**

— თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ ციხის კადრებამდეც არსებობდა ხელისუფლების საწინააღმდეგო განწყობა. მათთვის სააკაშვილის რეჟიმი იყო მისაღები. მასობრივი უკმაყოფილების ფონზე დასავლეთის ორგანიზაციების კვლევის შედეგები მაინც სააკაშვილის სასარგებლოდ მეტყველებდა. ციხის კადრების შემდეგ დასავლეთი იძულებული გახდა, ელიარებინა ქართველი ხალხის ურყევი ნება. რა თქმა უნდა, სააკაშვილის რეჟიმი რომ აღარ არსებობს, ძალიან დიდი როლი ითამაშა ბიძინა ივანიშვილმა, მაგრამ ერთი რამეც ნუ დაგვავიწყდება: სააკაშვილი თუ გამოაცხადებდა, რომ არჩევნები მოიგო, ვერაფერი შეაჩერებდა ქართველ ხალხს. სხვანაირად მოხდებოდა ხელისუფლების შეცვლა. ისინი იძულებულნი გახდნენ, ეს ნაბიჯი გადაედგათ. რატომ იყვნენ მაშინ ჩუმად, როდესაც ამხელა რაღაცები ხდებოდა: ახლა ჯერ კაცი არ დაჭერილა და ახალაიაზე რამხელა ამბავი ატეხეს. მერაბიშვილი რომ დაიჭირონ, ალბათ, მეორედ მოსვლა დაიწყება. ჯერ სათანადოდ ვერ მუშაობენ. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ელჩები ახლა შეიცვალა. გარკვეული პრობლემები არსებობს ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებითაც. **ხელისუფლებამ, თუ ქართველი ერის ნების გამომხატველია, არავის ჭკუაზე არ უნდა იაროს.** ჩვენ არ ვითხოვთ, ვიღაცას სისხლი ვადინოთ ან უდანაშაულო ადამიანები დავსაჯოთ — ხალხი ითხოვს სამართლიანობას. მე შეგახსენებთ უფლებადამცველ სიმონ მინვენტარს. მან ფაშისტური რეჟიმის გასასამართლებლად ჩამოაყალიბა ორგანიზაცია. ეს ადამიანი სხვათა შორის საკონცენტრაციო ბანაკებშიც იყო და არაერთი ნაცისტი გაასამართლა. ამაზეა საუბარი. თუ ხელისუფლება ვერ განახორციელებს სამართლიანობის პოლიტიკას, ხალხი აიღებს პასუხისმგებლობას და ეს უფრო ცუდი იქნება. მიტინგის გამართვას არავინ კრძალავს. მაგრამ იმის ნაცლად, რომ პასუხი აგონ, შეტევაზე გადმოდიან. პროკურატურა კი სირაქლემას როლშია.

**«ხელისუფლებამ, თუ ქართველი ერის ნების გამომხატველია, არავის ჭკუაზე არ უნდა იაროს»**

**— 2008 წლის აგვისტოს ომზე ძალიან ბევრმა სამხედრო პირმა ისაუბრა მაღალი თანანმდებობის პირების დაუდევრობასა და უპასუხისმგებლობაზე. ბევრს საუბრობდნენ ქართული ჯარის სიძლიერეზე, მისთვის დახარჯულ თანხებზე, მაგრამ რეალურად ომო წავაგეთ. უნდა დადგეს თუ არა კონკრეტული ადამიანების პასუხისმგებლობის საკითხი?**

— მოგეხსენებათ, სააკაშვილი და მერაბიშვილი უკან დაბრუნებით იმუქრებიან. ხალხს გაუჩნდა განცდა, რომ ისინი, შესაძლოა, მართლაც დაბრუნდნენ. სწორედ ამიტომ ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით ძალიან ბევრი დანაშაულის შესახებ. ყველა რობაქიძისა და გირგვლიანის მსგავსი გმირი არ აღმოჩნდა. როდესაც სააკაშვილი პრეზიდენტობას ჩამოშორდება, ომის საკითხებთან დაკავშირებით კიდევ უფრო ბევრი რამ გახდება ცნობილი. სასამართლო სააკაშვილისააო. კუბლაშვილის წინააღმდეგ ჩვენ არაერთი მტკიცებულება მივაწოდეთ. მისი სარჩელისთვის არავითარი საკონსტიტუციო უმრავლესობა არ არის საჭირო. თუ პროკურატურა წარადგენს და პარლამენტი მისცემს თანხმობას, ავტომატურად მოხდება მისი დაპატიმრება. გვენეტაძე და ტურავა დანაშაულის შესახებ აწვდიდნენ ინფორმაციას. ესენი ყველაფერში დასავლეთს უყურებენ. სწორედ ამას გადაყვებიან. ძალიან არ მინდა, რომ ასე მოხდეს. **სააკაშვილი მოსაცილებელი რომაა, ამიტომაა ხალხი ჩუმად. თუ ასე გააგრძელეს, ავტომატურად შეიცვლებიან.**

**— საზოგადოებაში არსებობს ინფორმაცია, რომ მაღალი თანამდებობის პირებს გარკვეული გარანტიები მისცეს, რამდენად ეთანხმებით ამ მოსაზრებას?**

— ხელისუფლებების ქმედებები ეჭვს ბადებს, რომ ასეთი გარანტიები მართლა არსებობს. ამნისტიაზე საუბრის უფლება ვინ მისცათ? წინასაარჩევნოდ აცხადებდნენ, რომ თითოეული ადამიანი ჩადენილ დანაშაულზე პასუხს აგებდა. მათი ლოგიკით, პატიმრების გამაუპატიურებლებზე ამნისტია უნდა გავრცელდეს. მე არ მინდა დაჯერება, მაგრამ გარანტიები მიცემული რომაა, მათი ქმედებიდან ჩანს. შთაბეჭდილებას ტოვებენ, რომ არ უნდათ სიტუაციის გამწვავება. **არსებობს მოსაზრება, რომ ამერიკას ხელს აძლევს რეანიმირებული „ნაციონალური მოძრაობა". ყველაფერი აქეთ მიდის. ჩიორა თაქთაქიშვილი ხუთი დღის მერე მოინახულეს. ამ ხალხის გმირებად ქცევა ხდება. პროვოკაცია მოეწყო და პოლიციაც დოყლაპიასავით იქცეოდა.** შე დალოცვილო, რისთვის გყავს ეს კონტიგენტი, ადექი დააყენე და არ დაუშვა პროვოკაცია! ყველაფერს ამას ხელისუფლება უწყობს ხელს, დოყლაპიებივით იქცევიან.

**— ერთ მნიშვნელოვან საკითხს მინდა შევეხო. მოგეხსენებათ, ნატო აღიარებს ტერიტორიულ მთლიანობას და ვერ მიგვიღებს, სანამ კონფლიქტი გვექნება. მიუხედავად ამისა, შევარდნაძის დროიდან მოყოლებული, გვესმის, რომ საქართველო ნატოში გაწევრიანდება. ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მაგივრად კიდევ დავკარგეთ ტერიტორიები. სად იქნა დაშვებული შეცდომა?**

— სხვათა შორის ტერიტორიების დაბრუნება შევარდნაძის დროს გაცილებით ადვილი იყო. შევარდნაძის დამცველი ნამდვილად არ ვარ, მაგრამ ცხინვალში ჩასვლა შესაძლებელი იყო. კიდევ არსებობდა რაღაც სახის ურთიერთობები. კონსტიტუციაში ყოველგვარი ჩანაწერის გაკეთება ჩემთვის მიუღებელია. მთავარია ტერიტორიული მთლიანობის საკითხი. **თუკი გარკვეულ რაღაცებზე უარის თქმით აღვიდგენთ ტერიტორიულ მთლიანობას, ასეც უნდა მოვიქცეთ. არ უნდა ავყვეთ სულელურ, აუხდენელ ოცნებებს. ნატოში გაწევრიანება ჩვენი უსაფრთხოებისთვის საბოლოო გარანტია არ არის.** პოლონეთის დახმარების ვალდებულება ჰქონდა ევროპას, მაგრამ გაწირეს. ერთა ლიგაში რომ იყო საქართველო, მაშინაც არ დაგვხმარებიან. ნატოში რომ გავწევრიანდეთ და რაღაც პრობლემა შეგვექმნას, არც ამ შემთხვევაში მოიკლავენ თავს. მაპატიეთ და ეს იდიოტები ამბობენ, რომ რუსეთთან არ უნდა დავილაპარაკოთ. ეს ძლიერი ქვეყანაა, ტერიტორიები რომ წაგვართვა, დაგვარბიაო. ვიცით ეს, მაგრამ მასთან დიალოგის გარეშე ამ პრობლემის გადაჭრა შეუძლებელია. თავად პატრიარქს დააკვირდით, რუსეთთან დაახლოებას როგორ ცდილობს. უდიდესი ბრძენი ადამიანია პატრიარქი. მისი დახმარების შედეგად პერევი დავიბრუნეთ. შემდეგ ესენი შევარდნენ. **რუსეთთან თუ არ დავამყარეთ ისეთი ურთიერთობა, რომელიც საწინდარი იქნება შემდგომი პერსპექტივისთვის, ძალიან ცუდად წავა ჩვენი საქმე.**

**— ანუ საგარეო ვექტორი გადასახედია?**

— ნატოს პერსპექტივებს გარკვეულწილად გადახედვა სჭირდება. **თუკი ჩვენ გაგვიჩნდება შანსი, რომ ტერიტორიული მთლიანობა აღვადგინოთ, მაშინ უარი უნდა ვთქვათ ნატოზე.** პოლიტიკაში მუდმივი მეგობრები არ არსებობენ. დღეს შეიძლება ჩვენი მოკავშირე ამერიკაა და ხვალ შეიძლება სხვა ქვეყანა იყოს. ჩვენთვის მისაღები რომელი ფორმაც იქნება, ის უნდა ავირჩიოთ. მიუღებელია, ვიყოთ ნატოს წევრი და უარი ვთქვათ ტერიტორიებზე.

**— ძალიან აქტუალური თემაა რობაქიძის საქმე და აუცილებლად უნდა შეგეკითხოთ: ტელევიზიით გავრცელდა ახალი ვიდეო, რომელიც ძალიან ბევრ კითხვას ბადებს... რატომ ამდენი ხნის შემდეგ, ვისი ხელი მოქმედებს და ა. შ. რამდენად სწორად მიგაჩნიათ დონაძის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს შეფარდება?**

— სასამართლოს მხრიდან დონაძის მიმართ გირაოს შეფარდება არ არის გასაკვირი. დაკვეთა თუ იქნება, ამ სასამართლოს ილია ჭავჭავაძის მკვლელიც რომ წარუდგინონ, იმასაც გაათავისუფლებენ. სასამართლოს რეფორმა როდესაც განხორციელდება, თითოეულმა მოსამართლემ უნდა აგოს პასუხი. ვინმეს ნუ ჰგონია, რომ ციხის ჯალათებზე უკეთესია ეს ხალხი. სწორედ მათი გადაწყვეტილებების შედეგად სვამდნენ ადამიანებს ციხეში. რაც შეეხება რობაქიძის საქმეს, სპეციალურად შემოაგდეს ეს მტკიცებულება, რათა სასამართლოს ლავირების საშუალება ჰქონდეს. რა თქმა უნდა, სასამართლო იტყვის, რომ იზიარებს დონაძის მტკიცებულებას იმიტომ, რომ უფრო ნათელია და ობიექტური.

**— თუმცა მისი ავთენტურობის საკითხი ეჭვქვეშ დგას...**

— ჩვენ გვყავდა მოწვეული სასამართლო სამედიცინო ექსპერტები. ოფიციალურად ვერაფერს ვიტყვით, მაგრამ საფუძვლიანი ეჭვი არსებობს, რომ გაყალბებულია. რაღაც სისულელეებით ებღაუჭებიან ხავს. იოლი ფალსიფიკაციით საქმეების შეკერვას ისეა ეს ხალხი მიჩვეული, ალღოც დაკარგეს, რომ რაღაც ისეთი მოიფიქრონ, ცოტათი მაინც იყოს დამაჯერებელი. იმ პოლიციელმა ჩვენება ხუთჯერ შეცვალა. მარტო მაგის გამო უნდა მიეცეს პასუხისგებაში, რადგან ცრუ ჩვენება კანონით დასჯადი ქმედებაა. პოლიციელების პასუხისმგებლობის საკითხიც უნდა დადგეს. სისხლის სამართლის კოდექსით, დაუხმარებლობა დასჯადი ქმედებაა. ნახევარი საათი სისხლისგან იცლებოდა და კაცმა არ მიაქცია ყურადღება. დახმარება რომ აღმოჩენილიყო, შესაძლოა, გადარჩენილიყო. ამაზე პროკურატურას რეაქცია საერთოდ არ ჰქონია. ფალსიფიკაციაზე კიდევ სხვა მუხლი არსებობს. უდანაშაულოდ ხოცავდნენ ხალხს და ეს იყო მათი რეალური სახე. ჰიტლერის ქმედება არ არის გასამართლებელი, მაგრამ ის საკუთარ ხალხს არ ერჩოდა. ამათ კი რეპრესიები ქართველ ხალხს მოუწყვეს. კიდევ ვიმეორებ: თუ ეს რეჟიმი სათანადოდ არ გასამართლდა, შემდგომში სხვა ხელისუფლებები უარესს გააკეთებენ.

**ანა ქევხიშვილი**

საზოგადოებრივი აზრი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„თუ მოხდება „ნაციონალური მოძრაობის“, როგორც რეჟიმის, სისტემის გასამართლება და შესაბამისი შეზღუდვები დაუწესდება ამ გასამართლების შედეგად, ბუნებრივია, მათგან რომელიმე პრეზიდენტობის კანდიდატად ვერც წარდგება.“

# მომავალი პრეზიდენტი — დეკორაცია თუ კონფლიქტების მოგვარების გასაღები?

**საპრეზიდენტო არჩენები სადაცაა კარს მოგვადგება. მოახლოებულ ციებ-ცხელებას პოლიტიკურ ასპარეზზე დაძაბულობაც თან სდევს. კოალიციაში შემავალ სუბიექტებს შორის ქვეყნის მოწყობასთან დაკავშირებით არსებული უთანხმოება საზოგადოებაში გარკვეულ კითხვებს აჩენს. ძლიერი პრეზიდენტი მძლავრი საპარლამენტო კონტროლით თუ უბრალოდ საპრეზიდენტო მმართველობა — ეს საკითხი „ქართულ ოცნებაში“ შესაძლო განხეთქილების ვაშლად კვლავ რჩება... მომავალი პრეზიდენტის ფუნქციებზე, აგრეთვე, იმაზე, თუ რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს პრეზიდენტობის კანდიდატი, ჩვენს გაზეთთან საუბარში პოლიტოლოგმა ალექსანდრე ჭაჭიამ ახლებური და საინტერესო ხედვა წარმოადგინა. ამასთან დაკავშირებით „საქართველო და მსოფლიომ“ კომენტარი ექსპერტებს სთხოვა.**





## ელისო კილაძე:

## ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა უნდა შეძლოს საომარი რიტორიკიდან დიალოგის რეჟიმზე გადასვლა

**— რა უნდა იყოს ის ძირითადი კრიტერიუმები, რომლებსაც მომავალი პრეზიდენტობის კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს?**

**ელისო კილაძე, საზოგადოებრივი მოძრაობა „ჩემი საქართველოს“ თავმჯდომარე:**

— პრეზიდენტობის კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით. სასურველია, იყოს გამოცდილი. პოლიტიკურ წარსულს რაც შეეხება, ცხადია, არ უნდა იყოს იმ დანაშაულებრივი რეჟიმის თანაავტორი, რომელიც „ვარდების რევოლუციის“ მერე შეიქმნა საქართველოში. კონფლიქტურ რეგიონებთან დაკავშირებით, სასურველია, მან მოახერხოს პირდაპირი დიალოგი რუსეთთან, რადგან რუსეთი ჩვენი ისტორიული მეზობელია და ამას, უბრალოდ, ვერ შევცვლით.

**— როგორ ფიქრობთ: უნდა იყოს თუ არა მომავალი პრეზიდენტის მთავარი პრიორიტეტი და პასუხისმგებლობა აფხაზებთან და ოსებთან, ასევე რუსეთთან და ჩრდილოკავკასიურ რესპუბლიკებთან ურთიერთობის ნორმალიზება?**

— კონფლიქტურ რეგიონებში პირველ ეტაპზე, ალბათ, საჭიროა სახალხო დიპლომატიის გამოყენებაც, იმდენად, რამდენადაც კავკასია დიდი რეგიონია და ამ რეგიონში მეზობელი და პარტნიორი ქვეყნების ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა. საქართველოს უმაღლესი ხელისუფლების ამოცანა უნდა იყოს კეთილმეზობლური დამოკიდებულება მათთან. ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა უნდა შეძლოს საომარი რიტორიკიდან დიალოგის რეჟიმზე გადასვლა.



## ხათუნა ლაგაზიძე:

## თუ ახლადარჩეულ პრეზიდენტს მხოლოდ ცერემონიალური ფუნქციები ექნება, კონფლიქტების მოგვარებაში მისი აქტიური მონაწილეობა შეიძლება არც იყოს გათვალისწინებული

**ხათუნა ლაგაზიძე, პოლიტოლოგი:**

— თუ იქნება პრეზიდენტის პირდაპირი წესით არჩევა, საერთო სახალხო კენჭისყრით, სულ სხვა კრიტერიუმებია მაშინ საჭირო პრეზიდენტისთვის. არსებობს ზოგადი კრიტერიუმებიც, მაგრამ იმის მიხედვით, თუ როგორ აირჩევენ პრეზიდენტს, შესაბამისად, კრიტერიუმებიც განსხვავებული იქნება. პარლამენტის მიერ არჩეულ პრეზიდენტს, უბრალოდ, რჩება მაქსიმალურად შეზღუდული უფლებები, მხოლოდ ცერემონიალური უფლებები და ამ შემთხვევაში ბევრი ისეთი თვისება, რაც პირდაპირი წესით არჩევის დროს არის სასიცოცხლოდ აუცილებელი, შეიძლება აღარც მოეთხოვოს. მაგრამ პოლიტიკური გამოცდილება ყველა შემთხვევაში საჭიროა.

როდესაც ხელისუფლება ყალიბდება რეჟიმად, დიქტატურისკენ, ავტორიტარიზმისკენ და ტოტალიტარიზმისკენ იხრება, მისი წარმომადგენელი, არა მგონია, პრეზიდენტობის კანდიდატად გამოდგეს. თუ მოხდება „ნაციონალური მოძრაობის“, როგორც რეჟიმის, სისტემის გასამართლება და შესაბამისი შეზღუდვები დაუწესდება ამ გასამართლების შედეგად, ბუნებრივია, მათგან რომელიმე პრეზიდენტობის კანდიდატად ვერც წარდგება. ზოგადად, პოლიტიკური ძალები მიდიან საქართველოს ხელისუფლებიდან ან ქრებიან, ან სხვა პოლიტიკურ ძალად გარდაიქმნებიან. შევარდნაძის ხელისუფლებისდროინდელი „მოქალაქეთა კავშირი“ გადაიქცა „ნაციონალურ მოძრაობად“ და, წინა ძალებზე თუ ვისაუბრებთ, მხოლოდ გამსახურდიას პარტიაზე საუბარი მოგვიწევს, რომელიც აღარ არსებობს.

**— თქვენი აზრით, უნდა იყოს თუ არა მომავალი პრეზიდენტის მთავარი პრიორიტეტი და პასუხისგებლობა აფხაზებთან და ოსებთან, ასევე რუსეთთან და ჩრდილოკავკასიის რესპუბლიკებთან ურთიერთობის ნორმალიზება?**



## გია ხუხაშვილი:

## კონსტიტუციით პრეზიდენტი საგარეო პოლიტიკაში და ქვეყნის ყოველდღიურ მართვაში არ მიიღებს მონაწილეობას

— როგორც მახსოვს, ბოლო საკონსტიტუციო ცვლილებების თანახმად, პრეზიდენტს უფლება-მოვალეობები მკვეთრად შეუმცირდა. საგარეოპოლიტიკური ურთიერთობის მოგვარებაში რამდენად რჩება უფლებები პრეზიდენტს, არ მახსოვს, მაგრამ, თუ ახლადარჩეულ პრეზიდენტს მხოლოდ ცერემონიალური ფუნქციები ექნება, კონფლიქტებში მონაწილეობა მისი, როგორც აქტიური პერსონის, შეიძლება არც იყოს კანონით გათვალისწინებული.

**— რამდენად დამაკმაყოფილებელია რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის სტატუსი კონფლიქტურ რეგიონებთან სრულფასოვანი მოლაპარაკებების საწარმოებლად და საკმარისად მიგაჩნიათ თუ არა ახალი ხელისუფლების ძალისხმევა რუსეთთან ურთიერთობის ჩიხიდან გამოსაყვანად?**

— ნეტავ რეინტეგრაციის მინისტრის სტატუსი წყვეტდეს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ბედს და ნებისმიერ სტატუსს შევურჩევდით. რაც შეეხება იმას, რამდენად საკმარისია ახალი ხელისუფლების ძალისხმევა რუსეთთან ურთიერთობის ჩიხიდან გამოსაყვანად, აქ მთელი საკითხებია. თუ ჩვენ მიზნად ვისახავთ სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობების აღდგენას რუსეთთან, მოკლევადიან პერსპექტივაში ეს მიღწევადია. გრძელვადიან პერსპექტივას რაც შეეხება, იქ უამრავი ფაქტორი მოქმედებს: რუსეთ-ამერიკის ურთიერთობები როგორი ინტენსივობით წარიმართება, როგორი იქნება ძალთა ბალანსი სახელისუფლო პარტიებს შორის და ა. შ.

როდესაც ქვეყნის პრეზიდენტი სააკაშვილი აცხადებს, რომ საქართველოს განიხილავს, როგორც მხოლოდ რუსეთსა და ამერიკას შორის დაპირისპირების ობიექტს, და ეს ქვეყანა იარსებებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი დაპირისპირების ობიექტი იქნება, ეს ზოგადად ავადმყოფური მიდგომაა. და როდესაც პრეზიდენტი თავის ფუნქციად მხოლოდ იმას აცხადებს, რომ ის უნდა იყოს საჯილდაო ქვა ორ უძლიერეს სახელმწიფოს შორის, ეს ნორმალური არაა, მგონი. როგორი ავადმყოფური მიდგომებიც ჰქონდა ძველ ხელისუფლებას საკუთარი ფუნქციისადმი და ქვეყნისადმი, ხომ ფაქტია! ახალმა ხელისუფლებამ ეს მიდგომა რადიკალურად შეცვალა. ის ამბობს, რომ საქართველო, როგორც არც ერთი სხვა ქვეყანა, არ შეიძლება განიხილებოდეს ქვეყნებს შორის დაპირისპირების ობიექტად და არ შეიძლება ქვეყნის ფუნქცია იყოს ის, რომ შენს ტერიტორიაზე სხვადასხვა სახელმწიფომ იომოს, და ამას აცხადებდეს ქვეყნის პირველი პირი. როგორც იცით, ახალმა ხელისუფლებამ პარლამენტშიეს დეკლარაციის სახით შეიტანა, რომ საქართველო აღარ უნდა იყოს დაპირისპირების ობიექტი საერთაშორისო ასპარეზზე და პირიქით, საქართველო მალე შეიძლება იქცეს რეგიონში თანამშრომლობისა და სხვადასხვა ინტერესის ობიექტად. და რადგან მიდგომები შეიცვალა, სამომავლოდ უნდა ვიფიქროთ, რომ წინსვლაც იქნება.

**გია ხუხაშვილი, სს „საქართველოს რკინიგზის“ გენერალური დირექტორის კონსულტანტი:**

— ახალი საკონსტიტუციო ცვლილებებიდან გამომდინარე, პრეზიდენტობის კანდიდატი უნდა იყოს კონსტიტუციის გარანტი. უნდა აბალანსებდეს ხელისუფლების სხვადასხვა შტოს შესაძლო კრიზისის შემთხვევაში. უნდა იყოს უპირობო ავტორიტეტი, ძალიან გამოცდილი, ასაკოვანი, მე ასე წარმომიდგენია. ახალგაზრდა ვერ წარმომიდგენია

საზოგადოებრივი აზრი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# „კოალიციას უნდა, რომ პირველი პირი აირჩიოს საკანონმდებლო ორგანომ. ვინ იქნება ეს, არ ვიცით, მაგრამ, ვინც უნდა იყოს, მე მიმაჩნია, რომ ასეთი პრეზიდენტი იქნება არა არჩეული, არამედ დანიშნული პრეზიდენტი, მოხელე.“

ასეთი ტიპის თანამდებობაზე. ასევე არ უნდა იყოს პოლიტიკურად ანგაჟირებული და არ უნდა იყოს მხარე სახელმწიფოში. მთლად აპოლიტიკური არ გამოვა, მაგრამ ეს ადამიანი აქტიური პოლიტიკიდან, კარიერული პოლიტიკიდან გასული უნდა იყოს.

**— რამდენად უნდა იყოს მისი პრიორიტეტი აფხაზებთან და ოსებთან, ასევე რუსეთთან და ჩრდილოკავკასიურ რესპუბლიკებთან ურთიერთობის ნორმალიზება?**

— გამომდინარე იქიდან, რომ პრეზიდენტის ფუნქცია არაა საგარეო პოლიტიკის განსაზღვრა, ახალი კონსტიტუციით, პრეზიდენტის მონაწილეობა პროცესებში იქნება უფრო პასიური. აქედან გამომდინარე, პრეზიდენტობის მომავალ კანდიდატს ამ კრიტერიუმებით არ შევაფასებდი. ახალი კონსტიტუციით, პრეზიდენტი არც საგარეო პოლიტიკაში და, ზოგადად, ქვეყნის ყოველდღიურ მართვაში არ მიიღებს მონაწილეობას. აქედან გამომდინარე, არაა ეს მისი შერჩევის, ჩემი აზრით, პრინციპული კრიტერიუმი, თუმცა საარჩევნო კამპანიის დროს, რა თქმა უნდა, მას მოუწევს ამ კითხვებზე პასუხის გაცემა და საზოგადოების გადასაწყვეტი იქნება, ეთანხმება თუ არა მის მოსაზრებებს ამა თუ იმ საკითხებზე.

**— რამდენად დამაკმაყოფილებელია რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის სტატუსი კონფლიქტურ რეგიონებთან სრულფასოვანი მოლაპარაკებების საწარმოებლად და საკმარისად მიგაჩნიათ თუ არა ახალი ხელისუფლების ძალისხმევა რუსეთთან ურთიერთობის ჩიხიდან გამოსაყვანად?**

— საუბარი იმაზე, რომ ან რომელიმე სამინისტროს, ან ხელისუფლებას შეუძლია სწრაფად გამოსვლა ამ პრობლემებიდან, აზრს მოკლებულია. ჩვენ უნდა ვეცადოთ, პროგრამა მინიმუმის შესრულებას. ანუ რუსეთის მხრიდან იმ სიტუაციის უზრუნველყოფას, რომ ის ჩვენ საგარეო, თუ საშინაო საქმეებში არ ჩაერიოს. ის, რომ რუსეთი ჩვენ რამეში დაგვეხმაროს, არასწორი კონცეფციაა, ჩემი აზრით. მე ვფიქრობ, რომ რუსეთის ნეიტრალიზება უფროა ჩვენი მთავარი ამოცანა. იმისათვის, რომ ჩვენ მოგვეცეს საშუალება, ჩვენს აფხაზ თანამოქალაქეებს პირდაპირ ვესაუბროთ. ამ კუთხით თუ კონცეპტუალურად ყველაფერი დალაგდება და თუ რუსეთთან სიტუაციის ნორმალიზება მოხდება, თუნდაც იმ კუთხით, რომ ხელი არ შეგვიშალოს, ეს სერიოზულად წინგადადგმული ნაბიჯი იქნება. რაც შეეხება რეინტეგრაციის სამინისტროს, მე საერთოდ ეს სახელიც არ მომწონს. ძალიან ამბიციურია. სენსიტიური თემაა ზოგადად და პირდაპირ სახელში ჩადება საბოლოო მიზნის, ვფიქრობ, არასწორია. უფრო ფაქიზი მუშაობა დაგვჭირდება ჩვენს აფხაზ ძმებთან იმისათვის, რომ ეს პრობლემა მოგვარდეს. მე, მაგალითად, ვისურვებდი თუნდაც სახელის შეცვლას ამ სამინისტროსი. ასე, რომ ეს ყველაფერი სხვა შედეგზე არ უნდა იყოს ორიენტირებული. რუსეთთან სიტუაციის ნორმალიზება უნდა გამოვიყენოთ იმისთვის, რომ მათ დაიცვან ნეიტრალიტეტი. ასევე, ჩვენ ჩვენს აფხაზ მოქალაქეებს უნ-



ის სამინისტრო. მისი ფუნქცია არის აბსოლუტურად თითიდან გამოწოვილი. ესაა ხელისუფლების მიერ იმისათვის შექმნილი სამინისტრო, რომ საზოგადოების ყურადღება გადაეტანა ამ გადაწყვეტილებაზე. რომ საქართველოს ხელისუფლება რაღაცას აკეთებს, ამ დროს ხელისუფლებას არაფერი გაუკეთებია რეინტეგრაციისთვის, მაგრამ შექმნა სამინისტრო. ეს იყო საზოგადოებისთვის თვალის ახვე-

უნდა შეიცვალოს რუსეთში მდგომარეობა და როგორ უნდა დაჩაჩანაკდეს რუსეთი, რომ თქვას, აფხაზეთმა და ოსეთმა თვითონ მიხედონ თავსო. ეს უახლოეს პერიოდში წარმოუდგენელია. რუსეთმა აღიარა ყოფილი საბჭოთა საქართველოს ავტონომიების დამოუკიდებლობა და, ვინც არ უნდა იყოს და რაც არ უნდა იყოს, ვერ აიძულებს, უარის თქვას თავის პოზიციაზე.

## ჰამლეტ ჭიპაშვილი:
## პრეზიდენტი უნდა იყოს ორიენტირებული უმთავრეს პრობლემურ საკითხებზე — აფხაზეთსა და ოსეთზე, რომლის მოგვარებაც რუსეთის გარეშე, უბრალოდ, შეუძლებელია

და შევუქმნათ იმის განცდა, რომ არ ვაპირებთ მათ წინააღმდეგ ძალისმიერი მეთოდების გამოყენებას და არც არასდროს გამოვიყენებთ და ესაა ის ძირითადი კონფიგურაცია, რომლის საფუძველზეც მოგვეცემა შესაძლებლობა, შემდგომში გადავიდეთ საკუთრივ რეინტეგრაციის პროცესზე.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი, პოლიტოლოგი:**

— მოგეხსენებათ, კოალიციას უნდა, რომ პირველი პირი აირჩიოს საკანონმდებლო ორგანომ. ვინ იქნება ეს, არ ვიცით, მაგრამ, ვინც უნდა იყოს, მე მიმაჩნია, რომ ასეთი პრეზიდენტი იქნება არა არჩეული, არამედ დანიშნული პრეზიდენტი, მოხელე. რაც შეეხება კრიტერიუმებს, რას უნდა აკმაყოფილებდეს იგი, ვფიქრობ, უმჯობესია, პრეზიდენტად არჩეულ იქნეს პიროვნება, რომელიც გადაცილებულია ორმოცდაათ წელს, ვიდრე მოვიდეს 35 წლის გამოუცდელი ახალგაზრდა. ასევე, ცხადია, ის უნდა იყოს განათლებული, ჭკუადამჯდარი, მოაზროვნე კაცი და ნაკლებად ამა თუ იმ პარტიასთან დაახლოებული. უმნიშვნელოვანესია ისიც, თუ რა პრინციპებით იხელმძღვანელებს კონფლიქტურ რეგიონებთან და, რაც მთავარია, რუსეთთან მიმართებაში.

**— მიგაჩნიათ, რომ ეს პრიორიტეტი უნდა იყოს?**

— ვიმეორებ: თუ ლაპარაკია საპარლამენტო რესპუბლიკაზე, მაშინ მომავალი პრეზიდენტის ორიენტაციას დიდი მნიშვნელობა არ აქვს, ვინაიდან ის არ იქნება აქტიური; ხოლო თუ საუბარია საპრეზიდენტო რესპუბლიკაზე, ცხადია, პრეზიდენტი უნდა იყოს ორიენტირებული უმთავრეს პრობლემურ საკითხებზე — აფხაზეთსა და ოსეთზე, რომლის მოგვარებაც რუსეთის გარეშე, უბრალოდ, შეუძლებელია.

**— რამდენად დამაკმაყოფილებელია რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის სტატუსი კონფლიქტურ რეგიონებთან სრულფასოვანი მოლაპარაკებების საწარმოებლად და საკმარისად მიგაჩნიათ თუ არა ახალი ხელისუფლების ძალისხმევა რუსეთთან ურთიერთობის ჩიხიდან გამოსაყვანად?**

— მიმაჩნია, რომ საერთოდ არ უნდა იყოს რეინტეგრაცი-

ვა, რომ აი არსებობს სამინისტრო და ის გადაწყვეტს ყველაფერს. ასე რომ, ესაა თითიდან გამოწოვილი და არაფრისმაქნისი სამინისტრო.

**— საკმარისად მიგაჩნიათ თუ არა ახალი ხელისუფლების ძალისხმევა რუსეთთან ურთიერთობის ჩიხიდან გამოსაყვანად?**

— რუსეთთან ურთიერთობის მოგვარება არაა მარტო ეკონომიკური საკითხების და ღვინის ექსპორტის საქმე. აქ გაცილებით უფრო სერიოზული საკითხებია და, როდესაც აბაშიძე და კარასინი მიადგებიან ამ საკითხებს და ის საკითხები თუ არ გადაწყდა, ცხადია რეინტეგრაციის საკითხები საერთოდ ზღაპარია. როდესაც ეს ორი პიროვნება მიადგება ამ საკითხებს, საერთოდ ვითარება შევა სერიოზულ ჩიხში, იმიტომ, რომ არც საქართველოს და არც რუსეთს არ აქვს გასაღები ამ საკითხის მოგვარების. რადგან საქრათველოს ხელისუფლებამ 2008 წელს დაუშვა სერიოზული შეცდომა ომის დაწყების თვალსაზრისით, რომ მისი გამოსწორების შესაძლებლობა არათუ აბაშიძესა და კარასინს, არათუ პუტინსა და ივანიშვილს, არამედ ღმერთსაც აღარ შეუძლია. ასე იოლად არ შეიძლება მისი გამოსწორება. მე არ ვიცი, როგორ



**მარიამ ცაცანაშვილი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, მდგრადი განვითარების საერთაშორისო ფონდის პრეზიდენტი:**

— პრეზიდენტობის მომავალი კანდიდატი, რა თქმა უნდა, იმ ასაკაში უნდა იყოს, რომელსაც გარკვეული ცხოვრებისეული გამოცდილებები გავლილი აქვს, და მას შეუძლია უკვე არბიტრის ფუნქცია შეასრულოს. თუ მომავალ კანდიდატს საზოგადოებასთან ჰქონია კონტაქტები სხვადასხვა მიმართულებით, სისტემების აწყობებზე უმუშავია, ზნეობრივად გაწონასწორებულია, თავის საქმეში პროფესიონალია, კომუნიკაბელურია, და არ უჭირს კონფლიქტების მოგვარება, ასეთი ადამიანი, ჩემი აზრით, სრულიად შეესაბამება პრეზიდენტის კანდიდატურას.

**— როგორ ფიქრობთ, უნდა იყოს თუ არა მომავალი კანდიდატისთვის პრიორიტეტი აფხაზებთან და ოსებთან ურთიერთობა, ასევე რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზება?**

— პრეზიდენტმა კონსტიტუციით განსაზღვრული უფლება-მოვალეობები უნდა შეასრულოს. ახალი პრეზიდენტი უკვე მაგ ფუნქციის შემსრულებელი აღარ იქნება.

**— რამდენად უნდა იყოს მისი კანდიდატურა სოხუმის, ან ცხინვალის მმართველი წრეებისთვის, ასევე რუსეთისათვის მისაღები?**

— საერთოდ პრეზიდენტობის მომავალი კანდიდატი იმ

დაწყდეს. რაც შეეხება მეორე საკითხს, ახალი ხელისუფლების დამოკიდებულებას რუსეთთან მიმართებაში, საშური და აუცილებელი საქმეა. არამარტო საქართველოში, არამედ ევროპაშიც ცდილობენ, რომ კარგი ურთიერთობები დაამყარონ რუსეთთან, რომ სრულფასოვან სუბიექტებად იქნენ წარმოჩენილნი. მთელი ჩვენი წინაისტორია და ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა განაპირობებს იმას, რომ რუსეთთან, როგორც მეზობელთან გარკვეული პოლიტიკური ურთიერთობის აწყობა აუცილებელია. ასე რომ, დღევანდელმა ხელისუფლებამ, მიუხედავად სხვადასხვაგვარი ზეწოლებისა, უნდა მოძებნოს რუსეთთან დიალოგის გამართვის გზები.

**ვასილ ჭიჭინაძე, დიპლომატი:**

— პირველ რიგში, პრეზიდენტი უნდა იყოს პრაგმატული პიროვნება. ჩამოყალიბებული, დახვეწილი და, რაც მთავარია, მან ყოველთვის უნდა გათვალოს, რა შეიძლება მოჰყვეს მის, თუნდაც ერთი შეხედვით ნაკლებად მნიშვნელოვან, მოქმედებას. პრეზიდენტს პიროვნული წონა უნდა ჰქონდეს, რათა პატივი სცენ როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო ასპარეზზე. ასე რომ, აქ უამრავი ასპექტია. პირადად ჩემთვის გადამწყვეტია, რა პოლიტიკა ექნება მას ჩვენს ჩრდილოელ მეზობელთან მიმართებაში, შეძლებს

## ვასილ ჭიჭინაძე:
## გადამწყვეტია, შეძლებს თუ არა ახალი პრეზიდენტი კონფლიქტურ რეგიონებთან და რუსეთთან ურთიერთობის დაბალანსებას

რაც შეეხება ღვინის და მწვანილის რუსეთის ბაზარზე შეტანას, ეს ძალიან დიდი რევერანსია რუსეთის მხრიდან საქართველოს მიმართ და ეს იმის მიუხედავად, რომ თითქმის 20 წელია ქართული მხარე რუსეთს აფურთხებს და ამას დღემდე აგრძელებს. ეს ყველაფერი რუსმა სხვანაირად მიიღო, თუ შეიძლება ასე ითქვას, ჩაყლაპა და ნება დართო, ქართული პრუდუქცია შევიდეს რუსეთის ბაზარზე, არადა, დღეს ისეთი სიტუაციაა, რომ რუსეთის ბაზარს აბსოლუტურად არ ესაჭიროება არც საქართველოს ღვინოები და არც სხვა პროდუქტი. ეს ყველაფერი გასათვალისწინებელია ქართველი პოლიტიკოსებისთვის, რომ რუსეთი ამ დათმობაზე წავიდა მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს ეკონომიკისათვის და არა საკუთარი კეთილდღეობისათვის.

ყველა კითხვას, რომელიც დამისვით, ანუ რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს მომავალი პრეზიდენტობის კანდიდატი, ვუპასუხებ: დიახ, ყველა კრიტერიუმს უნდა აკმაყოფილებდეს. ის მისაღები უნდა იყოს ქართული საზოგადოების უმრავლესობისათვის.

**— რამდენად დამაკმაყოფილებელია რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის სტატუსი კონფლიქტურ რეგიონებთან სრულფასოვანი მოლაპარაკებების საწარმოებლად და საკმარისად მიგაჩნიათ თუ არა ახალი ხელისუფლების ძალისხმევა რუსეთთან ურთიერთობის ჩიხიდან გამოსაყვანად?**

— სტატუსი ამ სამინისტროსი იმხელად დიდია, რომ მასზე ფუნქციიდან გამომდინარე უნდა ვიმსჯელოთ. მისი ფუნქციები, რამდენადაც ცნობილია, საკმარისია იმისათვის, რომ ეს პრობლემა გა-

თუ არა ახალი პრეზიდენტი კონფლიქტურ რეგიონებთან და რუსეთთან ურთიერთობის დაბალანსებას. კატეგორიულად არ შეიძლება იმის გაკეთება, რასაც „ნაციონალები“ ითხოვენ, კონსტიტუციაში ჩაწერეთ კურსის უცვლელობაო. ესაა, მაპატიეთ და იდიოტიზმი. რატომ მაქცევ მე შენ რაღაც საზღვრებში, რატომ ვერ უნდა გამოვიდე ამ ჩარჩოდან?! ხვალ, ვთქვათ და, დაიშალა ეს შენი ევროკავშირი, რას ვშვრებით მერე?! ან, ვთქვათ, შეიქმნა რამე სხვა კავშირი, რომლის წევრობაც ჰაერივით გვჭირდება, ვერ უნდა შევიდეთ?! ასეთ ვიწრო ინტერესებში დიპლომატიის მოქცევა სისულელეა. სადაც რუსეთია დომინანტი, იქ არ გვინდაო. კი მაგრამ, შე დალოცვილო, რუსეთი დომინანტია გაეროშიც, გამოდი მაშინ... არანაირ ლოგიკაში არ ჯდება. ასე რომ, რა თქმა უნდა, რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზება უნდა იყოს პრიორიტეტი. გვაქვს ჩვენ ამის რესურსი, უბრალოდ, ამ რესურსს გამოყენება უნდა. სხვათა შორის, ამასწინათ ალექსანდრე ჭაჭიას ინტერვიუ წავიკითხე თქვენს გაზეთში... მას მკაფიოდ და გასაგებად აქვს ჩამოყალიბებული მომავალი პრეზიდენტობის კანდიდატის ფუნქციებიც, პასუხისმგებლობაც და კრიტერიუმებიც, რომელთაც სრულად ვეთანხმები.

ესაუბრა
**ლილი მიროტაძე**



## მარიამ ცაცანაშვილი:
## ხელისუფლებამ, მიუხედავად სხვადასხვაგვარი ზეწოლისა, უნდა მოძებნოს რუსეთთან დიალოგის გამართვის გზები

საქართველო და მსოფლიო
პერსპექტივა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ამასწინათ, ამათი გამოგზავნილი ჟურნალისტები დამესივნენ იმიტომ, რომ ვთქვი: მოდით, ყველასთან კარგად ვიყოთ — ევროპასთანაც და აზიასთანაც. აგერ ევრაზიული კავშირი ყალიბდება, რომელიც ევროკავშირზე გაცილებით ფართო მასშტაბისაა. ჩვენ შეიძლება სწორედ აქ უფრო კარგი პერსპექტივა გამოგვიჩნდეს“.**

გოგი თოფაძე:

# ტერიტორიული მთლიანობის საკითხი ახლადარჩეული პრეზიდენტისთვის პრიორიტეტული უნდა იყოს

**პარლამენტის დეპუტატის მიერ ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მუშაობის პირველი 100-დღიანი პერიოდის შეფასება კერძოდ ამ დეპუტატის საქმიანობის შედეგებს რომ დაემთხვეოდა, ვიცოდი.**
**ასეც მოხდა.**
**ცნობილი ბიზნესმენისა და საზოგადო მოღვაწის გოგი თოფაძის პასუხმა ჩემს შეკითხვაზე, რას იტყვი-მეთქი შენს 100 დღეზე, ეს ვარაუდი, მოლოდინსამებრ, დაადასტურა.**
**რას იტყვი-მეთქი, ზუსტად ასე, ბიჭურად, რაც პირველ სკოლაში მოწაფეობის ალალი ურთიერთობებიდან მოგვდევს და დღემდე შემოგვრჩა.**
**გულწრფელობა უპირველესი პირობაა ინტერვიუს ჩამორთმევისას (ეს ელემენტარულია) და ნუ ჩაგვითვლის „საქართველო და მსოფლიოს“ მკითხველი ასეთ ტონალობას მისდამი უპატივცემულობის გამოხატულებად.**
**პირდაპირ გეტყვით: ძალიანაც რომ მოგვენდომებინა, არ გამოგვივიდოდა მე და გოგის ოფიციალური გაფხორილობა.**



**«ფრთამოტეხილი ბატივით რატომ უნდა ვიაროთ ერთ მხარეს?!»**

— ცოტა ხომ არ ვჩქარობთ?

— **მიპასუხებს გოგი თოფაძე,** — მე ვფიქრობ, 100 დღე ძალიან მოკლე ვადაა იმ ნგრევითი პროცესების შესაჩერებლად, რომლებიც ცხრა წლის და, შესაძლებელია, უფრო მეტი დროის განმავლობაში ხდებოდა საქართველოში. სასიკეთოდ შემოსაბრუნებლადაა მცირე ხანი.

ჯერ იმათ უნდა აგონ პასუხი იმისთვის, თუ რატომაა საქართველო მთელს ამ რეგიონში ყველაზე სუსტი და ჩამორჩენილი ქვეყანა, ყოველმხრივ — სოციალურად, ეკონომიკურად, თავდაცვის პოტენციალით... შენი სისუსტის მიზეზით, აქეთ ვიღაცას პრეტენზია გაუჩნდა დავითგარეჯის გამო, იქით სხვამ შენს საქონელზე უარი თქვა და ასე შემდეგ.

**— უკეთესობა არ ჩანსო, ამბობენ...**

— იმიტომ არ ჩანს, რომ ამ მოკლე დროში ჯერ საფუძველი ეყრება გამარჯვებული ძალის წინასაარჩევნო დაპირებების შესრულებას, რადგან ხომ ვიცით, რა მასშტაბისა იყო ის ნეგატიური პოლიტიკა, აქამდე რომ განახორციელებდა სააკაშვილის ხელისუფლება. ისეთი ცუდი სიტუაცია დაახვედრეს ბიძინა ივანიშვილს, რომ მისი 100 დღეში გამოსწორება პრაქტიკულად წარმოუდგენელია.

ხომ გახსოვს ვანო მერაბიშვილის დადგმული ანტიპრიზა, როცა დაგვაბოლა, რომ ბიუჯეტში ორი მილიარდი ლარი არისო.

**— და არ აღმოჩნდა.**

— მიშას დაპირებების, ხოშკაკალასავით თავზე რომ გვაყრიდა, ხომ არავის გვჯეროდა? უფრო ადრე — „მოქალაქეთა კავშირის“. არ გვჯეროდა და მეორე დღესვე ავიწყდებოდა მთქმელსაც და გამგონებელსაც.

მე მგონი, დღეს ყველა ხედავს, როგორი გაავებით უშლიან ხელს ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები ბიძინა ივანიშვილს დანაპირების შესრულებაში.

მაგრამ ახლა სხვა სიტუაციაა. და ხალხსაც გაუჩნდა იმედი.

**— და ეს არის პირველი შედეგი ახალი ხელისუფლების ასდღიანი მოღვაწეობის.**

— პირველი და მთავარი შედეგი. ქვეყნის სათავეში მოვიდა პიროვნება, რომელიც არა მარტო შეუდგა ვითარების გამოსწორებას, არამედ — შეუძლია კიდეც.

მისი სჯერა ხალხს.

ზოგი ჩქარობს, რატომ ამდენ ხანს არ შესრულდაო. ყოფილი ხელისუფლება ძალიან არასწორად იქცევა, როცა აღვივებს ანტაგონისტურ განწყობას ახალი მთავრობის მიმართ. ხომ ხედავ, პარლამენტში რაც ხდება, რა თავხედურ განცხადებებს აკეთებენ, თითქოს ეს მემკვიდრეობა მათი დანატოვარი არ არის.

მაგრამ ხალხმა დაიჯერა, რომ მოვიდა კაცი, რომელსაც სიკეთე სურს ქვეყნისთვის და ეს ყველაზე დიდი შედეგია.

**— დანაპირების შესრულებას სჭირდება დრო, თანაც საკმაო დრო, არა?**

— მაგრამ ხალხი ისეთ სასოწარკვეთამდეა მიყვანილი, რომ ჩქარობს, ვერ ითმენს. ამიტომ ედავებიან, და ამის გეზი ისევ ყოფილი ხელისუფლების შემორჩენილმა „დიდმა აქტივისტებმა“ მისცეს.

ამასობაში დამტკიცდა ბიუჯეტი, რომლიდანაც გაქრა პრეზიდენტის ხუშტურების დაკმაყოფილებისთვის გასაწევი ხარჯები. სერიოზული პროგრამა ხორციელდება ჯანდაცვის სფეროში, გაიზარდა და კიდევ უფრო გაიზრდება პენსიები. სოფლის მეურნეობის კატასტროფული მდგომარეობიდან გამოსაყვანად შეიქმნა სპეციალური ფონდები. ყოფილმა ხელისუფლებამ ბენდუქიძის თამადობით სოფელი მიწასთან გაასწორა.

ვინ გარბის საქართველოდან? ის ადამიანები, რომლებიც ქმნიდნენ სოფლის სიძლიერეს, დოვლათს. გააქციეს, დაიცალა სოფელი.

არ უნდა მოვთხოვოთ პასუხი ბენდუქიძეს, ამ საქმეში დამნაშავე ჩინოვნიკებს?!

სოფლის დანგრევა ხომ ქვეყნის დანგრევაა!

მთელი სოფელი დიდუბის ხიდთანაა ჩამწკრივებული დღიური სამუშაოს მოლოდინში და — ვერ შოულობს.

ამას 100 დღეში ვერ გაასწორებ.

მიზანმიმართულად ანგრევდნენ ქვეყანას ის ჩვენი უცხოელი „მრჩევლები“. თუმცა, რასაც ისინი აკეთებდნენ, იმას რჩევა არ ჰქვია, ბრძანება უფრო იყო. მე მინახავს, კონსულტანტები დიდი ქვეყნიდან როგორ აგდებულად ელაპარაკებოდნენ ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლებს.

ახლაც იმავეს არ ცდილობენ?! იქით ევროპის სახალხო პარტიის წარმომადგენლები „წუხან“, რომ საქართველოში სააკაშვილის აშენებული დემოკრატია ირღვევა, აქეთ ამერიკის ელჩი ნერვიულობს — პოლიტიკური დაპატიმრებები მიმდინარეობსო...

**— მე მგონი, თეა წულუკიანი, რომელიც ამჟამად შეერთებულ შტატებში იმყოფება, შეძლებს იქაური ისტებლიშმენტის დარწმუნებას, რომ „ეგრე არ არი, თაყაო“...**

— მეც ასე ვფიქრობ. მილიონობით დოლარი რომ უჯდებოდა სააკაშვილს, იმ პიარის ბურუსი ბოლოს და ბოლოს გაიფანტება.

ყოფილმა ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ საქართველოში მომსპარიყო საქმიანი აქტიურობა.

**— ბიზნესს გულისხმობ?**

— უწინარეს ყოვლისა, ბიზნესს! ისეთი კანონები მიიღეს, რომ არავის გასჩენოდა სურვილი წარმოების გაფართოების და მოდერნიზაციის. ბიზნესის წართმევის და ყაჩაღობის ისეთი სისტემა შექმნეს, რომ ვერავინ დაიძვრენდა თავს მათი დაგებული მახეებიდან: დამბრალებელს კი არ უნდა ემტკიცებინა, რომ ბიზნესმენი დამნაშავეა, დაარღვია ესა და ეს მუხლიო, არამედ მეწარმეს უნდა ემართლებინა თავი ჩაუდენელ დანაშაულში.

სასამართლოში ვის რას მოაგებინებდნენ, კარგად იცი.

**— მე კი ვიცი, პარლამენტში თუ იციან?**

— არ მინდა, მკაცრი ვიყო, ამიტომ ასე ვიტყვი — ალბათ, ბევრი ვერ ხვდება, ვერ აანალიზებს სიტუაციას. როგორი განათლება ან რა გამოცდილება შეიძლება ჰქონდეს, ვთქვათ, 21 წლის გოგოს, ან პარლამენტის დეპუტატებად აკრეფილ ბიჭებს, რომლებიც ერთი კაცის სურვილით, ღმერთმა იცის, რატომ უნდა იყვნენ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში.

საქმე იქეთ მიდიოდა, რომ საქართველოს არ უნდა ჰქონოდა, არც სოფლის მეურნეობა, არც მრეწველობა, არც გასაღების ისეთი, მსოფლიოში უდიდესი ბაზარი, როგორიც რუსეთია!

**— ეს იყო სრული იგნორირება თქვენი ცნობილი ლოზუნგის „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“, ანუ მისი გადაბრუნება!**

— რა თქმა უნდა! საქართველოს მრეწველობა, უწინარეს ყოვლისა, სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელი მრეწველობა იყო, რაც ქვეყნის მშპ-ს 70 პროცენტს შეადგენდა. მოსპეს და გაანადგურეს. ასამდე მეურნეობა-ქარხანა მოქმედებდა საქართველოში. განვითარებული იყო ეთერზეთების წარმოება, რომელიც არა თუ ვერ შეინარჩუნეს, იყო თუ არა საერთოდ, არც გაუგიათ.

**— მოვიდა ახალი მთავრობა და დახვდა უამრავი დაყაჩაღებული ბიზნესმენი, ისინი, ვისაც ყოფილებმა საქმე წაართვეს, გადაიფორმეს, გაუყიდეს.**

— სასამართლო რომ ჯერ ამათია, თუნდაც ორშაბათის მაგალითი ადასტურებს — მილიონების მიმთვისებელი უგულავა უცოდველ კრავად რომ წარმოადგინეს, ეს ერთი. შემდეგ — საკრებულოები, გამგებლები, პრეზიდენტის დანიშნული რწმუნებულები.

ამათ ვიღაცას წაართვეს ბიზნესი და თავიანთ კაცს — „ნომენკლატურულ ბიზნესმენს“ სიმბოლურ ფასად — ერთ ლარად მიჰყიდეს. ეს უკანონობა იოლო გამოსასწორებელია, მაგრამ, როცა რამდენიმეჯერაა ხელიდან ხელში გადასული ბიზნესი, ასეთ შემთხვევაშია დაბრუნება გართულებულია.

რამდენიმე ფაქტი ვიცი, როცა ლარად „ნაშოვნი“ ქონება, მოლაპარაკების თანახმად, კანონიერ პატრონს დაუბრუნა უკანონო მფლობელმა.

სამაგიეროდ, ბევრია ისეთი შემთხვევა, როცა გართულებულია უკანონოდ მიტაცებული ქონების პატრონისთვის დაბრუნება. შორს რომ არ წავიდე, ჩემი პარტნიორის — ლუკა თამაზაშვილის ფაქტზე ვიტყვი. ნაომარი კაცი, ოთხი შვილის მამა, ნაღდი ქართველი, ყოფილმა ხელისუფლებამ 7 წლით ციხეში გამოამწყვდია. წაართვა ყველაფერი, რაც ებადა, მთელი ბიზნესი წაართვა — სოფელ ფშავლის ფერმერი იყო, ხეტყის გადამმუშავებელი, თანამედროვედ აღჭურვილი ქარხანა გაუპარტახა.

**— რატომ დააპატიმრეს?**

— იმიტომ, რომ ხეტყე იმათი ბიზნესი იყო. ეს ერთი. და მეორე: რატომ დაიჭირეთ-მეთქი, რომ დავინტერესდი, სიტყვა-სიტყვით ასე მიპასუხეს: ჩვენს ადგილზე თქვენც არ გამოუშვებდით, — გავლენიანი კაცი იყო და სიტუაციას აგვირევდაო.

ესეც — იმათი სამართალი.

**— ახლა დაუბრუნეს ქარხანა?**

— რაღა აზრი აქვს?! საქართველოს მთელი ტყე ჩინელებს მიჰყიდეს. ჩინელების დამუშავებულ ტყეში ნაფოტიც არ რჩება. ქუთაისში ავტოქარხნის ტერიტორიაზე გაიკეთეს თავიანთი ბაზა, ქალაქს აშენებენ ჩინელებისთვის, და ის ხალხი, რომელმაც ასეთი პრობლემა შექმნა საქართველოში, თავხედურად გვიმტკიცებს, რომ პარლამენტის ქუთაისში გადატანით, რეგიონის აყვავებისთვის იღვწოდნენ. ესეც — მათი მამულიშვილობა!

**— უმრავლესობას გსაყვედურობენ, რომ „ოპოზიციის“ ნაკარნახევი რეგლამენტით მუშაობთო. მე რომ ვუყურებ, ეს ინტერვიუც იმ კვალზე მიდის. მოდი, შევცვალოთ მიმართულება და იმ პრობლემაზეც ვილაპარაკოთ, რომელიც ოქტომბერში გვექნება გადასაწყვეტი: პრეზიდენტის არჩევა გველის.**

— ახლა თითქოს ჯერ სადაა, მაგრამ დრო ისე მალე შემოგვადნება, მოხედვასაც ვერ მოვასწრებთ.

**— ცნობილმა პოლიტოლოგმა ალექსანდრე ჭაჭიამ „საქართველო და მსოფლიოს“ მთავარი რედაქტორის, ირაკლი თოდუას მიერ ჩამორთმეულ ინტერვიუში ამასთან დაკავშირებით საყურადღებო რამ თქვა: „ჯერ კიდევ შევარდნაძის პრეზიდენტობისას საერთო ნაცნობების მეშვეობით ვცდილობდი, ბიძინა ივანიშვილი ჩართულიყო პოლიტიკურ მოღვაწეობაში, რათა შევარდნაძის შემდეგ პრეზიდენტის პოსტი დაეკავებინა... მაშინ მიპასუხეს, რომ ესაუბრნენ მას, მაგრამ ივანიშვილმა პოლიტიკაში ჩართვაზე კატეგორიული უარი განაცხადა“.**

— მართლაც საინტერესო ინფორმაციაა.

**— შემდეგ: კონსტიტუციის მიხედვით პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს შორის მოვალეობების განაწილებასთან დაკავშირებით მან, აი, რა განაცხადა: „მიმაჩნია რომ პრეზიდენტის აქ-** ▶

**„იყოს საპარლამენტო რესპუბლიკა, მაგრამ იყოს ქმედუნარიანი პრეზიდენტიც — არა ისეთი, სააკაშვილს რომ სურდა. ჩვენი პარტია, „მრეწველები“, ამას მივესალმებით. წამყვანი ძალა იქნება პრემიერ-მინისტრი — ეკონომიკა, სოციალური სფერო, ქვეყნის მართვა საბაზისო დარგებში და ა.შ., მაგრამ არც პრეზიდენტი უნდა იყოს „კუკლა“ — ბურატინო.“**

რეპლიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**◀ტიური მოღვაწეობის სფერო უნდა იყოს აფხაზურ და ოსურ მხარეებთან, რუსეთის ფედერაციასთან, მათ შორის, ჩრდილოეთ კავკასიურ რესპუბლიკებთან ურთიერთობა. საქმე ისაა, რომ დასავლეთის ვექტორზე ჩვენთან ბევრი ოფიციალური პირი და სტრუქტურა მუშაობს — პრემიერი, პარლამენტის თავმჯდომარე და საპარლამენტო კომიტეტები, საგარეო საქმეთა სამინისტრო და რიგი სხვა უწყებებისა. ხოლო იმ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან მიმართულებებზე, რომლებიც ჩამოვთვალე, სერიოზულად არავინ მუშაობს“.**

**სწორად მიგაჩნიათ აქცენტების ასეთი გადანაცვლება?**

— ძალიან აქტუალური პრობლემაა. ის, რაც სააკაშვილმა გააკეთა პრემიერ-მინისტრის თანამდებობის თავისთვის „დაბევებით“, ანუ უფლებებისგან რომ გაძარცვა პრეზიდენტი და მომავალი პრემიერი აღჭურვა იმავე უფლებებით, ფუჭი გამოდგა. არ ეგონა, რომ ასე რადიკალურად შეიცვლებოდა სიტუაცია.

ბატონი ბიძინა ფიქრობს, გააფართოოს პრეზიდენტის უფლებები.

**— პრეზიდენტის?**

— ჰო, პრეზიდენტის. იყოს საპარლამენტო რესპუბლიკა, მაგრამ იყოს ქმედუნარიანი პრეზიდენტიც — არა ისეთი, სააკაშვილს რომ სურდა. ჩვენი პარტია, „მრეწველები“, ამას მივესალმებით. წამყვანი ძალა იქნება პრემიერ-მინისტრი — ეკონომიკა, სოციალური სფერო, ქვეყნის მართვა საბაზისო დარგებში და ა.შ., მაგრამ არც პრეზიდენტი უნდა იყოს „კუკლა“, ბურატინო.

ახლა, რაც შეეხება ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ვექტორს. ეს ჩვენი ყოფილები ისე გათავხედდნენ, რომ მოითხოვეს მაინც და მაინც საქართველოს კონსტიტუციაში ჩაგვეწერა, რომ ჩვენი ორიენტირი უნდა იყოს ნატო და ევროკავშირი. ხომ ხვდები, რომ ეს მოთხოვნა სხვების ნაკარნახევია?

**— დიახ. მაგრამ ხომ შესაძლებელია, რომ ჩასაძირად განწირული გემის კაპიტნის „წერეთლის დანაბარებიც“ იყოს: „მიდიოდა რა ჩვენგან ამხანაგი ლენინი“...**

— არ გამოვრიცხავ. ნატოსთანაც კარგი ურთიერთობა უნდა გვქონდეს, ევროკავშირთანაც, მაგრამ რუსეთთანაც დავალაგოთ მეზობლობა!

მარტო ბაზართან არ არის დაკავშირებული ასეთი ორიენტაცია, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ეკონომიკა აწყობილი იყო რუსეთის უზარმაზარ ბაზარზე. ევროპასა და ამერიკაში რამეს შეგატანინებენ?!

სხვა რამ მაქვს მხედველობაში: აფხაზეთისა და ცხინვალის კონფლიქტების გასაღები მოსკოვში დევს. ჩხუბითა და ომით ნაპოლეონმა და ჰიტლერმა რუსეთს ვერ მოუგეს.

ამათ ვეკითხები: რუსეთთან ნორმალური ურთიერთობის აღდგენა უმჯობესი იქნება თუ დასამარცხებლად განწირულ ომში ჩაბმა?

ჯიუტად თავისაზე დგანან.

რატომ უნდა ვაგინოთ რუსეთს? იმიტომ, რომ ვიღაცები მოითხოვენ, გინდათ თუ არა, ასე მოიქეცითო?! ეს ხომ არანორმალურობაა, გილიოტინაში თავის შეყოფა. სააკაშვილის მმართველობისას „ნაციონალების“ ერთ-ერთ ლიდერთან პირდაპირ ეთერში მქონდა ამ თემაზე კამათი. არ დავუთმე... შედეგად მე აქ საფინანსო პოლიცია ჩამიჯდა, ის კი დააწინაურეს.

აი, ასეთ „დემოკრატიულ“ ქვეყანაში ვცხოვრობდით.

რობოტებივით არიან დაპროგრამებული: რუსის ჯარი რას გვიზამს თავისი დაჟანგული ტანკებითო; ჩვენს პროდუქციას დასავლეთის ბაზარზე გავასაღებთ, რუსეთი არ გვჭირდებაო და ა. შ. დაგეშილებს ჰგვანან!

**— მაშასადამე, ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა ამ პრობლემების მოგვარებაზე უნდა იმუშაოს?**

— მე მგონია, რომ ტერიტორიული მთლიანობის საკითხი ახლადარჩეული პრეზიდენტისთვის პრიორიტეტული უნდა იყოს. აღმოსავლეთის ვექტორის ხელაღებით უარყოფამ შეიძლება გაუთვალისწინებელი ნეგატიური მოვლენები გამოიწვიოს.

ამასწინათ, ამათი გამოგზავნილი ჟურნალისტები დამესივნენ იმიტომ, რომ ვთქვი: მოდით, ყველასთან კარგად ვიყოთ — ევროპასთანაც და აზიასთანაც. აგერ ევრაზიული კავშირი ყალიბდება, რომელიც ევროკავშირზე გაცილებით ფართო მასშტაბისაა. ჩვენ შეიძლება სწორედ აქ უფრო კარგი პერსპექტივა გამოგვიჩნდეს, სწორედ აქ გავასაღოთ ჩვენი საქონელი და ა.შ. ვნახოთ, კაცო! მისჯილი ხომ არ გვაქვს ნატო, რომელიც შეიძლება ხვალ დაიშალოს?! ამერიკას ისეთი ფინანსური პრობლემები გაუჩნდა, რომ უჭირს ჩრდილოეთის ამ ალიანსის შენახვა.

ახლო აღმოსავლეთში ნატოს „წარმატებულ“ ოპერაციებზე აღარაფერს ვამბობ. თუნდაც ავღანეთის ტერიტორიაზე თალიბებისა და პუშტუნების „მოთხოვნით“ დემოკრატიის „შეტანაზე“.

**— ესე იგი, მომავალმა პრეზიდენტმა პოლიტიკური მიმართულებების დაბალანსებაზე რომ იმუშაოს, ურიგო არ იქნება?**

— რატომ იქნება ურიგო?! არ მესმის! ევროპა არ მიდის ჩინეთთან, ინდოეთთან?! ჩვენ რატომ უნდა ვიაროთ ფრთამოტეხილი ბატებივით მხოლოდ ერთ მხარეს?!

**— ბოლო დღეების პოპულარულ თემაზე მინდა გკითხო — საჯაროსთან 8 თებერვლის დაპირისპირებაზე და „მაესტროს“ ეთერში დეპუტატების შეხლა-შემოხლაზე. საკმაო ხნისანი მოვიყარეთ, მაგრამ შინაგანად ხომ ბიჭებად ვრჩებით, თბილისელ ბიჭებად, რომლებიც შეურაცხყოფას უპასუხოდ ვერ დავტოვებთ!**

— რა თქმა უნდა!

**— მაშ, მიპასუხე: ვინ იყო მართალი — დავითაშვილი თუ რატიანი?**

— *(პაუზა. რაღაცას ფიქრობს გოგი თოფაძე)* შეიძლება შენთვის მისაღები პასუხი არ გაგცე, მაგრამ ჯერ იმას გეტყვი, რომ მსგავსი შემთხვევა მეც მქონდა. 1997 თუ 1998 წელი იყო, როცა ეროვნული ბანკის მაშინდელ პრეზიდენტ რომან გოცირიძეს, რომელთან ერთადაც ლუბა ელიაშვილის „იბერიის“ ეთერში ვისხედით, თავში ბროშურა ჩავარტყი. თავი ვერ შევიკავე.

ცუდი რაღაც ვუთხარი: ცალ-ცალი კალოშით ჩამოხვედი და ახლა „მერსედესით“ დადიხარ-მეთქი.

წლები გავიდა მას შემდეგ...

ახლა ვფიქრობ: ხალხი რომ გიყურებს, თავი უნდა შეიკავო. ბევრია აქ ისეთი, ოღონდ ჩვენი ცუდი ნახოს და საზღვარგარეთ გააქროლებს — ნახეთ, რა ცუდები არიანო!

შენს შეკითხვას ბიძინა ივანიშვილის სიტყვებით ვუპასუხებ: „ახლავე უნდა ვისწავლოთ ის, რომ უსამართლობას კანონის ძალით უნდა გავცეთ პასუხი და არა მუშტი-კრივით. ერისა და ქვეყნის კულტურა სწორედ აქ ვლინდება“. დაპირისპირების ესკალაცია დიდ უბედურებამდე მიგვიყვანს. გვჭირდება ჩვენ კიდევ ერთი სამოქალაქო ომი?!

**— ამას პარლამენტის უმცირესობამაც უნდა მიაქციოს ყურადღება. ბიძინა ივანიშვილს მხოლოდ უმრავლესობისთვის არ უთქვამს.**

— პარლამენტშიც იმდენად გამომწვევად იქცევიან, რომ... იყო რამდენიმე მომენტი, კინაღამ ატყდა რაღაც უბედურება.

**— პარლამენტის ერთ-ერთი კომიტეტის თავმჯდომარემ მითხრა, რომ ყოფილების ფრაქციის ზოგიერთი წევრი გამარჯობაზე პასუხსაც არ კადრულობს. არის ასეთი განწყობილება?**

— ნამდვილად არის. დიდი გამოცდილება აქვთ საპარლამენტო სიყალბეების მოწყობის. ქუთაისში ჩამოდიან უკვე რეპეტიციაგავლილები — ვინ რა უნდა თქვას, ვინ დაიწყოს, ვინ — მხარი აუბას. დიდი დრო გაჰყავთ უსაგნო ლაპარაკით, ამიტომაც გროვდება განუხილველი საკითხები.

**— ესეც ერთგვარი საბოტაჟია — შექმნან შთაბეჭდილება, რომ პარლამენტი ქმედითუუნაროა.**

— გეთანხმები.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

**P.S. — ცხრამეტი მაისის დაანონსებულ საპროტესტო აქციაზე რას იტყვი? ფხიზლად უნდა ვიყოთ?**

— არა, რა, კაცო! ჩვენ ხომ გამოცდილი ადამიანები ვართ, იმდენი რამე გვინახია... ყველაფერი ისე მოხდება, როგორც ხალხს უნდა. ამდენი წლის მანძილზე პირველად გვყავს ხელისუფლება, რომლისაც ხალხს სჯერა. დავუჯეროთ ბოლომდე და დაგვანახებს, რასაც გააკეთებს. მე ამაში დარწმუნებული ვარ!

**«მისჯილი ხომ არ გვაქვს ნატო, რომელიც შეიძლება ხვალ დაიშალოს?! ამერიკას ისეთი ფინანსური პრობლემები გაუჩნდა, რომ უჭირს ჩრდილოეთის ამ ალიანსის შენახვა»**

# სააკაშვილის სადალსკი და პუტინის დეპარდიე

**ერთი ხანობა მიხეილ სააკაშვილი გატაცებული იყო უცხოელი გამვლელ-გამომვლელებისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებით. ჩვენ გვაგიჟებდა: თქვენ კი იძახით, გიჟიაო (იგივე გაიმეორა გასულ კვირადღეს პირველი არხის კორესპონდენტ ეკა კვესიტაძესთან საუბარში), მაგრამ ნახეთ, რა სახელოვანი ადამიანები ილტვიან საქართველოსკენ, როგორ ესწრაფვიან საქართველოს მოქალაქეობასო.**



ქართველები კი უცხოეთში გარბოდნენ — ლეგალურად, არალეგალურად, ლუკმა პურის საშოვნელად.

ჰოდა, ერთხელაც გადააგდო ანკესი მიშამ და დაიჭირა „ოქროს თევზი“ — ცოტა ყალბი, ცოტა „ზაპოისტი“, მაგრამ — მსახიობი სტანისლავ სადალსკი, რომელიც თბილისის აეროპორტში ჩამოსვლისას ეძგერა რომელიღაც ჩვენს ავიატორს, წაართვა ქუდი, დაიმხო თავზე და ასე დადიოდა იმ დღეებში „სინათლის ქალაქ“ თბილისში.

რაც გინდა, მთხოვე და ბედსა გწევო, უთხრა მიშამ „ოქროს თევზს“. საქართველოს მოქალაქეობაო, უპასუხა იმან და დაიწყო სახალხო ბედნიერების ხანა იმ მომენტიდან.

**მართალია, „ოქროს თევზის“ ზღაპარში პირიქით ხდება, ჯადოსნური თევზია ინიციატორი, მაგრამ სააკაშვილის ეპოქაში ხომ ზღაპარი სინამდვილედ ვაქციეთ და ამიტომაც იყო ყველაფერი თავდაყირა.**

**მიშამ მისცა პასპორტი... „თოფმა — მგელი, მგელმა — თხა“, თხამ ვენახი შეგვიჭამა, სადალსკიმ კი სვა და სვა ქართული ღვინო, რომლის შეტანა რუსეთში აკრძალული იყო.**

არ გამოფხიზლებულა!

აკი გითხარით, „ზაპოიში“ იყო.

მას მერე არც სადალსკი გამოჩენილა საქართველოში, არც ვინმეს გახსენებია, თორემ მანამდე ხომ მის შემოქმედებაზე მზე და მთვარე ამოგვდიოდა. და თუ ვინმეს ახსოვს მაინც და მაინც, ალბათ, იმ ავიატორს, ვისაც ქუდი წაართვა და აღარ დაუბრუნა. ამიტომ, თუ სადმე ყივჩაღივით გადაგეყარათ ეს ძალადქართველი მოქალაქე, ქუდი წინასწარ მოიხადეთ. ქუდს მაინც შეინარჩუნებთ, სახელს თუ არა.

მოქალაქეობას აღარაფერი ეშველება.

მოქალაქეობის წართმევა სააკაშვილმა იცის.

მოქალაქეობის მინიჭება პრეზიდენტების პრიორიტეტია, დავიწყება — ხალხის. მაგრამ, არა მგონია, ასე სწრაფად (საერთოდაც) დაივიწყონ რუსებმა ფრანგი მსახიობი ჟერარ დეპარდიე: ვლადიმერ პუტინმა წლევანდელი წლის პირველ დღეს ხელი მოაწერა ბრძანებულებას №1, ჟერარ კსავიე მარსელ დეპარდიესთვის რუსეთის მოქალაქეობის მინიჭების შესახებ.

დეპარდიე მსოფლიოში სახელგანთქმული ფრანგი არტისტია. საუკეთესო მსახიობის ნომინაციაში ორჯერ მიენიჭა „სეზარის“ პრემია (ფილმები „უკანასკნელი მეტრო“ და „სირანო დე ბერჟერაკი“), „ოქროს გლობუსის“ ლაურეატია, „ოსკარის“ პრემიის ნომინანტი. მის მიერ განსახიერებულ როლებს კომედიურ, ისტორიულ, სათავგადასავლო ფილმებში, თეატრების კლასიკურ რეპერტუარსა და აბსურდისტულ ექსპერიმენტებში თვლა არ აქვს. მას, როგორც შემოქმედს, მილიონობით ადამიანი იცნობს, მაგრამ ცოტამ თუ იცის (გარდა საფრანგეთის მოქალაქეებისა), რომ იგი ამასთანავე მეურნე კაციც არის — რესტორატორი, მეღვინე. მისი მოღვაწეობის ამ მხარესთან იყო დაკავშირებული „დეპარდიე-გეიტი“, როცა საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა ჟან-მარკ ერომ გადასახადებისგან ვითომდა თავის არიდების ჟერარისეულ მცდელობას „საცოდავი“ უწოდა. ამან შეურაცხყო დეპარდიე და ძალიან მწარე საპასუხო წერილი გაუგზავნა ეროს: „ვინ ხართ თქვენ, ასე რომ გამკიცხეთ, გეკითხებით, თქვენ, ერო?.. არავინ მომიკლავს, უღირსი საქციელი არ ჩამიდენია, 45 წლის განმავლობაში 145 მილიონი ევროს გადასახადი მაქვს გადახდილი, სამუშაო ადგილით უზრუნველვყოფ 80 ადამიანს. ნუ შემიცოდებთ, ნუ შემაქებთ, მაგრამ ვერ მივიღებ სიტყვას „საცოდავი“.

**მისი პროტესტი სწორედ პიროვნული ღირსების დაცვასთან იყო დაკავშირებული და არა საგადასახადო კანონდარღვევის გამო თავის მართლებასთან.**

რუსეთმა გაუღო კარი, მობრძანდიო. მაშინ დეპარდიემ რუსეთელებს უთხრა: „მე თაყვანსა ვცემ თქვენს ქვეყანას — რუსეთს, თქვენს ხალხს, თქვენს ისტორიას, თქვენს მწერლებს. მომწონს თქვენთან ფილმების კეთება, რომლებშიც ვმუშაობ ისეთ აქტიორებთან, როგორიც ვლადიმირ მაშკოვია. თაყვანსა ვცემ თქვენს კულტურას, თქვენეულ აზროვნებას. მამაჩემი თავის დროზე იყო კომუნისტი და უსმენდა მოსკოვის რადიოს! ესეც ჩემი კულტურის ნაწილია!.. რუსეთი ის ქვეყანა არ არის, სადაც პრემიერ-მინისტრი თავისი ქვეყნის მოქალაქეს უწოდებს საცოდავ ადამიანს“.

როცა დეპარდიე ამბობს, რუსეთში ფილმების გადაღება მოსწონს, უნდა ვერწმუნოთ, რადგან ფილმების მკეთებლების მიმართ იგი ძალიან კრიტიკულია: **„უწინ პროდუსერებს კულტურა ჰქონდათ. დღეს აღარ აქვთ, მათ გადაღება ფულში ერევათ... გამქირავებლები სულ უფრო მეტ ფულს აკეთებენ და გვაიძულებენ, ვიაროთ საძაგელ კინოთეატრებში... თანამედროვე კინოთეატრები გულისამრევია“.**

სიტყვას ჯიბეში არ ეძებს საფრანგეთის ხელმძღვანელების დახასიათებისას, მაღალჩინოსანთა პატივისცემით დაავადებული არ არის. თუ, ერთის მხრივ, მოსწონს სარკოზი, საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტი, მის შემცვლელზე შეუძლია თქვას: „ორიოდეჯერ თუ მყავს ნანახი. ჩემი ყურადღება ვერ მიიპყრო. მასში შემართებული არაფერია. იგი ჩვეულებრივი მამიკოს ბიჭია“.

**ამიტომ, როცა რუსეთის პრეზიდენტზე ლაპარაკობს, უნდა ვივარაუდოთ, რომ გულწრფელია: „მე ბევრი რუსი მეგობარი მყავს, მაგალითად, პუტინი. ამის გამო ყველა ინტელექტუალი მიბრაზდება, ისინი ფიქრობენ, რომ იგი მკვლელია. რუსეთის სახელმწიფოს სათავეში სწორედ ისეთი კაცია საჭირო, როგორიც პუტინია, რუსული ტემპერამენტით. პუტინი ცდილობს, ადამიანებს ღირსება დაუბრუნოს“.**

**არმაზ სანებლიძე**

**P.S.** ხოლო რას ლაპარაკობს საქართველოს მოქალაქე სადალსკი სააკაშვილზე ან ლაპარაკობს თუ არა საერთოდ, არავინ უწყის... და არც არავის აინტერესებს.

ჩეპლიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„მე დღეიდან მკვლელი არ ვარ და ეს დავამტკიცე, — ასე იუწყებოდა შს სამინისრტროს პრესსამსახურის ყოფილი ხელმძღვანელი „უსამართლობაზე“ გამარჯვებას. — ცხრა წელია, მკვლელი ვარ, ცხრა წელი მიმქონდა იარაღები. ჩადექით ჩემს მდგომარეობაში რომელიმე, აბა, და ითმინეთ“.
ძნელია, ამის გამგონეს კითხვა არ გაგიჩნდეს: კი, მაგრამ, ბატონო გურგენ, თუ ეს კადრები მოიპოვებოდა, ცხრა წელი რატომ ითმენდით ამ საშინელებას?!**

# გურგენიალური სიყალბე!!!

**ამასწინათ საზოგადოებამ ბუტა რობაქიძის მკვლელობის ამსახველი შემზარავი კადრები იხილა. დაახლობით ათწუთიანი მასალა, რომელშიც დეტალურად ჩანს, როგორ იცლება სისხლისგან რეჟიმის მიერ ქუჩაში დახვრეტილი ახალგაზრდა, მართლაც უმძიმესი სანახავი აღმოჩნდა. ცალკე საკითხია, ცივილიზებულ ქვეყანაში ნორმალური მედია რამდენად გაუშვებდა ასეთ კადრებს ეთერში ან, თუ გაუშვებდა, როგორ და რა ფორმით, მაგრამ ხალხის დაზაფვრას ნაჩვევი სააკაშვილის ჯიბის ტელევიზიები ეთიკასთან ამჯერადაც მწყრალად აღმოჩნდნენ (გასაკვირი, ალბათ, არცაა, რადგან იმიტირებული ქრონიკის ავტორებს, 7 ნოემბრის, 26 მაისის შემოქმედებს სისხლი და სიკვდილი, ბუნებრივია, არ ზარავთ. მაყურებლის დამოკიდებულებაც, როცა რეიტინგზეა საუბარი, ფეხებზე ჰკიდიათ).**





**მათთვის კი, ვისაც ხმის და კადრის სინქრონზე თუნდაც მცირე წარმოდგენა აქვთ, ცხადია, რომ ის, რაც გასულ კვირას ტელევიზიით ვიხილეთ, არა ე.წ. შავი მასალა, არამედ »დონაძე-ფირცხალავა პიჩექსის« მიერ მომზადებული მართლაც შთამბეჭდავი «შედევრია»**

ვიდეომასალა 19 თებერვალს ქალაქის პროკურატურაში დიდუბე-ჩუღურეთის პოლიციის ყოფილმა უფროსმა ირაკლი ფირცხალავამ მიიტანა. ამის შესახებ მან პროკურატურაშივე კადრების ტელევიზიით გაშვების შემდეგ თვითონ განაცხადა. მისი თქმით, ის არ ენდობა მიმდინარე გამოძიებას, არც პირადად არჩილ კბილაშვილს, ამიტომ აუცილებლად ჩათვალა, ფირი მედიისთვის მიეწოდებინა. ფირცხალავამ ისიც აღნიშნა, რომ რობაქიძის საქმესთან დაკავშირებით პატრულის თანამშრომლებს ცრუ ჩვენებები აქვთ მიცემული. მეტიც, მან შესაბამისი უწყებები მის წინააღმდეგ საქმის შეთითხვნაში დაადანაშაულა. ბრალდებულმა დაკითხულთა მიმართ ზეწოლაზეც მიანიშნა და თავი ამთავითვე მსხვერპლად წარმოაჩინა. ამით იმ მეტად მძიმე კადრების გავრცელებასაც ერთგვარი ახსნა მოუძებნა (ყოველ შემთხვევაში სცადა). თუმცა ძნელი სათქმელია, ცხრა წლის შემდეგ მასალის გამომმზიურებელს რა ჩანაფიქრი შეიძლება ჰქონოდა. ვერც იმას ვიტყვით გადაჭრით, რამეს მიაღწია თუ არა, მაგრამ გამოძიება რომ თავდაყირა დააყენა, ფაქტია (იქნებ მიზანიც ეს იყო). ყოველ შემთხვევაში, პროცესი გაიწელა, იქამდე მაინც, სანამ ვიდეომასალას ექსპერტიზა ჩაუტარდება.

კადრების გავრცელებიდან რამდენიმე წუთში მთელი ინტერნეტ და მედიასივრცე რობაქიძის საქმის გაყალბებაში ერთ-ერთი მთავარი ბრალდებულის, გურამ, იგივე გურგენ, დონაძის, განცხადებით აჭრელდა. **„მე დღეიდან მკვლელი არ ვარ და ეს დავამტკიცე, — ასე იუწყებოდა შს სამინისრტროს პრესსამსახურის ყოფილი ხელმძღვანელი „უსამართლობაზე“ გამარჯვებას. — ცხრა წელია, მკვლელი ვარ, ცხრა წელი მიმქონდა იარაღები. ჩადექით ჩემს მდგომარეობაში რომელიმე, აბა, და ითმინეთ“.**

ძნელია, ამის გამგონეს კითხვა არ გაგიჩნდეს: **კი, მაგრამ, ბატონო გურგენ, თუ ეს კადრები მოიპოვებოდა, ცხრა წელი რატომ ითმენდით ამ საშინელებას?!** პრინციპში, ამას კბილაშვილის ჩაფრებიც გკითხავენ, რაც შეეხება რამის დამტკიცება-არდამტკიცებას, მივყვეთ თანმიმდევრულად, რაში დაგვარწმუნა გავრცელებულმა ვიდეომასალამ ან რაში ვერა. ფირცხალავა და დონაძე ერთხმად აღნიშნავენ, რომ კადრები დაუმონტაჟებელია, შესაბამისად — უწყვეტიც (თუმცა მოგვიანებით ფირცხალავამ „ჩვენება“ შეცვალა და განაცხადა, რომ მასალაში წყვეტები არის). რაში სჭირდებათ ამის ხაზგასმა, გასაგებია, მაგრამ მონტაჟის სპეციალისტები საპირისპიროს ამბობენ. კადრებს მუდმივად გასდევს ინტერშუმი, რაც, შესაძლოა, სწორედ იმის საიმიტაციოდ გაკეთდა, რომ თითქოს მასალა უწყვეტია. ამასთან, კადრების ცვლასთან ერთად ხმა რჩება უცვლელი, ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, მასალაში არის რამდენიმე ეპიზოდი, როცა კონკრეტული კადრის ხმა გადასულია წინაზე. ასევე, ერთ-ერთ მომენტში, როცა ოპერატორი მობრუნებას აპირებს, კადრი აშკარად წყდება და შემდეგ სხვა კადრით ალოგიკურად გრძელდება. სპეციალისტების აზრით, ეს შეიძლება იყოს დაპაუზება ან კამერის გამორთვა, მაგრამ ამ დროს რაღაც მონაკვეთი რომ დაკარგულია, უდავოა. (წყვეტის ინტერვალს, ალბათ, ექსპერტიზა დაადგენს) ამას ადასტურებს ის მასალაც, რომელიც რამდენიმე დღის წინ საინფორმაციო სააგენტოებმა გაავრცელეს. მასში ერთ-ერთი დაკავებული პოლიციის თანამშრომლებს სთხოვს, შეამოწმონ, ბუტა რობაქიძე ცოცხალია თუ არა, თუმცა ეს მონაკვეთი, რომელიც რამდენიმე წამი გრძელდება, ფირცხალავას მიერ გავრცელებულ კადრებში არ მოხვედრილა. **რაც შეეხება გასროლის მომენტს, ამ დროს იარაღი აღმართულია მაღლა. აქედან გამომდინარე, შეუძლებელია, ტყვია ძირს დაწოლილ ადამიანს მოხვედროდა.** ამასთან დაკავშირებით წინა კვირას დამოუკიდებელი სასამართლო ექსპერტიზის ცენტრის აუდიო და ვიდეოჩანაწერების ექსპერტ-ფონოსკოპისტმა მარიკა ტიკლიკაშვილმაც ისაუბრა საგანგებო პრესკონფერეციაზე. მისი განმარტებით, მონტაჟი ვლინდება მასალის მეთერთმეტე წამზეც, რა დროსაც კადრი გაქრილია და იცვლება. ვიდეომასალა კითხვებს აჩენს ფსიქოლოგიური კუთხითაც. იმავე დამოუკიდებელი ექსპერტების განცხადებით, არაადეკვატურია პოლიციელების ქცევა გასროლისას. მათ გამონათქვამებში კი აშკარაა, რომ კამერაზე მუშაობენ.

ამ ყველაფრის მიუხედავად, არაპროფესიონალი თვალისთვის ეს ვიდეო, შეიძლება ითქვას, უტყუარი მტკიცებულებაა. მათთვის კი, ვისაც ხმის და კადრის სინქრონზე თუნდაც მცირე წარმოდგენა აქვთ, ცხადია, რომ ის, რაც გასულ კვირას ტელევიზიით ვიხილეთ, არა ე.წ. შავი მასალა, არამედ „დონაძე-ფირცხალავა პიჩექსის“ მიერ მომზადებული მართლაც შთამბეჭდავი „შედევრია“ (რა დროს ხუმრობაა, მაგრამ მე ამ ყველაფერს გურგენიალური სიყალბე დავარქვი).

სხათა შორის, 9 თებერვალს, გვიან ღამით, როცა დონაძე საქართველოში დაბრუნდა და საზღვარზე დააკავეს, ამაყად განაცხადა, რომ საზოგადოება რობაქიძის საქმეზე საბოლოოდ სიმართლეს გაიგებდა. დღეს უკვე ნათელია, რას გულისხმობდა იგი. სავარაუდოდ, იმ დროისთვის მას ხელთ ჰქონდა გამზადებული მასალა ან შავი მაინც, რომელიც უახლოეს დღეებში უნდა დაემონტაჟებინა. ტელეკომპანია „რეალტივის“ დამფუძნებელი და მერაბიშვილის ყოფილი „პრესხასა“ რომ რამე მსგავსი მეთოდით შეეცდებოდა თავის დაძვრენას, ალბათ, ყველა ელოდა, მაგრამ საბოლოოდ გურგენას ერთი დიდი იაღლიში მოუვიდა, — ამ კადრებით არა თუ უდანაშაულობა ვერ დაამტკიცა, თავი კიდევ უფრო დიდ შარში გაყო, — **ექსპერტიზამ მასალის სიყალბე თუ დაადგინა, მინიმუმ ცრუ სამხილის წარმოდგენისა და გამოძიების შეცდომაში შეყვანის ბრალდება გარანტირებული აქვს** (რას ითვალისწინებს აღნიშნული მუხლები, გურგენას შეუძლია კანონში მოიძიოს).

ასე თუ ისე, სანთელ-საკმეველი თავის გზას არ კარგავს. მავანთა არაერთი მცდელობის მიუხედავად, გამოძიება დააბნიონ, სიმართლე დგინდება. სამართლის ზეიმის მოახლოება კრიმინალურ რეჟიმს, ცხადია, აფრთხობს. დამფრთხალი ვირთხები კი, მოგეხსენებათ, გარბიან. დონაძემ კარგად იცის, რომ ვერანაირი მონტაჟი, ცრუ სამხილი და პრანჭვა-გრეხა ვერ უშველის. იცის, რომ ობიექტურ სამართლებრივ პასუხისმგებლობას ვერ გაექცევა. ამიტომაა, ლამის ნერვებმა უმტყუნოს. ამის დასტური იყო გასულ კვირას მის მიერ გაკეთებული ისტერიული განცხადებაც: თქვენ სისხლი გწყურიათ, რომ მე მნახოთ ციხეში ან ცოცხალი, ან მკვდარიო. ეჰ, გურგენ, გურგენ, სისხლი კი არა, ხალხს, 9 წელია, სიმართლე სწყურია. შენ კი იმის ნაცვლად, დანაშაული აღიარო, ჩაჯდე და სასჯელი „კაცურად“ მოიხადო (რომ ღმერთმა მაინც გაპატიოს), ისევ იმას აკეთებ, რითაც მთელი ეს წლები წამლავდი საზოგადოებას. ვიცი, შენთვის ასეთი საუბარი იგივეა, რაც კედელზე ცერცვის შეყრა, ამიტომ ზედმეტი ლაპარაკით მკითხველს თავს არ შევაწყენ. იმედია, პროკურატურა ოპერატიულად იმოქმედებს. უახლოეს დღეებში მეტს შევიტყობთ გურგენიალურ სიყალბეზე.

**ჯაბა ჟვანია**

**P.S. 19 თებერვალს გავრცელებულ ვიდეომასალაში გარკვევით ჩანს ორი იარაღი — კალაშნიკოვის სისტემის ავტომატი და რევოლვერი. პოლიციელი, რომელმაც ის აღმოაჩინა, ბოლო ხმაზე გაყვირის: გადაიღეთ, ნაგანია, ნაგანი. დააკვირდით კადრს და, თუ იარაღში ოდნავ მაინც ერკვევით, დარწმუნდებით, რომ ის, რაც სამართალდამცავს ხელში უჭირავს, არა თუ ნაგანი, საერთოდ საბჭოთა წარმოების იარაღი არაა. ეს, ერთი შეხედვით, თითქოს უმნიშვნელო დეტალი, ბევრ რამეზე მეტყველებს. უწინარესად კი, იმაზე, რომ 18 წლის ბუტა რობაქიძის სიცოცხლე, რბილად რომ ვთქვათ, არაპროფესიონალმა პოლიციელმა იმსხვერპლა; პოლიციელმა, რომელიც იარაღის ტიპსა და სისტემას ვერ არჩევს. აღსანიშნავია ისიც, რომ ინციდენტში მონაწილე პატრულის თანამშრომლები, რობაქიძის გარდა, სხვა დაკავებულთა მიმართაც სიცოცხლისთვის საფრთხის შემცველად იქცეოდნენ. ალბათ, დავალებაც შესაბამისი ჰქონდათ. ბიჭებმა „იყოჩაღეს“ და პირნათლად შეასრულეს. იმედი ვიქონიოთ, სასჯელსაც „პირნათლად“ მოიხდიან...**

„დღეს ხალხი მთავრობისგან მკაცრ კანონიერ ქმედებებს ელოდება, რათა ქვეყანა კრიზისიდან გამოვიდეს. მე ერთი რამის თქმა შემიძლია: უზენაესი სასამართლო და ყველა სამინისტრო გადატენილია „ნაცმოძრაობის“ კადრებით, მათი აქტივისტებით, ჩათვალეთ, აგენტურით, რომლებიც სინამდვილეში არიან „შენელებული მოქმედების ნაღმები“! და, სანამ ჩვენი ახალი ხელისუფლება ამ გაიძვერებს არ გააძევებს სამთავრობო უწყებებიდან, არაფერი გამოვა“!

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ბესო ჩერქეზიშვილი:



# უზენაესი სასამართლო და ძალოვანი სამინისტროები გადატენილია «ნაცმოძრაობის» აგენტურით



## «გაცოფებულმა მერაბიშვილმა უხმო ფირცხალავას და არანორმატიული ლექსიკის დახმარებით აუხსნა, თუ რა მოუვიდოდა დედამისს ამ დანაშაულის არგახსნის შემთხვევაში!»

**„საქართველო და მსოფლიომ“ (7-13 ნოემბერი, 2012წ.) გამოაქვეყნა ინტერვიუ ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს ყოფილ უფროს ლადო ჩერქეზიშვილთან, რომელშიც მან მიმართა მთავარ პროკურორს, გაეძევებინა პროკურატურიდან ბესო თხელიძე, შაქრო ზაალიშვილი, დავით მესტვირიშვილი და თენგიზ ხარებავა, რადგან, მაიორ ჩერქეზიშვილის მტკიცებით, „ნაცების“ დროს ყველა უკანონოდ გამოძიებული საქმე ამ ადამიანების სინდისზეა“! ამ საუბრიდან ას დღეზე მეტი გავიდა. დავინტერესდით, როგორაა საქმე? გააძევეს ზემოთ ჩამოთვლილი პროკურორები? ამ კითხვებზე გვიპასუხებს ლადო ჩერქეზიშვილი.**

— მიუხედავად იმისა, რომ ყველა მაგ პროკურორს სერიოზული ბრალდებები წავუყენე, არავითარი გამოხმაურება ჩემს განცხადებას არ მოჰყოლია! პირიქით, სააკაშვილის ჯიბის პროკურორები გააქტიურდნენ. **ჩემი ცნობით, ქალაქის პროკურორის მოადგილის, ბესო თხელიძის, დავალებით, შაქრო ზაალიშვილი და დავით მესტვირიშვილი ჩემ მიმართ პროვოკაციას ამზადებენ.** კერძოდ, იღლიაში ამოდებული გაზეთებით, რომლებშიც დაბეჭდილია ჩემი ინტერვიუები, დადიან მოწმეებად დაკითხულებთან, მაგალითად, არჩილ სახვაძის მშობლებთან, და ეუბნებიან, რომ მე, ლადო ჩერქეზიშვილი, ვაპირებ ვუჩივლო მათ შვილს, რომელსაც სინამდვილეში არ ვიცნობ!

**— რატომ უნდა უჩივლოთ იმ ადამიანს, რომლის წინააღმდეგაც არ მიეცით ცრუ ჩვენება და რომელსაც მისჯილი აქვს 37 წელი? ვერ არის ეს მოსაზრება მთლად ლოგიკური, სიმართლე გითხრათ, არასერიოზულია!**

— მკითხველს შევახსენებ, რომ 2007 წელს დამაკავეს ბრალდებით, ვითომდა 2005 წელს, საბურთალოს პოლიციის უფროსობისას, ხელი შევუშალე გამოძიებას იმ დანაშაულის გახსნაში, როცა სპორტის სასახლესთან ცეცხლსასროლი იარაღით დაიჭრნენ სახვაძე, ბილანიშვილი და ბეგაშვილი. 2007 წელს დამაკავა მაშინდელი შსს-ს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის უფროსმა ირაკლი ფირცხალავამ. ირაკლი ფირცხალავა არის არაპროფესიონალი და არაკაცი. ამ არშემდგარმა „კომისარმა მეგრემ“ — ფირცხალავამ, რატომღაც ჩათვალა, რომ 5 დეკემბრის ქუჩაზე პატრულის თანამშრომელის მკვლელობა ჩაიდინა არჩილ სახვაძემ; და, მისი მოკლე ჭკუის დასკვნით, მე რომ 2005 წელს გამეხსნა სპორტის სასახლესთან მომხდარი დანაშაული, უფრო ზუსტად, ხელი არ შემეშალა მის გახსნაში, გამომეაშკარავებინა სახვაძე, ეს უკანასკნელი პოლიციელს არ მოკლავდაო. ეს მოსაზრება ფირცხალავამ მოახსენა თავის უშუალო ხელმძღვანელს — ვანო მერაბიშვილს და მინისტრმაც დაიჯერა!

**— რატომ ენდო მერაბიშვილი ფირცხალავას „მხოლოდ მოსაზრებას“? რატომ არ გამოგიძახათ და პირადად არ დაგკითხათ, თუნდაც გამოძიების დეტალების დასაზუსტებლად? სულ ცოტა, თქვენ პოლიციის მაღალჩინოსანი გახლდით?**

— მე წინა ინტერვიუში გითხარით, მერაბიშვილი არაკომპეტენტური მინისტრი ბრძანდებოდა. რა თქმა უნდა, ვალდებული იყო, დავეკითხე. ასე მოიქცეოდა პროფესიონალი, საქმის მცოდნე, მაგრამ არა უვიცი მერაბიშვილი!

**— თქვენ, როგორც პოლიციის უფროსმა, რა ღონისძიებები ჩაატარეთ სახვაძის საქმესთან დაკავშირებით?**

— იმ დღესვე, უშუალოდ ჩემი ბრძანებით, მოხდა შემთხვევის ადგილის დათვალიერება; გამოვიძახე საგამოძიებო სამსახური, ასევე, ექსპერტ-კრიმინალისტთა ჯგუფი, შევატყობინე მომხდარზე ზედამხედველ პროკურორს — გიორგი გრატიაშვილს. ჩემივე ბრძანებით, იმავე დღეს ოპერატიულმა მუშაკებმა გაჩხრიკეს სახვაძის ბინა, რა თქმა უნდა, სასამართლოსა და გრატიაშვილის ნებართვით. შემდეგ, საავადმყოფოში მოთავსებული სახვაძე, ბეგაშვილი და ბილანიშვილი იძლეოდნენ ერთნაირ ჩვენებებს, თითქოს ვიღაც გამვლელმა მოახდინა მათ მიმართ გასროლა. არადა, პოლიციაში გვქონდა ინფორმაცია, რომ სახვაძემ, ბილანიშვილმა და ბეგაშვილმა ერთმანეთს აუტეხეს სროლა. ეს მოვახსენე გრატიაშვილს და ვთხოვე, მოეცა მითითება ამ სამეულის მიმართ შემდგომში რა ღონისძიებები გაგვეტარებინა. გრატიაშვილმა მიპასუხა, მარტო ინფორმაციის ფონზე მე ამ პიროვნებების დაკავებას ვერ შევძლებო.

მიუხედავად იმისა, რომ მან სხვა საგამომძიებლო უფლება არ მოგვცა. მე მაინც დავაფიქსირე ჩემი ვარაუდი, კერძოდ, ეს დანაშაული ჩადენილია ამ პიროვნებების მიერ, რაც ვაჩვენე სადღეღამისო ანგარიშში და მთელ გარნიზონს გავაცანი; ანუ ყველაფერი შევასრულე, რასაც კანონი მოითხოვდა და ამით ფირცხალავასი და სინდისგარეცხილ პროკურორების ბრალდება ჩემი და სახვაძის „ახლობლობასა და მეგობრობაზე“ გამოირიცხა; და ზუსტად ამ ეპიზოდში საქალაქო სასამართლომაც გამამართლა.

**— როგორც მახსოვს, სახვაძის „ახლობლობის და მეგობრობის“ გარდა, დაგადანაშაულეს იმაშიც, რომ 2005 წელს გამოძიებას და პროკურატურას თქვენ შეუშალეთ ხელი სახვაძის საქმის გამოძიებაში, რადგან ამაზე გთხოვეს ოლიმპიურმა ჩემპიონმა დავით გობეჯიშვილმა და მსოფლიო ჩემპიონმა კობა კურტანიძემ.**

— დიახ, ასეთი აზრიც მოუვიდათ თავში ფირცხალავას, ქიქავასა და გამომძიებელ დიმიტრი ტეპნაძეს. გობეჯიშვილს და კურტანიძეს, ამ პატივცემულ, სახელოვან ადამიანებს, მართლაც რომ ეთხოვათ, ვერაფრით დავეხმარებოდი, რადგან ყველა ოპერატიული ღონისძიება უკვე ჩატარებული მქონდა!

**— ბატონო ლადო, გამარკვიეთ ნიუანსებში, რატომ არ მოხდა პოლიციის ზედამხედველი პროკურორის, გიორგი გრატიაშვილის, დაკავება, რადგან კანონით მხოლოდ მას უნდა მიეცა თქვენთვის მითითება სხვადასხვა საგამომძიებლო მოქმედების ჩასატარებლად; და რატომ დაგაპატიმრეს მაინც და მაინც თქვენ, ფაქტობრივად, გრატიაშვილის ბრძანებების და მითითებების შემსრულებელი?**

— ეს კითხვა შეგიძლიათ დაუსვათ მერაბიშვილს, ადეიშვილსა და ფირცხალავას. ამ არაადეკვატურობაზე მე პასუხი არ მაქვს!

**— კარგი, სხვა მხრიდან შემოვუვლი ამ ამბავს: „სახვაძის ეპიზოდში“ თქვენ გაატარეთ კანონით დაშვებული ყველა ღონისძიება და, ასე ვთქვათ, დოკუმენტურადაც გააფორმეთ. მაშასადამე, ფირცხალავა ვალდებული იყო, ამის თაობაზე სცოდნოდა! რა გამოდის, შეგნებულად წავიდა უკანონობაზე?**

— დიახ, შეგნებულად!

**— თქვენ იმის თქმა გინდათ, რომ მერაბიშვილის უწყებაში განუკითხაობა, თვითნებობა მეფობდა?**

— პირველი თვითნება თავად მერაბიშვილი გახლდათ და, რასაკვირველია, ასეთები იყვნენ მისი მოადგილეებიც და კრიმინალური დეპარტამენტის ხელმძღვანელი ირაკლი ფირცხალავაც. თევზი ხომ თავიდან ყარს!

**— და მაინც: გაოცებას იწვევს ის ფაქტი, რომ ხელმძღვანელს სურვილიც კი არ უჩნდება ხელქვეითის „მხოლოდ მოსაზრების“ გადასამოწმებლად!**

— მერაბიშვილის „გადამოწმება“ მხოლოდ იმით შემოიფარგლა, რომ მან პირადად გასცა ჩემი დაკავების ბრძანება! კოლეგებისგან ინფორმირებული ვარ, სამინისტროს მეხუთე სართულზე ფირცხალავამ სიხარულით ყველა კაბინეტი რომ მოიარა და თანამშრომლებს დაავალა: ჩერქეზიშვილი დგას პეკინზე და სასწრაფოდ დააპატიმრეთ, ეს მინისტრის ბრძანებააო... ისიც ვიცი, ზოგიერთმა განყოფილების უფროსმა კატეგორიული უარი განაცხადა ჩემ დაპატიმრებაზე!

უნდა გითხრათ, რომ „ნაციონალების“ ე.წ. ელიტაში იერარქია მკაცრად იყო დაცული. ზემდგომს შეეძლო დედა შეეგინებია ქვეშევრდომისთვის. ამ შემთხვევაში, შეურაცხმყოფელის ფიზიონომიას სამართლიანი დაჟეჟვისაგან „ნაცპარტიის“ ფარული „უსტავი“ იცავდა! ჰოდა, როცა მოხდა ხუთი დეკემბრის ქუჩაზე პატრულის თანამშრომლის მკვლელობა, გაცოფებულმა მერაბიშვილმა უხმო ფირცხალავას და არანორმატიული ლექსიკის დახმარებით აუხსნა, თუ რა მოუვიდოდა კრიმინალური პოლიციის უფროსის დედას ამ დანაშაულის არგახსნისთვის!.. რა ექნა საბრალო ფირცხალავას? მშობელი დედის ღირსების დაცვას, თავის კარიერას ხომ არ გადააყოლებდა! ჯერ პოლიციელის მკვლელობა დააბრალა არჩილ სახვაძეს, რომელიც ამ დანაშაულის ჩადენას უარყოფდა, მერე აი, ასე, არაკაცურად მე მომექცა...

**— რამდენადაც მახსოვს, თქვენი ბრალდება შედგებოდა ოთხი პუნქტისგან და, თუ არ ვცდები, სამ ეპიზოდში გაგამართლეს, არა?**

— ასე იყო. შეგნებულად დამიტოვეს ის მუხლი, რომლითაც ჩემს სიმამრს მიკავშირებდნენ. მთელი გამოძიების პროცესში პროკურორი შაქრო ზაალიშვილი და ციხის ადმინისტრაცია ჩემზე საშინელ ზეწოლას ახდენდნენ. მოითხოვდნენ მეღიარებინა ყველა დანაშაული, წინააღმდეგ შემთხვევაში, სიმამრს „გვერდზე მომისვამდნენ“. ცხრა თვის განმავლობაში თხელიძის, ზაალიშვილის, მესტვირიშვილის და ხარებავას „წყალობით“ გადავიტანე ფიზიკური შეურაცხყოფა და დამცირება...

**— ბატონო ლადო, მაგ პროკურორების აფორიაქება ხომ არ გამოიწვია იუსტიციის მინისტრის, თეა წულუკიანის, განცხადებამ, „ძველი საქმეების“ გადახედვის თაობაზე?**

— ზუსტად ასეა! პირადად მე, 2012 წლის 12 ნოემბერს იუსტიციის სამინისტროში შევიტანე განცხადება ჩემი საქმის გადახედვის მოთხოვნით. საკმარისია, კომპეტენტურმა ადამიანმა მას მხოლოდ თვალი გადაავლოს, რომ ბრალდების აბსურდულობა დაინახოს! მერწმუნეთ, არ არსებობს სისხლის სამართლის საქმე, რომელიც განსასჯელს ოთხი ეპიზოდიდან სამში ამართლებდეს, ხოლო მეორე ინსტანციის სასამართლოზე იგივე განსასჯელი აღიარებდეს დანაშაულს იმ სამ გამართლებულ ეპიზოდში!

**— რატომ აღიარეთ?**

— თხელიძემ და „კამპანიამ“ ბოლოს არჩევანი არ დამიტოვეს — დამემუქრნენ ოჯახის გაუბედურებით და ამ მუქარის „პირველი მერცხალი“ ჩემი სიმამრის დაპატიმრება გახდა!..

**— სულ ახლახან თქვენმა „ძველმა ნაცნობმა“ — ირაკლი ფირცხალავამ პრესკონფერენციაზე უკმაყოფილება გამოთქვა იმის თაობაზე, რომ იუსტიციის სამინისტროს წინ გახსნილ მემორიალზე „კანონიერი ქურდების“ გვარები არ უნდა იყოსო და, კიდევ, გირგვლიანისა და რობაქიძის გვერდით არ უნდა გაჟღერდეს ვაზაგაშვილის გვარიო. ზურა ვაზაგაშვილი „კანონიერი ქურდი“ იყო?**

— აქაც გამოჩნდა ფირცხალავას არაპროფესიონალიზმი და არაკაცობა. **ზურა ვაზაგაშვილი არ იყო არც ნასამართლევი და არც ძებნილი. ასე რომ, „კანონიერი ქურდი“ ვერ იქნებოდა. ფირცხალავას „აეწვა“, რადგან იგი ყველა ბინძურ საქმეში ფიგურირებს და გრძნობს, რომ სამართალს ვერ გადაურჩება. ამიტომაც ფორთხიალობს საიგავო ბაყაყივით „რძეში“, ეგებ „კარაქად“ ვაქციოო და სამშვიდობოს გამოვძვრეო... მე კვლავ მივმართავ თხოვნით არჩილ კბილაშვილს, რომელსაც დიდ პატივს ვცემ, თხელიძე, ზაალიშვილი, მესტვირიშვილი და ხარებავა დაუყოვნებლივ, არათუ გააძევოს, გამოაპანღუროს პროკურატურიდან!** დღეს ხალხი მთავრობისგან მკაცრ კანონიერ ქმედებებს ელოდება, რათა ქვეყანა კრიზისიდან გამოვიდეს. მე ერთი რამის თქმა შემიძლია: უზენაესი სასამართლო და ყველა სამინისტრო გადატენილია „ნაცმოძრაობის“ კადრებით, მათი აქტივისტებით, ჩათვალეთ, აგენტურით, რომლებიც სინამდვილეში არიან „შენელებული მოქმედების ნაღმები“! და, სანამ ჩვენი ახალი ხელისუფლება ამ გაიძვერებს არ გააძევებს სამთავრობო უწყებებიდან, არაფერი გამოვა!

ესაუბრა
**გიორგი კორძაძე**

თვალსაზრისი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„აქციის თარიღად აპრილი შემთხვევით არ დასახელებულა. მოგეხსენებათ, იმ დროისთვის სააკაშვილს კონსტიტუციით მინიჭებული ექნება უფლება, მთავრობა დაითხოვოს. არაა გამორიცხული, სწორედ ამ მიტინგზე გაკეთდეს შესაბამისი მოთხოვნა „ნაციონალების" მხრიდან თავიანთი „ბელადის" მიმართ და მანაც ეს განახორციელოს. შემდეგ ამას მოჰყვება დაპირისპირება, არეულობა ქვეყანაში და ბუნებრივია, ყველაფერი დაბრალდება ხელისუფლებას. ესაა ამათი გეგმა."**

# უნდა გამოცხადდეს თუ არა «ნაცმოძრაობა» კანონგარეშე?!

**გასულ კვირას საპარლამენტო უმრავლესობის ზოგიერთი წევრის მიერ გაჟღერებულ ინიციატივას, „ნაცმოძრაობის" კანონგარეშედ გამოცხადებასთან დაკავშირებით, საკანონმდებლო ორგანოში ხმაური და აჟიოტაჟი მოჰყვა. უმცირესობამ, როგორც ყოველთვის, პოლიტიკურ დევნაზე მიანიშნა, კოალიციის ერთ-ერთმა დეპუტატმა გიგი ქვლივიძემ კი ეს ყველაფერი შემდეგნაირად ახსნა: „საზოგადოების ნაწილი ამბობს, რომ ჩვენ ძალიან ლმობიერები ვართ „ნაციონალური მოძრაობის" მიმართ. ისინი საკითხს ასე სვამენ, რომ არავითარი შეთანხმება ამ ხალხთან არ გამოდის, არც გამოვა არასოდეს. ჩვენ ვაშენებთ ქვეყანას და მშენებლობის დროს ისინი ჩვენ არ გამოგვადგებიან. ამიტომ ისინი გვთავაზობენ, რომ „ნაციონალური მოძრაობა", როგორც დამნაშავე, გამოცხადდეს კანონგარეშე.**
**ეს არის მათი აზრი და ვეთანხმები".**
**ექსპერტთა ნაწილი კანონგარეშე გამოცხადებას „ნაციონალებისთვის" ხელსაყრელადაც აფასებს, რადგან, მათი აზრით, ყოფილმა სახელისუფლო პარტიამ ამით, შესაძლოა, საზოგადოებისთვის გამალიზიანებელი სახელი მოიცილოს.**
**ზოგი ამ ყველაფერს შესაძლებლად მიიჩნევს და თვლის, რომ შიდაპოლიტიკურ ასპარეზზე სუბიექტების ლუსტრირება აუცილებელია. რამდენად ადეკვატურია დღევანდელ ვითარებაში აღნიშნული ინიციატივა და რეალურია თუ არა მისი განხორციელება, ამაზე სასაუბროდ „საქართველო და მსოფლიო" იურისტებს, უფლებადამცველებსა და არასამთავრო ორგანიზაციის წარმომადგენლებს დაუკავშირდა.**




**ქეთი ბექაური, ადვოკატი, უფლებადამცველი:**

— პირდაპირ ფორმულირებას, როგორ და რა სამართლებრივი მექანიზმებით შეიძლება ესა თუ ის პოლიტიკური სუბიექტი კანონგარეშე გამოცხადდეს, ვერ გეტყვით, მაგრამ საერთოდ ის, რაც ამ ცხრა წლის მანძილზე „ნაციონალურმა მოძრაობამ" ქართულ საზოგადოებას ავნო, ყველასთვის დღესავით ნათელია. რომ არა ოქტომბრის არჩევნები, უკვე აპოკალიფსამდე ვიყავით მისული. აქედან გამომდინარე, საზოგადოების დაკვეთა იყო, უწინარესად, სამართლიანობის აღდგენა, უკანონო პატიმრების განთავისუფლება, ადამიანის უფლებების კუთხით მდგომარეობის გამოსწორება და ზოგადად სოციალური ფონის შეცვლა. ახალი ხელისუფლება ცდილობს, ეს ყველაფერი ნაბიჯ-ნაბიჯ განახორციელოს. ამიტომ ის, რაც დღეს ხდება, ჩემი აზრით, სავსებით ლოგიკურია. რა თქმა უნდა, „ნაცმოძრაობას" სურს ამ პროცესის სულ სხვაგვარად წარმოჩენა, მათ უნდათ, საზოგადოებას შავი თეთრად მოაჩვენონ, ისევე, როგორც ამას აკეთებდნენ ცხრა წლის მანძილზე, მაგრამ ერთია პროპაგანდა, მეორე — სამართალი. ცივილიზებულ მსოფლიოში უზენაესობა აქვს მხოლოდ კანონს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყველა, ვინც ქვეყნისა და ერის წინაშე ჩაიდინა სისხლის სამართლის წესით დასჯადი დანაშაული, უნდა წარსდგეს სამართლიანი მართლმსაჯულების წინაშე; აქ უკვე ლოიალურობა აბსოლუტურად მიუღებელია. საბედნიეროდ, დღეს ჩვენ გვაქვს სამართლიანი პროკურატურა, მაგრამ ჯერ კიდევ არ გვაქვს ნორმალური სასამართლო. სანამ ამაზე შეთანხმება ვერ მოხერხდება და პრობლემა არ იქნება მოგვარებული, სამართლიანობის სრულყოფილად აღდგენაზე ლაპარაკი ზედმეტია.



**— 19 აპრილს „ნაცმოძრაობა" მიტინგს გეგმავს, რა აზრის ხართ ამაზე?**

— ეს არის მოქალაქეების კიდევ ერთხელ დაშტერების მცდელობა. სხვა გზას ესენი ვერ ხედავენ, მაგრამ ვერც იმას ხვდებიან, რა ხდება მათ გარშემო. რა მიტინგი და რის აქცია, „ნაცმოძრაობა" მკვდარია. მას ქართველმა ხალხმა უკვე გამოუტანა განაჩენი. მორჩა. რასაც ახლა აკეთებენ, ესაა განწირული გედის სიმღერა. ეს სიმღერა, უნდათ, 19 აპრილს იმღერონ და, უნდათ, — 9 აპრილს.

## ქეთი ბექაური: რა მიტინგი და რის აქცია, «ნაცმოძრაობა» მკვდარია!



## ირმა ჭკადუა: მოსამართლეები დღემდე ასრულებენ სააკაშვილისა და კუბლაშვილის მითითებებს

**ირმა ჭკადუა, ადვოკატი:**

— მთლიანად პარტიის კანონგარეშე გამოცხადება კონკრეტულად რა ფორმით უნდა მოხდეს, ძნელი სათქმელია, მაგრამ შეუძლებელი არაფერია. ისტორიამ იცის ნიურნბერგის პროცესი, ასევე სხვა მაგალითების გახსენებაც შეიძლება. დღესდღეობით მთავარი პრობლემა, რომელსაც სამართლიანობის აღდგენის პროცესში ვაწყდებით, არის სასამართლო. მოსამართლეები და პროკურატურა არიან დაპირისპირებულები. „ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლებსა და მათ მხარდამჭერებს, ამ სისტემის სახით, აქვთ მნიშვნელოვანი თავდაცვის მექანიზმი. შუაში კი იჭყლიტებიან რიგითი მოქალაქეები, რომელთა მიმართაც ამ სასამართლოს, ადრინდელივით, გამოაქვს არაადეკვატური განაჩენი. კონკრეტულ მაგალითს გეტყვით: ორი დღის წინ მქონდა ერთ-ერთი საქმე იარაღის უკანონოდ შენახვასთან დაკავშირებით და დავაყენე შუამდგომლობა — მოვითხოვე გირაო. მოსამართლე ვაჟა ფუხაშვილმა, რომელიც არის ცნობილი დემაგოგი, შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა და ჩემი დაცვის ქვეშ მყოფს შეუფარდა პატიმრობა. ახლა ვნახოთ, ვარძელაშვილის შემთხვევაში საბოლოოდ რა გადაწყვეტილებას მიიღებენ... ანუ მე რისი თქმა მინდა: **ის ადამიანები, რომლებიც ადრე იჩაგრებოდნენ, ისევ იჩაგრებიან, ხოლო ვინც ადრე წარმოადგენდა სააკაშვილის კრიმინალურ ელიტას, კვლავ რჩებიან პრივილეგირებულ მოქალაქეებად, იმიტომ, რომ სასამართლო იცავს.** ეს უნდა შეიცვალოს და ამასთან დაკავშირებით უახლოეს დღეებში ვაპირებ, მივმართო ხელისუფლებას.

**— ეს ხელისუფლება ჯერ კიდევ წინასაარჩევნო პერიოდში ამბობდა, რომ მოსამართლეებს სრულ თავისუფლებას მიანიჭებდა. თუ დღეს მოსამართლეები თავისუფლები არიან, პრობლემა რაში მდგომარეობს?**

— მესმის თქვენი კითხვის არსი. მე დარწმუნებული ვარ, ხელისუფლების მხრიდან მოსამართლეებს მართლაც აქვთ სრული თავისუფლება, მაგრამ ეს ადამიანები, რომლებიც ცხრა წელი, ფაქტობრივად, იყვნენ მონები, მიჩვეულნი არიან ამ მონობას და ახლა, უბრალოდ, სხვანაირად არ შეუძლიათ. დღეს ისინი ასრულებენ სააკაშვილისა და კუბლაშვილის მითითებებს, ამიტომ ვერასოდეს გახდებიან დამოუკიდებლები. ვიმეორებ: ის მოსამართლეები იყვნენ მონები და რჩებიან მონებად.

**— საბოლოო გამოსავალს რაში ხედავთ, რა უნდა გაკეთდეს ამ სისტემაში?**

— გამოსავალი მხოლოდ ერთია, უნდა შეიც- ▶

მოკლედ

## თუ არც ერთ «ნაციონალს» არ დაიჭერენ, მაშინ მე დამიჭირონ მეორედ!



ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლების შინაგან საქმეთა მინისტრი, კობა ნარჩემაშვილი, მიიჩნევს, რომ საზოგადოების სულით ხორცამდე შეძვრაა საჭირო. ამის შესახებ ყოფილი მინისტრი გაზეთ „ვერსიასთან" ინტერვიუში აცხადებს.

**„ყოველდღე იმაზე უნდა მიდიოდეს საუბარი, რა მოხდა 2004-2009 წლებში და კიდევ ერთხელ და არაერთხელ საჭიროა საზოგადოების სულით ხორცამდე შეძვრა. ვინმემ არ იცოდა, რაც ხდებოდა ციხეში? ამაზე ხომ ყველანი ვჩურჩულებდით, გონს მოსასვლელად, პერმანენტულად გვჭირდება მსგავსი შემოლაწუნება. საზოგადოება კარგად უნდა შეიძრას, ისე არ მოვა გონს. იმაზე დიდი საშინელებაც ვიცი, რაც კადრებში ვნახეთ — ვიცი, როგორ აუპატიურებდა კაცი კაცს ციხეში. აუცილებელია რეჟიმის გასამართლება, რათა სამართლიანობა აღდგეს. თუ არც ერთ „ნაციონალს" არ დაიჭერენ, მაშინ მე დამიჭირონ მეორედ!"** — აცხადებს ნარჩემაშვილი.

ყოფილი მინისტრი მიხეილ სააკაშვილის მიერ მოთხოვნილ პოლიტიკურ ამნისტიაზეც საუბრობს და აცხადებს, რომ ამის უფლება „ნაციონალურ მოძრაობას" არ აქვს.

# „თუ ახალი ხელისუფლება ხალხის ნებას არ დააკმაყოფილებს, თუ რეჟიმის სრული ლუსტრირება არ მოხდება და ყველაფერს არ დაერქმევა თავისი სახელი, საზოგადოება აუცილებლად გამოვა შესაბამისი მოთხოვნით“

თვალსაზრისი
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95





## ლალი აფციაური: დიდი ხანია, «ნაციონალები» კანონგარეშე არიან

...ვალოს ეს ხალხი. დღეს ეს სასამართლო კი არა, საბავშვო ბაღია. წარმოიდგინეთ, მოსამართლეებად ინიშნებიან ადამიანები, რომლებსაც საერთოდ უმაღლესი განათლება არ აქვთ. ასე ესმოდათ ამათ პასუხისმგებლობა, ამიტომ გაქრა ქვეყანაში სამართლიანობის განცდა. ახალ ხელისუფლებას აქვს ვალდებულება, ეს გამოასწოროს...

**ლალი აფციაური, ადვოკატი, უფლებადამცველი:**

— მე, როგორც იურისტს, კანონგარეშე გამოცხადება შემდეგნაირად მესმის: ეს შეიძლება განხორციელდეს კონკრეტული პირის ან პირთა ჯგუფის მიმართ, რომელსაც დაუმტკიცდება დანაშაული. დიდი ხანია, ჩემთვის „ნაციონალები“ კანონგარეშე არიან, მაგრამ ერთია შენი დამოკიდებულება და მეორეა, იურიდიული, სამართლებრივი ნორმები რის უფლებას მაძლევს. ბოლო ცხრა წლის მანძილზე მართლაც უამრავი დანაშაული მოხდა ქვეყანაში. ამიტომ ხელისუფლებას ვურჩევ, არ დარჩეს არც ერთი გაუხსნელი საქმე, შესაბამისად, — არც ერთი დამნაშავე დაუსჯელი; აი, ესაა ჩემთვის „კანონგარეშედ“ გამოცხადების არსი.

**— 19 აპრილს ვანო მერაბიშვილმა რუსთაველზე „პატრიოტებს“ უხმო. რას ელით ამ ყველაფრიდან? რამდენად რეალურად მიგაჩნიათ, ისეთივე პროვოკაცია ვიხილოთ, როგორიც 8 თებერვალს განხორციელდა ბიბლიოთეკის შენობასთან?**

— სწორედ ესაა, ჩემის აზრით, „ნაცმოძრაობის“ მიზანი, ამიტომ პროვოკაციას ნამდვილად ვერ გამოვრიცხავ. რაც შეეხება მერაბიშვილის იმ ომახიან მოწოდებას, მე პატრიოტი ვარ ჩემი ქვეყნის, მაგრამ 19-ში აქციაზე არ მივდივარ... არაფერიც არ მოხდება, სააკაშვილის რეჟიმი უკვე არის ჩავლილი წყალი, ერთადერთი, რასაც ესენი ებღაუჭებიან, არის ის, რომ თითქოს დასავლეთი მხარს უჭერთ, სინამდვილეში კი სწორედ დასავლეთმა აქცია მათ ზურგი ყველაზე ადრე. გასაგებია, ძალიან უჭირთ ძალაუფლებასთან გამოთხოვება და ვერ ეგუებიან ამას. არა უშავს, ცოტა ხანში აზრზე მოვლენ, მიეჩვევიან ჩვეულებრივ ცხოვრებას და დაწყნარდებიან.



## დავით ლილუაშვილი: 19 აპრილს «ნაცმოძრაობას» განკითხვის დღე დაუდგება!

**დავით ლილუაშვილი, კოალიცია „ჩვენი უფლებებისთვის“ თავმჯდომარე:**

— საზოგადოებაში არის ნამდვილად იმის განწყობა, რომ „ნაციონალური მოძრაობა“, იმ მრავალი ჩადენილი დანაშაულის გამო, რომელთაც ის ახორციელებდა წლების მანძილზე, განიდევნოს საერთოდ პოლიტიკური სივრციდან. რაც შეეხება ამ საკითხის სამართლებრივ მხარეს, მსოფლიო ისტორიაში არსებობს ანალოგიური პრაქტიკა. მაგალითად შეგვიძლია ავიღოთ გერმანიის ფაშისტური ხელისუფლება, თუმცა, რა თქმა უნდა, ამას თან ახლავს სერიოზული პროცედურები, რომლებიც თავისთავად გარკვეულ პრობლემებთანაა დაკავშირებული. მოგეხსენებათ, მას შემდეგ, რაც დასრულდა ჰიტლერის ეპოქა, ფაშისტური პარტია გამოცხადდა კაცობრიობის წინაშე დამნაშავე პოლიტიკურ ძალად, ჩატარდა ნიურნბერგის პროცესი და რეჟიმის იდეოლოგები გასამართლდნენ. დაახლოებით იმავეს ვარაუდობენ საზოგადოებაში, როცა საუბარია კანონგარეშე გამოცხადებაზე, მაგრამ ოცდამეერთე საუკუნეში ეს ძალიან რთულად განსახორციელებელი პროცესია. პოლიტიკურ განაჩენს რაც შეეხება, ამაში ბევრი რამ შეიძლება ვიგულისხმოთ, მათ შორის ისიც, რაც დასაწყისში ვახსენე, რომ **„ნაციონალური მოძრაობა“, როგორც დანაშაულებრივი ორგანიზაცია, აიკრძალოს. ყოველ შემთხვევაში ამას საზოგადოება გადაწყვეტს,** მე კი ერთი რამის თქმა შემიძლია დანამდვილებით, ესენი გულხელდაკრეფილი არ იჯდებიან და არ შეეგუებიან დამარცხებას; დარწმუნებული ვარ, ყველანაირად ეცდებიან, დარჩნენ პოლიტიკური პროგრესის ზედაპირზე. ამისთვის ყველაფერზე წავლენ და ყველაფრისთვის მზად უნდა ვიყოთ — საბოტაჟისთვის, პროვოკაციისთვის და ვინ იცის, კიდევ რა მოუვათ თავში.

**— პროვოკაცია რადგან ახსენეთ, 19 აპრილს თუა მოსალოდნელი მსგავსი რამ, როგორ ფიქრობთ?**

— მე მოვისმინე, მერაბიშვილმა როგორ მოუწოდა ე.წ. პატრიოტებს მხარდაჭერისკენ. რა გითხრათ, ესაა მორიგი ავანტიურა, რომლის მსგავსიც ადრე ბევრი გვინახავს. არ ვიცი, ვის გულისხმობენ ესენი პატრიოტებში, მაგრამ, თუ საქართველოს იმაზე მეტი პატრიოტი არ ჰყავს, რამდენიც ამათ აქციაზე მიუვათ სავარაუდოდ, დავღუპულვართ და ეგაა. სასაცილოა ეს ყველაფერი, სატირალი რომ არ იყოს.



რაც შეეხება იმას, თუ რას უნდა ველოდოთ, **ჩემი აზრით, აქციის თარიღად აპრილი შემთხვევით არ დასახელებულა. მოგეხსენებათ, იმ დროისთვის სააკაშვილს კონსტიტუციით მინიჭებული ექნება უფლება, მთავრობა დაითხოვოს. არაა გამორიცხული, სწორედ ამ მიტინგზე გაკეთდეს შესაბამისი მოთხოვნა „ნაციონალების“ მხრიდან თავიანთი „ბელადის“ მიმართ და მანაც ეს განახორციელოს. შემდეგ ამას მოჰყვება დაპირისპირება, არეულობა ქვეყანაში და ბუნებრივია, ყველაფერი დაბრალდება ხელისუფლებას.** ესაა ამათი გეგმა, მაგრამ, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, თუ ესენი ამაზე წავლენ, მაშინ 19 აპრილს „ნაცმოძრაობას“ ქართველი ხალხისგან დაუდგება ნამდვილი განკითხვის დღე, მიიღებენ ისეთ პასუხს საზოგადოებისგან, რომელზეც ახლა წარმოდგენაც შეიძლება არ ჰქონდეთ.

## იური ვაზაგაშვილი: «ნაცმოძრაობა» ფაშისტური ორგანიზაციაა, ის უნდა აიკრძალოს!

**იური ვაზაგაშვილი,** მოძრაობის „გადაარჩინე სიცოცხლე“ ხელმძღვანელი:

**„ნაცმოძრაობა“ ფაშისტური ორგანიზაციაა, ის უნდა აიკრძალოს!**

— „ნაცმოძრაობის“ კანონგარეშე გამოცხადების თაობაზე მე გოგი ქავთარაძის განცხადება მოვისმინე, მაგრამ, სანამ ბატონი გოგი გააკეთებდა განცხადებას, მანამდე საზოგადოება, დიდი ხანია, ამას ითხოვს. ამათ იმდენი დანაშაული აქვთ ჩადენილი, იმდენი მკვლელობა და ათასი სისაძაგლე, რომ ჩამოსათვლელად ერთი თვე არ გვეყოფა. აქედან გამომდინარე, **თუ ახალი ხელისუფლება ხალხის ნებას არ დააკმაყოფილებს, თუ რეჟიმის სრული ლუსტრირება არ მოხდება და ყველაფერს არ დაერქმევა თავისი სახელი, საზოგადოება აუცილებლად გამოვა შესაბამისი მოთხოვნით.** ამაში მე, რა თქმა უნდა, ქუჩის აქციებსაც ვგულისხმობ. კიდევ ერთხელ მივესალმები გოგი ქავთარაძის მიერ გაჟღერებულ ინიციატივას, „ნაცმოძრაობა“ არის წმინდა ფაშისტური ორგანიზაცია და ის აუცილებლად უნდა აიკრძალოს.

**— კონკრეტულად როგორ, რა ფორმით წარმოგიდგენიათ ეს ყველაფერი?**

— ეს საზოგადოების მოთხოვნაა და, თუ საზოგადოებას არ სჭირდები, მაშინ რა გინდა ხელისუფლებაში? ვინ არის პოლიტიკოსი ან პარტია საზოგადოების მხარდაჭერის გარეშე?! კი, ბატონო, შეიკრიბოს ხუთი კაცი, ჩამოაყალიბონ რამე ორგანიზაცია და იყონ თავისთვის. აქ ხალხი წყვეტს, როგორ იქნება. ნერვებს ნუ გვიშლიან, ეყოთ, რაც აქამდე გვიშალეს, თორემ ამათი საბოლოო განაჩენი ჯერ არ დამდგარა. მადლობა გვითხრან, რომ ქუჩაში თავისუფლად დადიან და, როგორც სხვა ქვეყნებში ხდება, თავპირს არ უმტვრევენ...

**ესაუბრა ჯაბა ჟვანია**

**P.S. ...ეჰ, რა დრო იყო 9 წლის წინ, მიშას ვარდი რომ ეჭირა ხელში. ალბათ, წარსულის ნოსტალგიამ შეაწუხათ ბიჭები და ამიტომაც ეპოტინებიან 19 აპრილს... „ბოროტი ხმები“ იმასაც ამბობენ, პროვიკაციას გეგმავენო. საზოგადოება ამისთვის მზად უნდა იყოს — 8 თებერვალს „ნაცებმა“ გენერალური რეპეტიცია უკვე გაიარეს, თუმცა 8 თებერვალი შესაძლებელია განრისხებული ხალხის შურისძიების რეპეტიციადაც მივიჩნიოთ...**

## ოქტომბრიდან დღემდე საქართველოში 62 რუსული კომპანია დარეგისტრირდა

**ბოლო თვეებში რუსი მეწარმეები საქართველოს ბიზნესისთვის პერსპექტიულ ქვეყნად მიიჩნევენ, თანაც, მათი აზრით, ეს მხოლოდ პოლიტიკურ ცვლილებებთან არაა დაკავშირებული, რომლებიც ბოლო პერიოდში საქართველოში მოხდა. ამის შესახებ The financial-ი წერს.**

commersant.ge-ს ინფორმაციით კი, მხოლოდ ოქტომბრიდან დეკემბრამდე ქვეყანაში 62 კომპანია დარეგისტრირდა, რომლებიც რუსეთის მოქალაქეების მიერაა დაფუძნებული.

ერთ-ერთი მათგანია ანზორ ცინცაძე, რომლის განცხადებითაც, საქართველოში სიტუაცია ხელსაყრელია ბიზნესის გასახსნელად.

**„მე და ჩემს მეუღლეს გვსურდა, რომ ჩვენი შვილი საქართველოში გაზრდილიყო. მე 12 წელი ურალში ვიცხოვრე და მთელი ამ ხნის განმავლობაში გადაზიდვებზე ვმუშაობდი“,** — განაცხადა მეწარმემ.

## მოსკოვის თეთრმა სახლმა საქართველოს სამი დროშა შეიძინა

**რუსული სააგენტო Известия-ს ინფორმაციით, მოსკოვში საქართველოს პრემიერ-მინისტრის ვიზიტია დაგეგმილი, — იტყობინება news.ge. რუსული სააგენტოს წყაროს ინფორმაციით, მოსკოვის თეთრმა სახლმა უკვე შეიძინა საქართველოს სამი დროშა, რომელიც შეხვედრებისთვის არის საჭირო. სააგენტოსთვის ჯერჯერობით უცნობია ივანიშვილის სავარაუდო ვიზიტის ზუსტი თარიღი.**

სააგენტო Известия-მ კომენტარი რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციასაც სთხოვა. ვლადიმერ პუტინის პრესმდივანმა დიმიტრი პესკოვმა განაცხადა, რომ ივანიშვილის ვიზიტის საკითხი დღის წესრიგში არ დგას. იგივე განუცხადა სააგენტოს საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალურმა წარმომადგენელმა რუსეთის საკითხებში — ზურაბ აბაშიძემ. მისი თქმით, ასეთი საკითხი არ განიხილება, თუმცა აღნიშნა, რომ კარგია, თუ თეთრ სახლში ქართულ დროშებს ყიდულობენ.

მოკლედ

## რუსუდან კერვალიშვილი: უგულავამ «იმედთან» დაკავშირებით სამართლიანობა აღადგინა



**ტელეკომპანია “მაესტროს” ეთერში „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთმა ლიდერმა რუსუდან კერვალიშვილმა გააკეთა განცხადება, რომ დედაქალაქის მერმა პატარკაციშვილების ოჯახს მაქსიმალურად შეუწყო ხელი ტელეკომპანია „იმედის“ დაბრუნებაში.** „გიგი უგულავამ ისტორიული სამართლიანობა აღადგინა პატარკაციშვილების ოჯახის მიმართ. გიგი უგულავას დანაშაული იკვეთება იმაში, რომ მან მაქსიმალურად შეუწყო ხელი, იმ ფაქტს, რომ პატარკაციშვლების ოჯახს დაბრუნებოდა ტელეკომპანია. სწორედ ასე ჟღერს პროკურატურის ბრალდება. გიგი უგულავას ტელეკომპანიის წართმევაში მონაწილეობა არ მიუღია“, — განაცხადა რუსუდან კერვალიშვილმა.

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**შეიქმნა ვითარება, რომ „ელიტ ელექტრონიქსის“ ვალდებულებები რამდენიმეჯერ აღემატებოდა მის აქტივებს, რაც ნიშნავს, რომ კომპანიის აქტივების სრულად გაყიდვის შემთხვევაშიც ვერ მოხდებოდა მისი ვალდებულებების დაფარვა და მაინც დარჩებოდა 35 მილიონი ლარის დავალიანება.**

# თიბისი ბანკი ანზორ ქოქოლაძეს სიცრუეში ამხელს

# ფაქტების ქრონოლოგია «ელიტ ელექტრონიქსთან» დაკავშირებით

**გასულ კვირას გაზეთში „საქართველო და მსოფლიო“ დაიბეჭდა ვრცელი ინტერვიუ კომპანია „ელიტ ელექტრონიქსის“ ყოფილ დამფუძნებელ ანზორ ქოქოლაძესთან, რომელშიც ის, ჩვეულებისამებრ, ცილს სწამებს თიბისი ბანკს და ყალბ ინფორმაციას ავრცელებს, თითქოს ბანკმა მას განზრახ წაართვა კომპანია და შემდგომ გაასხვისა.**


ანზორ ქოქოლაძე: «თიბისი ბანკი», ფინანსურ პოლიციასთან და პროკურატურასთან ერთად, ყველა უკანონო და თაღლითურ ქმედებაში მონაწილეობდა

ბატონ ანზორ ქოქოლაძის მხრიდან ასეთი სიცრუის პროპაგანდა და ამ სიცრუის ტირაჟირებისთვის მედიის იარაღად გამოყენება ახალი არაა. იგი რამდენიმე თვეა, აქტიურად ცდილობს, **თიბისი ბანკს** დასწამოს ცილი და შეულახოს რეპუტაცია.

ცხადია, **თიბისი ბანკი** არ აპირებს მის შეურაცხმყოფელ ბრალდებებზე მუდმივად პასუხის გაცემას, მაგრამ ვინაიდან გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ პირველად გამოეხმაურა ამ თემას და ეს იყო მხოლოდ ცალმხრივი, ტენდენციური ინფორმაციის შემცველი ინტერვიუ, მიზანშეწონილად ვთვლით, გაზეთის მკითხველებს მივაწოდოთ სწორი, ფაქტებსა და ციფრებზე დაყრდნობილი ინფორმაცია, რომელიც „ელიტ ელექტრონიქსისა“ და **თიბისი ბანკის** ურთიერთობის ისტორიას ასახავს მოვლენათა განვითარების ზუსტი ქრონოლოგიით.

შესაბამისად, ქვემოთ მოცემული ინფორმაცია არ შეიცავს რაიმე დასკვნებს და ინტერპრეტაციებს და მხოლოდ ფაქტების ქრონოლოგიას წარმოადგენს, რის გაყალბებასაც ცდილობს ანზორ ქოქოლაძე. გვსურს, საზოგადოებას მივაწოდოთ ეს ინფორმაცია, რათა მან თავად გააკეთოს დასკვნა:

● „ელიტ ელექტრონიქსმა“ **თიბისი ბანკთან** თანამშრომლობა 2005 წელს დაიწყო. სხვადასხვა დროს დაიდო ხელშეკრულებები, რომელთა საფუძველზეც „ელიტ ელექტრონიქსმა“ **თიბისი ბანკისგან** მიიღო სესხები, რომელთა უზრუნველსაყოფად ანზორ ქოქოლაძემ **თიბისი ბანკის** სასარგებლოდ დააგირავა „ელიტ ელექტრონიქსის“ აქციათა 55%, კომპანიის სხვა აქტივები და ქოქოლაძის კუთვნილი ბინა.

● 2009 წლის პირველ ნახევარში „ელიტ ელექტრონიქსმა“ რამდენიმეჯერ დაარღვია **თიბისი ბანკის** სესხის გადახდის გრაფიკი, თუმცა ბანკის მხრიდან ამას არ მოჰყოლია სესხის სრულად დაფარვის მოთხოვნა.

● 2009 წლის ივნისში ბანკმა გამოავლინა კეთილი ნება და მოახდინა „ელიტ ელექტრონიქსის“ კრედიტების რესტრუქტურიზაცია. თუმცა მალე კომპანიამ ამ ახალი სესხის პირობებიც დარღვია. ამ მომენტისთვის **თიბისი ბანკის** მიმართ დავალიანება 13 მილიონ ლარს აღემატებოდა.

● 2009 წლის აგვისტოში „ელიტ ელექტრონიქსს“„ დაეკისრა 7,5 მილიონი ლარის საგადასახადო დავალიანება, რის გამოც კომპანიის ანგარიშებს დაედო საინკასო დავალება.

● ამ დროისთვის კომპანიის ჯამურმა დავალიანებამ შეადგინა 49 მილიონი ლარი: 7,5 მილიონი — საგადასახადო დავალიანება, 25 მილიონი – კრედიტორი ბანკების (**საქართველოს ბანკის, ბანკ რესპუბლიკის, სახალხო ბანკისა** და **თიბისი ბანკის**) მიმართ ვალდებულება, 12 მილიონი – მომწოდებლებისადმი დავალიანება და ასევე ვალდებულებები სხვა უამრავი კრედიტორის მიმართ.

● შეიქმნა ვითარება, რომ „ელიტ ელექტრონიქსის“ ვალდებულებები რამდენიმეჯერ აღემატებოდა მის აქტივებს, რაც ნიშნავს, რომ კომპანიის აქტივების სრულად გაყიდვის შემთხვევაშიც ვერ მოხდებოდა მისი ვალდებულებების დაფარვა და მაინც დარჩებოდა 35 მილიონი ლარის დავალიანება.

● ეს ბანკებისთვის და ყველა მევალისთვის სერიოზულ საფრთხეს ქმნიდა, რადგან კომპანიას აღარ შესწევდა უნარი, დაებრუნებინა აღებული სესხები. „ელიტ ელექტრონიქსი“ ფაქტობრივად გაკოტრებული იყო. ერთადერთი გამოსავალი მდგომარეობდა იმაში, რომ ბანკებს მოეთხოვათ კომპანიის გადახდისუუნარობის საქმისწარმოების დაწყება და დაეყენებინათ იპოთეკით დატვირთული და დაირავებული ქონების (მათ შორის, ანზორ ქოქოლაძის კუთვნილი აქციების) რეალიზაციის საკითხი, რათა თავისი გაცემული სესხები ნაწილობრივ მაინც დაბრუნებულიყო.

## ბანკის ზარალი დღეისათვის შეადგენს 8 მილიონ ლარზე მეტს

● სასამართლოს გადაწყვეტილებით, „ელიტ ელექტრონიქსის“ მართვა გადაეცა კრედიტორებისგან შერჩეულ რეაბილიტაციის მმართველს.

● პარალელურად, კომპანიის ფინანსური კრიზისიდან გამოსაყვანად, კრედიტორმა ბანკებმა შეიმუშავეს სარეაბილიტაციო გეგმა და მოახდინეს კომპანიის მთლიანი სესხების რესტრუქტურიზაცია განსაკუთრებული შეღავათებით.

● გამოიყო დამატებითი ფულადი რესურსები კომპანიის ასამუშავებლად.

● თუმცა კომპანიის დირექტორად კვლავ რჩებოდა ანზორ ქოქოლაძე, რომელიც ხელს უშლიდა რეაბილიტაციის გეგმის განხორციელებას.

● უფრო მეტიც, ქოქოლაძემ თავისი თაღლითური საქმიანობით გაკოტრებამდე მიიყვანა „ელიტ ელექტრონიქსი“. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ბანკებიდან ნასესხებ თანხებსა და კომპანიის შემოსავლებს იგი განკარგავდა არამიზნობრივად — საეჭვო გარიგებების მეშვეობით ხდებოდა სახსრების „გადაქაჩვა“ მისი და ახლო ნათესავების კუთვნილ კომპანიებსა და ისეთ მიმართულებებში, რომლებიც დაკავშირებული არ იყო „ელიტ ელექტრონიქსის“ საქმიანობასთან.

● ანზორ ქოქოლაძემ და მისმა დამ, ეთერ ქოქოლაძემ (შპს ტექნობუმის დამფუძნებელმა), „ელიტ ელექტრონიქსს“ 7,691 მილიონ ლარად მიჰყიდეს მათ მიერ დაფუძნებული კომპანიის — შპს „ელიტ ტექსტილის“ 100%-იანი წილი, მაშინ, როდესაც ამ კომპანიის აქტივების ღირებულება 1,7 მილიონ დოლარს შეადგენდა და თან ეს ქონება დატვირთული იყო იპოთეკით **საქართველოს ბანკის** სასარგებლოდ.

● ზემოხსენებული 7,691 მილიონი ლარი სრულად იქნა გატანილი „ელიტ ელექტრონიქსის“ ანგარიშებიდან და სალაროდან პირადად ანზორ ქოქოლაძის მიერ, რაც დადასტურებულია სასამართლოს განაჩენით, რომლითაც ქოქოლაძე დამნაშავედ იქნა ცნობილი თაღლითობაში, დოკუმენტების გაყალბებაში, მიესაჯა 7,5 წლით თავისუფლების აღკვეთა და დაეკისრა „ელიტ ელექტრონიქსისთვის“ მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

● ანუ ქოქოლაძის გუნდი „ელიტ ელექტრონიქსს“ იყენებდა, როგორც საკუთარი ფულადი რესურსების წყაროს და აძლიერებდა პარალელურად შექმნილ მისსავე სხვა კომპანიებს. ამას ადასტურებს ისიც, რომ, როგორც კი ქოქოლაძე ჩამოშორებული იქნა „ელიტ ელექტრონიქსის“ მართვას, ქოქოლაძეებმა წამსვე წამოიწყეს ანალოგიური ბიზნესი „ტექნობუმის“ სახით და ეს იმ დროს, როცა „ელიტ ელეტრონიქსი“ დარჩა პრაქტიკულად ყოველგვარი სახსრების გარეშე, ათობით მილიონი ლარის დავალიანებით.

● არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ქოქოლაძემ ეს ალტერნატიული ბიზნესი „ელიტ ელექტრონიქსიდან“ სხვადასხვა გზით არაკეთილსინდისიერად მითვისებული თანხებით წამოიწყო.

● რაც შეეხება „ელიტ ელექტრონიქსის“ რეაბილიტაციის გეგმას, მისი ეფექტური განხორციელებისთვის აუცილებელი გახდა ქოქოლაძის ჩამოშორება კომპანიის მართვიდან და მისი და მისი ნათესავების ჩანაცვლება მაღალკვალიფიციური კადრებით.

● 23 თებერვალს ქოქოლაძე გათავისუფლდა დირექტორის თანამდებობიდან, რის შემდეგაც მიზანმიმართულად განხორციელდა „ელიტ ელექტრონიქსის“ ბათუმის მაღაზიების ქსელის პარალიზება, დოკუმენტაციისა და საწყობების დროული გადაბარების გაჭიანურება, მთავარი პროგრამული უზრუნველყოფის დაზიანება, თანამშრომლების დაშანტაჟება... ყოველივე ამან კომპანიის ფუნქციონირებას კიდევ ერთხელ სერიოზულად შეუშალა ხელი და მას დამატებითი ზიანი მიაყენა.

● შედეგად, მარტში „ელიტ ელექტრონიქსმა“ კვლავ დაარღვია სესხის ხელშეკრულება, რის გამოც **თიბისი ბანკმა** წერილობით გააფრთხილა ანზორ ქოქოლაძე, რომ მოხდებოდა დაგირავებული აქციების რეალიზაცია.

● 2010 წლის მაისში მოხდა **თიბისი ბანკის** სასარგებლოდ დაგირავებული აქციების (ელიტ ელექტრონიქსის აქციათა 55%-ის) რეალიზაცია, რომელიც ბანკმა 116 ათას ლარად შეისყიდა. ამ პერიოდისთვის ეს იყო, ფაქტობრივად, გაკოტრებული კომპანიის აქციები, რომელთაც ღირებულება არ გააჩნდა და მას მხოლოდ ვალდებულებები მოჰყვებოდა.

● იმისათვის, რომ ბანკებს ნაწილობრივ მაინც დაებრუნებინათ მათ მიერ გაცემული სესხები და „ელიტ ელექტრონიქსის“ ასობით დასაქმებული ადამიანი ქუჩაში არ დარჩენილიყო, საჭირო გახდა დიდი გამოცდილების მქონე სტრატეგიული ინვესტორის მოძიება, რომელიც მოახერხებდა „ელიტ ელექტრონიქსის“ მძიმე მდგომარეობიდან გამოყვანას და მისთვის „ელიტ ელექტრონიქსის“ აქციების გადაცემას.

● ჩვენ მოვახერხეთ, მოგვეწვია ისრაელის ერთ-ერთი წამყვანი კომპანია „ბრიმაგი“, რომელმაც თავის თავზე აიღო „ელიტ ელექტრონიქსის“ რეაბილიტაცია და საჭირო ინვესტიციების განხორციელება.

● კომპანიის გადარჩენის მიზნით, მაინც საჭირო გახდა დავალიანებების მნიშვნელოვანი ნაწილის ჩამოწერა, რის გამოც, საბოლოო ჯამში, **თიბისი ბანკმა** მაინც ვერ ამოიღო გაცემული სესხი და **ბანკის ზარალი დღეისათვის შეადგენს 8 მილიონ ლარზე მეტს.**

ამასთან, გვინდა განვაცხადოთ, რომ არც **თიბისი ბანკი** და არც მისი აქციონერები არ ფლობენ „ელიტ ელექტრონიქსის“ აქციებს.

კიდევ ერთხელ ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, **თიბისი ბანკი** არავის მისცემს მისი რეპუტაციის შელახვის უფლებას. მოვუწოდებთ ქოქოლაძეს, შეწყვიტოს ცილისწამება და შევახსენებთ, რომ **თიბისი ბანკის** მიერ საქართველოს მთავარ პროკურატურაში შეტანილია განცხადება ქოქოლაძის წინააღმდეგ, მის მიერ განხორციელებული ცრუ დასმენების გამო, და მსგავსი ცილისმწამებლური განცხადებების გაკეთება მის მდგომარეობას კიდევ უფრო დაამძიმებს.

**თიბისი ბანკი**

მოკლედ

## ახალაიას წინააღმდეგ ჩვენების მიცემის შემდეგ არსოშვილმა საქართველო დატოვა

**ბაჩო ახალაიას სასამართლო პროცესზე მიცემული ჩვენების შემდეგ შიდა ქართლის ყოფილი გუბერნატორი ზურაბ არსოშვილი ამერიკის შეერთებულ შტატებში წავიდა.**

კონკრეტულად რა ჩვენება მისცა არსოშვილმა ახალაიას წინააღმდეგ, მედიისთვის უცნობია. ცნობილია მხოლოდ ის, რომ არსოშვილი ბრალდების ერთ-ერთი მთავარი მოწმეა. იგი საქმეში სენაკის ეპიზოდში ფუგურირებს, როდესაც ის ეროვნული გვარდიის დეპარტამენტის უფროსი იყო.

შეგახსენებთ, რომ ზურაბ არსოშვილი პროკურატურაში „თელასის“ საკითხზე რამდენიმეჯერ დაკითხეს. საქმე ეხება კომპანიიდან რამდენიმე ათეული თანამშრომლის დათხოვნას.

„თელასის“ კომერციულ დირექტორობამდე ზურაბ არსოშვილი ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის მოადგილე იყო. მანამდე მუშაობდა შიდა ქართლის გუბერნატორის, ფინანსური პოლიციისა და ეროვნული გვარდიის დეპარტამენტის უფროსის თანამდებობებზე. იყო პარლამენტის წევრი.

რას უკავშირდება მისი ამერიკის შეერთებულ შტატებში გამგზავრება, უცნობია.



მსოფლიოში განთქმულ საკურორტო და საპორტო ქალაქ ვარნაში, რომელიც 1949 წლიდან 1956 წლამდე სტალინის სახელს ატარებდა, 35 ათასი ადამიანი მიადგა მერიის შენობას მოთხოვნით: „ყველა კორუმპირებულმა პირმა დატოვოს ქალაქის ადმინისტრაცია, რომელიც ჩვენ, 20 წელია, გვაყაჩაღებს!“ — ეს სურვილიც ქართველებისთვის ნაცნობია!

ახალი მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# დასავლეთს მამათმავლობამ, აღმოსავლეთ ევროპას კი შიმშილმა და სიღარიბემ შეუტია

**დღეს, როდესაც ე. წ. სამართლიანობის აღდგენის პროცესი, სავარაუდოდ, შევიდა ცხელ ფაზაში და 9-წლიანი „ნაციონალური კოშმარის“ ერთ-ერთ მთავარ ფიგურანტსა თუ არქიტექტორ შემოქმედს, გიგი უგულავას, მიადგა, თითქოს შინ თუ გარეთ მიმდინარე ყველა სხვა პროცესი უნდა გადაეფარა და აქედან გამომდინარე წინამდებარე წერილში განსახილველი თემაც ერთი შეხედვით იქნებ ამოვარდნილადაც გამოჩნდეს მოცემული პოლიტიკური კონტექსტიდან, მითუმეტეს ე.წ. სექსუალური უმცირესობების, უფრო მარტივად კი, როგორც ქართულ მედიაშია მიღებული, ამ „დაჩაგრული“ ხალხის საერთო სახელით — პედერასტებად, მოხსენიება (ამ თემას გაზეთის წინა ნომერშიც შევეხეთ), მაგრამ ეს, მართლაც ერთი შეხედვით, რადგანაც...**



„აჩრდილი დადის დასავლეთში, აჩრდილი მამათმავლობისა და, თუ ამ რეალობასაც არ მივიღებთ სერიოზულად, მოკლე ხანში მსოფლიოს პოლიტიკური რუკის უდიდესი ნაწილი ცისფერი გახდება და ვინძლო წითელი ფერი სანატრელ ტკბილ მოგონებად დაგვრჩეს, რადგანაც ნახევარი მსოფლიოს გაწითლება თუ შეგვინდო უფალმა — „...**ღვთის დიდად განმარისხებლისა და მიუტევებლისა ფინთისა და მყრალისა და ცეცხლით საუკუნოდ მწველისა მამათმავლობის მქმნელნი, მამალნი, ანუ დედალნი“...** როგორც საქართველოს დიდი ხელმწიფე, მეფე ერეკლე II, საუბრობდა თავისი დროის პედერასტებზე, თუ თანამედროვე „მამალნი, ანუ დედალნი“, მათი უმრავლესობა გაპედერასტდება, მამა ღმერთს შერცხვება საკუთარი ქმნილებების, ესენი არიან „ხატად და სახედ ჩემდა ქმნილნიო“? და მთელ დედამიწას მოუვლენს სოდომ-გომორის ცეცხლოვან წარღვნას!

თუმცა რაღა „აჩრდილი დადის“? აჩრდილი კი არა, აი, იხილეთ პატარა კახისგან განსხვავებით რით „ერთობა“ აშშ-ის ეს მერამდენე „დიდი ხელმწიფე“ — პრეზიდენტი ბარაკ ჰუსეინ ობამა: **„აშშ-ის პრეზიდენტის, ბარაკ ობამას, ადმინისტრაციამ, თხოვნით მიმართა ქვეყნის უმაღლეს სასამართლოს გააფართოოს „ქორწინების“, როგორც მხოლოდ მამაკაცისა და ქალის კავშირის განმსაზღვრელი ტერმინი. სასამართლოს ასვე ეთხოვა, გადახედოს 1996 წლის კანონს ქორწინების დაცვის შესახებ, რომელიც კრძალავს ერთსქესიან ქორწინებას.**

**გასულ წელს ობამა გახდა აშშ-ის ისტორიაში პირველი პრეზიდენტი, რომელმაც მხარი დაუჭირა ერთსქესიანი ქორწინების აკრძალვის გაუქმებას.**

**ამჟამად ერთსქესიანი ქორწინება ნებადართულია აშშ-ის რიგ შტატებში, თუმცა ფედერალურ დონეზე უკანონოდ ითვლება“.**

ჰაა, როგორია, აშშ-ის

## „სტრატეგიული პარტნიორობით“ მოხიბლულო ნაცებო თუ მეოცნებეთა ნაწილო, ვერც ახლა მიხვდით, საით „უბერავს“ აშშ-ის სტრატეგიაც და ტაქტიკაც?

ახლა თუ „სულ რაღაც“ 13 იგულისხმება „რიგ შტატებში“, სადაც ერთსქესიანი ქორწინებები კანონით არის ნებადართული, სავარაუდოდ, უმაღლესი სასამართლო დააკმაყოფილებს პრეზიდენტ ობამას თხოვნას, **„გააფართოოს „ქორწინების“, როგორც მხოლოდ მამაკაცისა და ქალის კავშირის განმსაზღვრელი ტერმინი“** და სრულიად ამერიკის ფედერალურ დონეზე ოფიციალურად გაპედერასტდება აშშ. ამას დაუმატეთ იმავე საფრთხის რეალობა ევროკავშირის ქვეყნების მიმართ და, როგორც იტყვიან, მოგვეცა ლხენა — **ვივა, ამერიკა-ევროპა! ვივა, პედერასტე! და ვავა, საქართველო!**

ახლა მავანი იფიქრებს, რა გააჭირა საქმე ამ კაცმა, თავშიც ქვა უხლიათ ამერიკა-ევროპას, მერე ჩვენ რატომ „ვავა“, ჩვენ, ჩვენსას მივხედოთო, მაგრამ, რომ არ არის ასე?

„სტრატეგიული პარტნიორობა თუ მოკავშირეობა“, საკუთარი გავლენის სფეროების გაფართოვების, გნებავთ, ნეოკოლონიალიზმის, ანუ იმავე დაპყრობის შეფარული ფორმაა! ყოველ შემთხვევაში ჩვენთან დაკავშირებით ასეა! მპყრობელთან პყრობილის კოაბიტაციის მდიდარი გამოცდილება, ვის, ვის და საქართველოს ნამდვილად აქვს. ეს გამოცდილება კი იმას გვასწავლის, რომ ყოველი დამპყრობელი, საკუთარი იდეოლოგიის, მენტალობის თავსმოხვევას ცდილობდა. შუა საუკუნეებში ცეცხლითა და მახვილით გვაიძულებდნენ გამაჰმადიანებას, XIX საუკუნეში კი ერთმორწმუნე რუსებმა ქართულ ენას შეუტიეს. ორივე შემთხვევაში ვერაფერს, ან თითქმის ვერაფერს მიაღწიეს. განსაკუთრებით მეორე შემთხვევაში — რუსეთის მფარველობის ქვეშ ფიზიკურად გამრავლებულმა და ეკონომიკურად მომძლავრებულმა ქართველობამ, პეტერბურგის, ოდესის, კიევის თუ რუსეთის გავლით, ევროპის უნივერსტეტებში განათლებულმა 60-იანელმა თერგდალეულებმა, მართალია, ცარისტული რუსეთის იმპერიაში, ანუ პოლიტიკური სახელმწიფოებრიობის გარეშე, მაგრამ მაინც, საკუთარი ქვეყნის შენება დაიწყეს. ამ ყველაფერმა კი, ანუ ქართულმა მეცნიერებამ, ხელოვნებამ კულტურამ, გნებავთ, ქართულმა სულიერებამ ისეთ სიმაღლეებს მიაღწია უკვე სსრკ-ში, რომ ქართველთა რუსიფიკაციაზე სერიოზულად აღარავინ ფიქრობდა!

ახლა? სურათი დიამეტრალურად საპირისპიროა — ჩვენი „სტრატეგიული პარტნიორები“ არამც და არამც არ დაუშვებენ საქართველოს იმდენად მოძლიერებას, რომ, ეკონომიკურად მაინც, „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“, რადგან მშიერი და „სტრატეგიულ პარტნიორზე“ დამოკიდებილი ქვეყანა ადვილი სამართავია. ეს რომ ასეა, ჩვენისთანა „ნატოს ასპირანტი“ იქით იყოს და, ევროკავშირ-ნატოს წევრი ქვეყნების მაგალითებზეც ჩანს: ბალტიის ქვეყნები, ბულგარეთი, უნგრეთი, საბერძნეთი თუ კიდევ რომელი ქვეყნები დავასახელო, რომლებიც პოლიტიკურ-ეკონომიკური კრიზისით არიან მოცულნი?!

შორს აღარ არის ის დრო, როდესაც ჩრდილოატლანტიკურ სივრცეში ტოტალურად დაკანონდება ერთსქესიანი ქორწინებები, როგორც ლიბერალური დემოკრატიის უმაღლესი მიღწევა, ანუ ე. წ. დასავლური ღირებულებების უპირველესი ნიშანი, ეს საუკუნოდ სულის წარმწყმედი გარყვნილება იქნება!

**მანამდე კი, პერმანენტულად შეგვახსენებენ პედერასტების უფლებების დაცვას — ნუ დაგვავიწყდება, რომ ნაცბანდას, რომელიც ამ დრომდე მხოლოდ ყბადაღებული პოლიტიკური დევნით აპელირებს, ერთი „საიდუმლო იარაღი“ რეზერვში აქვს — მალე მოვა გაზაფხული და, როგორც მზის გულზე ნაზამთრალი გველის წიწილები, ისე გამოეფინებიან ჰაინრიხ ბიოლის თუ სხვა „ფონდებში“ მოკალათებული, დასავლეთიდან გულუხვად დაფინანსებული ადგილობრივი პედერასტები თუ მათი მხარდამჭერები და გეიპარადებით შეგვახსენებენ თავს, რაც მეტ-ნაკლები შეხლა-შემოხლის, ცემა-ტყეპის გარეშე, იმედია, ვერ ჩაივლის რუსთაველზე. ამას კი, გეიპარადების „ხელშეშლაზე“ თვალის დახუჭვას, განსხვავებით „პოლიტიკური დევნისგან“, რომელსაც დიდად აღარ აქცევენ ყურადღებას, აღარ აპატიებენ „ქართულ ოცნებას“, რომლის მიმართაც მკაცრი შეფასებები თუ სანქციები არ დააყოვნებს დასავლეთიდან!**

მითუმეტეს, რომ არც შინაური ენჯეოებისგან გვექნება დანდობა, უპირველესად, ახალგაზრდა იურისტების სახით, გნებავთ, ახალი სახალხო დამცველის, რომელმაც 8 თებერვალს მომხდარი ექსცესისას თავი დაგვამახსოვრა უგვანო, ლიბერასტული პოზიციით. აღარაფერს ვიტყვი ლია მუხაშავრიაზე, რომელმაც სახალხო დამცველის პოსტის ძიებისას უნივერსტეტში გამართულ შეხვედრაზე სტუდენტების წინაშე განაცხადა: „აბა, როგორ, თუ პროგრესი გვინდა, ერთსქესიანი ქორწინებები უნდა დავაკანონოთ საქართველოშიო...“

დასავლეთი რომ მტკიცედ ადგას პედერასტიზაციის გზას, ამაზე რომის პაპის მოულოდნელი გადადგომაც მოწმობს, მსგავსი რამ სულ რამდენიმეჯერ მოხდა პაპიზმის ათასწლოვან ისტორიაში და უკანასკნელად — 400 წლის წინ. თუ ვინმეს მართლა ჰგონია, რომ ბენედიქტე XIV ავადმყოფობის გამო გადადგა, ეს მისი პრობლემაა!

ვატიკანთან დაახლოებული კომენტატორები იმაზე საუბრობენ, რომ კონსერვატორმა (იგი წინააღმდეგი იყო აბორტების, ჰომოსექსუალიზმის, ერთსქესიანი ქორწინებების და ა. შ.) პაპმა ვერ გაუძლო ვატიკანში თუ მის გარეთ არსებულ გავლენიან ნეოლიბერალთა ზეწოლას, რაც იმაში გამოიხატება, რომ ახლა სხვა, ლიბერალური მსოფლიოა და დროა, ვატიკანმაც გადახედოს კონსერვატორულ პოზიციებს და ლიბერალურად მიუდგეს ზემოთ ჩამოთვლილ სულისწამწყმედ ცოდვებს!

ეს რომ ასეა, ამაზე ისიც მეტყველებს, რომ ბენედიქტეს შემცვლელთა სავარაუდო კანდიდატებს შორის, უპირველესად, ფერადკანიანი სამხრეთ აფრიკელი კარდინალი სახელდება, რომლის სამშობლოშიც ერთსქესიანი ქორწინებები დიდი ხნის დაკანონებულია. აქედან კი ერთი ნაბიჯია პედერასტების სანუკვარ ოცნებამდე — ერთსქესიანი წყვილების ჯვრისწერის დაშვებაზე კათოლიკურ ტაძრებში, რასაც ამ ბოლო დროს დაბეჯითებით ითხოვენ სოდომ-გომორის ცოდვის შვილები!

დიდი ილიასი არ იყოს, მართლაც „რა გითხრათ, რით გაგახაროთ“?! ჩემი აზრით, საფრთხეები მართლაც რეალურია და თითქოს ხსნაც არსაიდან ჩანს, იმდენად მძლავრი და მიზანმიმართულია დასავლეთის ნეოლიბერალთა შემოტევა, რომელთა მთავარი მებაირახტრე ჩვენი „სტრატეგიული პარტნიორი“, ერთადერთი და განუმეორებელი აშშ-ია!

## ალბათ, ჩვენმა ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ უნდა ითამაშოს გადამწყვეტი როლი ღვთისმშობლის წილხვედრ საქართველოში!

და კიდევ, უცილობლად გასათვალისწინებელია ახლადშექმნილი პოლიტიკური პარტიის, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“, ინიციატივა, არჩევითობა ყველა დონეზე და რეფერენდუმის პროცედურების გამარტივება, რადგანაც დღეს არსებული კანონმდებლობით, რეფერენდუმების ჩატარება პრაქტიკულად გამორიცხულია!

არადა, სარეფერენდუმო ბევრი გვექნება უახლოეს მომავალში. თუნდაც მეჩეთების აშენება-არ აშენების საკითხები თუ რეფერენდუმის ძალით იქნება გამაგრებული, რაც ხალხის რეალური მმართველობის გამოხატულება, ანუ დემოკრატიის უმაღლესი ხარისხია, ეს შინ თუ გარეთ არსებულ ლიბერასტებს ხმას გააწყვეტინებს! მხოლოდ რეფერენდუმი თუ შეაგნებინებს ზოგიერთ "ურწმუნო თომას" რომ ნატო და ევროკავშირი არ არის პანაცეა. აგერ ბულგარეთი ავიღოთ – ნატოს წევრიც არის და ევროკავშირისაც, მაგრამ რამდენიმე დღის წინ ამ ქვეყნის 40 ქალაქში ჩატარდა ხალხმრავალი მიტინგები, სადაც მოსახლეობა აპროტესტებდა ხელისუფლების ეკონომიკურ და სოციალურ პოლიტიკას. ქვეყნის დედაქალაქში 30 ათასმა ადამიანმა გადაკეტა სოფიის ცენტრალური ქუჩები. მომიტინგეებს შეუერთდნენ სტუდენტები, რომლებიც უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ სწავლის საფასურის გაზრდაზე. აქციის მონაწილეებს მოჰქონდათ ტრანსპარანტები, რომელთა შინაარსი ჩვენთვის ძალზე ნაცნობია და გასაგები: „ხელისუფლება — ყაჩაღების გარეშე!“, „არა — მონოპოლიებს!“, „საერთაშორისო მაფია, გაეთრიე ბულგარეთიდან!“.

სააკაშვილისგან განსხვავებით, რომელიც არ კადრულობდა 100-ათასიან საპროტესტო მიტინგებზე ხალხისთვის მოესმინა, ბულგარეთის პრეზიდენტი, როსენ პლევნელიევი, გამოვიდა მომიტინგეებთან და მათ სიტყვით მიმართა: „ახლა მთავარია, პრობლემებს არ გავექცეთ. მე მოვედი აქ, რადგან პატივს ვცემ ხალხს და მინდა გავიგო მათი მოთხოვნები. ჩვენ ერთად ვიმუშავებთ, პრეზიდენტის ინსტიტუტი ღიაა“. თუმცა მისი ბოლო სიტყვები გამაყრუებელ სტვენაში ჩაიკარგა!

მსოფლიოში განთქმულ საკურორტო და საპორტო ქალაქ ვარნაში, რომელიც 1949 წლიდან 1956 წლამდე სტალინის სახელს ატარებდა, 35 ათასი ადამიანი მიადგა მერიის შენობას მოთხოვნით: „ყველა კორუმპირებულმა პირმა დატოვოს ქალაქის ადმინისტრაცია, რომელიც ჩვენ, 20 წელია, გვაყაჩაღებს!“ — ეს სურვილიც ქართველებისთვის ნაცნობია!

მოკლედ, ბულგარეთში უმწვავესი ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისია. არადა, ეს სახელმწიფო 2004 წლის აპრილიდან ნატოს სრულფასოვანი წევრია, ხოლო 2007 წლიდან — ევროკავშირის! მიუხედავად ამ „პანაცეისა“, ბულგარეთი ბედნიერი ვერ გახდა! კარგი იქნება, ზოგიერთმა ქართველმა პროვინციელმა ეს უტყუარი ფაქტი გაითვალისწინოს და დაფიქრდეს რადგან ფაქტი ჯიუტია – ნატოსა და ევროკავშირის ვეტერანებს მამათმავლობა უტევს, მის ახალბედა წევრებს კი შიმშილი და სიღარიბე.

**დავით მხეიძე**

საერთაშორისო პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბევრმა ევროპულმა ქვეყანამ გააგზავნა თავისი ძალები ავღანეთში, ფრანგებმა — მალიში. მაგრამ რეალური ვითარების აღქმა ვისაც შეუძლია, იგი დაინახავს, რომ „ევროპის სამხედრო პოტენციალი მცირდება“.**

# განიარაღებულ ევროპას თავის დაცვა მარტოდმარტოს მოუწევს

**The Financial Times-ში გამოქვეყნებული გიდეონ რახმანის წერილი, რომლის სათაური თქვენ უკვე წაიკითხეთ, შეიძლება ითქვას, არის ნიმუში რეალისტური პუბლიცისტიკის და ერთგვარი პასუხიც სტერილური ობიექტურობის მქადაგებელი დიდაქტიკოსებისთვის. სხარტი ფრაზებით და სათქმელის სიმარტივით გადმოცემული სიმართლე.**



**დიდი ბრიტანეთი აპირებს, 82 ათას ადამიანამდე შეამციროს თავისი არმია, რაც ნაპოლეონის დროინდელი ომების შემდგომი პერიოდის მინიმალური რაოდენობა იქნება**

## რომელ სიმართლეზეა ლაპარაკი?

**პოტენციური მუქარის საშიშროებაზე, რომელიც უახლოეს ათწლეულში ელოდება ევროპას ახლო აღმოსავლეთიდან, სადაც ქაოსი დამკვიდრდა, სირიიდან, სადაც ათასობით ადამიანი დაიღუპა და მშვიდობა ჰორიზონტზეც არ ჩანს, სამაგიეროდ, დესტაბილიზაცია მთელ რეგიონში ვრცელდება, დარწმუნებით ვერავინ ამბობს, როდის დასრულდება ირანის ბირთვული პროგრამა და რა მოჰყვება მას.**

სამხედრო ხარჯებს ზრდის რუსეთი.

დაძაბულმა ურთიერთობამ ჩინეთსა და მის მეზობლებს შორის, გამორიცხული არ არის, დუღილის იმ წერტილს მიაღწიოს, რომელიც დაემუქრება თავისუფალ ნაოსნობას და რომელზეც დიდადაა დამოკიდებული ევროპული ვაჭრობა.

ერთმა ჭკვიანმა მეცნიერმა ასე გაშიფრა სიძნელე და სირთულე: სიძნელე გამოსავალს არ გვიტოვებს, სირთულის დაძლევა მრავალვარიანტიანია, ოღონდ მათ შორის შედეგიანის არჩევა და ამოქმედება რთული, მაგრამ — შესაძლებელი.

როგორი პერსპექტივა ესახება The Financial Times ავტორს?

დავუგდოთ ყური!

სადღაც სამოცდაათიან წლებში გამოჩენილმა დანიელმა პოლიტიკოსმა **მოგენს გლისტრუპმა** საქვეყნოდ ცნობილი ფორმულა წარმოთქვა (ეგებ — წინასწარმეტყველებაც): გენერალურ შტაბში ქვეყნის შეიარაღებული ძალების ნაცვლად უნდა დავაყენოთ ავტომოპასუხე, რომელზეც რუსულ ენაზე წინასწარ ჩაწერილი იქნება წინადადება: „გნებდებით!“

კარგი იყო ჩვენც გაგვხსენებოდა 2008 წლის აგვისტოში დანიელი პოლიტიკოსის ეს წინადადება და გვემოქმედა მასთან სრულ შესაბამისობაში: მაშინ ქართველი მეომრების უაზროდ დაღუპვასაც ავიცილებდით თავიდან, დამარცხებასაც და ახალი ტერიტორიების დაკარგვასაც.

სააკაშვილიც გადარჩებოდა გაბითურებას, მაგრამ მისი მთავრობისა და ხელისუფლების ლოკატორები მიმართული იყო შორეული დასავლეთისკენ, სადაც სხვათა აზრებს, როგორც წესი, არად აგდებენ. სამაგიეროდ, თავისაზე მაგრად დგანან, რისი კიდევ ერთი დადასტურების პერსპექტივაზე საუბრობს გიდეონ რახმანი.

**იგი ეჭვობს, რომ საშიშროების წარმოქმნის შემთხვევაში აშშ თავს გადადებს ევროპის დასაცავად.**

მას მიაჩნია, რომ ევროპას აღარ შეუძლია უწინდებურად მთელ მსოფლიოში გამოიყენოს სამხედრო ძალა და დაიცვას საკუთარი ინტერესები. ბევრმა ევროპულმა ქვეყანამ გააგზავნა თავისი ძალები ავღანეთში, ფრანგებმა — მალიში. მაგრამ რეალური ვითარების აღქმა ვისაც შეუძლია, იგი დაინახავს, რომ **„ევროპის სამხედრო პოტენციალი მცირდება“.**

რას ეყრდნობა ამის მთქმელი? 2008 წლის ეკონომიკის ვარდნის საპასუხოდ ძლიერმა ევროპულმა ქვეყნებმა თავდაცვისთვის გამოსაყოფი ხარჯები 10-15 პროცენტით შეამცირა. **„დღეს დიდი ბრიტანეთის სამხედრო-საჰაერო ძალებს 1970 წელთან შედარებით სამხედრო თვითმფრინავების იმდროინდელი საერთო რაოდენობის მხოლოდ ერთი მეოთხედი დარჩა, ხოლო სამხედრო-საზღვაო ძალებს — მხოლოდ 19 საესკადრო ნაღმოსანი და მოდარაჯე ხომალდი, 1977 წელს კი მათი რაოდენობა 69 ერთეული იყო.**

**დიდი ბრიტანეთი აპირებს, 82 ათას ადამიანამდე შეამციროს თავისი არმია, რაც ნაპოლეონის დროინდელი ომების შემდგომი პერიოდის მინიმალური რაოდენობა იქნება. 1990 წელს გაერთიანებულ სამეფოს 27 წყალქვეშა ნავი ჰქონდა** (ბალისტიკური რაკეტების მქონე წყალქვეშა ნავების ჩაუთვლელად), **საფრანგეთს — 17, დღეს კი პირველს — შვიდი, მეორეს ექვსიღა შერჩა“.**

დამაფიქრებელი სტატისტიკაა.

და, მიუხედავად ზემოთქმულისა, ექსპერტების აზრით, მხოლოდ დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი ითვლება ისეთ ევროპულ სახელმწიფოებად, რომლებიც სერიოზულად ეკიდებიან ეროვნულ თავდაცვას.

გიდეონ რახმანიც იმავეს იმეორებს, ამასთან, აღნიშნავს, რომ „შეიარაღების შემცირების ახლანდელი ეტაპის შემდეგაც, დიდი ბრიტანეთი მსოფლიოში მეოთხე ადგილზე რჩება თავისი სამხედრო ბიუჯეტის მოცულობით. ამასთან ერთად, მოცემულ მომენტში გაერთიანებული სამეფო ორი ევროპული სახელმწიფოდან ერთ-ერთია (მეორე საბერძნეთია), რომელიც უპასუხებს ნატოს მოთხოვნებს — ქვეყნის მშპ-ს ოდენობიდან 2 პროცენტი გამოყოს თავდაცვის ასიგნებისთვის“.

რახან ორი სახელმწიფო გამორჩეულია, სხვა ქვეყნებში მდგომარეობა ამ კუთხით გაცილებით უარესია. სტატისტიკური მონაცემები ამ ლოგიკას ადასტურებს. მაგალითად, ესპანეთში ამ მიზნისთვის მშპ-ს მხოლოდ ერთი პროცენტი გამოიყოფა. მართალია, ბელგიელებმა 2011 წელს, ლიბიის კამპანიის დროს თავი გამოიდეს, მაგრამ სამხედრო ხარჯების 75 პროცენტს ეს ქვეყანა წარმართავს პირადი შემადგენლობისთვის გადასახდელად — „სწორედ ამ მიზეზით ერთ-ერთმა კრიტიკოსმა ბელგიის არმიას უწოდა „შეიარაღების საპენსიო ფონდი“.

მაგრამ ზემოთქმულს ავტორი მთავარ პრობლემად არ მიიჩნევს, არ ფიქრობს, რომ ეს ყველაფერი პრინციპულია, რადგან აშშ უწინდებურად ყოველთვის მზადაა დაეხმაროს ევროპელებს. პრობლემა ისაა, რომ ამჟამად **ამერიკა უფრო და უფრო კარგავს მოთმინებას ევროპის უნიათობისა და დამოუკიდებლად მოქმედების უუნარობის გამო.** „მაგალითად, ობამას დიდი სურვილი არ ჰქონდა, შესულიყო ლიბიაში. გარკვეული დროის შემდეგ, როცა ფრანგებს დასჭირდათ ამერიკელების დახმარება მათი თვითმფრინავების ნავთობით დამატებითი გამართვისთვის მალიში ოპერაციის მსვლელობისას, ფრანგები ფრიად გაკვირდნენ, როცა გაიგეს, რომ ამერიკელებმა მოულოდნელად ღირებულების გადახდა მოსთხოვეს“.

პრაგმატული ხალხია ამერიკელები: მეგობრობა მეგობრობად, მაგრამ ბიზნესს თავისი კანონები აქვს: Деньги на бочку!

მართალია, ამჯერად აშშ-მა გადაწყვიტა, უანგაროდ დახმარებოდა ფრანგებს, „მაგრამ ნიშანი მიცემული იყო. **„შეერთებულ შტატებს მობეზრდა ნატოს წევრი ქვეყნების თავდაცვის ხარჯების ლომის წილის გადახდა — ეს ლომის წილი საერთო რაოდენობის დაახლოებით სამი მეოთხედია. „ძალიან მალე, ერთ მშვენიერ დღეს ევროპელები გაიღვიძებენ და აღმოაჩენენ, რომ ამერიკელების არმიას აღარ სურს, გაანეიტრალოს საშიშროებანი, რომლებიც ევროპის საზღვრებთან წარმოიქმნება“.**



სტატიის ავტორის დაკვირვებით, აშშ აპირებს, გადავიდეს სამხედრო ხარჯების ეკონომიის მკაცრ რეჟიმზე, რაც ნიშნავს, რომ უახლოეს ათწლეულში **პენტაგონის ხარჯები** ერთი ტრილიონი დოლარით შემცირდება.

**მაშინ, როცა ბოლო ათწლეულში სამხედრო ხარჯები ევროპაში დაახლოებით 20 პროცენტით შემცირდა, ჩინეთში თითქმის 200 პროცენტით გაიზარდა. ნიშანდობლივია ისიც, რომ შარშან, ასეული წლების მანძილზე პირველად, აზიის ქვეყნებმა თავდაცვის საჭიროებისთვის ევროპაზე მეტი დახარჯეს.**

აზია კუნთებს ათამაშებს.

ამიტომ გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ აშშ თავისი ძლიერების მნიშვნელოვან გაზრდას წყნარ ოკეანეზე აპირებს. თუ ეს ტენდენცია დამკვიდრდება, მაშინ, ბუნებრივია, შემცირდება ევროპასა და აზიაში ამერიკის სამხედრო ყოფნა.

„ეგებ, ეს ყველაფერი დიდად მნიშვნელოვანი არ არის? — კითხულობს ავტორი და უპასუხებს, — სსრკ-ის დაშლის შემდეგ ევროპაში სახმელეთო შეჭრის საშიშროება გარკვეულწილად შემცირდა. ევროპელებს ყველაზე უფრო, ვფიქრობ, აწუხებს არა სამხედრო მუქარა, არამედ ის დანაკარგი, რომელიც ბიუჯეტის მომჭირნედ ხარჯვამ შეიძლება მიაყენოს ევროპის კონტინენტის სახელგანთქმულ სოციალურ მოდელს. მოსახლეობის მოთხოვნის გათვალისწინებით, პოლიტიკოსები პირველ ადგილზე აყენებენ ბიუჯეტის ჯანდაცვისა და სხვა მუხლებს და არა თავდაცვას. ტერორიზმის ახლახან წარმოქმნილი მუქარაც კი ვერ ესადაგება სამხედრო ძალის გამოყენებას ტრადიციული გაგებით. ავღანეთში ათი წლის მძიმე იმედგაცრუებამ თვალსაჩინოდ დაგვარწმუნა, რამდენად რთულია რეგულარული ჯარის გამოყენება „ჩამოუყალიბებელ სახელმწიფოებში“ ოპერაციების განსახორციელებლად“.

დასკვნაც წერილის დედააზრის შესაბამისია: ევროპელებს ისღა დარჩენიათ, რომ წერილის დასაწყისში ნახსენები მოგენს გლისტრუპის სტრატეგიას მისდიონ, დაითხოვონ თავიანთი შეიარაღებული ძალები და ჩართონ ავტომოპასუხე: „გნებდებით!“

**„ერთ მშვენიერ დღეს ევროპამ შეიძლება მოუ-** ▶

საერთაშორისო პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მაშინ, როცა ბოლო ათწლეულში სამხედრო ხარჯები ევროპაში დაახლოებით 20 პროცენტით შემცირდა, ჩინეთში თითქმის 200 პროცენტით გაიზარდა. ნიშანდობლივია ისიც, რომ შარშან, ასეული წლების მანძილზე პირველად, აზიის ქვეყნებმა თავდაცვის საჭიროებისთვის ევროპაზე მეტი დახარჯეს.

**◀ლოდნელად შეიგნოს, რომ მას სჭირდება საკუთარი შეიარაღებული ძალები, მაგრამ ასეთებს ვერ იპოვიან“.**

თუ ევროპა ჩვენი პერსპექტივაა, ხოლო ნატო „საქართველოს სახლია“, უნდა ვიცოდეთ, ვის კარზე ვაკაკუნებთ.

## იმპერიები ბრუნდება?

**მსოფლიოში ისეთი ვითარება ყალიბდება, რომელიც აშშ-ს საშუალებას აძლევს „წასვლისას არ წავიდეს“, განაგრძოს თავისი გლობალური ჩანაფიქრის განხორციელება სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის გართულებულ სისტემაში. გამორიცხული არ არის, რომ კვლავ მოთხოვნადი გახდეს თითქოს სამუდამოდ დავიწყებული იმპერიული პროექტები და წარსული დროების ვასალური ურთიერთობანი.**

**რატომ იბადება ასეთი ეჭვი?**

თუნდაც ბოლო დღეებში აფრიკაში განხორციელებული ფრანგული ექსპედიციებით, რომლებიც აშკარად ნეოიმპერიულ ხასიათს ატარებს და გვაფიქრებინებს — ხომ არ იწყება მსოფლიო პოლიტიკის ახალი ციკლი, ერთპოლუსიან მსოფლიოს ხომ არ ემუქრება მრავალპოლარულობა ახალი შეფუთვით?

ამ საკითხებს მიმოიხილავს **დმიტრი მინინი** სტატიაში „იმპერიების დაბრუნება. დიდი სივრცეები საერთაშორისო ურთიერთობებში ქაოსის წინააღმდეგ“.

აშშ-ს „წასვლა-არწასვლის“ პოლიტიკის ტენდენციებზე საუბრისას ცნობილი გერმანელი ფილოსოფოსი **იურგენ ჰაბერმასი** აღნიშნავს, რომ პრეზიდენტ ობამას საერთაშორისო ურთიერთობის რეალისტური პოლიტიკა მისი წინამორბედის პოლიტიკისგან განსხვავდება არა იმდენად აშშ მსოფლიო ჰეგემონიის მიზნების შენარჩუნებით, არამედ ამ მიზნების განხორციელების საშუალებათა შერჩევით. „რეალისტური“ სკოლისთვის სასურველ მსოფლწესრიგს, ჰაბერმასის აზრით, ყველაზე მეტად ესადაგება **„დიდი სივრცეების“ კარლ შმიდტისეული თეორია. იგი „დიდ სივრცეებს“ წარმოიდგენდა იმპერიული სახელმწიფოების გავლენისა და მათი „ძლიერი იდეების“ დამკვიდრების არეალად.** ამტკიცებდა, რომ „ცენტრალურმა სახელმწიფომ უნდა განამტკიცოს თავისი პირველობა დამოკიდებული ერებისა და ხალხთა ჯგუფეს წინაშე“ „სამართლიანობის საკუთარი კონცეფციის“ კრიტერიუმების თანახმად“.

მიჩნეულია, რომ ობამას პირველი მანდატის პირველ პერიოდში ამერიკა ჯერ კიდევ გზაგასაყარზე იდგა, „აწარმოებდა არიერგარდულ ბრძოლებს მსოფლიო ლიდერობის შესანარჩუნებლად. ამასთან, უფრო და უფრო რწმუნდებოდა, რომ ეს მცდელობა გლობალური კრიზისის პირობებში უეფექტო იყო. პრეზიდენტის მეორე ვადის დასაწყისშივე ობამა შეუდგა მსოფლიოს ახლებურ ფორმირებას. **ვაშინგტონის პრობლემა ის კი არ არის, რომ ერთპოლარულობის შენარჩუნება მისთვის შეუძლებელი ხდება, არამედ ის, რომ მრავალპოლარულობა მისთვის სასურველი არ არის.** მას ხელს არ აძლევს ის გარემოება, რომ, არსებული წესრიგის შენარჩუნების შემთხვევაში, **გლობალური ჰეგემონის ადგილს დაიკავებს ჩინეთი, რომელიც შეიძლება მოიქცეს ისე, როგორც აქამდე აშშ იქცეოდა.** ხაბერმასის აზრით, ამერიკა შეეცდება, ხვალინდელი დიდი სახელმწიფოები დღესვე დააკავშიროს ისეთი საერთაშორისო წესრიგით, „რომელსაც აღარ ესაჭიროება არავითარი ზესახელმწიფო“.



> **„შეერთებულ შტატებს მობეზრდა ნატოს წევრი ქვეყნების თავდაცვის ხარჯების ლომის წილის გადახდა — ეს ლომის წილი საერთო რაოდენობის დაახლოებით სამი მეოთხედია**

პარალელურად ამისა, დასავლეთში სულ უფრო მეტი რაოდენობით ქვეყნდება გამოკვლევები, რომელთა ავტორები ამტკიცებენ, რომ არეულ მსოფლიოში დაიწყო ყოფილი მეტროპოლიების იმპერიული პოლიტიკის სტიქიური აღდგენა-აღორძინება, მაგრამ უმეტესად არა იმ მიმართულებით, რომელიც ხელს აძლევს შეერთებულ შტატებს.

აშშ-ის თავდაცვის მინისტრის ყოფილი მოადგილე და აშშ თავდაცვის სამინისტროს მთავარი ფინანსისტი **დოვ ზაკხეიმი** ჟურნალში **National Interest** გამოქვეყნებულ წერილში მიუთითებს, „თავის დროზე განადგურებული რიგი იმპერიების ტრიუმფალიზმზე“. **„აღმოსავლეთ აზიაში,** — წერს იგი, — **ჩინეთი სულ უფრო ხშირად ათამაშებს თავის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო კუნთებს. ახლო აღმოსავლეთსა და ცენტრალურ აზიაში თურქეთი... ცდილობს, განავრცოს თავისი გავლენა მრავალრიცხოვან ქვეყნებზე, რომლებიც ოდესღაც ოსმანთა იმპერიაში იყვნენ გაერთიანებულნი. მოსკოვი კი თავის ძალასა და გავლენას, რომელსაც მას აძლევს ენერგეტიკული რესურსები, იყენებს იმისთვის, რომ ევროპასა და რუსეთის მეზობელ რეგიონებში... განახორციელოს ცარიზმის პოლიტიკა ახალი ვარიანტით... ამ სახელმწიფოთა იმპერიული მემკვიდრეობა აძლევს მათ სტიმულს, გააძლიერონ თავიანთი გავლენა არა მხოლოდ საკუთარ რეგიონებში, არამედ მსოფლიო ასპარეზზეც“.**

ზაკხეიმს ყველაზე უფრო აწუხებს ის, რომ „ყველა მათგანი დარწმუნებულია — შეერთებულმა შტატებმა, მით უფრო — ევროპამ, არ უნდა მოახდინონ გადაწყვეტილებების პროცესის მონოპოლიზება, უგულებელყონ მსოფლიო თანამეგობრობა... **თანახმანი არ არიან ავტომატურად აშშ-ის ლიდერობას ნებისმიერ საკითხში“.**

იგი მიიჩნევს (და ეს ფრიად საყურადღებოა), რომ ამერიკელმა პოლიტიკოსებმა, რომლებიც გართულნი არიან იმპერიის შთამომავალი ირანის საკითხით, **„უნდა შეიგნონ და აღიარონ, რომ ამ სახელმწიფოებს გააჩნიათ რაღაც სხვა, უფრო მეტი, ვიდრე შთამბეჭდავი ეკონომიკური ზრდა, სამხედრო ექსპანსია და პოლიტიკური გავლენა. ამერიკელები ისტორიის აღუქმელობით არიან ცნობილნი. მაგრამ მათ მოუწევთ... წარმატებულად გაართვან თავი ურთიერთობას იმ სახელმწიფოებში, რომელთა პრეტენზიები მსოფლიოში უფრო მნიშვნელოვან როლზე განპირობებულია არა მხოლოდ ახლანდელი წარმატებებით, არამედ ძველი დიდებითაც“.**

> **«ევროკავშირის მიერ განხორციელებული საზღვრების ტრანსფორმაციის პოლიტიკაში გამოყენებულია კონტროლის ნაკლებად შესამჩნევი, მაგრამ მეტად «მომაბეზრებელი» ფორმები, რომლებიც ეფუძნება ნებაყოფლობით მორჩილებას და თავსმოხვეულ ნორმებს»**



ერთ-ერთი ძირითადი დილემა, რომელიც სწორედ დღეს დგას შეერთებული შტატების იმპერიული პოლიტიკის წინაშე, და რომელზეც მიუთითებენ მკვლევარები (მაგალითად, გერმანელი **ხერფრიდ მიუნკლერი**), არის, ერთის მხრივ, შემდგომი ექსპანსიის ზედმეტობის ულიარებლობა, მეორე მხრივ, შიში, რომ ეს აღქმული იქნება, როგორც სიმხდალის გამოვლენა.

ამერიკის ერთ-ერთი თავისებურება, მიუნკლერის აზრით, არის ის, რომ იგი თავისი არსით „მოჩქარე იმპერიაა“, რაც მოკლე, ოთხწლიანი არჩევითი ციკის შედეგია. „სავარაუდოა, უკანასკნელ პერიოდში გამჟღავნებული პრობლემების ომის მეშვეობით გადაწყვეტისადმი ვაშინგტონის მისწრაფება ნაწილობრივ დროის წნეხითაცაა გამოწვეული: ომით გადაწყვეტილ საკითხებს, ჩვეულებრივ, სწრაფად და საბოლოოდ მოგვარებულად მიიჩნევენ“.

იმპერიულის კვალი, მკვლევარების აზრით, აშკარად ჩანს ევროკავშირის პოლიტიკაშიც. სტატიაში **„ევროპაში საზღვრების იმპერიული ცვლილება“ (Cambridge Review of International Abbairs, 2012 წლის ივნისი)** მითითებულია, რომ მეზობლობის ევროკავშირის პოლიტიკა აღიქმება, როგორც ევროკავშირის იმპერიულ განზრახულობათა დეკლარაცია, რომლის მიხედვითაც მეზობლები წარმოდგებიან უმეტესად დამოკიდებულ ობიექტებად, ვიდრე ევროკავშირის თანასწორ პარტნიორებად. **ევროკავშირის მიერ განხორციელებული საზღვრების ტრანსფორმაციის პოლიტიკაში გამოყენებულია კონტროლის ნაკლებად შესამჩნევი, მაგრამ მეტად „მომაბეზრებელი“ ფორმები, რომლებიც ეფუძნება ნებაყოფლობით მორჩილებას და თავსმოხვეულ ნორმებს“.**

ამრიგად, „დიდი სივრცეების“ მშენებლობა მსოფლიო პოლიტიკაში დაიწყო. ცხადია, არ უნდა ველოდოთ ამ ძველ-ახალი იმპერიების საზღვრების ფორმალიზაციას ან მათ ოფიციალურ აღიარებას, გვარწმუნებენ პოლიტოლოგები.

ვაშინგტონის ნებით აღმდგარი მსოფლიო იერარქია, როგორც სპეციალისტები ასკვნიან, ყოველნაირად შეეცდება, არ გაიიგივოს თავი ძველი დროების კოლონიურ იმპერიებთან, რათა არ მოწამლოს ხალხთა მეხსიერება არამარტო ყოფილ კოლონიებში, არამედ იმპერიული ქვეყნების დედაქალაქებში.

დასავლეთის სახელმწიფოების ნეოიმპერიული რენესანსი მათი იდეებისა და ქცევის ლოგიკიდან იკვეთება. სამწუხაროა, რომ ეს მისწრაფება „მაღალი მორალური პრინციპებით“ დატვირთული არ არის.

**არმაზ სანებლიძე**
*(უცხოეთის პრესის პუბლიკაციების მიხედვით)*

---



## ჯაბა სამუშიამ გიგი უგულავას წინააღმდეგ სკანდალური დოკუმენტები გამოაქვეყნა

**ჯაბა სამუშიას სკანდალური დოკუმენტები „ნაციონალური მოძრაობის“ წევრების სამეთვალყურეო საბჭოებში დასაქმების სქემას შეეხება.**

თბილისის საკრებულოში ფრაქცია ,,ქართული ოცნების“ ლიდერმა დოკუმენტაცია „პირველი რადიოს“ რადიოკლუბში წარმოადგინა. მისი თქმით, არჩევნების შემდეგ თბილისის მერიის წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებში ჩამოყალიბებულ სამეთვალყურეო საბჭოებში „ნაციონალური მოძრაობის“ დასაქმებულ წევრებს ხელფასები გაუორმაგდათ.

„დასაწყისში საუბარი იყო 36 ადამიანის დასაქმებაზე, გადანაწილებაზე ოთხი საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოებში და თავდაპირველად თითო ადამიანს დაენიშნა 2 500 ლარი. მოგვიანებით კი ეს თანხა გაუორმაგდათ. კერძოდ, **5 000 ლარი აქვთ ხელფასი რუსუდან კერვალიშვილს, აკაკი სეფერთელაძეს, გიორგი ასანიძეს, გიგა ნასარიძეს, ხათუნა ოჩიაურს, გიორგი როინიშვილს, ლაშა დამენიას, ზაალ გამცემლიძეს, რომლებიც თბილისის სატრანსპორტო კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოში არიან დასაქმებულები.** ასევე, 5 000 ლარი აქვთ ყოველთვიური ანაზღაურება ლაშა მაქაცარიას, მაკა მეტრეველს, ქეთევან მჭედლიძეს, ირმა ნებიერიძეს, კობა ხაბაზს, დავით ჯანიაშვილს, გიორგი სულხანიშვილს, მამუკა სანებლიძესა და ვლადიმერ ვარძელაშვილს, რომლებიც შპს „სინათლის ქალაქის“ სამეთვალყურეო საბჭოში მუშაობენ. ასევე, 5 000 ლარს იღებენ ხელფასს ეკატერინე ხერხეულიძე, ბადრი ბასიშვილი, ირაკლი ქავთარაძე, გიორგი ხახმელიძე, გიორგი ქავთარაძე, მამუკა გაჩეჩილაძე, მამუკა ხერხეულიძე, ზაზა ციციშვილი, დავით იონიშვილი და ესენი დასაქმებულები არიან შპს „თბილისის“ ჯგუფის სამეთვალყურეო საბჭოში.

შპს „ჰერმესის“ სამეთვალყურეო საბჭოში ამავე თანხას, ხელფასის სახით, ასევე 5 000 ლარს იღებს ცხრა დასაქმებული მოქალაქე“, — აცხადებს სამუშია.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ინფლაციის შესაკავებლად არაფრით უზრუნველყოფილი ევროს ხელთ სულ უფრო და უფრო ნაკლები ბერკეტია. ბანკების კაპიტალიზაცია 30%-ითა და მეტით შემცირდა. საქმე იქით მიდის, რომ მალე ევროკავშირი არა მხოლოდ დაშლას დაიწყებს, არამედ იძულებული იქნება, საკუთარი თავის ბითუმად და საცალოდ გაყიდვას შეუდგეს.**

# არშემდგარი ევროკავშირი

**ცნობილმა საერთაშორისო სპეკულანტმა და ფერადი რევოლუციების სპონსორმა ჯორჯ სოროსმა რამდენიმე დღის წინ საინტერესო განცხადება გააკეთა ნიდერლანდების ტელევიზიასთან ინტერვიუში. მისი თქმით, ევროკავშირმა, შესაძლოა, საბჭოთა კავშირის ბედი გაიზიაროს, ამ უკანასკნელის კრახი კი ეკონომიკურმა პოლიტიკამ განაპირობა. ამასთან, სოროსი მიიჩნევს, რომ ევროკავშირს, საბჭოთა კავშირის სცენარის შესაბამისად, ელოდება დაშლა. ევროპული უბედურებების საფუძველს სოროსი იმაში ხედავს, რომ ევროზონის ლიდერების ახლანდელი მცდელობა, როგორმე შეინარჩუნონ ერთიანი ევროპული ვალუტა, განაპირობებს პოლიტიკური და სოციალური პრობლემების გამწვავებას, საბოლოო ჯამში კი ეს პრობლემები ევროკავშირს განადგურებით ემუქრება. „უმაღლეს დონეზე ვარ შეშფოთებული იმით, რომ ევროს შეუძლია ევროკავშირის დაშლა“, — ამბობს ფინანსისტი.**


ევროპარლამენტი ბრიუსელში

უცნაური დასკვნაა, რადგან მხოლოდ ევროვალუტა აკავებს ამ სახელმწიფოთაშორის კონსტრუქციას დაშლისგან. როგორც ევროკავშირის მთელი ისტორიიდან ჩანს, ის სწორედ ევროპის ქვეყნების ეკონომიკური ინტეგრაციის მიზნით შეიქმნა. შეგახსენებთ, დასაწყისში ეს ევროპული გაერთიანება იყო გერმანიის, ბელგიის, ნიდერლანდების, ლუქსემბურგის, საფრანგეთისა და იტალიის შემადგენლობით (1952 წელი). ხუთი წლის შემდეგ, 1957 წელს, იმავე ექვსმა სახელმწიფომ დააფუძნა ევროპის ეკონომიკური საზოგადოება და ატომური ენერგიის ევროპის საზოგადოება.

რამდენადაც ამ სამი ევროპული გაერთიანებიდან თავისი კომპეტენციის მიხედვით ყველაზე ფართომასშტაბიანი ევროპის ეკონომიკური საზოგადოება იყო, 1993 წელს სწორედ მას შეეცვალა სახელი „ევროპული საზოგადოებით“. 2002 წელს კი ბრუნვაში ევრო ჩაუშვეს. ზონაში, რომელსაც ახლა მოიცავს ეს ერთიანი ევროპული ვალუტა, 17 ქვეყანა შედის (თავად ევროკავშირში 27 ქვეყანაა გაწევრებული): ავსტრია, ბელგია, გერმანია, საბერძნეთი, ირლანდია, ესპანეთი, იტალია, ლუქსემბურგი, მალტა, ნიდერლანდები, პორტუგალია, სლოვაკეთი, სლოვენია, ფინეთი, საფრანგეთი, ესტონეთი, კვიპროსი. ამ ქვეყნებიდან ხუთი ღრმა კრიზისშია ჩაფლული. **ევროკავშირის მოსახლეობის რაოდენობამ ნახევარ მილიარდს გადააჭარბა, მაგრამ ევრო ერთიანი ვალუტაა მხოლოდ 320 მილიონი ადამიანისთვის. ევროზონაში შესვლა ევროკავშირში ინტეგრაციისკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია, ევროზონისკენ მიმავალი გზა კი ყველასთვის ხსნილია.** მაშ, მართალია სოროსი?

კითხვაზე, თუ **რა არის აუცილებელი იმისათვის, რომ არ იქნეს დაშვებული ევროზონის კრახი,** სოროსმა შემდეგნაირად უპასუხა:

„გერმანიამ უნდა გაიგოს, რომ პოლიტიკა, რომელსაც ის ევროზონაში ახორციელებს (მკაცრი ეკონომიის კურსი), კონტრპროდუქტიულია. და ამ განცხადებით ფინანსისტმა პირველად არ მიანიშნა გერმანიაზე ევროპულ კრიზისზე საუბრისას. იანვარში დავოსში გამართულ ეკონომიკურ ფორუმზე იგი ამბობდა, რომ გერმანია მუდამ მინიმუმს გააკეთებს ევროს შესანარჩუნებლად. **2012 წლის ფორუმზე სოროსი ირწმუნებოდა, რომ გერმანიის ხელმძღვანელობით პოლიტიკოსები დაძაბულობის გაზრდით რისკავენ, ეს კი ევროკავშირს გაანადგურებს.**

ამ სიტყვების გაგება სხვადასხვაგვარად შეიძლება, მაგრამ ერთი რამ უდავოა: ესოდენ გამოცდილი ფინანსისტი, ამასთან როტშილდების ნდობით აღჭურვილი პირი ამგვარ განცხადებებს შემთხვევით არ გააკეთებდა.

ექსპრომტი ცალსახად „სახლშია“ მომზადებული. ამ სახის გამონათქვამებში იკითხება სოროსის განზრახვა, გერმანელებს დააკისროს არა მხოლოდ ევროპული ვალების ტვირთი, არამედ ევროზონაში შექმნილი კრიზისის გამო პასუხისმგებლობაც. მთელი ომისშემდგომი დასავლური პოლიტიკით დამცირებული გერმანია უამისოდაც, თითქოსდა პირველი და მეორე მსოფლიო ომების დანაშაულის გამოსასყიდად, დონორად იქცა არა მხოლოდ ევროპის, არამედ ისრაელისა და თვით აშშ-ისთვისაც კი. არადა, არსებობს კიდევ არანაკლებ ძლიერი ეკონომიკა, რომელიც ასევე შედის ევროზონაში — ფრანგული. ინგლისური ეკონომიკაც საკმაოდ თავდაჯერებულად გამოიყურება, მაგრამ **ევროკავშირის შესაძლო დაშლას სოროსი სწორედ გერმანიასა და მის ფინანსურ-ეკონომიკური პოლიტიკასთან აკავშირებს.**

## ევროპარლამენტს არ შეუძლია ევროკომისიის დამტკიცების გარეშე მიიღოს რაიმე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება

ამ განცხადებებს მრავალმა ანალიტიკოსმა უკვე უწოდა სენსაციური და სკანდალური. რაც შეეხება სოროსის მიერ ევროკავშირის საბჭოთა კავშირთან შედარებას, ეს, სულ მცირე, არაკორექტული განცხადებაა, თუ პროვოკაციული არა. **ძნელი წარმოსადგენია, რომ ამდენად ინფორმირებულმა ადამიანმა არ იცოდეს, როგორც ევროკავშირის, ისევე მისი ფულადი ერთეული, ხელოვნურად რომ შეიქმნა, თუ რა მიზნით — ეს სხვა საკითხია, მაგრამ უკვე სავსებით ნათელია, რომ ევროკავშირი, როგორც აბსოლუტურად სხვადასხვაგვარი ქვეყნების პოლიტიკურ-ეკონომიკური გაერთიანება, ვერ შედგა.** ამასთან, შეიქმნა შრომის, მომსახურებისა და საქონლის უზარმაზარი ბაზარი, ნებისმიერი ბაზრისთვის აბსოლუტურად არადამახასიათებელი, ატიპიური ზესახელმწიფოებრივი სტრუქტურების — ევროკავშირის, ევროკომისიის და ეუთოს მიერ.

ნებისმიერ საზოგადოებაში პარლამენტი საკანონმდებლო ხელისუფლების როლს ასრულებს, მაგრამ მოქალაქეების მიერ არჩევადი ერთადერთი ევროკავშირის ორგანო, ფაქტობრივად, არის ასამბლეა, ანუ სათათბირო სტრუქტურა, რომელსაც არ გააჩნია კანონშემოქმედებითი საქმიანობის უფლება. ევროპარლამენტს არ შეუძლია ევროკომისიის დამტკიცების გარეშე მიიღოს რაიმე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება. კანონშემოქმედებითი საქმიანობის სქემა ისეთია, რომ დოკუმენტი ინიცირდება ევროკომისიაში, შემდეგ გადაეცემა რომელიმე საპარლამენტო კომიტეტს, შემდეგ იგზავნება საპარლამენტო დარბაზში, სადაც დეპუტატები ყოველგვარი ზედმეტი ლაპარაკის გარეშე ამტკიცებენ მას. კალენდარული წლის განმავლობაში ამგვარად 308 საკანონმდებლო აქტი იქნა მიღებული. განხილულ იქნა გაცილებით მეტი — 1500 სამართლებრივი დოკუმენტი და ყველა ევროკომისიის, ანუ ჩინოვნიკების მიერ წარდგენით. რომელ დემოკრატიაზე შეიძლება საუბარი?

უფრო მეტიც, **ლისაბონის ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის და 2010 წელს მისი მიღების შემდეგ ევროკავშირის ქვეყნებმა საბოლოოდ დაკარგეს საკუთარი სუვერენიტეტის ნარჩენებიც კი და იქცნენ უუფლებო, ზენაციონალურ დიქტატს დამორჩილებულ გლობალური პოლიტიკის ობიექტებად.**

ეს სწორედ ზენაციონალური დიქტატია, რადგან გარემოებათა უცნაური დამთხვევით, ყველა ევროკომისარი, უფრო სწორად კი ევროკავშირის ყველა საკვანძო ფიგურა, ბილდერბერგის კლუბის წევრია, მაგალითად, ევროკავშირის პრეზიდენტი ჰერმან ვან რომპეი, მთავარი ევროკომისარი ჟოზე მანუელ დურან ბაროზუ, საგარეო საქმეთა ევროკომისარი ბარონესა კეტრინ ეშტონი და სხვები. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კომკავშირის დიდი აქტივისტი, გერმანიის გაერთიანების შემდეგ ბრწყინვალე კარიერის შემქმნელი, ფრაუ კანცლერი ანგელა მერკელიც აქვეა — ბილდერბერგში. სხვათა შორის, აქვე შენიშნულნი არიან ჩუბაისიც და გორბაჩოვიც. და ამ ორგანიზაციიდან ძაფები აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემისკენ მიდის — კერძო ბანკისკენ, რომელსაც უფლება აქვს, როცა უნდა და რამდენიც უნდა ბეჭდოს დოლარები.



დავამატოთ ისიც, რომ ამ სისტემის დაქვემდებარებაშია ყველა მთავარი საემისიო მექანიზმი — საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ევროპის ცენტრალური ბანკი, ბირჟები, ფონდები, სარეიტინგო სააგენტოები, ასევე მასმედია, არმია, სპეცსამსახურები და ასე შემდეგ. სწორედ ესაა ევროკავშირის სავალალო მდგომარეობის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი. მასში შემავალი ქვეყნების ფინანსური სისტემები განწირულ მდგომარეობაში აღმოჩნდა: **ინფლაციის შესაკავებლად არაფრით უზრუნველყოფილი ევროს ხელთ სულ უფრო და უფრო ნაკლები ბერკეტია. ბანკების კაპიტალიზაცია 30%-ითა და მეტით შემცირდა. საქმე იქით მიდის, რომ მალე ევროკავშირი არა მხოლოდ დაშლას დაიწყებს, არამედ იძულებული იქნება, საკუთარი თავის ბითუმად და საცალოდ გაყიდვას შეუდგეს.**

„მყიდველი“ ცნობილია: ის, რაც არ გამოუვიდა აშშ-ს ევროპის ტერიტორიაზე ორი მსოფლიო ომის პროვოცირებით, შეიძლება დღეს გამოვიდეს, მართალია, არა უმტკივნეულოდ, მაგრამ უსისხლოდ.

20 წლის წინაც განიხილებოდა ევროპის ეკონომიკური დაკაბალების ზუსტად ამგვარი თუ არა, ძალზე მსგავსი ვარიანტი. მაგრამ ის ევროკავშირის დაშლას არ ითვალისწინებდა, ყოველ შემთხვევაში, ესოდენ მოკლევადიან პერსპექტივაში. ერთიანი ევროპის მართვა გაცილებით იოლია, ვიდრე თუნდაც გალატაკებული ნაციონალური ქვეყნებისა სათითაოდ. მხოლოდ ბრიტანეთს აქვს შანსი, ამ პოლიტიკურ-ეკონომიკური ხაფანგიდან შეულახავი „იმიჯით“ დააღწიოს თავი. ეს ყველას შეარყევს, მთელი გეოპოლიტიკური მასშტაბით.

უნდა აღინიშნოს, რომ ევროპაში სახელმწიფოთა არანაირ კავშირზე და ამ კავშირის ახლანდელ ვარიანტზე საუბარიც კი არ იყო. რაიმე შიდა ლოგიკა, რომელიც ამ ქვეყნებს კოალიციად გააერთიანებდა, არ შეინიშნება. თუმცა გაერთიანებაში ლოგიკა მაინც იყო, ოღონდ ამ გეოპოლიტიკური თამაშის ყველა მონაწილეს საკუთარი ლოგიკა ჰქონდა. აშშ ამ სახით აპირებდა ევროპის მთლიანად თუ ნაწილ-ნაწილ შესყიდვას, საფრანგეთი ნაპოლეონის იმპერიის აღდგენას ცდილობდა, გერმანია კარლ დიდის იმპერიის აღდგენისკენ უმიზნებდა, დიდი ბრიტანეთი ოცნებობდა, რომ კონტინენტზე იმპერიული სიდიადე დაებრუნებინა. სხვა, შედარებით ნაკლებმნიშვნელოვანი პროექტები, რომელთა განხორციელებასაც აპირებდნენ ევროპის სხვა ქვეყნები ევროკავშირის საშუალებით, მაგალითად „პოლონეთი ზღვიდან ზღვამდე“ ან „დიდი რუმინეთი“, საუ- ▶

მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# დღეს ყველანაირი საფუძველი არსებობს იმის კონსტატირებისთვის, რომ იმპერია, რომლის შექმნასაც აშშ თავისი ანალოგის სახით აპირებს, ევროკავშირის სახით არ შედგა. ევროპას კი, როგორც ისტორია ადასტურებს, იმპერიულის გარდა, სხვა სახელმწიფოებრივ წარმონაქმნად გაერთიანების შემთხვევაში, არსებობა არ შეუძლია. ევროზონაც, როგორც ერთიანი ევროპული ვალუტის იმპერია, ვერ შედგა.

◀ ბარიც არ ღირს. ფრანგული და გერმანული პროექტები კი ნამდვილად ყურადღების ღირსია. არადა, მათ ხომ ჰქონდათ შანსი, ვინაიდან ისტორიული საფუძველი არავის დავიწყებია.

შეგახსენებთ, რომ ნაპოლეონის იმპერია მოიცავდა თითქმის მთელ დასავლეთ ევროპას. საფრანგეთის მოწინააღმდეგეებად მხოლოდ ინგლისი და რუსეთი რჩებოდნენ, პირველი — ზღვაზე, მეორე — ხმელეთზე. რითი არ ჰგავს ეს ახლანდელ ევროკავშირს?

საოცრად ჰგავდა ევროკავშირს კარლ დიდის მიერ შექმნილი რომის წმინდა იმპერიაც. თავად კარლი, სხვათა შორის, დღესაც დასავლეთის იმპერატორად მოიხსენიება.

**რომის პაპთან კავშირზე დაყრდნობით, კარლმა ძლევამოსილ მონარქიად გააერთიანა გერმანელების მიერ დაკავებული დასავლეთევროპული ქვეყნების დიდი ნაწილი. 30-წლიანი განუწყვეტელი ომების შემდეგ გაჩნდა სახელმწიფო, რომელიც მოიცავდა ახლანდელ საფრანგეთს, ბელგიას, ჰოლანდიას, შვეიცარიას, დასავლეთ და სამხრეთ გერმანიას, ავსტრიას, იტალიის დიდ ნაწილს და ესპანეთის ჩრდილო-დასავლეთს. აღმოსავლეთით კარლის სამფლობელოების საზღვარი ელბამდე აღწევდა, მაგრამ ამ მდინარის გაღმაც სლავური თემები აღიარებდნენ ფრანგი მეფის ძლევამოსილებას.**

კარლის სახელმწიფოს საზღვრებში რომანულებიდან (რომის იმპერიის ყოფილი პროვინციები) შედიოდა ყველა ის ქვეყანა, რომლებიც არაბთა დაპყრობებს გადაურჩა. კათოლიკური ეკლესია, რომის იმპერიის დედაქალაქ რომთან ერთად ფრანკოების სამფლობელოში იყო მოქცეული. სწორედ აქედან გაუჩნდა კარლს იდეა, მიეღო იმპერატორის ტიტული. ასე შევიდა ისტორიაში კარლ I, ფრანკული სახელმწიფოსა და რომაული იმპერიის იმპერატორი. მიუხედავად იმისა, რომ იმპერიის გული მუდამ გერმანია იყო, მის საკრალურ ცენტრად რომი რჩებოდა. აქ XVI საუკუნემდე ტარდებოდა იმპერატორების კორონაცია.

რუდოლფ გაბსბურგი, გაბსბურგების დინასტიის პირველი წარმომადგენელი, წმინდა რომის იმპერიის იმპერატორად 1273 წელს აირჩიეს. მან ავსტრია და შტირია მიიტაცა. ამ ყველაფერთან XIV საუკუნეში კარტინტიის, კრაინის, ტიროლის, ფრაინბურგის და ტრიესტას მიერთებით, ეს მიწები გაბსბურგების მემკვიდრეობად იქცა. XVI საუკუნეში მათ სამფლობელოს ნიდერლანდები შეუერთდა. კარლ V-ის დროს გაბსბურგების მფლობელობაში აღმოჩნდა გერმანიის, ავსტრიის, ნიდერლანდების ტერიტორიები, იტალიის, ესპანეთის მიწების ნაწილი და მისი სამფლობელოები აშშ-ში. 1526 წელს გაბსბურგებს გადაეცათ ჩეხეთი და უნგრეთი. გაბსბურგებს ირჩევდნენ გერმანიის მეფეებად და წმინდა რომის იმპერიის იმპერატორებად 1806 წლამდე, ვიდრე ნაპოლეონ I-ის მიერ იმპერია ლიკვიდირებულ იქნებოდა.

ამ ისტორიული პროექტის მხოლოდ ევროპული ნაწილიც რომ ავიღოთ (ამერიკული სამფლობელოების გარეშე), გერმანიას, ცხადია, ულირდა მისთვის ბრძოლა ანგელა მერკელის მეთაურობით. ფრაუ კანცლერი, სხვათა შორის, 2008 წელს კარლ დიდის პრემიით დააჯილდოეს.

ეს პრესტიჟული ევროპული პრემია „ევროპის გაერთიანების საქმეში შეტანილი წვლილისთვის" 1950 წლიდან ყოველწლიურად გაიცემა გერმანიის ქალაქ აახანის მიერ, სწორედ აქედან მართავდა სახელმწიფოს იმპერატორი კარლი. სხვათა შორის, აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი ბილ კლინტონი, რომელიც იუგოსლავიას ბომბავდა, ასევე გახლავთ ამ პრემიის ლაურეატი. ევროკავშირის სახით გერმანული პროექტი თუნდაც ბერლინის მეთაურობით, ტოტალური ამერიკული პრესინგის პირობებში საფრანგეთის მონაწილეობის გარეშე ვერ განხორციელდებოდა. თავის მხრივ,



**ახლანდელ ევროპაში შესაძლებელია მხოლოდ სახელმწიფოთა შორის გაერთიანებები და მხოლოდ ისტორიულად მოკლე დროით. მთელი ევროპის გაერთიანება პრაქტიკულად, არარეალურია და ევროკავშირიც ამის დადასტურებაა**

ფრანგული პროექტი, მიუხედავად ყოფილი პრეზიდენტის, ნიკოლა სარკოზის, ნაპოლეონისეული გამოხდომებისა, თანამედროვე პირობებში შეუძლებელი გახდა გერმანული ამბიციების გამო.

როდესაც გემზე ორი კაპიტანია, გემი იძირება. ორ ცენტრს შორის მუდმივად წინააღმდეგობაა, გერმანიისა და საფრანგეთის მუდმივი დაპირისპირების ფონზე კი ევროკავშირის „თანასწორუფლებიანთა კავშირი" თავიდანვე განწირული იყო. თითქოს მომგებიანად გამოიყურებოდა ბრიუსელის საშუალებით ევროპის მისაკუთრების ამერიკული პროექტი, მაგრამ თავი წამოყვეს ცენტრიდანულმა ძალებმა და ევროკავშირმა რღვევა დაიწყო ნაციონალურ საზღვრებზე. და ამ დროს აშშ-ის ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა შეშფოთება გამოთქვა აბსოლუტურად საპირისპირო იმ პროცესის გამო, რომლის ეპიცენტრშიც რუსეთი აღმოჩნდა.

შეგახსენებთ, რომ გადადგომამდე ცოტა ხნით ადრე **ქალბატონმა კლინტონმა დუბლინის კონფერენციაზე გაბრაზებული განცხადებები გააკეთა იმის თაობაზე, რომ აშშ ცდილობს, არ მისცეს რუსეთსა და მის მეზობლებს საშუალება, ეკონომიკური ინტეგრაციის ნიღბით კვლავ საბჭოთა კავშირის ანალოგიურ წარმონაქმნად იქცნენ.** „მხოლოდ ამას საბჭოთა კავშირი არ ერქმევა. ეს იქნება საბაჟო კავშირი ან ევრაზიის ქვეყნების კავშირი, ან რაღაც ამდაგვარი", — ასეთი კომენტარი გააკეთა ქალბატონმა კლინტონმა, როდესაც რუსეთმა თავის მეზობლებთან ეკონომიკური კავშირების გაღრმავების გეგმები გაახმოვანა (საუბარია რუსეთის პრეზიდენტის, ვლადიმერ პუტინის, ოქტომბრის განცხადებაზე, რომლის თანახმადაც, რუსეთი „ევრაზიულ რეგიონში" ეკონომიკური ინტეგრაციის გაძლიერებას აპირებს). კლინტონმა უმალ შეიცხადა, რომ რუსეთი და მისი მეზობლები საბჭოთა კავშირს ემსგავსებიან: „სამწუხაროა, რომ უკვე 20 წელი გავიდა საბჭოთა კავშირის დაშლიდან, პროგრესი კი, რომლის იმედიც გვქონდა, აბსოლუტურად შეუმჩნეველია. ჩვენ ვცდილობთ, წინ აღვუდგეთ ამას, მაგრამ ეს ადვილი არაა".

არადა, ამ გაერთიანების პროცესისთვის წინ აღდგომა შეუძლებელია.

საბჭოთა კავშირი წარმოადგენდა 15 ავტონომიური რესპუბლიკისგან შემდგარ ერთიან სახელმწიფოს. ეს იმავე რუსეთის იმპერია იყო, რომელიც ბოლშევიკებმა ვითომდა ძირფესვიანად დაშალეს. მერე კი კვლავ სწრაფად შეაკოწიწეს, თუმცა სხვა სოციალურ-პოლიტიკური ლოზუნგებით, რომლებიც რუსულ ნიადაგზე ფეხსაც კი ვერ მოიკიდებდნენ, არამც თუ ფესვები გაედგათ. 70 წლის მანძილზე საბჭოთა კავშირი იდგა იმ ისტორიულ სიმაგრეებზე, რომლებიც მრავალი ასწლეულის მანძილზე ჯერ კიდევ კიევის რუსეთის, შემდეგ მოსკოვის სამეფოს და რუსეთის იმპერიისას იქმნებოდა.

სხვათა შორის, რუბლი, როგორც ფულადი ერთეული, რუსეთის ტერიტორიაზე XIV საუკუნის დასაწყისიდან გაჩნდა. პეტრე I-ის დროიდან ჩვენს დრომდე კი განუწყვეტლივ იბეჭდება. ესეც ერთ-ერთი ძველი რუსული სიმაგრეა იმ ევროსაგან განსხვავებით, რომელიც, სოროსის აზრით, ევროპის დანაწევრების ინსტრუმენტად იქცა.

**დღეს უკვე ნათელია, რომ გერმანული იმპერიული პროექტი** (რაკი სოროსი გერმანიაზე საუბრობს) **ვერ განხორციელდება ლიბერალური ევროპული დემოკრატიის პირობებში.** მით უფრო, რომ ევროპის 48 სახელმწიფოდან 13 (27%) მონარქიულია: ანდორა, ბელგია, ვატიკანი, დიდი ბრიტანეთი, დანია, ესპანეთი, ლიხტენშტეინი, ლუქსემბურგი, მალტა, მონაკო, ნიდერლანდები, ნორვეგია, შვედეთი. ამ ქვეყნების მოსახლეობა 152 მილიონს შეადგენს. ცსს-ს მონაცემებით, 2010 წლის მაჩვენებლების მიხედვით, ერთ სულ მოსახლეზე საერთო შიდა პროდუქტის მოცულობით ლიდერი ათი ქვეყნიდან შვიდი მონარქიაა (ამ სიაში აშშ მერვე ადგილზე მოხვდა). ევროპის მონარქიულ სახელმწიფოებში ცხოვრების დონე საშუალოზე მაღალია, ყველა მეხუთე ევროპელი კი ნომინალურად მონარქისტია.

ამ ყველაფრის პარალელურად არავის უხსენებია ვთქვათ, „ხალხთა საპყრობილე" დიდ ბრიტანეთში, „თავადური ტირანია" ლიხტენშტეინში, „მონარქიის რესტავრაცია" დემოკრატიულ ესპანეთში და ასე შემდეგ. ევროპაში ასეთი „ანომალიები" აპრიორი შეუძლებელია. რატომღაც უკანასკნელი ათი წელია, დასავლური მედია დღის წესრიგიდან არ აუქმებს საკითხს იმის შესახებ, **შესაძლებელია თუ არა რუსეთში „მონარქიის რესტავრაცია".** 2005 წელს ესპანურ გაზეთ „La Razon"-ში ამერიკელმა ავტორმა წიგნისა „რომანოვის წინასწარმეტყველება", დენ ბრაუნმა ამ კითხვას შემდეგნაირად უპასუხა:

„რატომაც არა? რუსეთში ნამდვილად არსებობენ წრეები, რომლებიც თვითმპყრობელობის აღდგენისკენ მიისწრაფვიან. სარგებლობენ თუ არა ისინი საზოგადოების მხრიდან მხარდაჭერით? ეს სადავო საკითხია, მაგრამ ვინ დაიწყებდა 70 წლის წინ იმის მტკიცებას, რომ კომუნიზმი დასრულდებოდა? ამ ვარიანტში არ არსებობს არაფერი ექსტრაორდინალური. რუსი ხალხი მიჩვეულია ამგვარ ავტორიტარულ მმართველობას".

და ყოველი მეხუთე მონარქისტი ევროპელი არაა მიჩვეული? ნუთუ უკვე დავიწყებულია წმიდა რომის იმპერია? ნუთუ ევროპის გამაერთიანებელი ნაპოლეონიც დავიწყებასაა მიცემული? სულაც არა, მაგრამ ევროპული იმპერია უპირატესად სამხედრო ძალით იქმნებოდა. ევროპაში უხსოვარი დროიდან ყველა ყველასთან ომობდა. რად ღირს მხოლოდ რელიგიური ომები, რომელთა შორის ყველაზე მეტად ცნობილი 1546-1658 წლების ასწლიანი ომია კათოლიკეებსა და პროტესტანტებს შორის. ეს ომი ამა თუ იმ დოზით ევროპის აბსოლუტურად ყველა ქვეყანას შეეხო, მათ შორის რუსეთსაც. რამდენი სიცოცხლე შეიწირეს ამ ომებმა? მაგალითად, ნაპოლეონის ომებში ორი მილიონი ფრანგი და ევროპის სხვა ქვეყნების ამდენივე მოქალაქე დაეცა. ფრანკო-პრუსიულ ომში 80 ათასი ფრანგი და 40 ათასი გერმანელი მოკვდა. ეს სია ძალზე გრძელია, მით უფრო, რომ ევროპის საზღვრებს გაცილებული პირველი და მეორე მსოფლიო ომების მსხვერპლთა რიცხვი უკვე ათობით მილიონებში ითვლება. სისხლიანი ისტორიული მეხსიერება ამ დრომდეც თესავს ევროპის ქვეყნებსა და ხალხებს შორის უნდობლობას და მტრობას, ინარჩუნებს მათ შორის უხილავ, მაგრამ მტკიცე საიზოლაციო ბარიერებს. ახლანდელ ევროპაში შესაძლებელია მხოლოდ სახელმწიფოთა შორის გაერთიანებები და მხოლოდ ისტორიულად მოკლე დროით. **მთელი ევროპის გაერთიანება პრაქტიკულად, არარეალურია და ევროკავშირიც ამის დადასტურებაა.**

რა თქმა უნდა, ანალოგიები არაფერს ადასტურებს და მით უფრო ვერ გამოდგება საფუძვლად ექსტრაპოლაციისთვის. ისინი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც შესაძლებელია აქტუალური პრობლემების გადაჭრის ვარიანტების დანახვა.

**დღეს ყველანაირი საფუძველი არსებობს იმის კონსტატირებისთვის, რომ იმპერია, რომლის შექმნასაც აშშ თავისი ანალოგის სახით აპირებს, ევროკავშირის სახით არ შედგა.**

**ევროპას კი, როგორც ისტორია ადასტურებს, იმპერიულის გარდა, სხვა სახელმწიფოებრივ წარმონაქმნად გაერთიანების შემთხვევაში, არსებობა არ შეუძლია.**

**ევროზონაც, როგორც ერთიანი ევროპული ვალუტის იმპერია, ვერ შედგა. ასე რომ, ჯორჯი შინაარსობრივად მართალი არაა, სამაგიეროდ, მართალია ფორმის მიხედვით: ამერიკის შეერთებულმა შტატებმა როგორც თავის დროზე საბჭოთა კავშირის დაშლას, ისე ახლა ევროკავშირის მოსალოდნელ დაშლას, არაერთხელ „დაახმარა" თავისი დამანგრეველი ხელი.**



ევროპის ცენტრალური ბანკი

**დღეს ყველანაირი საფუძველი არსებობს იმის კონსტატირებისთვის, რომ იმპერია, რომლის შექმნასაც აშშ თავისი ანალოგის სახით აპირებს, ევროკავშირის სახით არ შედგა**

დაიჯესტი

**როგორც აშშ-ის საგადასახადო პოლიტიკის ცენტრი იტყობინება, მოქალაქეები, რომელთაც წელიწადში ერთ მილიონ დოლარზე მეტი შემოსავალი აქვთ, წელს ხაზინას 170 ათასით მეტს გადაუხდიან, ვიდრე შარშან იხდიდნენ.**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ბრიტანეთი და აშშ — სხვათა მიწების ძირითადი ექსპლოატატორები



**აშშ, ბრიტანეთი და ჩინეთი სხვათა მიწების ხარჯზე ცხოვრობენ და ადგილობრივ წვრილ ფერმერებს საარსებო სახსრების გარეშე ტოვებენ.**

გამომცემლობა „Mother Jones" განმარტავს, რომ ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში მდიდარი მეზობლების მხრიდან სასოფლო-სამეურნეო პოტენციალის ამგვარი ექსპლოატაცია აშშ-ის მეცნიერებათა აკადემიის მიერ ბოლო დროს გამოქვეყნებულ ნაშრომებში კოლონიზმის ახალ ფორმად შეფასდა.

ყველაზე ხშირად მიწის ასეთი დატაცებები ხორციელდება ქვეყნებში, რომლებშიც მოსახლეობის დიდი ნაწილი, მიუხედავად სახნავი მიწების სიჭარბისა, საკვების ნაკლებობას განიცდის.

იმ ქვეყნების რეიტინგში, რომლებშიც უცხოელების მიერ მიწების ექსპლოატაცია ყველაზე ხშირია, უკრაინაც მოხვდა. ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის 5%-ს საკვები არ ჰყოფნის, სახნავი მიწების 36% უცხოელ ფერმერებს კვებავს.

**საერთო ჯამში, 2012 წლის მონაცემების მიხედვით, ძირითადად, ხუთი ქვეყნის — ბრიტანეთის, აშშ-ის, ჩინეთის, არაბეთის გაერთიანებული საემიროებისა და ისრაელის კერძო კომპანიები მსოფლიოს მასშტაბით მთელი სახნავი მიწების 1,75 პროცენტს ფლობენ. ამის შესახებ ზემოხსენებულ ანგარიშშია საუბარი.**

ამასთან, მეცნიერთა გათვლებით, საერთო შიდა პროდუქტის მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე მიმტაცებელ ქვეყნებში საშუალოდ ხუთჯერ მეტია, ვიდრე იგივე მაჩვენებელი დონორ ქვეყნებში.

როგორც ცნობილია, 2012 წლის 20 ნოემბერს რადამ კიდევ ერთხელ გაახანგრძლივა მორატორიუმი სასოფლო-სამეურნეო მიწების გაყიდვაზე 2016 წლის 1 იანვრამდე.

fondsk.ru

# აშშ-ის გარემოს დაცვის ფედერალური სააგენტო ადამიანებზე ცდებს ატარებს

**აშშ-ის გარემოს დაცვის ფედერალურ სააგენტოს ფედერალურ სასამართლოში წაუყენეს სარჩელი ადამიანებზე უკანონო ექსპერიმენტების ჩატარების ბრალდებით.
ამ პროცესის დასასრული გვიჩვენებს, შეუძლია თუ არა სახელმწიფო დაწესებულებას დაარღვიოს კანონი და სამეცნიერო კვლევების ეთიკის ხელშეუხებლობა და ამავე დროს დაუსჯელი დარჩეს.**




გარემოს დაცვის ფედერალური სააგენტო მიზანმიმართულად ახორციელებდა ასობით ადამიანზე ტოქსიკური ნივთიერებების უძლიერეს ზემოქმედებას. საუბარია ჰაერის დაბინძურებაზე, კერძოდ კი, დიზელის ძრავების გამონაბოლქვ გაზებზე და მათში შემავალ წვრილ მყარ ნივთიერებებზე, ე.წ. PM2.5-ზე. გამოქვეყნებულ დოკუმენტებში საუბარია იმაზე, რომ ეს ექსპერიმენტები 2004 წლიდან მოყოლებული ობამას ამჟამინდელი ადმინისტრაციის მმართველობამდე ხორციელდებოდა სააგენტოს ობიექტზე, რომელიც ჩრდილოეთ კაროლინის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის საუნივერსიტეტო ქალაქის ტერიტორიაზე მდებარეობდა.

კვლევის დაწყების მომენტში მისი მონაწილეების უმრავალესობა დაავადებული იყო ასთმით, მეტაბოლური სინდრომით და სხვა დაავადებებით, ასევე განეკუთვნებოდნენ რისკის ასაკობრივ კატეგორიას. ეს ყველაფერი ამძიმებდა მათ ჯანმრთელობაზე ექსპერიმენტის ნეგატიურ გავლენას. ცდის ეს ყველა ობიექტი მატერიალურად ღატაკი იყო, ამ ექსპერიმენტში კი მათ საათში 12 დოლარს უხდიდნენ.

**როგორც ცნობილია, დიზელის ძრავების გამონაბოლქვის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი PM2.5-ი სააგენტოს მიერ 1997 წელს აღიარებულ იქნა სიკვდილის გამომწვევ ნივთიერებად და დადგინდა, რომ არ არსებობს ამ ნივთიერების უსაფრთხო დონე, PM2.5-ის შესუნთქვისას ნებისმიერ პირობებში რამდენიმე საათიდან რამდენიმე დღის ვადაში ლეტალური შედეგი დგება.**

იმავეს ამტკიცებდა გარემოს დაცვის ფედერალური სააგენტოს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარე, დოქტორი ჯონათან მ. სამატი 2011 წელს, ხოლო სააგენტოს დირექტორი ლიზა პ. ჯექსონი იმავე წლის სექტემბერში აშშ-ის სენატში გამოვიდა სიტყვით და განაცხადა, რომ ზემოხსენებული მყარი ელემენტების გამოფრქვევის შემცირება კიბოს წამლის აღმოჩენის ტოლფასი იქნებოდა.

## დიზელის ძრავების გამონაბოლქვის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი PM2.5-ი 1997 წელს აღიარებულ იქნა სიკვდილის გამომწვევ ნივთიერებად

სააგენტომ არა მხოლოდ განმარტა ეს ყველაფერი, არამედ შემოიღო წესები, რომლებიც ჰაერში გამონაბოლქვს ზღუდავს. მეორე მხრივ, სააგენტოს თავისი ცდის ობიექტები არ გაუფრთხილებია, თუ რა ექსპერიმენტში ითრევდა საათში 12 დოლარის სანაცვლოდ. მათ მხოლოდ სასუნთქი გზების გაღიზიანების, შესაძლო ხველის შესახებ აუწყეს და უთხრეს, რომ ესეც ორ-სამ საათში გაუვლიდათ. მას შემდეგაც, რაც ექსპერიმენტის ერთ-ერთი მონაწილე არითმიის დიაგნოზით საავადმყოფოში მოხვდა, დანარჩენებს ამ შესაძლო გვერდით მოვლენებზეც კი არაფერი უთხრეს.

სარჩელის საპასუხოდ სააგენტოს კლინიკური კვლევების კოორდინატორმა განაცხადა, რომ სიტყვიერად განუმარტა ექსპერიმენტის მონაწილეებს შესაძლო პერსპექტივის შესახებ, მაგრამ იმ შემთხვევაშიც კი, რაიმე კვლევისათვის ადამიანის მსხვერპლი რომ გამართლებული იყოს, ამისათვის აუცილებელი იქნებოდა განწირულის წერილობითი გაფრთხილება.

**გარდა იმისა, რომ სააგენტოს ახლა ეკისრება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ძალადობისა და ზიანის მიყენებისთვის, მისი ბრალდება მძიმდება ექსპერიმენტში მონაწილეთა შეგნებული თანხმობის არარსებობით.** ამიტომ, თუ PM2.5-ი მართლაც იმდენად სასიკვდილოა, რამდენადაც თავად ეს სააგენტო ირწმუნებოდა, პასუხისგებას ვერ გაექცევა. ახლა ამ სააგენტოს ერთადერთი ის უშველის, თუ ის თავიდანვე ატყუებდა საზოგადოებასა და კონგრესსაც PM2.5-ის მავნებლობაზე.

The Washington Post

# მდიდარი ამერიკელები აშშ-დან გარბიან

**ათასობით ადამიანი ყოველწლიურად უარს ამბობს აშშ-ის მოქალაქეობაზე, მიზეზი — წარმოუდგენლად დიდი საშემოსავლო გადასახადი. ოფიციალური მონაცემების მიხედვით, 2012 წლის შემოდგომამდე აშშ-დან 1100 ადამიანი გაიქცა.**



ამ დროისთვის საზღვარგარეთ აშშ-ის დაახლოებით ექვსი მილიონი მოქალაქე ცხოვრობს. ყველა მათგანი ვალდებულია, ამერიკული გადასახადები იხადოს. საქმე ისაა, რომ აშშ თავის მოქალაქეებს გადასახადების გადახდას აკისრებს იმის მიუხედავად, თუ სად ცხოვრობენ ისინი რეალურად. შედეგად, აშშ-ის საზღვრებს გარეთ მცხოვრებ ამერიკის მოქალაქეებს ორმაგი ტვირთი აწევთ — ისინი გადასახადებს იხდიან თავად აშშ-შიც და იმ ქვეყანაშიც, რომლის ტერიტორიაზეც ფაქტობრივად ცხოვრობენ.

აშშ-ის ხელისუფლება ცდილობს, მდგომარეობაზე გავლენა მოახდინოს და მიგრანტებისთვის ფინანსური სანქციების დაწესებას აპირებს. ამერიკის მოქალაქეობაზე უარის თქმისთვის ამერიკელებს საკუთარი შემოსავლიდან უდიდესი ნაწილის გადახდა მოუწევთ.

გარდა ამისა, ფედერალური რეგისტრის უკანასკნელი ციფრები არ ითვალისწინებს მათ, ვინც ამერიკის მოქალაქეობაზე უარი გასული წლის ბოლო მეოთხედში თქვეს. არადა, ეს რიცხვი, ჩანს, აუცილებლად გადააჭარბებს შარშანდელ ანალოგიურ მაჩვენებელს. **2011 წლის ზამთრის შუა პერიოდამდე აშშ-დან 1781 მოქალაქე წავიდა. 2008 წლიდან მოყოლებული ამერიკის მოქალაქეობაზე უარის მთქმელთა რაოდენობა შვიდჯერ გაიზარდა.**

უნდა აღინიშნოს, რომ **ამერიკის შეერთებული შტატები არის ერთადერთი განვითარებული მრეწველობის მქონე ქვეყანა, რომლის მოქალაქეებიც საშემოსავლო გადასახადს იმ შემთხვევაშიც კი იხდიან, როდესაც საზღვარგარეთ ცხოვრობენ.** ამასთან დაკავშირებით, იმისათვის, რომ როგორმე დაიხსნან და შეინარჩუნონ თავიანთი შემოსავლები, ამერიკის მოქალაქეები მიდიან იმ ქვეყნებში, რომლებშიც შემოსავლებს გადამეტებულად, დიდი გადასახადებით არ დაუბეგრავენ. **ამერიკელი მილიარდერების ერთმა მესამედმა უკვე იპოვა საგადასახადო თავშესაფარი შვეიცარიაში ან სინგაპურში.**

მაგალითად, ახლა აშშ-ში გადასახადებთან დაკავშირებული მდგომარეობა შემდეგნაირია: **მოქალაქეები, რომლებიც წელიწადში 400 ათას დოლარზე მეტს გამოიმუშავებენ და მეუღლეები, რომელთა საერთო შემოსავალი წელიწადში 450 ათას დოლარს აღემატება, 2013 წელს ხაზინას საკუთარი შემოსავლის 39,6%-ს გადაუხდიან. შედარებისათვის: გასულ წელს იმავე შემოსავლების შემთხვევაში მოქალაქის გადასახადი 35%-ს შეადგენდა.** როგორც აშშ-ის საგადასახადო პოლიტიკის ცენტრი იტყობინება, მოქალაქეები, რომელთაც წელიწადში ერთ მილიონ დოლარზე მეტი შემოსავალი აქვთ, წელს ხაზინას 170 ათასით მეტს გადაუხდიან, ვიდრე შარშან იხდიდნენ.

ამჟამად აშშ-ის ხელისუფლება დაკავებულია ახალი სანქციების შემუშავებით მათთვის, ვინც ამერიკის მოქალაქეობაზე უარის თქმას განიზრახავენ. ისინი ერთბაშად გადაიხდიან დიდ თანხას, რომელიც მოიცავს საშემოსავლო გადასახადსაც და საპენსიო ფონდში გადარიცხვებსაც.

dni.ru

**ამერიკის შეერთებულ შტატებში საბრძოლო მასალებზე მოთხოვნილებამ უპრეცენდენტო მასშტაბებს მიაღწია მას შემდეგ, რაც კონექტიკუტის სკოლაში მასობრივად დახოცეს ბავშვები. მხოლოდ ათი დღის განმავლობაში მთელი აშშ-ის ტერიტორიაზე გაიყიდა 10 მილიონზე მეტი იარაღი და მილიარდზე მეტი საბრძოლო კომპლექტი! გამოძიების ფედერალური ბიუროს მიმდინარე მონაცემების შემოწმების სისტემით, იანვარში, იარაღის გაყიდვების მხრივ, ამერიკის ისტორიაში ყველაზე მაღალი მაჩვენებლები დაფიქსირდა.**

დაიჯესტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# შესაძლებელია თუ არა აშშ-ში სამოქალაქო ომი?



**2012 წლის მიწურულს „The New York Times“-მა გამოაქვეყნა სენსაციური ვრცელი მასალა, რომლითაც ამერიკელებს მოუწოდა, მზად იყვნენ სოციალური კოლაფსისთვის. მასალის სათაური იყო „როგორ გადავრჩეთ გარეუბნებში სოციალური კოლაფსის დროს“. როგორც იქ წერდნენ, ბარაკ ობამამ უკვე მიიღო მთელი რიგი ზომებისა „მასშტაბური სამოქალაქო ომისა“ და „ტოტალიტარიზმის მოსალოდნელი გამოვლინების“ საწინააღმდეგოდ. ამ საქმეში მას ეხმარება 2011 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ გაჩენილი სუპერუწყება — Department of Homeland Security (DHS) თავისი 160-ათასიანი შტატით, ათობით მილიონ დოლარიანი ბიუჯეტით, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს, გამოძიების ფედერალური ბიუროს, საგადასახადო პოლიციისა და სხვა მრავალი ფედერალური სააგენტოს შეკავშირებით. DHS-ს თითქმის უკიდეგანო ძალაუფლება აქვს, შეუძლია ოპერირება აშშ-ის საზღვრებს გარეთაც: დაპატიმრება, ფიზიკური განადგურება, ჰყავს ინფორმატორების მთელი კორპუსი და სრული კარტბლანშში ტოტალური თვალთვალისა და ქვეყნის შიგნით მათ წინააღმდეგ ბრძოლისთვის, ვისაც აშშ-ის ხელისუფლება „ხალხის მტრად“ — ტერორისტად შერაცხავს.**



ამერიკელი მკვლევარები: ჯეიმს რიკარდსი, დუგ ჰეგმანი, ჯერალდ გელენტი და სხვები ავრცელებენ ინფორმაციას, რომლიდანაც შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ამგვარ ტერორისტებად სულ მალე შეიძლება მათი თანამოქალაქეებიდან კიდევ არაერთი მოინათლოს. მსხვილი ფინანსური სტრუქტურების, ასევე აშშ-ის ნაციონალური დაზვერვის დირექტორატის კონსულტანტი, ჯეიმს რიკარდსი, თავის წიგნში „სავალუტო ომები: ახალი გლობალური კრიზისების შექმნა“ პენტაგონის ანგარიშებზე დაყრდნობით ირწმუნება, რომ ეს უკვე რეალური პრობლემაა ნაციონალური უშიშროებისთვის. ჯერალდ გერენტი, რომელიც თავის დროზე ცნობილი გახდა იმის წყალობით, რომ საბჭოთა კავშირის დაშლა და 1987 წლის ფედერალური ბაზრის კრიზისი იწინასწარმეტყველა, ახლა აცხადებს, რომ „მასშტაბური სამოქალაქო ომის“ დაწყება უკვე უახლოეს წლებშია მოსალოდნელი.

ამგვარი განცხადებებისადმი შეიძლებოდა ისეთივე დამოკიდებულება ყოფილიყო, როგორიც კურიოზების მიმართაა. აშშ-ის ადმინისტრაცია და DHS ხომ, დიდი ხანია, ახორციელებენ მოსამზადებელ სამუშაოებს — „პატრიოტული აქტის“ მიღებისა და „ტერორიზმის აღკვეთის საინფორმაციო სისტემის“ მიღების დროიდან. ეს ის აქტებია, რომელთა წყალობითაც ამერიკელებს სამოქალაქო უფლებები შეეზღუდათ. ყურადღებას იპყრობს რამდენიმე ნიშანდობლივი მოვლენა, რომელთაც აშშ-ში ამ პროგნოზების შემდეგ, 2012-2013 წლებში ჰქონდა ადგილი.

**პირველი: 2011-2012 წლებში პრეზიდენტმა ობამამ მიიღო ორი კანონი: National Defense Resources Preparedness (NDRP — კანონი ნაციონალური რესურსების თავდაცვისთვის მომზადების შესახებ) და National Defense Authorization Act (NDAA — კანონი თავდაცვის მიზნების უფლებამოსილების შესახებ).** ამ კანონების თანახმად, ტერორიზმში ეჭვმიტანილი პირების შემთხვევაში შიდა გამოძიების საქმეც და დაკითხვის უფლებაც გადაეცემათ სამხედროებს და ნებადართულია ეჭვმიტანილების ნებისმიერი დროით დაკავება. იმისათვის, რომ ადამიანი ტერორისტად გამოცხადდეს, საკმარისია ხელისუფლების მხრიდან, უბრალოდ, ამის მტკიცება. მიღებული კანონები პრეზიდენტსა და DHS-ს უფლებას აძლევს, აკონტროლონ „ძირითადი ნაციონალური ფუნქციები საგანგებო მდგომარეობების დროს“ და გაამწესონ ამერიკის მოქალაქეები DHS-ს დაქვემდებარებაში მყოფი საგანგებო სიტუაციების ფედერალური სააგენტოების (Federal Emergency Management Agency, FEMA) „გულაგებში“. ამ უკანასკნელს მთელი ამერიკის ტერიტორიაზე საკონცენტრაციო ბანაკების მთელი ქსელი აქვს და უკანასკნელ პერიოდში ამ ბანაკების რაოდენობა განუსაზღვრელად იზრდება. ბანაკების საერთო რაოდენობამ უკვე გადააჭარბა 800-ს. ამ ბანაკების ტერიტორიაზე უკვე მომზადებულია და სათუთადაა შტაბელებად დალაგებული, სულ მცირე, 500 000 პლასტიკატის კუბო.

**მეორე: 2012 წლის 16 მარტს აშშ-ის ხელისუფლების საიტზე გამოქვეყნდა სამთავრობო განკარგულება „მშვიდობიან პერიოდში სამხედრო მდგომარეობის შესახებ“ ნაციონალური თავდაცვისთვის რესურსების მომზადების თაობაზე.** ეს დოკუმენტი პრეზიდენტს უფლებას აძლევს, კონფისკაციას დაუქვემდებაროს პრაქტიკულად ყველაფერი, რაც „ნაციონალური უსაფრთხოებისათვის“ აუცილებლად ჩაითვლება და ეს უფლებამოსილება გათვლილია სწორედ მშვიდობიანი პერიოდისთვის. პრეზიდენტი პენტაგონისა და სხვა სამინისტროების პირველ პირებზე ახდენს კონფისკაციის უფლების დელეგირებას და ავალებს, ამოიღონ სურსათი, საქონელი, ტექნიკა, ენერგიის ყველა სახეობა, წყლის რესურსები, სამოქალაქო ტრანსპორტის ყველა სახეობა, მათ შორის გემები და თვითმფრინავები, ასევე ნებისმიერი სხვა მასალა, მათ შორის სამშენებლო მასალებიც ყველგან, სადაც კი მათი ამოღება შესაძლებელია. პრეზიდენტს უფლება მიეცა, საკუთარ კონტროლს დაუქვემდებაროს ყველა სამოქალაქო გადაზიდვა და ენერგიის სახელმწიფო წყაროები ნავთობ-გაზის ჩათვლით.

**მესამე: ობამას ხელახლა არჩევის წინ კალიფორნიაში, სან-დიეგოში გამართული კონტრტერორისტული სამიტის ფარგლებში ჩატარდა ძალზედ ნიშანდობლივი სამხედრო სწავლებები.** Paradise Point Resort-ის რაიონში შეიჭრა ცოცხალი მიცვალებულების, ანუ ზომბებადქცეული ამერიკელებისგან შემდგარი ჯარი, რომელიც ცდილობდა, თავის გზაზე ყველაფერი გაენადგურებინა. მათ ორდღიან შეტევას უმკლავდებოდა ათასზე მეტი სპეცრაზმელი, სამხედრო მოსამსახურე და პოლიციელი სახელისუფლო და ადგილობრივი ჩინოვნიკების ხელმძღვანელობით. იმისათვის, რომ სწავლებები მაქსიმალურად დამსგავსებოდა რეალურ მოვლენებს, იმიტირებულ იქნა „ფედერალური ინცინდენტი“. სწავლებების სცენარი შეიმუშავეს ცსს-მ, სამხედროებმა და HALO-ს უშიშროების კორპორაციებმა დაავადებების კონტროლისა და პროფილაქტიკის ცენტრთან (CDC) თანაავტორობით. ამ უკანასკნელის ხელმძღვანელობამ ჯერ კიდევ 2011 წელს გამოუცხადა თანამოქალაქეებს, რომ ისინი მზად უნდა იყვნენ ანალოგიური თავდასხმებისა და შეჭრებისთვის, ხოლო „HALO Corporation“-ის პრეზიდენტის, ბრედ ბერკერის, განცხადებით, როდესაც „ზომბი-აპოკალიფსი“ დაიწყება, მას „ფედერალური ინცინდენტის მასშტაბები ექნება“.

**მეოთხე:** ზოგიერთი ამერიკული ტელეარხი, მაგალითად, FoxNews-ი იმ ამერიკელებს, რომლებიც ხელისუფლების ეკონომიკური პოლიტიკის მიმართ პროტესტს გამოხატავენ, უკვე უწოდებენ შიდა ტერორისტებს. თავის მხრივ, ეს მოქალაქეები ამაგრებენ „პატრიოტული პოლიციის“ მსგავს მრავალრიცხოვან პარამილიტარულ ფორმირებებს და მეამბოხეთა მოძრაობებს, რომლებსაც თავიანთ აქტივებში უკვე აქვთ საბრძოლო შეტაკებები ხელისუფლებასთან (ტეხასი) და ჰყავთ ერაყის პირველი ომის ვეტერანის, ტიმოთი მაკვეიგის, მსგავსი „გმირები“. ამ უკანასკნელმა 1995 წელს ოკლაჰომა-სითიში ააფეთქა ფედერალური შენობა, რასაც 160-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.

**მეხუთე: ახლახან DHS-მა გააკეთა მოთხოვნა 450 მილიონი ექსპანსიური ტყვიის შეძენაზე.** ამ ტყვიებს რიკოშეტის ნაკლები რისკისა და ცოცხალი დაუცველი მიზნებისთვის სროლის შემთხვევაში შეკავების მაღალი უნარის გამო, ძირითადად, პოლიციელები იყენებენ. იმავე ორგანიზაციამ განახორციელა საბრძოლო აღჭურვილობის, მათ შორის სნაიპერის შაშხანის 1,6 მილიონი ტყვიის, კედლების გამრღვევი საბრძოლო მასალების, ცეცხლგამძლე და ტყვიაგაუმტარი საკონტროლო გამშვები პუნქტებისა და შიდა კონფლიქტებში სასარგებლო სხვა საქონლის საბითუმო შესყიდვა.

საინტერესოა, რომ **კრიზისის დაწყებიდან ამ დრომდე აშშ-ის მოქალაქეებისთვის იარაღის მიყიდვის მაჩვენებლები 40%-ით გაიზარდა. ობამას ხელახლა გაპრეზიდენტების შემდეგ კი ამ მაჩვენებელმა ახალი, მკვეთრი ზრდა აჩვენა.** ახალი წლის დადგომამდე რამდენიმე დღით ადრე ამერიკული ინტერნეტსივრცე გადავსებული იყო სათაურებით: „იარაღის უმსხვილესი საცალო მაღაზია გაყიდვების 1000%-იან მაჩვენებელს აფიქსირებს“, „ხალხი მრავალი საათის განმავლობაში იცდის, რომ შაშხანა იყიდოს“, „შეამოწმეთ საბრძოლო მასალების არსებობა ინტერნეტმაღაზიებში — თითქმის ყველაფერი გაყიდულია“, „მთელს ამერიკაში იარაღის ყველა მაღაზიამ თითქმის ყველაფერი გაყიდა“ და ა. შ.

**„Chicago Tribune“-ის თანახმად, მხოლოდ კომპანია „Brownells Inc“-მა, რომელიც აცხადებს, რომ მსოფლიოში იარაღის და აქსესუარების ერთ-ერთი უდიდესი მაღაზიაა, იანვრის სამი დღე-ღამის მანძილზე აშშ-ში „AR-15“-სთვის იმდენი სავაზნე მჭიდი გაყიდა, რამდენსაც ჩვეულებრივ 3,5 წლის განმავლობაში ყიდის ხოლმე.** კომპანიის პრეზიდენტის, პიტ ბროუნელის, სახელით გამოქვეყნებულ ცნობაში ავტორი ირწმუნება, რომ **ამერიკის შეერთებულ შტატებში საბრძოლო მასალებზე მოთხოვნილებამ უპრეცენდენტო მასშტაბებს მიაღწია მას შემდეგ, რაც კონექტიკუტის სკოლაში მასობრივად დახოცეს ბავშვები. მხოლოდ ათი დღის განმავლობაში მთელი აშშ-ის ტერიტორიაზე გაიყიდა 10 მილიონზე მეტი იარაღი და მილიარდზე მეტი საბრძოლო კომპლექტი! გამოძიების ფედერალური ბიუროს მიმდინარე მონაცემების შემოწმების სისტემით, იანვარში, იარაღის გაყიდვების მხრივ, ამერიკის ისტორიაში ყველაზე მაღალი მაჩვენებლები დაფიქსირდა.** გამოძიების ფედერალური ბიუროს მონაცემებით, მაჩვენებელი, შესაძლოა, კიდევ ათჯერ მეტი ყოფილიყო, რომ არა მიმდინარე მონაცემების შემოწმების სისტემა, რომელიც ამოწმებდა იარაღის შეძენის მსურველთა კანონდარღვევებსა და ნასამართლეობებს. **2013 წლის თებერვლის დასაწყისის მონაცემებით, აშშ-ში ყოველ 1,5 წამში ერთი ერთეული იარაღი იყიდება!**

ძალზე ნიშანდობლივია დეკემბრის ბოლოს აშშ-ის კონგრესის მიერ დამტკიცებული კანონი 2013 წლის სამხედრო ხარჯების შესახებ. წარმომადგენელთა პალატამ მოიწონა 1,7 მილიარდით მეტის დახარჯვა, ვიდრე ამას აშშ-ის ადმინისტრაცია ითხოვდა. პენტაგონმა კი დაიჩივლა, რომ კონგრესის წევრებმა სამხედრო ბიუჯეტის პროექტში გაითვალისწინა მთელი რიგი მუხლებისა, რომლებიც „შიდა მოხმარებისთვის“ იარაღის შეძენას დააფინანსებს, თავდაცვის სამინისტროს კი ეს არ სჭირდება. იგივე სამართლებრივ-ნორმატიული აქტი ითვალისწინებს აშშ-ის ჯარების დაჩქარებულ გაყვანას ავღანეთიდან, რაც, გეგმის შესაბამისად, 2014 წელს უნდა დასრულებულიყო. ზოგიერთი ამერიკელი კომენტატორი ვარაუდობს, რომ ამ ჯარისკაცებს აშშ-ში შიდა არეულობების ჩასახშობად გამოიყენებენ.

როგორც არ უნდა იყოს, საბრძოლო მოქმედებების უამრავი ფსიქიკადამახინჯებული ადამიანის გაჩენა საზოგადოებრივი ურთიერთობების ნორმალიზებისთვის ხელშეწყობას არ ემსახურება. მით უფრო, რომ DHS-მა ჯერ კიდევ 2009 წლის გაზაფხულზე გაუგზავნა აშშ-ის ყველა პოლიციურ ქვედანაყოფს ცირკულარი ქვეყანაში მემარჯვენე ექსტრემისტების მომრავლების თაობაზე ინფორმაციით და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ ნეგატიური ტენდენციების განვითარებას ხელს უწყობს ეკონომიკური რეცესია, შავკანიანი პრეზიდენტის არჩევა, ასევე ვეტერანების დაბრუნება ერაყიდან და სხვა „ცხელი წერტილებიდან“.

fondsk.ru

ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მესამე რაიხის ერთი მთავარი მისია ერთიან საფინანსო-ეკონომიკურ ორგანიზმად ევროპის გაერთიანება იყო, რომელშიც ბიზნესის ეროვნული სეგმენტები დაექვემდებარებოდა გერმანული ფინანსური კაპიტალის უმკაცრეს კონტროლს. ამ ერთიან ფინანსურ ძსელზე დაყრდნობით უკვე შესაძლებელი გახდებოდა პოლიტიკურად გაერთიანებული ევროპის აგება და „ერთიანი ევროპული ერის“ ფორმირება.**

# ნაციზმის რეაბილიტაცია — მსოფლიო მმართველი ელიტების დღის წესრიგში

დასასრული. დასაწყისი იხ. №6 (193)

### ხოლოკოსტის რელიგია

**მესამე რაიხის მშენებლობის კიდევ ერთ სტრატეგიულ ამოცანად მკვლევარი ისტორიკოსები ისრაელის სახელმწიფოს შექმნის სიონისტურ პროგრამას მიიჩნევენ.**

ამ მიზნის მისაღწევად ორმაგი ტაქტიკა იყო გამოყენებული: სიონისტურ-ნაცისტური შეთანხმებით, „ებრაელთა საკითხის გადაწყვეტა“ — მათი გადასახლება „სამშობლოში“, შემდეგ კი ხოლოკოსტის იდეოლოგიის ფორმირება, რომელიც მსოფლიო საზოგადოების თვალში ებრაელებს განსაკუთრებულ მდგომარეობაში მოიაზრებდა.

როცა ნაცისტები ხელისუფლებაში მოვიდნენ, ებრაელთა მსოფლიო კონგრესმა, რომელიც აშშ-ში ბაზირებდა, გერმანიას ეკონომიკური ომი გამოუცხადა, პირობა დადო, რომ ყველაფერს გააკეთებდა მათ დასამარცხებლად. მაგრამ მოხდა საოცარი და გაუგებარი რამ: ანალიტიკოსები ამტკიცებენ, რომ ახალ ხელისუფლებასთან, როგორც მოკავშირესთან თანამშრომლობა დაიწყო: ერთნიც და მეორენიც მიუღებლად მიიჩნევდნენ ებრაელობის ასიმილაციას და ცდილობდნენ შიდათემობრივი ცხოვრების ჩარჩოში მის ჩაკეტვას. ამ თვალსაზრისით **საყურადღებოა სიონისტური ორგანიზაციების ლიდერების 1933 წლის 22 ივნისის მემორანდუმი, რომელიც პირადად ჰიტლერს გაეგზავნა. დოკუმენტში დაფიქსირებულია მათი სიმპათიები ახალი რეჟიმის მიმართ, აგრეთვე, აღიარება, რომ სიონიზმი თავის ფუძემდებლურ დებულებებში ფრიად ახლოსაა („უნისონში ჟღერს“) ნაციონალ-სოციალიზმთან.**

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს „სასიყვარულო უსტარი“ იყო ერთგვარი მცდელობა ნაციზმთან მშვიდობიანი ურთიერთობის დამყარების, რათა თავიდან აეცილებინათ (მეტ-ნაკლებად) ფაშისტების კაცთმოძულე პოლიტიკის მახვილი, რომელიც უკვე აღმართული იყო ებრაელობაზე. თუ ასეა, მაშინ ეს შეიძლება შეფასდეს, როგორც მიამიტური, რეალობას მოწყვეტილი პოლიტიკური ნაბიჯი, უქმი სვლა ან დროის ნეგატიური იმპულსებით ნაკარნახევი ემოციური გადაწყვეტილება.

გერმანელი სიონისტი **იოახიმ პრინცი** თავის წიგნში **„ჩვენ ებრაელები“,** რომელიც 1934 წელს გამოიცა, წერდა, რომ გერმანიაში ნაციონალ-სოციალისტური რევოლუციის არსი იყო „ებრაელობა ებრაელებისათვის“. შემდეგ, როცა პრინცი აშშ-ში გადასახლდა და ამერიკის ებრაელთა კონგრესის ხელმძღვანელი გახდა, იგი უკვე სარკაზმით იხსენებს ჰიტლერის რასისტულ თეორიას: „ჩვენ გვსურს ასიმილაციის ახალი კანონით შეცვლა: ებრაული ერისადმი, ებრაული რასისადმი კუთვნილების კანონით... ასიმილაციის ნაცვლად ჩვენ გვჭირდება სხვა ებრაელი ერის, ებრაელი რასის აღიარება“. იგივე პოზიცია იყო გამოხატული დასავლეთ ევროპაში უმსხვილესი ებრაული თემის (ბერლინში) ყოფილი ხელმძღვანელის, სიონისტური სახელმწიფო ორგანიზაციისა და ებრაული კულტურის ლიგის ლიდერი **გეორგ კარესკის** განცხადებაში: „მრავალი წლის განმავლობაში მიმაჩნდა, რომ ორი ხალხის (ებრაელებისა და გერმანელების) კულტურათა თანაზიარობა არის მათი მშვიდობიანი თანაარსებობის აუცილებელი წინაპირობა... მე ასეთ თანაზიარობას ვაღიარებდი და მიმაჩნდა, რომ იგი ურთიერთპატივისცემით იყო ნაკარნახევი“...

მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე გერმანიის მთავრობის მთავარი ამოცანა ებრაელთა მიმართ დამოკიდებულებაში იყო მათი ემიგრაცია და ამ საქმეში დიდ დახმარებასაც უწევდნენ სიონისტურ ორგანიზაციებს. **ნაცისტებისა და სიონისტების ერთობლივი ძალისხმევით მთელ ქვეყანაში შეიქმნა ქსელი, რომელშიც შედიოდა 40 ბანაკი და სასოფლო-სამეურნეო ცენტრი, სადაც სწავლობდნენ პალესტინაში გადასახლების მსურველი ებრაელები.** 1933 წლის აგვისტოში მესამე რაიხსა და გერმანიისა და პალესტინის სიონისტურ ორგანიზაციებს შორის დადებული ხელშეკრულების — „ჰავარის“ თანახმად ებრაელ ემიგრანტებს ნება ეძლეოდა განეხორციელებინათ თავიანთი ქონების ნაწილის პირდაპირი ტრანსფერი, დაწესებული იყო შეღავათები გერმანიიდან ახლო აღმოსავლეთში საქონლის ექსპორტზე. მაშინ პალესტინაში გადაირიცხა 100 მილიონამდე რაიხსმარკა, რაც დაეხმარა აღთქმულ მიწაზე ამ წლებში გადასახლებულ 60 ათას გერმანელ



**სიონისტური ორგანიზაციები დემონსტრაციულად არ მონაწილეობდნენ გერმანელების წინააღმდეგ მიმართულ რაიმე სახის ღონისძიებებში, რათა არ დაებრკოლებინათ მიღწეულ შეთანხმებათა განხორციელება**

ებრაელს გადაეტანათ ემიგრაციის პირველი უმძიმესი წლები. მკვლევარები მიუთითებენ, რომ **„ჰიტლერულმა მესამე რაიხმა ებრაელების პალესტინაში გადასახლებისთვის გააკეთა გაცილებით მეტი, ვიდრე რომელიმე სხვა ებრაულმა სახელმწიფომ“ (!).**

ისტორიკოსები იმაზეც მიგვითითებენ, რომ **სიონისტური ორგანიზაციები დემონსტრაციულად არ მონაწილეობდნენ გერმანელების წინააღმდეგ მიმართულ რაიმე სახის ღონისძიებებში, რათა არ დაებრკოლებინათ მიღწეულ შეთანხმებათა განხორციელება. ამ კავშირისადმი პატივისცემის გამოხატულების ნიშნად გებელსის განკარგულებით მოჭრეს სამახსოვრო მონეტა, რომლის ერთ მხარეს ამოკვეთილი იყო დავითის ვარსკვლავი, მეორე მხარეს — სვასტიკა.** ამ პერიოდში ესეს-ი თანამშრომლობდა პალესტინაში მოქმედ იატაკქვეშა სიონისტურ სამხედრო ორგანიზაცია ჰაგანასთან და მოსად ლე ალია ბეთის სააგენტოსთან და მონაწილეობდა იარაღის კონტრაბანდასა და ებრაელთა არალეგალურ გადაყვანაში (დიდ ბრიტანეთში მათი ემიგრაციის შეზღუდვის შემდეგ).

ჩვენი მკითხველები უთუოდ მიაქცევენ ყურადღებას ასეთ ისტორიულ ფაქტს: **სიონისტური დაჯგუფებათა შორის ყველაზე უფრო ექსტრემისტული „ლეხის“** („ისრაელის გათავისუფლებისთვის მებრძოლები“) **დაჯგუფების მიერ 1941 წელს წამოყენებულ ოფიციალურ წინადადებას ნაცისტებთან სამხედრო კავშირის დადების შესახებ დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ, რომელიც მაშინ პალესტინელების სამოქალაქო უფლებების დაცვასა და ებრაელთა პალესტინაში იმიგრაციის შეზღუდვას ცდილობდა.** მომზადებულ კომუნიკეში ნათლად იყო მითითებული, რომ გერმანულ კონცეფციაზე დაფუძნებულ „ევროპულ ახალ წესრიგსა“ და პალესტინაში მოქმედი ეროვნული სამხედრო ორგანიზაციის წევრი ებრაელების პატრიოტულ მისწრაფებას შეიძლება ჰქონდეს „ერთიანი მიზნები და მისწრაფებანი, და რომ ნაციონალისტურ და ტოტალიტარულ საძირკველზე წარმოქმნილ ისტორიულ ებრაული სახელმწიფოს შექმნა, რომელიც ხელშეკრულებით დაკავშირებული იქნება გერმანულ რაიხთან, შეესაბამება ახლო აღმოსავლეთში გერმანული ძალაუფლების მხარდაჭერისა და გაძლიერების ინტერესებს“.

მაგრამ ამ „თანამშრომლობას“ ჰქონდა თავისი მეორე მხარე, რომელმაც ხოლოკოსტის იდეოლოგიის მოსამზადებელი ნიადაგი შექმნა.

მას შემდეგ, რაც გერმანია დიდ ბრიტანეთთან ომში ჩაება, სიონისტური ხელმძღვანელობა არჩევანის წინაშე დადგა — მხარი დაეჭირა ინგლისელებისთვის, რომლებიც მხარს უჭერდნენ ებრაელების იმიგრაციის შეზღუდვას პალესტინაში, თუ — გერმანელებისთვის. იგი დაუყოვნებლივ და დაუფიქრებლად ბრიტანელების მხარეს დადგა.

**ბენ გურიონმა,** რომელიც მაშინ ლონდონში განლაგებულ იეშუვას მართვის ცენტრალურ ორგანოს წარმოადგენდა და განაცხადა: **„მე რომ ვიცოდე, რომ გერმანიის ყველა ბავშვის გადარჩენა შეიძლება ინგლისში მათი გადაყვანით, ან — მხოლოდ მათი ნახევრისა — ისრაელში, მე ავირჩევდი მეორეს, იმიტომ, რომ ჩვენ მხედველობაში უნდა მივიღოთ არა მხოლოდ ამ ბავშვების სიცოცხლე, არამედ ისრაელის ხალხის ბედიც“.**

მადლობა ღმერთს, რომ არც იგი, არც ებრაელობა ასეთი ალტერნატივის წინაშე არ აღმოჩენილან.

მაგრამ ეს თავისთავად არ მომხდარა. ისრაელის ლიდერები და, საერთოდ, ცივილიზებული მსოფლიო ასეთი არჩევანის წინაშე არ დადგა მხოლოდ იმიტომ, რომ საბჭოთა არმიამ სამკვდრო-სასიცოცხლო ომში მოკავშირეებთან ერთად ფაშისტური ჭირი აღგავა პირისაგან მიწისა.

რაც უფრო მეტად შევეცდებით ისტორიის დეტალების გარკვევას, უფრო და უფრო მეტად, რბილად რომ ვთქვათ, უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან მაშინდელი ლიდერები, ჩვენი თანამედროვეობისთვის სრულიად მიუღებელი პოზიციის გამჟღავნების გამო.

აი, ერთ-ერთი მაგალითი.

სიონისტთა ლიდერმა **ხაიმ ვაიცმანმა** ჯერ კიდევ 1937 წელს განაცხადა: „მე გეკითხებით: შეგიძლიათ თუ არა ექვსი მილიონი ებრაელის ჩასახლება პალესტინაში? მე ვუპასუხებ: არა! ტრაგიკული უფსკრულიდან მე მსურს მილიონი ახალგაზრდის გადარჩენა... და **მხოლოდ ახალგაზრდა ამონაყარი იცოცხლებს“.** ვაიცმანისთვის ეს იყო „ხმელი ტოტების მოჭრა“. შემთხვევითი არ არის, რომ შეფნერი, ავტორი გამოკვლევისა, რომელშიც ციტირებულია ვაიცმანის სიტყვები, მას მოიხსენიებს გენოციდში მთავარ დამნაშავედ.

ამიტომ — შორს ხელები ისტორიის ქექვისგან.

მოდით, სხვა სტატისტიკურ პროგნოზებს გავეცნოთ, ტრაგიკულ პროგნოზებს.

სიონიზმის ერთ-ერთმა ლიდერმა **თეოდორ გერცელმა** თავისი „დღიურების“ პირველსავე ჩანაწერებში მიუთითა, რომ ევროპაში 6 მილიონ ებრაელს გარდუვალად ელოდა მოსპობის საშიშროება. შემდეგ იგივე ციფრი დაასახელეს პირველი მსოფლიო ომის წინ და მისი მსვლელობისას, რათა გერმანელები წარმოედგინათ, როგორც აბსოლუტური ბოროტება, რაც მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაადასტურეს ევროპაში.

**ბევრი ორთოდოქსი იუდეველი აღიარებს, რომ ნაცისტური რეჟიმის არაადამიანურობაზე მეორე მსოფლიო ომის პერიოდში პასუხისმგებლობა სიონისტებს ეკისრებათ.** ▶

**თომას გაბისი წერდა, რომ ხოლოკოსტის რელიგიას აქვს თავისი წმინდა ადგილები, უწინარეს ყოვლისა, ოსვენციმი; თავისი წმინდა წიგნები, მაგალითად, „ანა ფრანკის დღიური“; ჰყავს თავისი მღვდელმსახურნი, მაგალითად, ელი ვიზელი; თავისი ტაძრები, მაგალითად, ხოლოკოსტის მუზეუმი ვაშინგტონში; თავისი რელიკვიები, თავისი ერეტიკოსებიც ჰყავს, მაგალითად, როჟე გაროდი.**

ისტორია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ მათ უკეთ იციან!

მაგალითად, ავსტრიის ანტისიონისტური თემის მთავარი რაბინი **მ.ა. ფრიდმანი წერდა: „ებრაელების გენოციდში უფრო მეტად დაინტერესებული იყვნენ სიონისტები, რომლებსაც სურდათ შედეგად მიეღოთ პოლიტიკური და ფინანსური მხარდაჭერა, რომელიც აუცილებელი იყო ებრაული სახელმწიფო ისრაელის შესაქმნელად. რიცხვი „ექვსი მილიონი“ სიონისტთა მონაგონი იყო და ასეთად რჩება. როცა დღეს „ბოროტების ღერძზე ლაპარაკობენ, იგი უნდა დავუკავშიროთ გეშეფსტს ხოლოკოსტის გარშემო და სიონისტთა დანაშაულებრივი მიზნების მხარდაჭერას“.**

ცნობილმა ებრაელმა მკვლევარმა **კ. არენდმა** აღნიშნა, რომ **„ებრაელი ლიდერების როლი საკუთარი ხალხის განადგურებაში, ებრაელებისთვის, უეჭველად, ყველაზე შავბნელი თავია მთელ ამ შავბნელ ისტორიაში“.**

ანალიტიკოსების დაკვირვებით, გასული საუკუნის 70-იან წლებამდე ხოლოკოსტის ოფიციალურ ვერსიას არაფერი ემუქრებოდა, მაგრამ იმ პერიოდში და შემდგომ გამოქვეყნებული სერიოზული სამეცნიერო კვლევების კვალზე სიტუაცია შეიცვალა და დაიწყეს ხოლოკოსტის გარკვეულ რელიგიად გადაქცევა, რასაც მიაღწიეს კიდეც, რომლის მეცნიერული ანალიზი შეუძლებელია.

პოლონელი მკვლევარი **თომას გაბისი წერდა, რომ ხოლოკოსტის რელიგიას აქვს თავისი წმინდა ადგილები, უწინარეს ყოვლისა, ოსვენციმი; თავისი წმინდა წიგნები, მაგალითად, ანა ფრანკის დღიური; ჰყავს თავისი მღვდელმსახურნი, მაგალითად, ელი ვიზელი; თავისი ტაძრები, მაგალითად, ხოლოკოსტის მუზეუმი ვაშინგტონში; თავისი რელიკვიები, თავისი ერეტიკოსებიც ჰყავს, მაგალითად, როჟე გაროდი.**

ხოლოკოსტის რელიგიად წარმოდგენის მთავარი ნიშანი, მისი ახსნაა მისტერიით, რომელიც რაციონალურად აუხსნელია, ასე რომ, უმჯობესია გონებით არ გავიგოთ, რას წარმოადგენს იგი. როგორც ერთ-ერთი „უმაღლესი ქურუმი“ ელი **ვიზელი მიანიშნებდა, „ხოლოკოსტი წმინდა მისტერიაა, რომლის საიდუმლოებას ფლობს მხოლოდ გადარჩენილი სამღვდელოება“.**

## ევროპის გაერთიანება

ბევრმა არ იცის, რომ **მესამე რაიხის ერთი მთავარი მისია ერთიან საფინანსო-ეკონომიკურ ორგანიზმად ევროპის გაერთიანება იყო, რომელშიც ბიზნესის ეროვნული სეგმენტები დაექვემდებარებოდა გერმანული ფინანსური კაპიტალის უმკაცრეს კონტროლს. ამ ერთიან ფინანსურ ქსელზე დაყრდნობით უკვე შესაძლებელი გახდებოდა პოლიტიკურად გაერთიანებული ევროპის აგება და „ერთიანი ევროპული ერის“ ფორმირება.**




## ისრაელის ლიდერები და, საერთოდ, ცივილიზებული მსოფლიო ასეთი არჩევანის წინაშე არ დადგა მხოლოდ იმიტომ, რომ საბჭოთა არმიამ სამკვდრო-სასიცოცხლო ომში მოკავშირეებთან ერთად ფაშისტური ჭირი აღგავა პირისაგან მიწისა

ეს ამოცანა უნდა განეხორციელებინა არა ნაცისტებს, არამედ გასული საუკუნის 20-იან წლებში „ერთიანი ევროპის სულიერი მამის“, **კუდენხოვე-კალერგის,** მიერ შექმნილ და ამერიკულ-სიონისტური ხელმძღვანელების მიერ ნასათუთევ პანევროპულ კავშირს. მაგრამ თავიდან ამ ორგანიზაციის საქმიანობა დროებით შეაჩერეს, რათა აემოქმედებინათ პრინციპულად ახალ პირობებში.

ნაცისტების ხელისუფლებაში მოსვლისთანავე პანევროპული კავშირი გერმანიაში აიკრძალა, ჰიტლერმა იგი მონათლა „რასობრივი არამზადების იდეალად და ებრაელების მიერ ევროპის ხელში ჩაგდების იარაღად“.

1938 წლის მარტში ავსტრიის ანშლუსის კვალზე დაიხურა პანევროპული კავშირის სამდივნო ვენაში, მისი არქივები დააპატიმრეს (ომის შემდეგ ისინი დღემდე მოსკოვში ინახება), კუდენხოვე-კალერგოს წიგნები დაწვეს, ავტორი კი შვეიცარიაში გადასახლდა. 1939 წელს, ჩეხოსლოვაკიის დანაწევრების შემდეგ მან საფრანგეთის მოქალაქეობა მიიღო, რომელიც სიკვდილამდე შეინარჩუნა, 1940 წელს აშშ-ში გადავიდა საცხოვრებლად. 1946 წლამდე მუშაობდა ნიუ იორკის უნივერსიტეტში, სადაც სემინარის „კვლევები ომისშემდგომი ევროპული ფედერაციის მხარდასაჭერად“ ფარგლებში თავის ამერიკელ მფარველებთან ერთად ამუშავებდა ევროპის დამფუძნებელი ასამბლეის პროექტს.

ნაცისტური გერმანია კი საკუთარ „ახალ წესრიგს“ ამყარებს ევროპაში.

გერმანული ფინანსური ოლიგარქიისთვის უმთავრესი მნიშვნელობა ჰქონდა მტკიცე კავშირების შენარჩუნებას ბრიტანეთისა და აშშ-ის ბანკირებთან, რომელთა უზრუნველსაყოფად მოწოდებული იყო ჯერ კიდევ 1930 წელს შექმნილი საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკი, რომელსაც მოპოვებული ჰქონდა „მსოფლიოში ყველაზე უფრო ექსკლუზიური, საიდუმლო და გავლენიანი ეროვნული კლუბის“ რეპუტაცია. მკვლევარი **კ. კვინგლი,** რომელიც 20 წლის განმავლობაში სწავლობდა ამ ქსელის ოპერაციებს მსოფლიო ფინანსების კულისებში, წერდა: „ფინანსური კაპიტალის ძალებს დასახული ჰქონდათ კიდევ ერთი, შორს მიმავალი ამოცანა: არც მეტი, არც ნაკლები — **ფინანსური კონტროლის მსოფლიო კერძო სისტემის შექმნა, რომლის ძალაუფლება გავრცელდებოდა, როგორც ყველა ქვეყნის პოლიტიკურ სისტემებზე, ასევე მსოფლიო ეკონომიკაზე სრულად.** ამ სისტემას ფეოდალურ სტილში უნდა გაეკონტროლებინა მსოფლიოში მოქმედი ცენტრალური ბანკები იმ შეთანხმებების საფუძველზე, რომლებიც დადებული იქნებოდა რეგულარულად მოწვეულ კერძო შეხვედრებსა და კონფერენციებზე. სისტემის სათავეში უნდა მდგარიყო შვეიცარიის ქალაქ ბაზელში არსებული საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკი. მისი დამფუძნებლები იყვნენ ბელგიის, დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, იტალიის, საფრანგეთის, იაპონიის ცენტრალური ბანკები, აგრეთვე აშშ ბანკების ჯგუფი, რომელსაც სათავეში მორგანის ბანკი ედგა. მორგანი როტშილდების უმცროსი პარტნიორი იყო. 1932 წლისთვის მისი წევრი ევროპის კიდევ 19 ბანკი გახდა.

**ამ ღონისძიების სულისჩამდგმელი იყო იალმარ შახტი — რაიხსბანკის პრეზიდენტი, რომელსაც მჭიდრო კავშირი ჰქონდა დამყარებული უოლსტრიტზე და რომელიც გატაცებული იყო იდეით, შეექმნა ისეთი დაწესებულება, მსოფლიო ომის პირობებში რომ შეძლებდა შეენარჩუნებინა ურთიერთობა მსოფლიოს უდიდეს ფინანსისტებს შორის და განეხორციელებინა ნებისმიერი გარიგება.**

„იუნგის გეგმით“ ბანკი შექმნილი იყო იმ მიზნით, რომ გაეკონტროლებინა უცხოური ვალუტის გადაგზავნის ოპერაციები, რომლებიც დაკავშირებული იყო აღებული ვალების გასანაღდებლად, მაგრამ **ერთი წლის თავზე დაიწყო სრულიად საწინააღმდეგო ფუნქციების განხორციელება და გადაიქცა ამერიკელებისა და ინგლისელების ფულის ნაცისტების რეზერვუარებში გადასაქაჩ არხად.** ფაშისტების დამპყრობლური პოლიტიკის განხორციელების კვალზე საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკის სეიფებში შემოდინება დაიწყო დაპყრობილი სახელმწიფოების — ავსტრიის, ჩეხეთის, პოლონეთის და სხვების ოქრომ, რომელსაც ეს ბანკი გერმანიის მრეწველობაში აბანდებდა. **ეს ოპერაციები ხორციელდებოდა დიდი ბრიტანეთის საბანკო წრეების აქტიური მხარდაჭერით, რაც (მიაქციეთ ყურადღება!) გერმანიასთან ინგლისის ომის დროსაც გრძელდება.**

მეორე მსოფლიო ომის დროსაც კი აღნიშნული ბანკის მმართველობის წევრები თავისუფლად კვეთდნენ დაპირისპირებული ქვეყნების საზღვრებს. ხოლო ბანკის პრეზიდენტად რჩებოდა ამერიკელი თომას მაკიტრიკი, რომელმაც შვეიცარული ოქროს მარკის რამდენიმე მილიონიანი სესხით უზრუნველყო გერმანელების საოკუპაციო რეჟიმი პოლონეთში და უნგრეთის კოლაბორაციონისტული მთავრობა.

ნაცისტური გერმანიის მიერ დაგროვილი გამოცდილება მსოფლიო მმართველი ელიტისთვის ფასდაუდებელი აღმოჩნდა.

პუბლიკაცია მოამზადა
**არმაზ სანებლიძე**

# ღია წერილი საქართველოს პრემიერ-მინისტრს

**ბატონო ბიძინა!**

გადავწყვიტეთ, მოგვემართა ღია წერილით, რადგან მიგვაჩნია, რომ თქვენი ჩარევით ქვეყნის შემდგომი განვითარებისკენ მიმართული, ნებისმიერი ინიციატივა უფრო სწრაფად და ეფექტურად განხორციელდება. საქმე ეხება წინა მთავრობის მიერ 2004 წელს გაუქმებული პროგრესული საშემოსავლო გადასახადის აღდგენის აუცილებლობას. „ნაციონალების“ ეკონომიკური იდეოლოგის, ბენდუქიძის, ინიციატივით მიღებული პროპორციული საშემოსავლო გადასახადი (რომელიც თავისი ბუნებით რეგრესულია, რაც ნიშნავს დაბალი პროცენტის გადახდას უფრო მაღალ შემოსავალზე) დღესაც მოქმედებს საქართველოში და ყველა ფიზიკური პირი, მიუხედავად მათი შემოსავლის სიდიდისა, იბეგრება ერთი და იგივე ფიქსირებული საგადასახადო განაკვეთით. ამით ირღვევა გადასახადების ვერტიკალური სამართლიანობა, რომლის მიხედვითაც, რაც მეტია პირის შემოსავალი, მით მეტი ნაწილი თავისი შემოსავლისა უნდა გადაიხადოს ბიუჯეტში.

**აღნიშნულისა და სხვა ბევრ მიზეზთა გამო, იზრდება მოსახლეობის ქონებრივი პოლარიზაციის ხარისხი და ხელი ეშლება ჯანსაღი საშუალო ფენის წარმოშობას. დღევანდელი გადასახედიდან კარგად ჩანს, რომ წინა მთავრობის მიერ გადადგმული როგორც აღნიშნული, ისე სხვა ნაბიჯები არ შეიძლება ჩავთვალოთ შემთხვევით ან უცოდინარობით გამოწვეულ შეცდომად.** პირიქით, „ნაციონალების“ ყველა ნაბიჯი იყო საკმაოდ გააზრებული, მიზანმიმართული და მორგებული მმართველი ელიტისა და ერთი მუჭა მაღალჩინოსნების უსაზღვროდ გამდირებასა და მათ დაქვემდებარებაში მყოფი მსხვილი მონოპოლიური ბიზნესის ინტერესებზე. სამწუხაროდ, არჩევნების წინ „ქართული ოცნების“ თემატური ჯგუფების მიერ შემუშავებულ საქართველოს ეკონომიკური განვითარების პროგრამაში არ იქნა გათვალისწინებული ჩვენი მოსაზრება პროგრესული საშემოსავლო გადასახადის აღდგენის თაობაზე. ჩვენი აზრით, ეკონომიკურ პროგრამაზე მომუშავე ჯგუფების ხელმძღვანელობა შეეცადა, არ „ეწყენინებინა“ მდიდარი ბიზნესმენებისთვის და, საერთოდ, მაღალშემოსავლიანი პირებისთვის, რათა მომავალში არ გაზრდოდათ საშემოსავლო გადასახადი პროგრესულ ფორმაზე გადასვლის გამო.

დარწმუნებული ვართ, რომ თქვენ მხარს დაუჭერთ სამართლიანობის აღდგენას და ოპტიმალურად გათვლილი პროგრესული საშემოსავლო გადასახადის შემოღებას საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის რეფორმირების აუცილებლობაც უკვე დგას დღის წესრიგში. აღსანიშნავია, რომ ეკონომიკურ ლიტერატურაში საშემოსავლო გადასახადის პროგრესული ფორმა ყველგან მიჩნეულია უფრო სამართლიანად და ეფექტიანად პროპორციულ ფორმასთან შედარებით. სწორედ ამითაა განპირობებული, რომ თანამედროვე ცივილიზებულ და დემოკრატიულ სახელმწიფოთა დიდ უმრავლესობაში და მათ შორის ევროგაერთიანების უკლებლივ ყველა ქვეყანაში გამოიყენება პროგრესული საშემოსავლო გადასახადები ზღვრულ საგადასახადო სარგოებს შორის ფართო დიაპაზონით. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში მოქმედი პროგრესული საშემოსავლო გადასახადის საგადასახადო განაკვეთებს შორის დაწესებული ინტერვალების საერთო დიაპაზონი განთავსებულია 0-დან 50%-მდე, ამერიკის შეერთებულ შტატებში — 10-დან 35%-მდე, გერმანიაში — 14-დან 45%-მდე, ესპანეთში — 24-დან 43%-მდე, პორტუგალიაში — 0-დან 43%-მდე, იტალიაში — 23-დან 43%-მდე, დანიაში — 38-დან 59%-მდე, ბელგიაში — 25-დან 50%-მდე, ნიდერლანდებში — 0-დან 52%-მდე, ავსტრიაში — 21-დან 50%-მდე, საფრანგეთში — 10-დან 70%-მდე, ნორვეგიაში — 28-დან 51%-მდე, შვედეთში — 0-დან 56%-მდე, ირლანდიაში — 20-დან 41%-მდე, ისრაელში — 10-დან 47%-მდე, სინგაპურში — 3,5-დან 20%-მდე, იაპონიაში — 5-დან 40%-მდე და ა. შ. პროგრესული საშემოსავლო გადასახადის არსებობა ზემოაღნიშნულ ქვეყნებში ხელს უწყობს მოსახლეობის ქონებრივი პოლარიზაციისა და სოციალური დაპირისპირებულობის შემცირებას, ცხოვრების სტანდარტის ამაღლებასა და ჯანსაღი საშუალო ფენის ჩამოყალიბებას.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მოგმართავთ თხოვნით, გასწორდეს სააკაშვილის მთავრობის მიერ დაშვებული მორიგი „შეცდომა“, აღდგეს საგადასახადო სამართლიანობა და საგადასახადო კოდექსში სწორად გათვლილი პროგრესული საშემოსავლო გადასახადი.**

**პატივისცემით,**

**თამაზ ბაქრაძე,**
**პაატა კოღუაშვილი,**
**პროფესორები**

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## მაიმუნი მიმტანები

**ტოკიოში მდებარე რესტორანში მიმტანებად მაიმუნები მუშაობენ. რესტორანში მისულ სტუმრებს მაიმუნები სახელად Yat-chan და Fuku-chan ემსახურებიან. იმისათვის, რომ სტუმრებს არ შეეშინდეთ, მაიმუნებს სპეციალური ნიღბები უკეთიათ და ადამიანებს ემსგავსებიან.** მაიმუნები სტუმრებს თავს არ აბეზრებენ, მაგიდებს შორის სწრაფად დახტიან, სტუმრების მიერ შეკვეთილი კერძების ფურცელი მზარეულთან მიაქვთ და არ ხმაურობენ. ყველაზე უცნაური კი ისაა, რომ ისინი რესტორანში ოფიციალურად არიან დარეგისტრირებულნი და სერტიფიკატებიც აქვთ. სტუმრები ხშირად ამბობენ, რომ მაიმუნები უკეთესი მიმტანები არიან, ვიდრე ადამიანები. „ისინი ძალიან მიყვარს. მაიმუნებს ადამიანებისგან ვერ ვანსხვავებ და ისე ვექცევი, როგორც რიგით თანამშრომლებს. ჩემი ვაჟი ისე არ მიჯერებს, როგორც მაიმუნი“, — ამბობს რესტორნის მეპატრონე კაორუ ოტუკა.



## რიგაში საწოლით ქუჩა გადაკეტეს



**წმინდა ვალენტინის დღესთან დაკავშირებით ლატვიელმა წყვილმა ქალაქ რიგის ცენტრალური საავტომობილო ქუჩა საწოლით გადაკეტა. მათ საკუთარი გრძნობების საჯაროდ დემონსტრირება სურდათ.**

წყვილმა გაოგნებული მაყურებლებისთვის საწოლში თეატრალური წარმოდგენა გაითამაშა. ისინი ხილსა და შამპანურს მიირთმევდნენ. ამ დროს საწოლის გარშემო ტრასაზე საცობი წარმოიქმნა.

**„მათ საშინაო ხალათები ეცვათ და თავი ისე ეჭირათ, თითქოს გარშემო ვერაფერს ამჩნევდნენ“,** — ყვებიან ლატვიის დედაქალაქის მკვიდრნი.

თვითმხილველთა თქმით, საჯარო ალერსმა ავტომობილის მძღოლები ორ ძირითად ჯგუფაებად დაყო — ერთნი ინტერესით ადევნებდნენ თვალს მოვლენას, დანარჩენები კი უკმაყოფილებას გაბმული სიგნალით გამოხატავდნენ. ზოგიც კამერებით იღებდა ყველაფერს.

მოგვიანებით ერთ-ერთმა მძღოლმა პოლიცია გამოიძახა. ვიდრე სამართალდამცავები ადგილზე მიაღწევდნენ, შეყვარებულებმა მიმალვა მოასწრეს და თვითმხილველები გაურკვევლობაში დატოვეს.

## ექიმებმა ბავშვი 4 დღით გაყინეს

**ბრიტანელი ექიმები იძულებულნი გახდნენ, ახალშობილი ედვარდ აივესი ოთხი დღით „გაეყინათ“ იმისთვის, რომ მისი სიცოცხლე გადაერჩინათ.**

ჩვილის 29 წლის დედის კლერის თქმით, ორსულობის მერვე თვეში ექიმებმა მას შეატყობინეს, რომ ბავშვის გული არასწორად ფუნქციონირებდა და მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა.

**„შემეშინდა, როდესაც სამედიცინო გამოკვლევის შემდეგ სპეციალისტებმა შემატყობინეს, რომ ბავშვის გული წუთში 160-ის ნაცვლად 300-ჯერ ცემდა, დიდი ალბათობით, ედვარდი ტახიკარდიის იშვიათი ფორმით უნდა დაბადებულიყო“,** — ამბობს ბრიტანელი ქალი.

ადგილობრივი საავადმყოფოს ექიმები სასწრაფო საკეისრო კვეთას ითხოვდნენ, რასაც კლერი დაუფიქრებლად დათანხმდა.

**„ედვარდის დაბადების შემდეგ აღმოვაჩინეთ, რომ ბავშვს სუნთქვა უჭირდა. ერთადერთი, რაც მას გადაარჩენდა, ეს მისი სხეულის ტემპერატურის 37-დან 33,3 გრადუს ცელსიუსამდე დაგდება იყო“,** — აცხადებენ University College London Hospital-ის ექიმები.



**„საშინლად განვიცადე, როდესაც ვუყურებდი თუ როგორ ყინავდნენ ექიმები ჩემს ბიჭუნას, მაგრამ შესანიშნავად მესმოდა, რომ ეს საჭირო ღონისძიებაა და მას მხოლოდ ეს პროცედურა გადაარჩენდა“,** — ამბობს კლერი. ასეთ მდგომარეობაში პატარა ედვარდმა ოთხი დღე გაატარა. ამ დროის განმავლობაში სისხლის მიმოქცევა და ბავშვის ორგანოების მუშაობა სრულად აღდგა.



## ყველაზე არაორდინალური მერი

**მსოფლიოში ყველაზე არაორდინალურ მერს არ აქვს უმაღლესი განათლება, საპატიო პოსტის დაკავებამდე კი ჯერ ტაქსის მძღოლი და ადგილობრივი პანკ-ჯგუფის Runny Nose-ს წევრი იყო, მოგვიანებით კომიკოსი და მსახიობიც კი გახდა. ეს რეიკიავიკის მერის, იონ გნარის „მიღწევათა“ არასრული სიაა.**

იონი სრულიად მოულოდნელად გახდა ისლანდიის ქალაქ რეიკიავიკის მერი. ქალაქის მერს ჯერ კიდევ ღრმა ბავშვობაში დაუსვეს „გონებრივად ჩამორჩენილის“ დიაგნოზი, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია მისთვის წარმატების მიღწევაში.

2010 წელს იონ გნარმა საკუთარი პოლიტიკური პარტია ჩამოაყალიბა, რომელსაც მარტივი, მაგრამ ეფექტური სახელი „The Best Party“ (საუკეთესო პარტია) უწოდა. იონის პარტიამ არჩევნების პირველივე ტურში ხმათა 34.7%-ით გაიმარჯვა.

პარტიაში გაწევრებულნი არიან მხატვრები და კომიკოსები. უნიკალური იყო თავად პარტიის სლოგანი და დაპირებებიც. „საუკეთესო პარტია“ ხალხს აუზებზე უფასო აბონემენტებს, უფასო პირსახოცებს, ქალაქის აეროპორტში „დისნეილენდის“ მოწყობას, ქვეყნის ხელისუფლების ნარკომანებისგან გაწმენდას და ქალებისა და მოხუცების უფლებათა დაცვას ჰპირდებოდა.



## მძინართა კაფე

**ტოკიოში მდებარე კაფე „Quska“-ში მისულ სტუმრებს გემრიელი კერძების დაგემოვნების შემდეგ დასვენება შეუძლიათ. ტოკიოში ქალბატონები ძალიან ბევრს მუშაობენ, ლანჩის დროს კი შესაძლებლობა ეძლევათ, კაფეში დაისვენონ კიდეც.**

როგორც ადმინისტრაციაში ამბობენ, ადამიანისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ძილია და მათი მიზანია, დაძაბული სამუშაო გრაფიკის დროსაც კი ადამიანებს დასვენება შესთავაზონ. რესტორანში სხვადასხვა სტილის ლოგინებია განთავსებული და საწოლის დიზაინის მიხედვით ფასიც იცვლება.

დასაქმებული იაპონელები განებივრებულები არიან — ხშირად აქვთ შვებულება, თანამშრომლებს გზავნიან კურორტებზე და ლანჩისთვის რამდენიმე საათი აქვთ. შესაბამისად, ეს დაწესებულება ერთადერთი არაა, რომელიც „ძილის სალონის“ ფუნქციას ითავსებს, „Quska“ გამორჩეული იმითაა, რომ მხოლოდ ქალბატონებს ემსახურება.

მანდილოსნების განწყობის ამაღლებას კაფეში განთავსებული სპა-სალონები, კოსმეტიკური ცენტრები და სავარჯიშო დარბაზები უზრუნველყოფს. იმისთვის, რომ ქალბატონებს სამსახურში დაბრუნება არ დაავიწყდეთ, ყველა ლოგინს აქვს სპეციალური მაღვიძარები, რომელთაც თითოეული კლიენტი თავად მართავს. დაწესებულება დიდი პოპულარობით სარგებლობს და მას დღის განმავლობაში რელაქსაციისთვის უამრავი ადამიანი სტუმრობს.

## 77 წლის დოროთი ჭოკით ხტომაში ჩემპიონი გახდა

**დიდი ბრიტანეთის 77 წლის მკვიდრმა, დოროთი მაკლენანმა 75-80 წლის ასაკობრივ კატეგორიაში ჭოკით ხტომაში ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.** მხცოვანი ქალბატონი 55 წლის ასაკში პენსიაში გასვლის შემდეგ რთულ გზას დაადგა. ბანკის ყოფილმა თანამშრომელმა საკუთარი ოცნების განხორციელება მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც ნახა მარათონის 80 წლის მონაწილე, რომელმაც დამქანცველი დისტანცია წარმატებით გადალახა.

**„გავიფიქრე, რადგან მან შეძლო, ე.ი. მეც შევძლებ. მაგრამ მე ბუნებით სპორტსმენი არ ვარ, ამიტომ ჩემს თავზე ხანგრძლივი და მძიმე მუშაობა მომიწია“,** — ამბობს დოროთი.

ინგლისელმა პირველი ჯილდო ჯერ კიდევ 1991 წელს მოიპოვა, ხოლო 2012 წელს მას უკვე 42 მედალი ჰქონდა მოპოვებული. ამასთან, 35 მათგანი ოქროსი.





ყოველკვირეულად მაკლენანი საკუთარ ვაჟ სტივენთან ერთად ვარჯიშს 9 საათს უთმობს. პენსიონერის შემდეგი მიზანი 100 მეტრიან სპრინტში მონაწილეობაა. ქალბატონი ასეთი დისტანციის გარბენას რეკორდულ 16 წამში აპირებს. დოროთის აზრით, სპორტში ასაკობრივი ზღვარი არ არსებობს. **„ფიზიკური დატვირთვა აქტიურობაში მეხმარება!“** — ამბობს მაკლენანი. ქალმა ასევე აღიარა, რომ ფორმის შენარჩუნებაში იოგას ვარჯიშები ეხმარება.



## იაპონელებმა ორქიდეა გააცისფერეს

**იაპონიაში, ტიბის უნივერსიტეტის გენური ინჟინერიის მეცნიერებმა მსოფლიოში პირველი ცისფერი ორქიდეის ჯიში გამოიყვანეს. მეცნიერებს 10 წელი დასჭირდათ, რათა ასეთი ფერის ყვავილი შეექმნათ.** მთელი ამ წლების განმავლობაში სხვადასხვა ექსპერიმენტები და კვლევები ტარდებოდა. შედეგად, ლურჯი ორქიდეა ფალენოპსისი გამოიყვანეს. უნიკალური მცენარის დიამეტრი არ სცილდება 5 სანტიმეტრს. თითო ორქიდეაზე 30 ყვავილი იშლება. რაშია ფერის განსაკუთრებულობა? მეცნიერები ირწმუნებიან, რომ სწორედ ორქიდეა ფალენოპსისში არის გენი, რომელიც ცისფერ პიგმენტზეა პასუხისმგებელი. ცისფერი ორქიდეის ხილვა კუნძულ ოკივანაზეა შესაძლებელი.

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95







# ხორცის ფესტივალი — უნგრეთში

**2013 წლის 26 იანვარს გეჩეში, მყუდრო უნგრულ სოფელში, ჩატარდა საერთაშორისო ფესტივალი, რომელშიც ღორის ხორცი იყო გამოფენილი. უნგრელების აზრით, ღორის ხორცი დიეტური საკვებია და მისი მიღება ჯანმრთელობისთვის აუცილებელია. ათასზე მეტი ტურისტი და სტუმარი ჰყავდა ამ ფესტივალს იმის გამო, რომ დაეგემოვნებინათ ახალი ხორცისგან გაკეთებული უგემრიელესი კერძები. მომზადებისას ღორისგან არაფერი იკარგება, ყურები და კუდიც კი.**

გემო ფესტივალში მთავარი არ არის. აქ მნიშვნელოვანია, თუ რამდენად სწრაფად მომზადდება კერძი და როგორ იქნება სისუფთავის ნორმები დაცული.

ამჯერად ჟიური მეზობელი სოფლიდან მოიწვიეს, მათ არა მხოლოდ ის შეაფასეს, თუ რამდენ ხანში იკვლებოდა ღორი და კეთდებოდა კერძი, არამედ როგორ იყენებდნენ ნივთებს და როგორ ასუფთავებდნენ ხორცს. ხორცთან ერთად შეიძლება ღვინის და ასევე სხვა ალკოჰოლური სასმელის დაგემოვნებაც, ზომიერების ფარგლებში.














## ტაილანდში ჰულა-ჰუპის რეკორდი მოხსნეს

**ღონისძიებაში მონაწილეობა 4483-მა ადამიანმა მიიღო. ისინი ჰულა-ჰუპს მუსიკის თანხლებით 7 წუთის განმავლობაში ატრიალებდნენ.**

აქცია ფეხბურთის მოედანზე, ჯანდაცვის ადგილობრივი დეპარტამენტის ინიციატივით მოეწყო.

თავდაპირველად მასობრივ ღონისძიებაში მონაწილეობას 5000 ადამიანი იღებდა, თუმცა შემდეგ 517 მათგანმა დავალებას თავი ვერ გაართვა და ღონისძიებას გამოეთიშა.

ადგილზე იმყოფებოდა გინესის რეკორდების წიგნის წარმომადგენელი, რომელმაც დამყარებული რეკორდი ოფიციალურად დაამოწმა.

## მამაკაცმა მეუღლე ქორწინებიდან 10 წლის შემდეგ პირველად ნახა



**ბრიტანელმა მამაკაცმა მეუღლე პირველად ქორწინებიდან 10 წლის შემდეგ დაინახა. სწორედ 10 წლის შემდეგ შეძლო მან მხედველობის დაბრუნება და ცხოვრების თანამგზავრის დანახვა.** იგი 10 წლის იყო, როდესაც ჭინჭრებში ჩავარდა და დაისუსხა. ალერგია გართულდა და საბოლოო ჯამში ე.წ. სტივენ-ჯონსონის სინდრომი გამოიწვია. რამდენიმე კვირის განმავლობაში ბიჭი სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე იყო. საბოლოოდ მხედველობა დაკარგა. მამაკაცს არ ეგონა, რომ მას ოდესმე რომელიმე ქალი ცოლად გაჰყვებოდა, თუმცა შემდეგ გურჯეტი გაიცნო. წყვილმა სრულფასოვანი ოჯახი შექმნა. ქორწინებიდან 10 წლის შემდეგ გაჩნდა ახალი ტექნოლოგიები. კაცმა ოპერაცია აშშ-ში, ბრიჯტონის საავადმყოფოში გაიკეთა და პირველად დაინახა საყვარელი მეუღლე. **„ეს მომენტი არასდროს დამავიწყდება. მე დავინახე ჩემი მეუღლე, ექიმები, ყველაფერი“**, — ამბობს იგი.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**იმედია, CURIOSITY 2013-ში ძალიან საინტერესო აღმოჩენებს გააკეთებს, მაგრამ არამგონია, ეს იყოს რაიმე ძველი ცივილიზაციის ნაგებობა ან მარსიანელების ქალაქი. ეს იქნება აღმოჩენები მარსის ქიმიური კომპოზიციის შესახებ, სენსაციების მოყვარულებს, სავარაუდოდ, იმედგაცრუება ელით. სამაგიეროდ, მეცნიერებმა იციან ნამდვილი მეცნიერებისა და ნამდვილი აღმოჩენების ფასი.**

# მარსის სახე — ილუზია თუ მონუმენტი?



**მას შემდეგ, რაც კაცობრიობამ გაიგო, რომ მარსი დაახლოებით ისეთივე პლანეტაა, როგორც დედამიწა, მის მიმართ ინტერესი გაიზარდა. კაცობრიობამ მეტი მღელვარებითა და შიშითაც კი მიაპყრო მზერა წითელ პლანეტას. განა მარტო მარსია ჩვენი მეზობელი პლანეტა, მაგრამ მხოლოდ მარსს შეეძლო ამხელა ინტერესის გამოწვევა. სხვებიდან კი, ვთქვათ, ვენერას, რამდენიც გინდა, დააკვირდი. ერთფეროვანი სფეროს გარდა არაფერი ჩანს. მისი სქელი ღრუბლები საიმედოდ ფარავს პლანეტის საიდუმლოებებს. მერკური მთვარის მსგავსი შიშველი პლანეტაა, რომელიც საკმარისზე მეტად ახლოსაა მზესთან. დანარჩენი პლანეტები ძალზე შორს არიან, მარსი კი აქვეა.**
**თუ მოინდომებ, შეგიძლია გაარჩიო მარსის ზედაპირის მოხაზულობები.**






ჯიოვანი სკიპარელი და პერსივალ ლოუელიც თითქოს რაღაცას ხედავენ, ხედავენ რაღაც არხებს. სკიპარელი მიიჩნევს, რომ არხები ბუნებრივია, მაგრამ ლოუელი დარწმუნებულია, — ისინი გონიერმა ცივილიზაციამ გაიყვანა მარსზე წყლის ნაკლებობის გამო.

მე-19 საუკუნის ბოლოს იფეთქა უზარმაზარმა ინტერესმა მარსიანელების შესაძლო არსებობის შესახებ. განა ამოდენა არხები თავისით გაჩნდებოდა? ისინი ვიღაცას უნდა გაეყვანა. ეს იდეა ისეთი რეალური და ბუნებრივია, რომ მარსზე ნამდვილად უნდა ცხოვრობდნენ გონიერი არსებები. საყურადღებოა ისიც, რომ ზუსტად იმ პერიოდში ხდება პანამის არხის გაყვანა, ადამიანთა გონება კი მოწოდებულია, ახალ-ახალი საგნები ერთმანეთს დაუკავშიროს. ორი ათასწლეულის მანძილზე კაცობრიობა ძრწოლით ელოდა აპოკალიპსს, მაგრამ ახალ ეპოქაში გამოიკვეთა სხვა საშიშროებაც — უცხოპლანეტელები!

**მეცნიერები ამბობენ, რომ მარსის ზედაპირის გარემო პირობები შესაძლებელს ხდის არა მხოლოდ სიცოცხლის არსებობას, არამედ ისეთი რთული სიცოცხლის არსებობასაც, როგორიც ჰუმანოიდია.**

მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს გამოდის ჰერბერტ ჯორჯ უელსის ნოველა „სამყაროთა ომი“, რომელშიც ჭკვიანი მარსიანელები, რომლებიც, უკვე ათასობით წელია, უთვალთვალებენ და სწავლობენ დედამიწელებს, მოულოდნელად ატყდებიან თავს და იპყრობენ პლანეტას. 1938 წელს ამერიკაში რადიოწამყვანმა ორსონ უელესმა პირდაპირ ეთერში ახალი ამბების სტილში დადგა „სამყაროთა ომები“, რამაც უზარმაზარი პანიკა და არეულობა გამოიწვია. როგორც კარლ სეიგანი იტყოდა, მარსი გახდა ერთგვარი მითიური არენა, რომელსაც დავუკავშირეთ ჩვენი მიწიერი შიშები და იმედები.

მას შემდეგ იყო ბევრი მისია, კოსმოსური ზონდი, რომლებმაც გამოარკვიეს, რომ მარსის არხები ილუზიაა, რომ პლანეტა, მართალია, ყველაზე მეტად ჰგავს დედამიწას, მაგრამ ის მკვდარი პლანეტაა, პლანეტა მაგნიტური ველის გარეშე, ვულკანურ აქტივობას და ტექტონიკურ ძვრებს მოკლებული, ასჯერ უფრო თხელი ატმოსფეროთი და მომაკვდინებელი სიცივით. შეიძლება „მკვდარი“ ძალიან გადამჭრელი სტატუსია, რადგან, შესაძლოა, მარსის სიღრმეებიც ინახავდეს სიცოცხლის პრიმიტიულ ფორმებს. მაგრამ სოცოცხლის რთული ფორმებისთვის პლანეტა ძალიან მკაცრია. მარსიანელების მომხრეებმა ყურები ჩამოყარეს. 70-იან წლებში ზონდმა mariner 9-მ აეროფოტოების მეშვეობით შექმნა მარსის მთლიანი რუკა. **70-იანების ბოლოს კი მარსის ზედაპირზე დაჯდნენ ვიკინგები. არანაირი ნაგებობები, დასახლებები ან რაიმე მსგავსი არ დაუფიქსირებიათ მათ. მორჩა მარსის მითოლოგია. ვიკინგებმა ნახეს შიშველი, ცივი მოწითალო ქვიშის, მტვრის და ქვების უდაბნო.**

მაგრამ ადამიანის ფანტაზიას ასე იოლად ვერ დააოკებ. იქნებ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით ჩანს ასე? იქნებ მარსიანელები მიწის ქვეშ იმალებიან? იქნებ რომელიმე ძველმა ცივილიზაციამ ზედაპირზე დატოვა რაიმე არტეფაქტი? არც მთლად ისე ყოფილა საქმე, — ამტკიცებენ ზოგიერთები, — ვიკინგებს მხოლოდ შიშველი მიწა არ უხილავთ. viking 1-ის ორბიტალურმა ზონდმა გადაიღო უზარმაზარი სტრუქტურა, რომელიც ადამიანის ან ჰუმანოიდის სახეს აშკარად ჰგავს. ეს მარსზე არსებული უძველესი ცივილიზაციის აშკარა მონუმენტია.

ამ ინფორმაციებს უარყოფენ მეცნიერები და ყველა კოსმოსური სააგენტო, მაგრამ მარსის სახისა და სიდონიის საიდუმლოებების ყველაზე მგზნებარე პოპულარიზატორი გახლავთ **რიჩარდ ჰოაგლენდი** — 67 წლის ჭაღარა, სერიოზული მეცნიერის გამომეტყველების მამაკაცი, რომელმაც დაწერა წიგნი „მარსის მონუმენტები“. ნაშრომში ავტორი ამტკიცებს, რომ მარსის ზედაპირი სავსეა მონუმენტებით, რომლებიც უძველესმა ცივილიზაციამ შექმნა. **ლამის ყოველი ქვა, რომელიც, მისი აზრით, უჩვეულოდ გამოიყურება, ვიღაცის გამოთლილია. ყოველ ბორცვსა და მთას უყურებს თავისი გამჭოლი მზერით და რაღაცას ხედავს მასში. მისი აზრით, ძველი მარსის ცივილიზაცია მიეკუთვნება მეორე კატეგორიის ცივილიზაციას, ანუ პლანეტურს და საერთოდაც მარსი მთლიანად ხელოვნური პლანეტაა.**

ვიკინგის ორბიტალური ზონდის გადაღებული „სახე“ სიდონიაზე მართლაც სახეს მოგვაგონებს და ჰოაგლენდიც, ალბათ, ტრიუმფალური გამარჯვებით ცქუმტავდა, როცა ეს ფოტო ნახა, მაგრამ მომდევნო მისიებმა უფრო დიდი გამოწვევა ესროლა ჰოაგლენდის თეორიებს. უფრო დეტალური სურათებიდან აღმოჩნდა, რომ სახე არც თუ ისე ძალიან ჰგავს სახეს. სახის ილუზია ჩრდილების თამაშის შედეგად იქმნება. მაგრამ ჰოაგლენდს ფარ-ხმალი არ დაუყრია, მან NASA დაადანაშაულა იმაში, რომ თითქოს სურათი განგებ შეაწება ცუდად, რათა სახის გამოსახულება დამახინჯებულიყო.

2011 წლის ბოლოს NASA-მ მარსზე გააგზავნა ახალი მარსმავალი რობოტი Curiosity (ცნობისმოყვარეობა), რომელიც ყველაზე რთული მოწყობილობაა მათ შორის, რაც კი სხვა პლანეტაზე გაგზავნილა ოდესმე. მინი კუპერის ზომის რობოტს აქვს 10 სამეცნიერო ინსტრუმენტი, 17 კამერა, რადიოიზოტოპური თერმოელექტრული გენერატორი, რომელიც საშუალებას იძლევა, მარსმავალმა წლობით იმუშაოს, და ორი ბორტკომპიუტერი. მარსმავალი 2012 წლის 5 აგვისტოს დაეშვა მარსის ზედაპირზე, გეილის კრატერში და დაიწყო უძველესი ტბის ზედაპირის გამოკვლევა. მისი მისიაა, ჩაატაროს ქანებისა და ატმოსფეროს ქიმიური ანალიზი, გამოავლინოს მარსის მინერალები, შეისწავლოს მარსის გეოლოგია, რისი დეტალური შესწავლით გამოიკვეთება მარსის წარსულის საიდუმლოებები და წარსული ან ახლანდელი სიცოცხლის არსებობის შანსი. NASA ტყუილად არ ამაყობს ამ მანქანით, რადგან ის უბრალო ბორბლებიანი ფოტოკამერა არაა, რომელიც მარსის ხედებს გადაიღებს, როგორც მეცნიერები აღტაცებით ამბობენ, ის მთელი ლაბორატორიაა.

ჰოაგლენდს კიდევ ერთი მიზეზი მიეცა. გეილის კრატერი „საკმაოდ ახლოა“ სიდონიასთან. სიდონია კი უძველესი ქალაქია. მარსის სახეც ამ არტეფაქტებში შედის, სადღაც იქვე სიდონიის პირამიდებია.

რეალურად კი... **შესაძლებელია თუ არა, რომ მარსმავალმა გადაუხვიოს სიდონიისკენ და მარსის სახის საიდუმლო გამოკვლევები დაიწყოს?** საკმარისია, მარსის რუკაზე გაზომო მანძილი, რომ აღმოჩნდება, გეილის კრატერიდან სიდონიამდე სულ რაღაც 7800 კილომეტრია. ეს მარსის გარშემოწერილობის თითქმის ნახევარია. იგივე კოორდინატები დედამიწაზე რომ დასვა, სიდონია იქნება პორტუგალიის სანაპიროსთან ატლანტის ოკეანეში, გეილის კრატერი კი — პაპუა-ახალი გვინეის სამხრეთ სანაპიროსთან. წარმოგიდგენიათ, მარსმავალმა გაიაროს ამდენი კილომეტრი? ამას ხომ მინიმუმ საუკუნე (თუ მეტი არა) დასჭირდება. ის ავტომობილი არაა, რომ 200 კმ/საათში სიჩქარე განავითაროს. Curiosity-ის წინამორბედმა Opportunity-მ 8 წლის განმავლობაში მხოლოდ 35 კილომეტრი გაიარა. მართალია Curiosity უფრო დიდია ზომით, მაგრამ მარსზე ჩქარა სარბენად არც ისაა აგებული. მარსმავალს გადაადგილების სიჩქარე არაფერში სჭირდება, უფრო მეტიც: მისი დამპროექტებლები ორიენტირებულნი არაინ, რობოტის ენერგია დაზოგონ მეცნიერული კვლევისთვის და არა სწრაფად გადაადგილებაში.

საბედნიეროდ, არიან მეცნიერები, რომლებიც იწუხებენ თავს და პუბლიკას უხსნიან ფსევდომეცნიერების შეცდომებს. ერთ-ერთი ასეთი მეცნიერია **ფილ პლეიტი**. პლეიტს ძნელად თუ გამორჩებოდა მხედველობიდან ისეთი ვინმე, როგორიცაა რიჩარდ ჰოაგლენდი. ასე რომ მისი ბლოგის არქივში ჰოაგლენდის ფართო კრიტიკასაც წააწყდებით: „პირველ რიგში, მე არ ვიცნობ არავის ისეთს, ვინც ვიკინგის სურათზე პირველი შეხედვისთანავე უარყო, რომ ეს სახეს ჰგავს, — წერს პლეიტი. — როდესაც პირველად დაიბეჭდა სურათი, ვიღაცამ დაწერა მასზე „სახე“. მე არ მიკვირს მსგავსი რამეები. მინახავს ათასობით ასტრონომიული სურათი და, როდესაც რაიმე უცნაური ან სასაცილო გამოხტება, ყურადღებას იპყრობს. USS Enterprise-ზე სხვადასხვაგვარ სურათებს შორის ვნახე მომღიმარი სახე (ე.წ. სმაილი) და ნისლეული, რომელიც შუა თითს გვაჩვენებდა. როდესაც ასტრონომები მსგავს რამეს შევამჩნევთ, ვიცინით და ვაჩვენებთ კოლეგებს.

ჰოაგლენდი გაშმაგებით ამტკიცებს, რომ ეს სახეა. ყველაზე მარტივი ახსნა ისაა, რომ ის ამოკვეთილია ეროზიის შედეგად და არა ხელით. ჩვენ ვიცით, რომ მსგავსი ამბები ყოველთვის ხდება. შეხედეთ მოხუცის სახეს მთაზე (თეთრი მთები ნიუ ჰემფშირში 2003 წლამდე, სანამ ჩამოიშლებოდა) და, რა თქმა უნდა, არ დაგავიწყდეთ ვლადიმერ ლენინიც, რომელიც ჩემი საშხაპის ფარდაზე გამოისახა. სახეების დანახვას შემთხვევით სტრუქტურებში ეწოდება პარეიდოლია. და ის კარგად გააზრებულია ფსიქოლოგიის მიერ“.

**იმედია, Curiosity 2013-ში ძალიან საინტერესო აღმოჩენებს გააკეთებს, მაგრამ არამგონია, ეს იყოს რაიმე ძველი ცივილიზაციის ნაგებობა ან მარსიანელების ქალაქი. ეს იქნება აღმოჩენები მარსის ქიმიური კომპოზიციის შესახებ, სენსაციების მოყვარულებს, სავარაუდოდ, იმედგაცრუება ელით. სამაგიეროდ, მეცნიერებმა იციან ნამდვილი მეცნიერებისა და ნამდვილი აღმოჩენების ფასი.**



## გამჭვირვალე პლანშეტი

**როგორც ჩანს, Apple-ის შესაძლებლობები ყველა საზღვარს ცდება. დიზაინერმა რიკარდო აფონსომ სრულიად გამჭვირვალე ipad-ის კონცეფცია წარმოადგინა.** აფონსომ შექმნა მეტალის ჩარჩოში მოთავსებული, გამჭვირვალე შუშისკორპუსიანი პლანშეტური კომპიუტერი. მეტალის ჩარჩო ანტენის როლს ასრულებს. თავსა და ბოლოში ipad-ს აქვს გაუმჭვირვალი ბლოკი, რომელზეც მაგრდება კამერა, სპიკერები და განთავსებულია ჩასართავ-გამოსართავი ღილაკი. გამჭირვალე ipad-ის იდეა საკმაოდ საინტერესო და არაორდინალურია, თუმცა ჯერ მხოლოდ პროექტია. მისი გამოშვება კი საკმაოდ რთული ამოცანაა.

ქრონოგრაფი
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ანომალიური ზონა — სად უჩინარდებიან ადამიანები

**დედამიწაზე არის არაერთი ადგილი, სადაც ხეების უმეტოსობა გამრუდებულია, ბალახები კი გიგანტურ ზომებს აღწევს. აქ მოხვედრილ ადამიანს ეწყება თავის ტკივილი, დისკომფორტის შეგრძნება და იპყრობს შიში, ცხოველები მოუსვენრობენ, გამოსცემენ უჩვეულო ხმებს და გაქცევას ცდილობენ.**



ზოგიერთ მეცნიერს მიაჩნია, სწორედ იმ ტერიტორიაზე იკვეთება გზა ჩვენსა და პარალელურ სამყაროთა შორის. ამით ხსნიან მსგავს ადგილებში იმ უჩვეულო არსებების გამოჩენას, რომლებიც თავსაც კი ესხმიან დაუპატიჟებელ სტუმრებს. მომაკვდინებელ ზონაში, როგორც მას მეორენაირად უწოდებენ, შემთხვევით მოხვედრილი მგზავრი სამუდამოდ უჩინარდება.

**მკვლევარებმა დღემდე არ იციან ასეთი ზონების წარმოქმნის მიზეზი. ცნობილია მხოლოდ ის, რომ ის ყველაზე ხშირად გვხვდება ძლიერი გეოათოგენური აქტივობის ზონებში, ტბებიან, ჭაობიან ადგილებში.**

ჯავახეთის მთიან ზოლში რამდენიმე სოფელი რაიონულ ცენტრს ათობით კილომეტრით არის დაშორებული. იქ მხოლოდ რამდენიმე კომლი ცხოვრობს, ძირითადად — ხანდაზმულები. ჯერ კიდევ კომუნისტური მმართველობის პერიოდში ამ სოფლების გავლით უცხო მგზავრები გამოჩნდებოდნენ ხოლმე. ადგილობრივმა მცხოვრებლებმა კარგად იცოდნენ, რომ ისინი შორს, საღამოს ტბისკენ მიემართებოდნენ.

ამ პატარა ტბაში მძლავრი ქვედა დინებებია. მოხუცები ამბობდნენ, ტბა განსაკუთრებული სამკურნალო თვისებებით გამოირჩევაო. მის წყალს შეუძლია საწყის ეტაპზე სიმსივნის განკურნება, ციროზის შეჩერება, თუმცა იქამდე გზა გრძელი და უცნაურია. კომპასზე ისრის მიმართულება ირევა, აღმოსავლეთისა და დასავლეთის გარკვევაც კი შეუძლებელია. როგორც ყველა ანომალიურ ზონაში, აქაც თითქოს დრო იყინება. ხშირად საათი ირევა ან არასწორ დროს უჩვენებს. ყოფილა შემთხვევები, როცა უცხო მგზავრს ოთხი საათი მონდომებია ტბამდე მისვლისათვის, იმავე გზით კი უკან ოც წუთში დაბრუნებულა. ყველა, ვინც სასიკვდილო ზონიდან გამოაღწია, ამბობს, რომ ისეთი განცდა ჰქონდა, თითქოს ტბა უკან იხმობდა.

ქართველი გეოგრაფი, რომელიც საღამოს ტბას ოცი წლის წინ ესტუმრა, დღემდე იხსენებს იმ უცნაურობებს, რომლებიც ჯავახეთის მთიან ზოლში საკუთარი თვალით ნახა: „პირველი, რამაც ჩემზე ყველაზე მძაფრი შთაბეჭდილება მოახდინა, იყო ორი ცეცხლოვანი ბურთი, რომლებიც მოულოდნელად გამოჩნდა და თითქოს ცაზე ჩამოეკიდა. მხლებელმა, რომელიც იქაური იყო, როცა ცაზე უცნაურ ნათებას მივაჩერდი, მითხრა — ასეთი რამ აქ ყოველ თვე ხდებაო. ანიმალიურ ზონასთან ახლოს სოფლების მცხოვრებლებმა იციან, რომ, თუ ცაზე მუქი იისფერი ღრუბელი გამოჩნდა, იმ დღეს პირუტყვი საძოვარზე არ უნდა გაუშვან, არ უნდა წავიდნენ სანადიროდ, რადგან, შესაძლოა, სამუდამოდ გაუჩინარდნენ“.

**გეოგრაფმა ტბასთან იპოვა უცნაური ნაკვალევი, რომელიც არც ერთი ჩვენთვის ცნობილი ცხოველისას არ ჰგავდა. ნაკვალევი დაახლოებით 90 სმ სიგრძისა იყო და საკმაოდ განიერიც. კვალი ტბიდან იწყებოდა და ისე მოულოდნელად წყდებოდა, თითქოს მისი პატრონი ჰაერში აიჭრაო. იქაურები ამბობენ, რომ მსგავს ნაკვალევს სოფლის განაპირას ხშირად ხვდებიან, თუმცა უცნაური ცხოველი არასოდეს დაუნახავთ.**

ერთხელ ორი ახალგაზრდა კაცი ტბაზე წავიდა. ორი დღე უშედეგოდ ცდილობდნენ ტბის მიგნებას. ყოველთვის გზა ებნეოდათ და უკან ბრუნდებოდნენ. თუმცა ამ ხეტიალში ერთ უცნაურ მოვლენას გადაეყარნენ. შუაგულ ტყეში, მირაჟივით, დასახლებული ადგილი გამოჩნდა. მოგზაურებმა ადგილობრივი კლიმატისთვის უჩვეულო სიცხე იგრძნეს. გარშემო ფერადსახურავიანი სახლები იდგა, მაგრამ კაციშვილის ჭაჭანება არ ჩანდა. ყმაწვილები დაზაფრულები იდგნენ, გრძნობდნენ, რომ მათ გარშემო რაღაც უჩვეულო ხდებოდა. მოულოდნელად განაპირა სახლის კარი ჭრიალით გაიღო და მოგზაურებიც ინსტიქტურად იქით გაემართნენ. სახლს მიუახლოვდნენ. კარი მათ ცხვირწინ მიიხურა. შეშინებულებმა თვალის დახამხამებაც ვერ მოასწრეს, რომ იქაურობა ისევ დაუსახლებელ, უსიერ ტყედ გადაიქცა. როგორც ცნობილია, ასეთი ხილვითი ჰალუცინაციები პათოლოგიური ზონებისთვისაა დამახასიათებელი, თუმცა ახალგაზრდებმა ჩათვალეს, რომ რაღაც უფრო სინტერესო მოვლენასთან ჰქონდათ საქმე, ისეთთან, რასაც ჰქვია ფანჯარა პარალელურ სამყაროში და თავგადასავლების საძიებლად კიდევ ერთხელ გაუყვნენ საღამოს ტბის გზას, მაგრამ ამის შემდეგ მათ კვალს ვერავინ მიაგნო.



# გინესის რეკორდსმენი ნიანგი მოკვდა

**გიგანტური ნიანგი ლულუნა, რომელიც წელიწადნახევრის წინ დაიჭირეს და, როგორც მსოფლიოში ყველაზე დიდი ნიანგი, გინესის რეკორდების წიგნში შეიყვანეს, ფილიპინებზე, ქალაქ ბუნავანის ზოოპარკში მოკვდა.**

ქვეწარმავლის სიგრძე 6,17 მეტრი იყო, წონა კი 1075 კილოგრამს აღემატებოდა. ბუნავანის მერის, ედვინ კოკს ელორდეს, თქმით, ლულუნა 50 წელზე მეტის იყო, მისი სიკვდილის მიზეზი შეიძლებოდა რეგიონისთვის უჩვეულოდ ცივი ამინდი გამხდარიყო.

ლულუნა 2011 წლის სექტემბერში დაიჭირეს, ის ადგილობრივ მცხოვრებლებს ესხმოდა თავს. ქვეწარმავლის დაჭერამდე მასზე სამი კვირა ნადირობდნენ. მედიის ინფორმაციით, 2009 წელს ლულუნამ ბავშვი მოკლა.

უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება ასევე ადგილობრივი მეთევზე, გამორიცხული არაა, რომ ისიც ნიანგმა შეჭამა. წყლიდან მის ამოთრევას ასამდე ადამიანის ძალისხმევა დასჭირდა. ნიანგს სახელი ლულუნა ჩინოსანის პატივსაცემად დაარქვეს, რომელიც მის დაჭერაში მონაწილეობდა და მალევე ამის შემდეგ გულის შეტევით გარდაიცვალა.

სპეციალურად ნიანგისთვის ეკოპარკი აშენდა, რის შემდეგაც ქალაქში ტურისტებმა დაიწყეს ჩასვლა. მერის თქმით, ლულუნას დახმარებით ქალაქმა დაახლოებით 72 000 დოლარი გამოიმუშავა.

# გაჭირვებულის დახმარება სიცოცხლეს ახანგრძლივებს

**კეთილშობილება არა მხოლოდ მორალური ღირებულებაა, იგი ჯანმრთელობისთვისაც სასარგებლოა და ეს მეცნიერებმა დაამტკიცეს.**



კვლევამ, რომელიც ხუთი წელი 846 მოხალისეზე ტარდებოდა, აჩვენა, რომ ის, ვინც ახლობლებს ხშირად ეხმარება, გულგრილ ადამიანებზე დიდხანს ცოცხლობს.

ბუფალოს უნივერსიტეტის მეცნიერმა მაიკლ პოულინმა გაარკვია, რომ ადამიანები, რომლებიც კეთილშობილებით გამოირჩევიან, სტრესულ სიტუაციებში იშვიათად იღუპებიან. სტრესულ სიტუაციებში მეცნიერები მძიმე დაავადებებს, ძარცვას, ფინანსურ კრიზისსა და ახლობლების გარდაცვალებას გულისხმობენ.

კვლევის მონაწილეებს, ასევე მათ მეგობრებსა და ახლობლებს, უსვამდნენ კითხვას: ბოლო 12 თვის განმავლობაში რამდენად ხშირად ეხმარებოდნენ ადამიანებს?

**„რამდენიმეწლიანი დაკვირვების შემდეგ გავარკვიე, რომ ადამიანები, რომლებიც სხვის უბედურებას არა მხოლოდ სიტყვით, არამედ საქმით იზიარებენ, სტრესს უკეთ უმკლავდებიან, ეს კი, თავის მხრივ, ავადმყოფობისა და სიკვდილის რისკს ამცირებს“,** — აღნიშნავს მეცნიერი.

მეცნიერების აზრით, სოციალური იზოლაცია და გულგრილობა, პირიქით, ცხოვრების ხარისხსა და ხანგრძლივობაზე ნეგატიურად აისახება.

**„დიდსულოვანი ადამიანები, რომლებიც ქველმოქმედებას მისდევენ, როგორც წესი, მორწმუნეები არიან. რწმენა და ლოცვა მათ სტრესისა და კრიზისული სიტუაციის გადატანაში ეხმარება. გარდა ამისა, თანაგრძნობის მქონე ადამიანს გაცილებით ადვილად შეუძლია დახმარება ითხოვოს და იგი დანაშაულის გრძნობის გარეშე მიიღოს“,** — თვლის ფსიქოლოგი ივეტა შანგინი.

# კოსმოსში პორნოვარსკვლავი მიფრინავს

**პორნოვარსკვლავი კოკო ბრაუნი კოსმოსურ ოდისეაში გაემგზავრება. პორნოგრაფიული ფილმების გმირმა კერძო ჰოლანდიური კომპანია SpaceXC-სგან მიწვევა მიიღო. კომპანია კოსმოსური ტურიზმის ორგანიზებას ეწევა.**

„ბერლინში ერთ-ერთ ღონისძიებას ვესწრებოდი, რომელზეც SpaceXC-ის წარმომადგენლები ამ უნიკალური შესაძლებლობის შესახებ საუბრობდნენ და სწორედ იქ დამპატიჟეს“, — ყვება პორნოვარსკვლავი.

კოსმოსური ტურისტი რომ გამხდარიყო, კოკომ 100 000 დოლარი გადაიხადა. იგი სპეციალურ მომზადებას გადის.

**„პროგრამის მონაწილე მეგობრებთან ერთად უწონობის მდგომარეობაში ვვარჯიშობ, ეს ძალიან ამაღელვებელია!“,** — ამბობს ბრაუნი.

კომპანიის წარმომადგენლები ირწმუნებიან, რომ მათ კლიენტს მზადების დროს თავი შესანიშნავად ეჭირა.

**„ჩვენ ვთვლით, რომ 100 კილომეტრის სიმაღლიდან დედამიწის დანახვის შესაძლებლობა ყველა პროფესიის წარმომადგენელს უნდა ჰქონდეს. ჩვენი დევიზია კოსმოსი ყველასთვის ხელმისაწვდომი გავხადოთ“,** — ამბობენ SpaceXC-ში.

თავად ბრაუნი დაკისრებულ მისიას სერიოზულად უდგება და ირწმუნება, რომ სექსს უწონობის მდგომარეობაში არ აპირებს.

**„არ ვფიქრობ, რომ ჩემს სხეულს იმდენად ვაკონტროლებ, რომ სექსით კოსმოსში დავკავდე. ეს გაცილებით ხანგრძლივ მომზადებას მოითხოვს“,** — დარწმუნებულია კოკო.

მიუხედავად ამისა, მსახიობმა ძალიან მკაცრი ჩაცმულობის გამო უკმაყოფილება უკვე გამოთქვა. ის ამბობს, რომ გაშიშვლების ხერხს მოძებნის, რათა კოსმოსშიც მომხიბვლელი იყოს.



# სახალხო მოძრაობა «სამეგრელოს» ზუგდიდის ორგანიზაციაში ოპტიმისტურად არიან განწყობილნი

**სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ზუგდიდის ორგანიზაციაში, რომელიც, ორი წელია, აქტიურად ფუნქციონირებს, მრავალი მნიშვნელოვანი ღონისძიება და შეხვედრა ტარდება, რომლებზეც ზუგდიდისა და სამეგრელოს დანარჩენი რაიონების საზოგადოებრიობის წარმომადგენლები ქვეყნის საჭირბოროტო საკითხებზე მსჯელობენ.**

ამჯერადაც ამ მოძრაობის ზუგდიდის ორგანიზაციის თავმჯდომარის, ზურაბ კვარაცხელიას, ინიციატივითა და ძალისხმევით „სამეგრელოს“ წევრები, მხარდამჭერები, თანამოაზრეები შეიკრიბნენ. **„მიუხედავად იმისა, რომ საძულველი „ნაცმოძრაობის“ ხელისუფლება წარსულს ჩაბარდა, ზუგდიდში მაინც არსებობს უამრავი პრობლემა და ამ პრობლემების განსახილველად და სამომავლო გეგმებზე სასაუბროდ შევიკრიბეთ დღეს. მინდა გითხრათ, რომ საკმაოდ რთული სიტუაციაა და ჩვენ შევეცდებით, საზოგადოებრივად აქტიური პიროვნებები შემოვიკრიბოთ ჩვენი მოძრაობის გარშემო. საკმაოდ ოპტიმისტურად ვართ განწყობილნი და ვნახოთ, რა გამოგვივა. განვიხილეთ ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას ინტერვიუში გამოთქმული მოსაზრებები. ვფიქრობ, ამ მოსაზრებებით უნდა დაინტერესდნენ ახალი ხელისუფლება და ქართული პოლიტიკური სპექტრი. განვიხილეთ საგარეოპოლიტიკური ვექტორის საკითხიც და მიგვაჩნია, რომ საქართველოს სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ და მხოლოდ ქვეყნის ეროვნულ სახელმწიფოებრივ ინტერესებს“,** — განაცხადა **ზურაბ კვარაცხელიამ.**



ზურაბ კვარაცხელია

ყველა გამომსვლელი ერთსულოვანი იყო იმაში, რომ „საქართველო და მსოფლიოში“ მთავარ რედაქტორ ირაკლი თოდუასთვის მიცემულ ინტერვიუში სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ლიდერმა, ბატონმა ალექსანდრე ჭაჭიამ ბრწყინვალედ ჩამოაყალიბა ქვეყნის ამჟამინდელი ვითარება და მომავალი განვითარების კურსი. ბევრი დაბნეული ადამიანი დააყენა სწორ გზაზე, ბევრს აუხილა თვალი. ეს იყო ძალიან დროული ინტერვიუ.

ამ შეხვედრაზე გამოითქვა მოსაზრება სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ პოლიტიკურ მოძრაობად გარდაქმნის შესახებ, რაც მისცემს ამ ორგანიზაციას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლებას. **„ჩვენ სულ ვიდექით არჩევანის წინაშე, ამა თუ იმ არჩევნებში ვის დაუჭერდა მხარს სახალხო მოძრაობა „სამეგრელო“. უმჯობესია, ჩვენ თვითონ, დამოუკიდებლად მივიღოთ მონაწილეობა ამ არჩევნებში, რადგან ძალიან ბევრი მხარდამჭერი და თანამოაზრე გვყავს“,** — აღნიშნა „სამეგრელოს“ წევრმა **ბააკა თოდუამ.**

ზუგდიდში არსებულ ვითარებაზე, რომელიც ამ შეხვედრის ერთ-ერთი მთავარი საკითხი იყო, დამსწრეებს თავისი მოსაზრება მოკლედ გააცნო ვალერი ჯალაღონიამ.

**„ზუგდიდს დღეს მართავენ ქალები. რამდენიმე ქალბატონის განკარგულებით ხდება დღეს ზუგდიდში ყველა მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტა, მათ შორის საკადრო საკითხის. დღეს ზუგდიდი არის თავლაფდასხმული, მაგრამ მე იმედი მრჩება, რომ ყოველივე ეს აუცილებლად გამოსწორდება“,** — განაცხადა **ვალერი ჯალაღონიამ.**

მიიღეს გადაწყვეტილება, რომ მსგავსი შეხვედრები ინტენსიურად გაიმართოს.

**ლადო ქირია**, ზუგდიდი

სიმაღლეში მომატება!
გაქვთ კომპლექსი სიდაბლის გამო?
დარეკეთ ახლავე!



574 47 39 04
0790 30 94 35

# გაზის ტარიფი ივნისიდან 5 თეთრით შემცირდება

**„ნიუსპლიუსს“ „ყაზტრანსგაზის ერთ-ერთმა თანამშრომელმა განუცხადა, რომ მარტიდან გაზის საფასურის 5-თეთრიანი კლების გარდა, ივნისიდან ტარიფი კვლავ 5 თეთრით დაიწევს.**

მაგრამ აღნიშნულ ინფორმაციას ჯერჯერობით არ ახმაურებენ. როგორც ცოტა ხნის წინ „ქართული ოცნების“ ეკონომიკური პროგრამის ერთ-ერთი ავტორი დემურ გიორხელიძე აცხადებდა, გაზის ტარიფის უფრო მეტად შემცირების რეზერვი არსებობს.



**„არსებობს გაანგარიშებები, რომელთა მიხედვით, გაზის ტარიფის კიდევ 9 თეთრით შემცირების პერსპექტივა არსებობს“,** — თქვა მან.

ამ ეტაპზე, ერთწლიანი პროექტის მიხედვით, 10%-ით შემცირდება, რაც 5-თეთრიან კლებას გულისხმობს, ნავთობისა და გაზის კორპორაციის მოგების ხარჯზე მოხდება.

# საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს — ბატონ დავით უსუფაშვილს საქართველოს პარლამენტის წევრებს

**ბატონო თავმჯდომარევ!**

**პატივცემულო პარლამენტის წევრებო!**

მოგეხსენებათ, თანამედროვე მსოფლიოში სულ უფრო ღრმავდება გლობალისტური პროცესები, რასაც ჩვენი პლანეტის ერებისთვის, შეიძლება ითქვას, მოაქვს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი შედეგებიც. ცხადია, ეს პროცესები გვერდს ვერ აუვლის ჩვენს სამშობლოსაც და, რაც დრო გადის, მით უფრო აქტუალური და საშური ხდება ისეთი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინსტიტუციების შექმნა, რომლებიც მეტ-ნაკლებად მაინც უზრუნველყოფს კოლხურ-იბერიული (ქართველური) მოდგმის კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობის შენარჩუნებას და მეტიც, ეროვნულ, ტრადიციულ და ქრისტიანულ საფუძველზე მის შემდგომ განვითარებასაც. თქვენთვის, რა თქმა უნდა, კარგადაა ცნობილი, რომ ჩვენს ერს, საკუთარი ენობრივ-კულტურული თვალსაზრისით, გააჩნია უდიდესი სიმდიდრე. ეს სიმდიდრე დაუნჯებულია ჩვენსავე უნიკალურ ენობრივ ტრიადაში (ქართულში, მეგრულ-ჭანურსა და სვანურში). უწინარესად, ამ ენებშია გამოხატული ჩვენი თვითმყოფადობა, ჩვენი იდენტობა, ჩვენი განსხვავებულობა. არადა, აშკარაა, რომ ქართველურ ენებს ჩვენ მიერ ზემოთ ნახსენები გლობალისტური ტენდენციების პირობებში ემუქრება გაქრობის საშიშროება. ასე რომ, წარსულის, აწმყოსა და მომავლის წინაშე მოვალენი ვართ, ვილონოთ ყველაფერი მის შესანარჩუნებლად. ქართული სახელმწიფო მოვალეა, უპატრონოს ამ საუნჯეს.

აქვე გვსურს, შევეხოთ ჩვენთვის (და არამარტო ჩვენთვის) მეტად მტკივნეულ საკითხს. სამწუხაროდ, მავანნი ჯიუტად კამათობენ იმაზე, — უძველესი, უმდიდრესი და უმშვენიერესი მეგრული ენა საერთოდ არის თუ არა ენა, თუმცა გენიალურმა **ნიკო მარმა** ჯერ კიდევ როდის ბრძანა: **„მეგრული ენა არის მეგრული ენა; იგი ლინგვისტურად არ არის კილო, არც დიალექტი“.** იმავეს ბრძანებდნენ უდიდესი კორიფეები ჰომეროსის ეპოქიდან მოყოლებული დღემდე. არ დაგიმალავთ, ჩვენთვის არც ესაა სადისკუსიო და საკამათო საკითხი. აქ ისედაც ნათელია ყველაფერი. ვიმედოვნებთ, ასეა თქვენთვისაც. აქედან გამომდინარე, დარწმუნებული ვართ, თქვენ, ვინც ქართველი ერის მიერ არჩეული ბრძანდებით ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში, აცნობიერებთ პასუხისმგებლობას მშობელი ხალხის ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის წინაშე და გააკეთებთ მაქსიმუმს მისი თვითმყოფადობის უპირველესი გამოხატულების — ქართველურ ენათა გადასარჩენად. ვიმეორებთ: ქართული სახელმწიფო ვალდებულია, ეს გააკეთოს, ხოლო, რაც შეეხება ყბადაღებულ „ევროსაბჭოს კონვენციას“, ჩვენს სპეციფიკურ სინამდვილეში მხოლოდ დამატებით არგუმენტად თუ გამოგვადგება. საერთოდ მიგვაჩნია, რომ კონვენციების არსებობა კი არ უნდა განაპირობებდეს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ პრიორიტეტებს, არამედ ჩვენივე ერისა და ქვეყნის მარადიული სასიცოცხლო და სტრატეგიული ინტერესები. დრო არ ითმენს. არსებობს პრობლემა, მაშასადამე, არსებობს პრობლემის მოგვარების აუცილებლობაც. მისი იგნორირება უსათუოდ შეგვიყვანს ჩიხში და მიგვიყვანს საერთო ეროვნულ ტრაგედიამდე.

მხოლოდ რიტორიკა რომ არ გამოგვივიდეს, თქვენ წინაშე შემოვდივართ ინიციატივით: პარლამენტის შესაბამის კომიტეტებში და უახლოეს საპარლამენტო სხდომებზე განხილულ იქნას ჩვენ მიერ აქტუალიზებული საკითხი და საკანონმდებლო დონეზე მიღებულ იქნას გადაწყვეტილება ქართველურ ენათა დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის ჩამოყალიბების თაობაზე. ვფიქრობთ, რომ დეპარტამენტმა, თავის მხრივ, უნდა შექმნას სპეციალური კომისია, რომელშიც უნდა შევიდნენ ქართველურ ენათა აღიარებული სპეციალისტები, მწერლები, საზოგადო მოღვაწეები, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების წარმომადგენლები. კომისიამ უნდა შეძლოს ისეთი სახელმწიფო პროგრამის შემუშავება, რომლის რეალიზებაც უზრუნველყოფს ქართველურ ენათა შენარჩუნება-განვითარებას.

ბატონო პარლამენტის თავმჯდომარევ!

პატივცემულო დეპუტატებო!

იმედია, ახალი ხელისუფლება, პირველად ისტორიაში, აიღებს პასუხისმგებლობას ქართველურ (ქართულ, მეგრულ-ჭანურ, სვანურ) ენათა გადარჩენასა და განვითარებაზე. ამით ის უთუოდ აღასრულებს უდიდეს ისტორიულ მისიას და უფლისათვის სათნო საქმეს.

**პატივისცემით,**

**ზურაბ კვარაცხელია,**
**სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ზუგდიდის ორგანიზაციის ხელმძღვანელი;**
**ვლადიმერ ლუკავა,**
**ბააკა თოდუა,**
**რევაზ ფიფია,**
**ბორის ბულია,**
**გიზო მესხია,**
**რევაზ ბაღათურია,**
**ხატია ჯანაშია,**
**ზაალ ჯალაღონია,**
**ზაზა ჯალაღონია,**
**შალვა აფხაზავა**

# დეპარდიეს რუსეთის ტელევიზიაში მუშაობა უნდა

**ფრანგმა მსახიობმა, რომელმაც რუსეთის მოქალაქეობა მიიღო, რუსეთის ფედერაციის კულტურის მინისტრ ვლადიმერ მედინსკისთან ტელეგადაცემათა ციკლის შექმნის თაობაზე ისაუბრა.** „ჩვენ განვიხილეთ მედინსკისთან ერთად რუსეთში ერთობლივი მუშაობის შესაძლებლობა. ძალიან გვინდოდა, მოგვეფიქრებინა რაღაც სატელევიზიო სერიალი, რუსულ ლიტერატურაზე დაყრდნობით, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ სხვადასხვა ქვეყნის მსახიობები, რათა შემდეგ ეს სერიები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში იქნას ნაჩვენები“, — განაცხადა ჟერარ დეპარდიემ.

მედიანიუსი
საინფორმაციო სააგენტო
http://www.medianews.ge

საქართველო და მსოფლიო
ყოველკვირეული გამოცემა
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894
9 772233 389009